საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№16 (251)
7 - 13 მაისი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



გამარჯვების დღეს გილოცავთ, ძვირფასო ვეტერანებო!

# დამონებული თავისუფლება

## წმინდა სინოდის წევრის მროველ-ურბნელი მიტროპოლიტის მიმართვა სრულიად საქართველოს 2



მეუფე იობი:

ამ ცოდვის ჩამდენ პირთა „დაცვით“, ანტიდისკრიმინაციული კანონით ჩვენ საღმრთო რისხვას დავიმსახურებთ. ესაა ღმრთის კანონის წინააღმდეგ წასვლა, რაც, ადრე თუ გვიან, თავის სულიერ ნაყოფს გამოიღებს; მით უმეტეს, თუ ამ ცოდვის ჩამდენი გახდება საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერმინისტრი...

«თუ ასე გაგრძელდა, 10-15 წელიწადში, ქართველი სანთლით საძებარი გაგვიხდება» 10

«დიდმა რექვისორმა» ბიძინა ივანიშვილმა ხალხს პირში ჩალა გამოავლო! 11

«არ გვინდა ისეთი ცივილიზაცია, რომლის გზაც უკანალზე გადის!» 12

13 «არც ევრო-გაერთიანება და არც ნატო საქართველოს დაცვას არ აპირებს»

«დარქარებული წესით აკეთებენ ყველაფერს, რუსეთთან მისასვლელი გზები რომ მოჭრან» 5

«ალასანიამ განაცხადა ის, რაც ამერიკელებმა დაავალეს» 7

8 «დამთავრებული არაფერია, მთავარი ბრძოლა წინ გველის!»

ПРЕЗИДЕНТ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

**Народу Грузии,**
**ветеранам Великой Отечественной войны**

Дорогие ветераны!
Уважаемые граждане Грузии!

От души поздравляю вас с 69-летием Великой Победы!

Бессмертный подвиг наших отцов и дедов, отстоявших в жестокой, кровопролитной войне родную землю и мир для будущих поколений – героическая, незабываемая страница в общей истории России и Грузии.

Сегодня многовековые узы духовной и культурной близости, традиции дружбы и взаимопонимания важнейший залог восстановления добрососедства между нашими странами. Мы искренне стремимся к тому, чтобы российско-грузинские связи плодотворно развивались, обогащались новыми делами, идеями, планами.

В этот праздничный день желаю здоровья и благополучия грузинским ветеранам Великой Отечественной войны, мира и процветания – всем гражданам Грузии.

В Путин

## ქართველ ხალხს, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს!

**ძვირფასო ვეტერანებო!**
**პატივცემულო საქართველოს მოქალაქეებო!**

სულითა და გულით გილოცავთ დიადი გამარჯვების 69 წლისთავს!

უკვდავი გმირობა ჩვენი მამებისა და პაპებისა, რომლებმაც სასტიკ, სისხლისმღვრელ ომში დაიცვეს მშობლიური მიწა და მშვიდობა მომავალი თაობებისთვის — ჰეროიკული, დაუვიწყარი ფურცელია რუსეთისა და საქართველოს საერთო ისტორიაში.

დღეს სულიერი და კულტურული სიახლოვის მრავალსაუკუნოვანი კავშირები, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ტრადიციები ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლობის აღდგენის უმნიშვნელოვანესი საწინდარია.

ჩვენ გულწრფელად მივისწრაფით იმისკენ, რომ რუსულ-ქართული კავშირები ნაყოფიერად ვითარდებოდეს, მდიდრდებოდეს ახალი საქმეებით, იდეებით, გეგმებით.

ამ საზეიმო დღეს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას ვუსურვებ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, მშვიდობასა და აყვავებას — საქართველოს ყველა მოქალაქეს.

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვ. პუტინი**
**4 მაისი, 2014 წ.**



„ხვალ რომ მამათმავლებმა ქორწინების უფლება ან ბავშვის შვილად აყვანა მოითხოვონ, უარს ვეღარავინ ეტყვის“...

მამა არჩილი (ქიტუაშვილი):

## როდესაც საქმე ზნეობასა და სამშობლოს ეხება, ეკლესია ვალდებულია, ჩაერიოს 6

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამ ცოდვის ჩამდენ პირთა „დაცვით“, ანტიდისკრიმინაციული კანონით ჩვენ საღმრთო რისხვას დავიმსახურებთ. ესაა ღმრთის კანონის წინააღმდეგ წასვლა, რაც, ადრე თუ გვიან, თავის სულიერ ნაყოფს გამოიღებს; მით უმეტეს, თუ ამ ცოდვის ჩამდენი გახდება საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერმინისტრი ან სულაც ეკლესიის მმართველი.

# დამონებული თავისუფლება

## წმინდა სინოდის წევრის მროველ-ურბნელი მიტროპოლიტის მიმართვა სრულიად საქართველოს

## ითვლება თუ არა საეკლესიო სასჯელი (ეპიტიმია) დისკრიმინაციად?



**დიდ და მცირე სჯულის კანონში ცოდვის ჩამდენთა მიმართ არსებობს ეპიტიმია, ანუ საეკლესიო სასჯელი, რომელიც სჯის მცოდველებს განსაზღვრული დღეებით, წლებით. ანტიდისკრიმინაციული კანონი წინააღმდეგობაში მოდის სჯულის კანონთან, რომლის მიხედვით ნებისმიერი ცოდვა ეპიტიმიით, ანუ საეკლესიო სასჯელით ისჯება.**

სჯულის კანონში წერია: „მამათმავლობას, პირუტყვქმნილობის მსგავსად, თხუთმეტი წელი განესაზღვრება, ისევე, როგორც მრუშობის გამო დასჯილებს“.

მამათმავლობის ცოდვის ჩამდენებისადმი ასევე წერია: თუკი მღვდლები (ხუცესები), ან დიაკონები, ან კიდევ ეპისკოპოსები დაეცემიან, თუნდაც რომ ერთგზის იმხილონ განსრულებულ ცოდვაში და დაცემაში, მეტად ნუღარ აღასრულებენ მღვდელმოქმედებას. მსგავსადვე, რომლებიც მღვდლობამდე იქნებიან მხილებულნი იმაში, რასაც ეწოდება სიძვა, მრუშობა, მამათმავლობა, უასაკოთ გამხრწნელობა, სისხლაღრევა ან მკვლელობა, ნურასოდეს მიეახლებიან მღვდლობას (ეკრძალებათ, გახდნენ სასულიერო პირები), არამედ ყოვლითურთ განიკუთვნონ მათზე დადებული ეპიტიმია (15 წ. უზიარებლობა). ხოლო იმ შემცოდეებს, რომლებსაც მღვდლობა უკვე მიღებული აქვთ, ზიარება მიეცეთ რაჟამს ინებებენ, განუკიცხველად. ამასთან, დაიკავონ მათ წიგნის მკთხველის ხარისხი და ურცხვენლად იმოქმედონ ყოველივე ის, რისი მოქმედებაც ძალუძს წიგნის მკითხველს, კერძოდ „წარდგომა“ თქვან, საკითხავი იკითხონ და, რასაც სხვა წიგნის მკითხველები მოქმედებენ, მათაც იმოქმედონ, **ხოლო მღვდლობისგან უნდა განეყენონ“.**

**მაშინ, როცა სასულიერო პირს (გარდა კათოლიკოს-პატრიარქისა) კონსტიტუციით, კანონმდებლობით არანაირი სტატუსი არ აქვს, გამოდის, რომ სჯულის კანონის აღმსრულებელი პატრიარქი ან ეპისკოპოსი არღვევს საერო კანონმდებლობას. თუ ცოდვის ჩამდენი სასულიერო პირი სასამართლოში იჩივლებს, ამ კანონით იგი (ეპისკოპოსი), შესაძლებელია, სცნონ დამნაშავედ და გაასამართლონ. პარლამენტის მიერ ესოდენ ერთსულოვნებით მიღებული** (104 ხმიდან არც ერთი წინააღმდეგი — ნეტავ, ეროვნული ღირსების დაცვის კანონების მიღებაში იყვნენ ასეთი ერთსულოვანნი) **ანტიდისკრიმინაციული კანონი სულიწმინდით განმღრთობილ წმ. მამათა მიერ შედგენილი სჯულის კანონის აღსრულებას ეწინააღმდეგება.** პარლამენტიდან გვესმის, რომ ეს კანონი არ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობას, რომელიც სჯულის კანონის გარეშე არ არსებობს (ეს ნიშნავს, მყარ შენობას საძირკველი გამოვაცალოთ). **მართლმადიდებლობა თუ შევინარჩუნეთ, ეს სჯულის კანონის აღსრულებითაა განპირობებული. ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი ეწინააღმდეგება სჯულის კანონს, იგი მართლმადიდებლობის წინააღმდეგაა მიმართული. გამოდის, რომ სჯულის კანონის აღმსრულებელნი საერო კანონებით უნდა დაისაჯონ. სად არის ლოგიკა და ქრისტიანული მორალის დაცვა?** ამ ცოდვის ჩამდენი ადამიანები და ქალაქები — სოდომი და გომორი ღმერთმა ცეცხლში გაახვია და დღეს მათ ადგილზე მკვდარი ზღვაა, სადაც არანაირი ცოცხალი არსება არ ბინადრობს. **ამ ცოდვის ჩამდენ პირთა „დაცვით“, ანტიდისკრიმინაციული კანონით, ჩვენ საღმრთო რისხვას დავიმსახურებთ. ესაა ღმრთის კანონის წინააღმდეგ წასვლა, რაც, ადრე თუ გვიან, თავის სულიერ ნაყოფს გამოიღებს. მით უმეტეს, თუ ამ ცოდვის ჩამდენი გახდება საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერმინისტრი ან სულაც ეკლესიის მმართველი** (მსგავსი მაგალითები გვაქვს ამერიკაში თუ ევროპაში — დიდი და მცირე ქალაქების მერები მამათმავლები არიან და ამას არც მალავენ).

**ღმერთმა გვაშოროს! ღმერთმა დაგვიფაროს!**

ყველა წინასწარმეტყველი თუ მოციქული, ყველა ჭეშმარიტი მოძღვარი ერს მოუწოდებდა ნებისმიერი ცოდვის მიტევებას, ჭეშმარიტ სინანულს. ამის ბევრი მაგალითი გვაქვს: ძველი აღთქმიდან ნინეველთა სინანული (ღმრთის რისხვის შიშით მათ იმარხულეს და ამარხულეს ცხოველებიც კი). **ჩვენი დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, წმინდა ანდრია კრიტელის სინანულის ლოცვები, რომელიც დიდმარხვის პირველ კვირაში იკითხება, წარმოაჩენენ ცოდვის ჩამდენთა დასჯას, გვაწვდიან ცოდვათა განცდისა და სინანულის მაგალითებს.**

**ამის შემდეგ ვის აქვს იმის უფლება, რომ საერო განსაკუთრებული კანონით ცოდვა დააკანონოს და ცოდვის ჩამდენნი „დაიცვას“?!** სჯულის კანონი ამ ცოდვის ჩამდენთა გამოსწორების საშუალებას იძლევა და კრძალავს მათ (მამათმავალთა) სასულიერო პირებად კურთხევას. **საერო კანონი კი ღმრთივგაბრძნობილი მამების დადგენილებას დისკრიმინაციად მიიჩნევს და სჯულის კანონის წინააღმდეგაა მიმართული.** ბოროტის მოქმედებას, როგორც უნდა იყოს იგი შენიღბული, სუფთა და წმინდა გული მაინც მიხვდება. ვევედროთ უფალს, გული წმინდა დაბადოს ჩვენში, რომ ყოველგვარი ბოროტი ჩანაფიქრი და მზაკვრობა განცხადებულ იყოს. ▶

**მეუფე იობი:**

**«პარლამენტის მიერ ესოდენ ერთსულოვნებით მიღებული (104 ხმიდან არც ერთი წინააღმდეგი — ნეტავ, ეროვნული ღირსების დაცვის კანონების მიღებაში იყვნენ ასეთი ერთსულოვანნი) ანტიდისკრიმინაციული კანონი სულიწმინდით განმღრთობილ წმ. მამათა მიერ შედგენილი სჯულის კანონის აღსრულებას ეწინააღმდეგება»**

**«მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, ღვთის მიმდევრებსა და ეშმაკის მიმდევრებს შორის. ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა წარმოაჩინა «ვინ ვინ არის», საჭიროა გულისხმიერება და ყველაფერი ნათლად გამოჩნდება»**

მოკლედ

### ქვეყნიდან წამსვლელთა რაოდენობა გაიზარდა

**2013 წელს ემიგრანტების რაოდენობამ 95 064 კაცი შეადგინა, რომელიც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5%-ით მეტია.** მიგრაციულმა სალდომ (სხვაობა ემიგრანტებისა და იმიგრანტების რაოდენობას შორის) 2013 წელს უარყოფითი მაჩვენებელი — 2 606 ერთეული შეადგინა. ემიგრანტების უმეტესობა 25-29 წლამდე ქალია.

### 15 წლის მოზარდის გაუპატიურებაში ბრალდებულ უცხო ქვეყნის სამ მოქალაქეს პატიმრობა შეუფარდეს

**15 წლის მოზარდის გაუპატიურებაში ბრალდებულ უცხო ქვეყნის სამ მოქალაქეს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.**

მოსამართლე ბადრი შონიამ ბრალდების მხარის შესაბამისი შუამდგომლობა დააკმაყოფილა. შეგახსენებთ, რომ 3 ერაყელი შს სამინისტროს თანამშრომლებმა ქართველი მოზარდის გაუპატიურების ბრალდებით რამდენიმე დღის წინ დააკავეს.



# ყოველი ასეთი კანონი ერის გახლეჩას და დანაწევრებას გამოიწვევს არა მარტო საზოგადოებაში, არამედ თვით ეკლესიაშიც.

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«არა მგონია, ჩვენს მთავრობასა და პარლამენტარებს ჩვენს დიდ წინაპრებზე მეტი სიყვარული და მეტი ჰუმანურობა გააჩნდეთ. ესაა სხვისი კარნახით დაწერილი კანონი; მათ, ვინც მას ხმა მისცეს, არ იციან მნიშვნელობა ცოდვის მიზეზით ღვთისგან მოვლენილი სასჯელისა»**

**◀ მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, ღმრთის მიმდევრებსა და ეშმაკის მიმდევრებს შორის. „ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა“ წარმოაჩინა „ვინ ვინ არის“, საჭიროა გულისხმიერება და ყველაფერი ნათლად გამოჩნდება, „არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოჲ, რომელი არა გამოცხადნეს“ (მთ.10, 26).**

**იმის გამო, რომ ხელისუფლებას, ჩვენს მთავრობას, პარლამენტარებს არ ესმით საღმრთო კანონები, შეგნებულად თუ შეუგნებლად სრულ იგნორირებას უკეთებენ მათ. ნუ დავუშვებთ მათთან ერთად ჩვენს წარწყმედას, უნდა გვეშინოდეს საშინელი სასჯელისა**. თუ ვერ გვასწავლა ჩვენ უფლის საშინელმა ხელმა და რისხვამ, რაც მოხდა ადამ და ევადან, წარღვნის, სოდომ-გომორის სასჯელმა, მრავალგზის ჩვენი უსჯულოებისა და ცოდვების გამო მიგვატოვა უფალმა, მოგვივლინა საშინელი რბევა და აწიოკება, მიწისძვრები, მტერთა შემოსევები, სიწმინდეების შებილწვა, ეკლესია-მონასტრების ძარცვა და დაქცევა. **თუ ეს ყველაფერი ვერ შეიცნო ადამიანმა და ვერც მიხვდა, რომ ამის გამო გადმოვიდა ჩვენზე ღმრთის რისხვა, მაშინ რაღა გვაქვს მათთან (მთავრობასთან) საერთო?! ჩვენ, სასულიერო პირები, საჯაროდ თუ ცალკე, უნდა შევაგონებდეთ მათ ჭეშმარიტებას. ნუ დავუშვებთ, რომ მივყვეთ მათ სიბოროტეში. უკეთესია, ვილოცოთ, რომ შევიძინოთ ისინი და გამოვიხსნათ ბოროტის მახისგან.**

„ამ უსჯულოებამ (სოდომ-გომორის ცოდვამ) უმრავლესი ქვეყნების დამპყრობი ასურასტანელთა სამეფო, სპარსთა და მიდთა ტყვედ აქცია და სრულიად აღმოფხვრა სახსენებელი. დღეს ვერ იპოვი მათ შორის ვერც მეფესა და ვერც მთავარს, რომელსაც დაუმონებელი თავისუფლება ჰქონდეს, მთელი დედამიწა რომ მოიაროთ. ამ სიბილწემ სპარსელთა მაღალი და რომის სამეფო მარად მოწინააღმდეგე სამფლობელო, მხეცის ბუნების მქონე ავაზაკი კაცების თავდასხმებით მიწამდე დაამდაბლა და აქამდე მათი ძალადობის მორჩილად დატოვა“.

**„თუ დავრჩით იმავე უკეთურებაზე, ვაი ჩემდა, თუ დავდუმდი და აღარ ვთქვი ეს ძნელი სათქმელი, ყველასთვის რომ ცხადია. ჩვენც რომ უნდა მოვერიდოთ მას. ამისთვის ვამცნებთ ყველას: — დიდსა და მცირეს, მდიდარსა და ღარიბს, მეფესა და მთავარს, აზნაურსა და მდაბიოს, მღვდელსა და არამღვდელს, მოწესესა და ერისკაცს, მოხუცს, ახალგაზრდას და შუახნის კაცს, ყველა თანამდებობას, დასს, ჯგუფს, ყველა ასაკს — განუდგეს ამ ყველა ვნებაზე უფრო საძაგელ სიბილწეს და ასე განვამტკიცებთ ჩვენი უფლის — იესო ქრისტეს სახელით: ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ამ სიტყვათა მსმენელ სულს, რომელიც ამ ძეგლის წაკითხვის შემდეგ არ მიატოვებს სოდომური ცოდვის სიბილწეს და საქმით არ მოიმოქმედებს ამას... უთუოდ თავს დაატყდება ამ საწუთროში საშინელება და ცოცხლად ჯოჯოხეთში ჩამგდები რისხვა...“ ხორცის სიყვარული ღმრთის მტრობაა და, ვინც გახრწნის ღმრთის ტაძარს (საკუთარ სხეულს), მას ღმერთი გახრწნის.**

**ამიტომ ვადგენთ, რომ ეს ღმრთის შემაწუხებელი, შეურაცხმყოფელი ცოდვა სრულიად მოისპოს ყველა ენისა და ჩვენი მოდგმისგან და, ვინც ამიერიდან შეაგინოს თავისი სული, გონება და პირი ზემოთქმული უსახური გინებით, ისიც განკანონებულ იქნას“** (ამონარიდი რუის-ურბნისის კრების დადგენილებიდან).

**არა მგონია, ჩვენს მთავრობასა და პარლამენტარებს ჩვენს დიდ წინაპრებზე მეტი სიყვარული და მეტი ჰუმანურობა გააჩნდეთ. ესაა სხვისი კარნახით დაწერილი კანონი, იმათთვის, ვინც მას ხმა მისცა, არ იცის მნიშვნელობა ცოდვის მიზეზით ღვთისგან მოვლენილი სასჯელისა.** ჩვენ ვართ ცოცხალი ერი, რაც გულისმობს: გვაქვს ჭეშმარიტი სარწმუნოება — მართლმადიდებლობა. ქვეყანა ან ერი, რომელსაც არ აქვს ჭეშმარიტი სარწმუნოება, მკვდარია და ცხოვრებისეულ დინებას მიჰყვება (არსებობს ორნაირი სიკვდილი — სულიერი და სხეულებრივი (ბუნებრივი). წმინდა მამათა სწავლებით ადამიანი, რომელიც არ არის ეკლესიური, აღსარებას არ ამბობს, არ ეზიარება ქრისტეს სისხლსა და ხორცს, როგორც უფალი ბრძანებს, „რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს“ (მათე, 12, 30).

და ისმის კითხვა — ვინაა უფალთან? ისევ უფალი გვიპასუხებს: **„რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგორომილ არს, და მე მის თანა“** (ინ. 6,56). აქედან გამომდინარე, ვინც დაშორდა უფალს და ეკლესიურად არ ცხოვრობს, იგი სულიერად მკვდარია და ასეთი სულიერი მკვდრები არიან ცალკეული ადამიანები და ასეთ ადამიანთა მიერ შემდგარი ერები და ქვეყნები. უფალი ბრძანებს: **„აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა“** (ლკ. 9,59-60). **წმინდა მამათა სწავლებით სულიერი სიკვდილი ბუნებრივ-სხეულებრივ სიკვდილზე უარესია. სწორედ ასეთ სულიერ სიკვდილთან გვაქვს საქმე, როცა განსჯის უნარი დაკარგულია და ველარ ვარჩევთ თეთრს შავისგან, სიკეთეს ბოროტებისგან, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ვაწყდებით პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა თუ შეფასებებში. მათ მიერ მოწოდებული კანონი არ მიესადაგება ცოცხალი ერის ტრადიციებს და ცხოვრების წესს.** ნათქვამია: „ეშმაკი ყოფს და ღმერთი აერთიანებს“. **ყოველი ასეთი კანონი ერის გახლეჩას და დანაწევრებას გამოიწვევს არა მარტო საზოგადოებაში, არამედ თვით ეკლესიაშიც.** ცოდვების მიზეზ-შედეგობრივ განხილვას თუ დავიწყებთ, დავრწმუნდებით, რომ ერში ცოდვების გამრავლებით განსაცდელიც მოგვემატება, ის, რომ ჩვენი ქვეყანა ორიენტირებულია ევროკავშირზე, სულაც არ ნიშნავს, ცოდვების დაკანონებით კეთილდღეობა მოვიპოვოთ, პირიქით — ღმრთის შეწევნით, სულიერებისა და ზნეობის ამაღლებით ქვეყნის დაკარგულ ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ და მშვიდობასაც მოვიპოვებთ.

**მაშინ, როცა სასულიერო პირს (გარდა კათოლიკოს-პატრიარქისა) კონსტიტუციით, კანონმდებლობით არანაირი სტატუსი არ აქვს, გამოდის, რომ სჯულის კანონის აღმსრულებელი პატრიარქი ან ეპისკოპოსი არღვევს საერო კანონმდებლობას. თუ ცოდვის ჩამდენი სასულიერო პირი სასამართლოში იჩივლებს, ამ კანონით იგი (ეპისკოპოსი), შესაძლებელია, ცნონ დამნაშავედ და გაასამართლონ**

**ნუ დავარღვევთ სჯულის კანონს! რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები დღესაც აქტუალურია. სწორედ რუის-ურბნისის კრების დადგენილებამ დაუდო საფუძველი საქართველოს სულიერ და მატერიალურ აღმშენებლობას.** „ძლევაი საკვირველს“ — უთანასწორო ომში ზეციურ შეწევნას, ხილული თვალით იხილვებოდა ბრძოლის ველზე თვით წმინდა დიდმოწამე გიორგი — მფარველი ჩვენი ერისა. თუ ეს ყველაფერი ზღაპრად გეჩვენებათ, მაშინ ჩვენ ყველაფრის ღირსი ვყოფილვართ. **გვაქვს არა დაუმონებელი თავისუფლება, არამედ დამონებული, რაც სახეზეა. რასაც გვკარნახობენ, იმას ვიღებთ ბრმად და განუსჯელად, ერთან და ბერთან შეუთანხმებლად. სწორედ ესაა დამონებული თავისუფლება — დამონებული ფსიქოლოგია. ასეთი მდგომარეობით ჩვენ წინ ვერ წავალთ, თუ ვინმეს ჰგონია, მატერიალური კეთილდღეობა წინსვლაა, იცოდეს, რომ იგი მოჩვენებითი და დროებითია.** უფალმა უწყის ქართველი კაცის ბუნება და ხასიათი, გვიფრთხილდება, რომ სულიერად არ დავიღუპოთ, არ მივეჯაჭვოთ მიწიერს და წარმავალს. ამიტომ ჩვენი ქვეყანა არასოდეს ყოფილა დალხენილი და განებივრებული ცხოვრებით. ყოველთვის ბრძოლა და გაჭირვება თან გვდევდა, სწორედ ეს არის ღმრთის დიდი მოწყალება ქართველი ერისადმი. უფალი სულიერი ძილისა და ნებივრობისათვის არ გვიმეტებდა და მოგვიწოდებდა: „სდექით მტკიცედ და შეურყევლად!“ მართლმადიდებლურ ჭეშმარიტ სარწმუნოებაში.

**გამოვფხიზლდეთ! ვიმოქმედოთ! გავძლიერდეთ!**

**უფალი იყოს ჩვენი შემწე!**

**მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი იობი**

**«წმინდა მამათა სწავლებით, სულიერი სიკვდილი ბუნებრივ-სხეულებრივ სიკვდილზე უარესია. სწორედ ასეთ სულიერ სიკვდილთან გვაქვს საქმე, როცა განსჯის უნარი დაკარგულია და ველარ ვარჩევთ თეთრს შავისგან, სიკეთეს ბოროტებისგან, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ვაწყდებით პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა თუ შეფასებებში. მათ მიერ მოწოდებული კანონი არ მიესადაგება ცოცხალი ერის ტრადიციებს და ცხოვრების წესს. ყოველი ასეთი კანონი ერის გახლეჩას და დანაწევრებას გამოიწვევს არამარტო საზოგადოებაში, არამედ თვით ეკლესიაშიც»**



## «საქართველო, ნუ გეშინია, უფალი შენთანაა!»

**6 მაისს კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს გიორგობის დღესასწაული მიულოცა. როგორც უწმინდესმა წირვის დასრულების შემდეგ ქადაგებისას ბრძანა, ხშირად გვგონია, რომ უფალი ჩვენთან არ არის, თუმცა უფლის ხმა ჩაგვესმის, რომ ის ჩვენთანაა.**

„ყველას გილოცავთ ამ დღესასწაულს. განსაკუთრებით წმინდა გიორგის სახელის მატარებელ ადამიანებს. წმინდა გიორგის ლოცვით მშვიდობა მოგვმადლოს სრულიად საქართველოს, ჩვენ და ეკლესიას! დღეს არის დიდი ეროვნული დღესასწაული. დღე, როდესაც წმინდა გიორგი ღვთის სახელით აწამეს და დღე, როცა ჩვენ ამ წამების სიდიადეს ვხედავთ. იმპერატორი დიოკლიტიანე და წმინდა გიორგი, თითქოს ორივე ჭეშმარიტებას იცავს, მაგრამ ჭეშმარიტება ერთია და ის წმინდა გიორგის მხარეს იყო. მოწამე გრძნობდა ღვთის მფარველობას, მაგრამ დგება ისეთი ჟამი, როცა თითქოს ღმერთი ტოვებს ადამიანს. როცა წმინდა გიორგი სისხლმდინარი საკანში შეიყვანეს, მას მაცხოვრის სიტყვები გაახსენდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რასათვის დამიტევე მე“. სინამდვილეში ის მარტო არ ყოფილა და ესმა ხმა: „ნუ გეშინია, მე შენთანა ვარ“. როცა ჩვენ ვხედავთ განსაცდელს, ამდენ უსამართლობას, ჩვენც გვესმის უფლის ხმა. საქართველო, ნუ გეშინია, უფალი შენთანაა!“, — აღნიშნა უწმინდესმა.

კათოლიკოს-პატრიარქი ქადაგებისას ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას გამოეხმაურა, განაცხადა, რომ საქართველოში არავინ არავის ჩაგრავდა.

**„საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომ აქ არავინ არავის ჩაგრავდა. ისეთი ქვეყანაა, სადაც ყველა გრძნობდა თავს თავისუფლად. არის საკითხები, რომელთა დაშვებაც არ შეიძლება. როგორ შეიძლება უკანონობა დავაკანონოთ. უკანონობის დაკანონება დიდი ცოდვაა. სწორედ ამის შესახებ ვთქვი მე და მე რომ არ მეთქვა, ეს იქნებოდა გასაკვირი. ვალდებული ვიყავი, მეთქვა, არც ერთი მორწმუნე არ მიიღებს ასეთ კანონს. გავა დრო და ჩვენ თვითონ გაგვიკვირდება, როგორ იქნა ეს კანონი მიღებული. შევთხოვთ უფალს, შეგვინდოს შეცოდებანი ჩვენი. ღმერთი მოწყალეა და გვაპატიებს ჩვენს ცოდვებს“,** — აღნიშნა ილია მეორემ.

## საქართველოს საპატრიარქოს საგანგებო განცხადება

„ვრცელდება არასწორი აზრი, თითქოს გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ ანტიდისკრიმინაციული კანონი მისაღები გახდა ეკლესიისთვისაც. კანონპროექტის ახალ ვერსიას საქართველოს საპატრიარქო ვერ დაეთანხმება, რადგან ბოლო ვარიანტის გაანალიზების საშუალება არ გვქონდა. ზეპირი საუბრებით და ცალკეული სასულიერო პირების განცხადებებით კი ასეთ სერიოზულ თემაზე ნაჩქარევი შეფასების გაკეთება ეკლესიის მხრიდან მართებული არ არის.საქართველოს პარლამენტში თავდაპირველად წარმოდგენილი კანონპროექტის უარყოფითი მხარეები აშკარად ჩანდა, ახლა მდგომარეობა შეიცვალა და იგი უფრო სერიოზულ შესწავლას და სპეციალისტების (იურისტების, ფსიქოლოგების, საერთაშორისო სამართლის ექსპერტების) დასკვნას საჭიროებს. ჩვენ მადლიერნი ვართ საქართველოს პრემიერის, რომ იგი გაგებით მოეკიდა ეკლესიის სიფრთხილეს, მაგრამ ისიც გვინდა დავძინოთ, რომ ეკლესია ამ შემთხვევაში იცავდა და იცავს არა მხოლოდ სასულიერო პირების, არამედ მართლმადიდებელი მრევლის და საქართველოს მოსახლეობის (რელიგიური მრწამსის განურჩევლად) იმ ნაწილის ინტერესებსა და უფლებას, რომლისთვისაც ზნეობრივი ნორმების დაცვა არსებით აუცილებლობას წარმოადგენს“, — ნათქვამია განცხადებაში.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როდესაც მოწინააღმდეგემ იცის, რომ გყავს ძალები, რომლებსაც შეუძლიათ მას ზიანი მიაყენოს, როდესაც გაქვს შესაბამისი თავდაცვის საშუალებები და შეგიძლია საკუთარი თავის დაცვა, ასეთ შემთხვევაში, ის თავდასხმისგან თავს შეიკავებს."**

### ირაკლი სესიაშვილი:

# რუსეთის შიშით კი არ უნდა გავჩერდეთ და დავიმალოთ, პირიქით, ჩვენი თავდაცვითი სისტემა უნდა გავაძლიეროთ



**საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ, ვაშინგტონში, ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე ნატოს საქართველოში სამხედრო თავდაცვითი საშუალებების განთავსებისკენ მოუწოდა. რა რეაქცია ექნება ამ ყველაფერზე მეზობელ რუსეთს, რომელიც ღიად აცხადებს, რომ რეგიონში ნატოს გაფართოებას არ დაუშვებს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს საჰაერო თავდაცვითი სისტემების განთავსებას ქვეყანაში და მოსალოდნელი სიტუაციის გართულების შემთხვევაში ვინ აიღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას, „საქართველო და მსოფლიოს" პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ესაუბრა.**

**— საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ახლახან განაცხადა, რომ დასავლეთმა ნატოს უნდა შესთავაზოს საქართველოში საჰაერო თავდაცვითი საშუალებების განთავსება. რა აუცილებლობას წარმოადგენს დღეს აღნიშნული საკითხი ჩვენი ქვეყნისთვის?**

— პირველ რიგში, ჩვენი **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საჭიროებიდან ამოვდივართ. აგვისტოს ომის გამოცდილებამ გვასწავლა, რომ, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, ქვეყანას, ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო სამხედრო თავდაცვითი სისტემები სჭირდება.** რაც შეეხება საკითხს, უნდა დაგვეხმაროს თუ არა ნატო, როდესაც რუსეთი გვყავს მეზობლად, ყველანაირი თავდაცვითი საშუალება, საკუთარი ძალების მობილიზებაა აუცილებელი, რათა პოტენციურმა მოწინააღმდეგემ პრევენციული თავშეკავება გამოიჩინოს. **ეს იმას ნიშნავს, რომ, როდესაც მოწინააღმდეგემ იცის, რომ გყავს ძალები, რომლებსაც შეუძლიათ მას ზიანი მიაყენოს, როდესაც გაქვს შესაბამისი თავდაცვის საშუალებები და შეგიძლია საკუთარი თავის დაცვა, ასეთ შემთხვევაში, ის თავდასხმისგან თავს შეიკავებს.**

აქედან გამომდინარე, საქართველოში სამხედრო თავდაცვითი საშუალებების განთავსება, პირველ რიგში, მოწინააღმდეგეებზე პრევენციული ზემოქმედებისთვის გვჭირდება, რათა ჩვენ წინააღმდეგ რაიმე სამხედრო ოპერაციის განხორციელება ვერავინ განიზრახოს.

**— რუსეთმა მკაფიოდ განაცხადა, რომ რეგიონში ნატოს გაფართოებას არ დაუშვებს. ნატოსთან დაკავშირებით ნებისმიერი საკითხის წამოჭრისას, ვხედავთ, როგორ იწევს მავთუხლართები, ვხედავთ, როგორ აქტიურდებიან ჯავახეთში სეპარატისტული ძალები. აქვს თუ არა გაცნობიერებული ხელისუფლებას ის საფრთხეები, რომლებიც შეიძლება საქართველოსთვის თუნდაც ამ თავდაცვითი საშუალებების განთავსებას მოჰყვეს?**

— მოდი ასე ვთქვათ: მგლის შიშით ცხვარს ვერ გავწყვეტთ. რუსეთს პირდაპირი ზეგავლენა ნატოზე არ აქვს. ჩვენ ჩვენი ინტერესები გვაქვს და, იმის მიუხედავად, რომ რუსეთი ჩვენი მეზობელია და მომავალშიც იქნება, უნდა შევძლოთ ჩვენი სახელმწიფო ინტერესების რეალიზება, ჩვენი ტერიტორიების დაცვა. თუ როგორ მოვახერხებთ ამას, ჩვენს დიპლომატიასა და პოლიტიკაზეა დამოკიდებული. **რადგან რუსეთმა განაცხადა, რომ ნატოს გაფართოებას რეგიონში არ დაუშვებს, რუსეთის შიშით კი არ უნდა გავჩერდეთ და დავიმალოთ, პირიქით, ჩვენი თავდაცვითი სისტემა უნდა გავაძლიეროთ, რათა მოწინააღმდეგემ ჩვენზე თავდასხმა არც იფიქროს.**

**— თუმცა ხელისუფლებას მოსალოდნელი საფრთხეები, ალბათ, გაცნობიერებულიც უნდა ჰქონდეს. ვინ აიღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას სიტუაციის გართულების შემთხვევაში?**

— რას ნიშნავს პასუხისმგებლობის გათვალისწინება? სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას, ვაცნობიერებთ, რომ ქვეყანას გაძლიერება სჭირდება; მიგვაჩნია, რომ საჭიროა თავდაცვისუნარიანობის გაზრდა. ასე პასუხისმგებლობით რომ არ ვუდგებოდეთ ამ საკითხს და ყველაფერს მარტივად ვუყურებდეთ, მაშინ არაფერს გავაკეთებდით. სწორედ ამიტომ ვზრუნავთ ჯარის მომზადებასა და გაძლიერებაზე, თავდაცვისუნარიანობის გაზრდაზე და ა. შ. ყველაზე მარტივი იქნებოდა, არაფერი გაგვეკეთებინა.

**— თუმცა ვნახეთ, რომ უკრაინა მარტო აღმოჩნდა რუსეთის წინააღმდეგ. არაერთხელ ითქვა ისიც, რომ საქართველოს გამო რუსეთს არავინ დაუპირისპირდება. ვინ დაიცავს საქართველოს?**

— სწორედ ამიტომ ლოგიკურია ჩვენი მოქმედება. ის ფაქტი, რომ უკრაინამ რუსეთს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია, ნიშნავს, რომ უკრაინა არ იყო მზად საკუთარი თავის დასაცავად და რუსეთს ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უკრაინა უუნარო იყო, ომი დაეწყო. შესაბამისად, რაც ჩვენ დღეს შეგვიძლია გავაკეთოთ, არის ის, რომ ჩვენი თავდაცვისუნარიანობა გავზარდოთ და გავაძლიეროთ.

რა თქმა უნდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჰაერსაწინააღმდეგო თუ ტანკსაწინააღმდეგო სისტემების დანერგვა ერთი დღის საქმე არ არის, ეს ხანგრძლივი პროცესია და გრძელვადიანი პერსპექტივა. ეს არ ნიშნავს, რომ ერთ დღეში ყველაფერი გვექნება, ამას დრო და მომზადება სჭირდება, ამიტომ მიმაჩნია, რომ ამაზე მუშაობა უკვე უნდა დავიწყოთ. ▶



### ვალერი კვარაცხელია:

# ალასანია სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს!

**საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას მიერ ნატოსა და ამერიკელებისთვის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების განსათავსებლად საქართველოს ტერიტორიის შეთავაზებამ ბევრი შეაშფოთა. მართალია, ანტიდისკრიმინაციული კანონის დამტკიცებით აღშფოთებულმა საზოგადოების ნაწილმა ირაკლი ალასანიას ეს განცხადება, ერთი შეხედვით, თითქოს უყურადღებოდ დატოვა, მაგრამ პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები ალასანიას ამ შეთავაზებაში ძალიან დიდ საფრთხეს ხედავენ. ზოგი მოქალაქე კი ამბობს, ანტიდისკრიმინაციული კანონის ფონზე, მგონი, უფრო დამღუპველი რამ შემოგვაპარესო. „საქართველო და მსოფლიოს" მოსალოდნელ საფრთხეებზე პარტია „ნეიტრალური საქართველოს" ლიდერი ვალერი კვარაცხელია ესაუბრება.**

**«ირაკლი ალასანიას ეს განცხადება ჩვენ ვისთან გვაპირისპირებს? — ყველაფერზე წამსვლელ რუსეთთან და არა მგონია, ამ ქვეყანაში არსებობდეს ადამიანი, რომლისთვისაც ძნელი წარმოსადგენი იქნება, რას შეიძლება მოასწავებდეს ეს საქართველოსთვის»**

**— ბატონო ვალერი, თავდაცვის მინისტრის შეთავაზება ნატოსა და ამერიკისთვის, რომ ჩვენს ტერიტორიაზე საჰაერო თავდაცვის საშუალებები განათავსონ, რას მოუტანს საქართველოს და რა რეაქცია ექნება რუსეთს?**

— **საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას მიერ ნატოსა და ამერიკელებისთვის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების განსათავსებლად საქართველოს ტერიტორიის შეთავაზება შეიძლება შევაფასოთ, როგორც რუსეთისთვის ომის გამოცხადება.**

რუსეთი ამჟამად ძალიან რთულ მდგომარეობაში იმყოფება. მას მთელი დასავლეთი დაუპირისპირდა. რუსეთი უძლიერესი ქვეყანაა, მაგრამ ეს გამოწვევა ისეთი სერიოზულია, რომ იგი, პრაქტიკულად, ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე აღმოჩნდა. **რუსეთმა, თუნდაც ყირიმის მიერთებით, ისეთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა, რომ უკან დასახევი გზა აღარ დარჩა. ის ახლა იმ მდგომარეობაშია, რომ მარცხი მის აუცილებელ დაშლას მოასწავებს.**

მოვლენათა განვითარების ასეთი ვარიანტი, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში ამაზე ოცნებობენ, რა თქმა უნდა, გამორიცხულია, მაგრამ იგი თავისთავად კი არ არის გამორიცხული, არამედ იმის გამო, რომ რუსეთი ყველაფერზე წავა მოვლენებისთვის მისთვის სასურველი მიმართულების მისაცემად.

ახლა ამ საკითხს საქართველოს პოზიციებიდან შევხედოთ და გაგცემთ პასუხს თქვენს შეკითხვაზე — რას მოუტანს ეს საქართველოს? ირაკლი ალასანიას ეს განცხადება ჩვენ ვისთან გვაპირისპირებს? — ყველაფერზე წამსვლელ რუსეთთან და არა მგონია, ამ ქვეყანაში არსებობდეს ადამიანი, რომლისთვისაც ძნელი წარმოსადგენი იქნება, რას შეიძლება მოასწავებდეს ეს საქართველოსთვის.

ყოველი შემთხვევისთვის, დეტალებში ჩაღრმავების გარეშე, შეულამაზებლად, მოვხაზავ რუსეთის შესაძლო მოქმედების კონტურებს, რაც შეიძლება ალასანიას წინადადების რეალიზების თუნდაც მცდელობას მოჰყვეს საქართველოში: **ეს არის პროცესები — დაწყებული სამცხე-ჯავახეთის დაკარგვით და დამთავრებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციებით.**

**რუსეთს, თუკი ასეთი აუცილებლობის წინაშე დადგება, ვერაფერი შეაჩერებს, რადგან შემაკავებელი პოლიტიკური და დიპლომატიური ბერკეტები დასავლეთს უკვე აღარ აქვს, ვინაი-** ▶

**არავითარი მაპი — ეს ზღაპარია, მაპის მქონე ქვეყანაზე მე-5 პუნქტი არ ვრცელდება, მას არავინ იცავს, ისევე, როგორც ასოცირებული ხელშეკრულების მქონე წევრს, მაპიც და ხელშეკრულებაც არაფრის მომტანი არ არის, უბრალოდ, მორალურ შვებას მოგვგვრის.**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— „საჰაერო თავდაცვითი სისტემა საქართველოში უნდა განთავსდეს, ამით რუსებს მიახვედრებთ, რომ თქვენ არ ხუმრობთ", — განაცხადა ალასანიამ. როგორ ფიქრობთ, რამდენად სერიოზულია, თავდაცვის მინისტრის მხრიდან მსგავსი განცხადება და რა საჭიროა ქვეყანაზე ექსპერიმენტების ჩატარება?**

— ბატონი მინისტრის რიტორიკის ანალიზს მე ნამდვილად ვერ გავაკეთებ, თუ რატომ თქვა მან ასე, მაგრამ ჩვენ ვართ ნატოს პარტნიორები, ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაფორმებული გვაქვს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომლის ერთ-ერთი მუხლიც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნისთვის სამხედრო სფეროში თანამშრომლობასა და მხარდაჭერას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან და რადგან პარტნიორები ვართ და მომავალში ნატოს წევრებიც უნდა გავხდეთ, ბუნებრივია, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მომავალში, საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემდეგ, ნატოსთვის და ევროპისთვის უსაფრთხოებას, სტაბილურობასა და მშვიდობას ნიშნავს.

**— როგორ ფიქრობთ, აღნიშნულ საკითხზე უნდა ჩატარდეს თუ არა რეფერენდუმი?**

— იცით, ეს არასერიოზულად მიმაჩნია, **ყველა საკითხზე რეფერენდუმს ხომ ვერ ჩავატარებთ?!** მაშინ ჯარის შეიარაღებაზე, ავტომატის ყიდვაზე თუ პოლიციის ფორმების შესყიდვაზე რეფერენდუმი უნდა ჩავატაროთ.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**დან მან თავისი ბინძური მოქმედებით უკრაინაში** (და არა მხოლოდ უკრაინაში) **ეს ბერკეტები გაანადგურა. ხოლო, რასაც ნიშნავს რუსეთთან ძალისმიერი დაპირისპირება, ყველამ ვიცით.**

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **თავდაცვის მინისტრის მიერ ამერიკაში გაკეთებული ეს განცხადება საქართველოსთვის დამანგრეველია და თან იმ მასშტაბის საფრთხის შემცველი, რომლის გამოც, თუკი ჩვენს ქვეყანას უწერია, რომ ოდესმე თავის თავს თვითონვე განაგებდეს, ალასანია სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს.**

შორს ვარ აზრისგან, რომ ალასანიამ ეს განცხადება დამოუკიდებლად გააკეთა, ასევე არ ვეთანხმები იმ აზრსაც, რომ ის გაუაზრებლად აკეთებს ამას და თან არავის უთანხმებს. **დასავლეთის მიერ მართული ქართული პოლიტიკური სპექტრი, რომლის მოქმედებამაც ათეული წლების განმავლობაში ქვეყანა ტერიტორიულ, ეკონომიკურ და სულიერ ნგრევამდე მიიყვანა, შეთანხმებულად მოქმედებს და დასავლეთის ბინძურ ზრახვებს სწირავს საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, მის ხვალინდელ დღეს!**

ესაუბრა **ეკა ნასყიდაშვილი**

# სოსო ცინცაძე: დაჩქარებული წესით აკეთებენ ყველაფერს, რუსეთთან მისასვლელი გზები რომ მოჭრან



**ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი ანტიდისკრიმინაციული კანონის გარშემო აზვირთებული ვნებათაღელვის ტალღა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ შოკის მომგვრელი განცხადება გააკეთა, უფრო ზუსტად, ხვეწნა-მუდარა გამართა, — საქართველოში ნატომ საჰაერო თავდაცვითი საშუალებები დააყენოსო. რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო, თუ მსგავსი რამ მართლა მოხდა? გაითვალისწინებს თუ არა ნატო ალასანიას თხოვნას? ვინ დგას ამ ყველაფრის უკან? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „საქართველო და მსოფლიოს" პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა.**



— **ალასანია სულელი არ არის. შეუძლებელია, გარკვეული არ იყოს, რა საფრთხეები იმალება მისი ინიციატივის უკან. ვფიქრობ, ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, როდესაც რუსეთთან მოლაპარაკების დრო დადგება, ყველა ხიდი დამწვარი იყოს.**

**ალასანია წლების განმავლობაში გაეროში იყო, თანაც სულ ხელისუფლებაშია, ამიტომ მას ჩვენზე, რიგით მოქალაქეებზე, მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს; მან კარგად უნდა იცოდეს ნატოს ხელმძღვანელების, აგრეთვე, რუსეთის ხელმძღვანელების ფსიქოლოგია და ისეთ განცხადებებს, რომელთა მარგი ქმედების კოეფიციენტიც ნულის ტოლია, ნამდვილად არ უნდა აკეთებდეს. განცხადება კი არის ნულის ტოლფასი, მაგრამ საფრთხეა რეალური.**

საქართველოს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოუწევს რუსეთთან ფართო მოლაპარაკების დაწყება. განცხადებები, რომლებიც ახლა ალასანიასგან მოვისმინე, მაფიქრებინებს, რომ დაჩქარებული წესით აკეთებენ ყველაფერს, რუსეთთან მისასვლელი გზები რომ მოჭრან.

**ანტისარაკეტო იარაღს საქართველოში არავინ დაგვილაგებს, მაგრამ, თუ ნატოში გაგიჟდნენ და მაინც გადაწყვიტეს ჩვენს ტერიტორიაზე ასეთი სისტემის განლაგება, მაშინ ჯერ ნატოში სრულუფლებიან წევრად უნდა მიგვიღონ, არავითარი მაპი — ეს ზღაპარია, მაპის მქონე ქვეყანაზე მე-5 პუნქტი არ ვრცელდება, მას არავინ იცავს, ისევე, როგორც ასოცირებული ხელშეკრულების მქონე წევრს, მაპიც და ხელშეკრულებაც არაფრის მომტანი არ არის, უბრალოდ, მორალურ შვებას მოგვგვრის.**

ალასანიას და მთავრობის წევრებს თუ სურთ, რუსეთთან მისასვლელი გზები და ხიდები დაწვან და ააფეთქონ, მაშინ დამცავ მექანიზმებზე უნდა იფიქრონ. როდესაც მათი ქმედებების შედეგი დადგება, რას აპირებენ? უკრაინის მაგალითზე ვერაფერი ვერ უნდა დაგვენახა? ჩვენი გამოცდილება არ უნდა გამდიდრდეს და შეივსოს? ვერ ხედავენ, დასავლეთის რეაგირება როგორია? ობამამ თავისი ხელით ამოშალა რუსეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციების სიიდან „გაზპრომი", ასევე, „ვნეშტორგ ბანკი" და „სბერბანკი" — ორი ბანკი, რომელთა გაჩერებაც რუსული ფინანსებისთვის შესაძლებელია, მართლაც მომაკვდინებელი ყოფილიყო; **ამერიკელები ცდილობენ, რუსეთი არ გააღიზიანონ და საინტერესოა, საქართველოს ხელისუფლება ვის იმედზეა? იქნებ ალასანიას აქვს ვინმესთან კერძო საუბარი — ან რუსეთთან, ან ობამასთან და გარანტიებსაც აძლევენ, მაგრამ არა მგონია.**

**— მგონი, ობამამ საქართველოს ხელისუფლებას ყველაფერი გარკვევით უთხრა.**

— მართალია, ისინი რეგულარულად გვეუბნებიან, სინამდვილეში რაც ხდება, თანაც ღიად. **ამერიკა რუსეთს უკრაინის გამოც კი არ დაუწყებს ომს.**

ჯონ კერი იჭაჭება და ამბობს, ნატოს წევრ ქვეყნებს არ დავთმობთო, არადა, ეს სალაპარაკო თემაც კი არ უნდა იყოს, რატომ უნდა სჭირდებოდეს ამერიკის სახელმწიფო მდივანს იმის მტკიცება, რომ ბალტიისპირეთს არ დათმობს, ის ხომ ნატოს წევრია. მე-5 პუნქტს ავამუშავებთო, — გაიძახის, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მას მტკიცება მაინც უწევს, ასეთ ვითარებაში ჩვენ დონკიხოტობა გვინდა?

**კიდევ გავიმეორებ: ირაკლი ალასანიას ეს განცხადება ნიშნავს იმას, რომ ჩვენებმა გადაწყვიტეს, რუსეთთან მიმავალი ყველა ხიდი დაწვან, რათა მეზობელთან საუბრის შესაძლებლობაც მოგვესპოს, საქართველო ისე ღრმად უნდა შევიდეს ავანტიურაში, რომ უკან დასახევი გზა აღარ დაგვრჩეს. სხვა ვერაფერს დავარქმევ იმას, რომ ჩვენ ვთხოვთ სტრატეგიულ იარაღს ამერიკას, რომელსაც ის თვალისჩინივით უფრთხილდება. დიახ, უფრთხილდება, ის, ამ იარაღს ისრაელსაც არ აძლევს. ალასანიამ კარგად იცის, რომ ჩვენ ამ იარაღს არავინ მოგვცემს.**

**— თუ ეს ალასანიამ იცის და ვიცით ჩვენც, მაშ, რასთან გვაქვს საქმე?**

— **ალასანია დიპლომატიურად კეკლუცობს და რასმუსენს უმტკიცებს, შენზე მეტი ნატოელი ვარო.**

**— ალასანიას კეკლუცობამ ხომ შეიძლება დაგვღუპოს?**

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან სახიფათოა. ასეთი განცხადებებისგან, მაგალითად, მე, რიგითი მკვლევარიც კი, თავს შევიკავებდი. **როდესაც თავდაცვის მინისტრი ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებს და ამას არ მოჰყვება არანაირი რეაქცია, განსაკუთრებით პრეზიდენტის მხრიდან, საშინელებაა. ჩვენ ხომ სახლობანას ან ომობანას არ ვთამაშობთ?!**

ქვეყანაში ასეთი ამბავია, პარლამენტი კი იმაზე მსჯელობს, ჰომოსექსუალებს ალლ-უმების ჩატარების უფლება უნდა მიეცეთ თუ არა. ეს არის საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი? მათი საქციელი სასაცილოა. მსოფლიოში არეულობა და იმხელა გამოწვევებია... უკრაინაში მიმდინარე პროცესებს საქართველოს მთავრობა ისე უყურებს, თითქოს ეს სხვა პლანეტაზე ხდება, თითქოს მარსის მოსახლეობა იუპიტერზე მცხოვრებლებს ეომება...

**— და მაინც, განალაგებს ნატო ჩვენს ტერიტორიაზე თავდაცვით საშუალებებს?**

— არა. გამორიცხულია და ეს ძალიან კარგად იცის ალასანიამ. ეს არის პიარაქცია, თანაც არცთუ დროული და ეფექტიანი. ამერიკას იმდენი ოფიციალური და არაოფიციალური ვალდებულება აქვს რუსეთის წინაშე, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის იარაღის მიწოდების საკითხზე, რომელიც ისევ ძალაშია, ვერაფერს იზამს. ამერიკა ამ მდგომარეობაში რომ არ იყოს, თანაც უფრო გულუხვიც რომ იყოს იარაღის მიწოდების საკითხში, პირველ რიგში, იარალს აზერბაიჯანს მისცემდა, ალიევს რუსეთს ჩამოაშორებდა. **აზერბაიჯანის პრეზიდენტს იმდენი ფული აქვს, სად წაიღოს, არ იცის, ამერიკის იმედი რომ ჰქონდეს, ნატოს წევრობას ვერავინ დაასწრებდა, მაგრამ ამერიკა მას იარაღს არ მისცემს და ჩვენ რატომ მოგვცემს? — იმიტომ, რომ ყველაზე ხმამაღლა გავყვირით „ნატო გვინდა"? ასეთი კომკავშირული ენთუზიაზმი დაგვღუპავს.**

ალასანია უტვინო არ არის, უბრალოდ, მისი ეს განცხადება მიზანმიმართული პოლიტიკაა იმისთვის, რომ რუსეთთან მისასვლელი გზები მოჭრას. ჩვენს პოლიტიკურ ელიტას ძალიან ეშინია, ხალხმა ევროკავშირზე გული არ აიცრუოს, უარი არ თქვას ევროპულ ღირებულებებზე და არა ევროპულ ფასეულობებზე, რაც აბსოლუტურად სხვაა, შესაძლებელია, ჩვენს ქვეყანაში დავამკვიდროთ ევროპული ფასეულობები ისე, რომ არც ნატოს წევრები ვიყოთ და არც ევროკავშირის, მითუმეტეს, რომ იქ არავინ გველოდება. ამაზე მეტი პროვინციალიზმი და სისულელე, რაც ჩვენს პარლამენტარებს არგუმენტად მოაქვთ, ვბერდები და ჯერ არ მომისმენია — თუ არ დავიცავთ ჰომოსექსუალებს, ევროპაში არ მიგვიღებენო.

**ყველაფერი წარმავალია, თანამდებობაც, ფულიც და უსუფაშვილს ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ უნდა ამას რომ ამბობს? სჯობს, სექსუალური კი არა, სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა დაამტკიცონ. თანასწორობა არ არის ის, რომ გეი და ჩემი შვილი ერთნაირები არიან; თანასწორობაა ის, რომ ჩემი შვილიც, მინისტრისა და პრემიერმინისტრის შვილიც სოციალურად იყვნენ თანასწორნი.**

ესაუბრა **ეკა ნასყიდაშვილი**

**«ირაკლი ალასანიას ეს განცხადება ნიშნავს იმას, რომ ჩვენებმა გადაწყვიტეს, რუსეთთან მიმავალი ყველა ხიდი დაწვან, რათა მეზობელთან საუბრის შესაძლებლობაც მოგვესპოს, საქართველო ისე ღრმად უნდა შევიდეს ავანტიურაში, რომ უკან დასახევი გზა აღარ დაგვრჩეს»**

**ამერიკელები ცდილობენ, რუსეთი არ გაალიზიანონ და საინტერესოა, საქართველოს ხელისუფლება ვის იმედზეა?**

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პატრიარქს თურქეთიდანაც კი მოუწია განცხადების გაკეთება, რომ ამ კანონპროექტს არ ეთანხმებოდა. ეკლესიაში განხეთქილების დათესვაც სცადეს. არადა, ეს ეკლესიის ერთიანი პოზიციაა.**

**მამა არჩილი (ქიტუაშვილი):**

# როდესაც საქმე ზნეობასა და სამშობლოს ეხება, ეკლესია ვალდებულია, ჩაერიოს

საქართველოს პარლამენტმა, ეკლესიის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მესამე მოსმენით, თითქმის ერთხმად დაამტკიცა. რა საფრთხეს ხედავენ სასულიერო პირები ამ კანონის მიღმა და რას აპირებს ეკლესია, დაბა კაზრეთის წმინდა სამების ტაძრის წინამძღოლი, დეკანოზი არჩილი (ქიტუაშვილი) გვესაუბრება.



**— მამაო, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ კანონის მიღმა ვერანაირ საფრთხეს ვერ ხედავენ. რა საშიშროებას ხედავს ეკლესია?**

— საფრთხე, უპირველეს ყოვლისა, სულიერია. **მამათმავლობა, გაუკუღმართებული კავშირი, არის უმძიმესი ცოდვა. რუის-ურბნისის კრების მამები ამბობენ, რომ არც ერთი ცოდვის — მკვლელობის, ძალადობის, შურის გამო, ღმერთი ასე არ აღელვებულა. სოდომისა და გომორის დასჯის მაგალითები საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ მორწმუნე ადამიანმა ანტიდისკრიმინაციულ კანონში ჩვენი ქვეყნისთვის მოსალოდნელი საფრთხე დაინახოს.**

თუმცა მინდა აღვნიშნო, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვგონია, რომ ეს კანონი ახლავე გამოიწვევს გარყვნილებას ჩვენს ქვეყანაში და გადავგვარდებით, მაგრამ **ეკლესია, ამ კანონის სახით, მომავალში უმსგავსობის დაკანონების ერთგვარ საფუძველს ხედავს.** ეს ყველაფერი ამ კანონპროექტის მიღებით არ შეჩერდება, გვატყუებენ, მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ.

**— ანუ, არის ამ კანონში ჰომოსექსუალიზმის, პედოფილიის, გარყვნილების დაკანონების რაიმე წინაპირობა?**

— რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვნად ასეა. კანონში ჩამოთვლილია, რომ არ შეიძლება ადამიანების დისკრიმინაცია კანის ფერის, სქესის, შრომითი მდგომარეობის, რელიგიის გამო და ასე შემდეგ; იქვე მითითებულია სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, ანუ პირდაპირ წერია, რომ ეს ადამიანები თანაბარუფლებიან მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ. მინდა განვმარტო: **ეკლესია არ გულისხმობს, რომ ვინმე უნდა დაჩაგრონ ან სცემონ იმის გამო, რომ მამათმავალია, მაგრამ, როდესაც სექსუალურ ორიენტაციას ეროვნებას ვუთანაბრებთ, ამით ვაღიარებთ, რომ მათ თანაბარ უფლებებს ვანიჭებთ.** ხვალ მამათმავლებმა ქორწინების უფლება ან ბავშვის შვილად აყვანა რომ მოითხოვონ, უარს ველარავინ ეტყვის. თუ დღეს მათ ნორმალურ, თანაბარუფლებიან ადამიანებად ვაღიარებთ, ხვალ უარს რა მიზეზით ვეტყვით?!

**— კანონის მომხრეები ირწმუნებიან, რომ ეს კანონი არამარტო უმცირესობის, არამედ უმრავლესობის უფლებებსაც დაიცავს. სჭირდება უმრავლესობას დღეს დაცვა?**

— მე ეს დემაგოგიად მიმაჩნია, **არც უმრავლესობას სჭირდება დაცვა და არც უმცირესობას. ვინმეს ჩაგვრა ქვეყანაში ოდესმე გამართლებული იყო?!** ამ უმცირესობების უფლებები ისედაც დაცული იყო და საკითხავია, რისგან დაიცავს მათ ეს კანონი? ახლა რომ გვეუბნებიან ამ ადამიანების ცემა არ შეიძლებაო, რა აქამდე შეიძლებოდა? არ დავისჯებოდით? აქამდე შეგვეძლო მათი სამსახურებიდან გათავისუფლება? შრომის კოდექსით ისედაც გათვალისწინებული და დაცული იყო მათი უფლებები.

ჩვენც ვაღიარებთ და ევროპაც გვეუბნება, რომ ჯერჯერობით ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ და შესაბამისი დემოკრატია არ გვაქვს ხომ? რა საფეხურებიც ევროპამ გაიარა, ამ დემოკრატიამდე და უკვე ქორწინების დაკანონებამდე და ბავშვების აყვანამდე მივიდნენ, ჩვენც იქამდე მივალთ. **800 ათასი კაცი გამოვიდა პარიზში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ, მაგრამ არაფერი შეცვლილა. ხალხს არავინ უსმენს. იგივე მოხდება აქაც, თუ ქართველი ხალხი დღეს არ გამოფხიზლდება.** ყოველივე ამის შემდეგ ეკლესია როგორ უნდა გაჩუმდეს?!

**— თუმცა, მამაო, ამ დღეებში მოვისმინეთ პრეტენზიები ეკლესიის მიმართ, ითქვა, რომ სასულიერო პირი პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიოს. ამ ადამიანებს რა პასუხს გასცემთ?**

— ჩვენ არ ვერევით, პარლამენტში თავმჯდომარედ ვინ უნდა ავირჩიოთ, არ ვერევით ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმართვაში, რა კანონი უნდა მიიღოს პარლამენტმა, მაგალითად, სისხლის სამართალში, მაგრამ, **როდესაც საქმე ზნეობასა და სამშობლოს ეხება, ეკლესია ვალდებულია, ჩაერიოს, თორემ პასუხისგება ღვთის წინაშე მოუწევს.** თვალსაჩინოებისთვის მაგალითებს მოვიყვან: იოანე ნათლისმცემელი ჰეროდემ იმიტომ დასაჯა, რომ ამხელდა მას, ძმის ცოლი რომ გყავს სახლში, უზნეობააო. მათი ლოგიკით, იოანე ნათლისმცემელი პოლიტიკაში ერეოდა? გრიგოლ ხანძთელმა მეფის უკითხავად წაიყვანა მონასტერში მეფის საყვარელი. ევდემოზ კათოლიკოსი როსტომ ხანს, მაშინდელ მეფეს, რომელსაც მეფესაც არ უწოდებდა, ამხელდა, რომ მუსლიმანების მამა ხარ და ქრისტიანობის მამინაცვალიო. საქართველოს პატრიარქმა **ამბროსი ხელაიამ, როდესაც სამშობლოს უჭირდა, თავისი ცნობილი მიმართვა პირდაპირ პოლიტიკურ ორგანოს — გენუის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციას მისწერა.**

## «ხვალ რომ მამათმავლებმა ქორწინების უფლება ან ბავშვის შვილად აყვანა მოითხოვონ, უარს ველარავინ ეტყვის»

როდესაც საქმე ზნეობასა და სამშობლოს ეხება, გამორიცხულია, ეკლესია არ ჩაერიოს. აბა, სხვა რა საქმე გვაქვს? მაშინ მართლა ჩავსხდეთ ჯიპებში, რომელსაც ასე გვამადლიან, და ჩუმად ვიყოთ? მერწმუნეთ, ყველა მღვდელი ფუფუნებაში ვიცხოვრებთ, თუ ხელისუფლების რაღაც ნაწილს ყველაფერზე დავეთანხმებით და გავჩუმდებით.

**— მამაო, როგორ ფიქრობთ, რატომ იყო ასე ერთსულოვანი პარლამენტი ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტთან დაკავშირებით? იმათაც კი დაუჭირეს მხარი ამ კანონპროექტს, ვინც თავიდან წინააღმდეგი იყო...**

— ალბათ, ეს იყო შიში ქვეყნის შიგნით თუ გარეთ არსებული ლობისტების მიმართ. თუმცა მინდა აღვნიშნო, ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა და არა ეკლესიის პოზიცია. ფაქტია, რომ **პირად საუბრებში ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათაც არ მოსწონთ ეს ყველაფერი, მაგრამ წინააღმდეგობის ძალა არ შესწევთ.** ვწუხვარ, რომ მონობიდან ვერ გამოვედით. საბჭოთა პერიოდშიც ასე იყო, არ უნდოდათ და მაინც აკეთებდნენ. რით განსხვავდება მაშინ დღევანდელისგან საბჭოთა კავშირში არსებული წყობილება, რომელსაც დღეს ასე ლანძღავენ? საქართველომ უნდა გაითავისოს, რომ ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, ჩვენი ტრადიციები, რწმენა, თვითშეგნება და მსოფლმხედველობა გაგვაჩნია და ყველა ქვეყანასთან, რომლებიც გვერდით დაგვიდგებიან, უნდა ვიმეგობროთ, მაგრამ არა ისე, რომ ვიღაცასთან მეგობრობის გამო ჩვენი დავთმოთ. სამწუხაროდ, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს" დღემდე ვერ გაიაზრა ქართველმა...

გამოსავალი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა ქვეყნის ხელისუფლებაში მოსული ადამიანები სამშობლოს გამო თავგანწირვისთვის მზად იქნებიან. **არ ეთანხმებოდე და მაინც მხარს უჭერდე კანონპროექტს, არასწორია. ხელისუფალს გმირობა მოეთხოვება, მათ ეს ვერ გაიგეს.**

ფაქტია, **უწმინდესის თხოვნა არაფრად ჩააგდეს. მეტიც, პატრიარქს აბრალებდნენ, თითქოს ის თანახმა იყო და მხოლოდ რადიკალური სამღვდელო ნაწილი აპროტესტებდა ამ ყველაფერს.** პატრიარქს თურქეთიდანაც კი მოუწია განცხადების გაკეთება, რომ ამ კანონპროექტს არ ეთანხმებოდა. ეკლესიაში განხეთქილების დათესვაც სცადეს. არადა, ეს ეკლესიის ერთიანი პოზიციაა.

**— პარლამენტარმა დავით ბერძენიშვილმა შეაქო ის სასულიერო პირები, რომლებმაც ამ კანონს მხარი დაუჭირეს, „ისინი საკუთარ რწმენაში ძლიერები არიან და არ აწუხებთ კომპლექსები"... გამოდის, რომ ეკლესიის წიაღშიც აღმოჩნდნენ ამ კანონპროექტის მომხრეები?**

— ჩვენ იმის არ გვეშინია, რომ ხვალ-ზეგ სამღვდელოება მამათმავლობას ჩვეულებრივ ნორმად მიიღებს. ჩვენ ვამბობთ, რომ, რაც ამ კანონში წერია, არ არის ნორმა და ვითხოვთ, ნუ აკანონებენ გარყვნილებას, როგორც ნორმას. ვინაიდან, თუ გარყვნილებას ნორმად დავაკანონებთ, გამოდის, რომ არც ცოდვა არ ყოფილა, რითიც უკვე წმინდა წერილს ვეწინააღმდეგებით. არ ვიცი იმ სასულიერო პირებმა რა იგულისხმეს, არა მგონია, რომელიმე სასულიერო პირმა თქვას, რომ მამათმავლობა ცოდვა არ არის. შეიძლება რომელიღაც სასულიერო პირმა საფრთხე ვერ დაინახა ამ კანონში, ყველა ერთნაირი ანალიტიკური ნიჭით ხომ არ არის დაჯილდოებული.

ისე, სხვათა შორის, **დავით ბერძენიშვილი რომ შეგაქებს, ეს ცოტა საფრთხილო უნდა იყოს მორწმუნე კაცისთვის. მახსოვს, ერთხელ დავით უსუფაშვილმა საჯაროდ თქვა, — ჩემს შვილს არ ვასწავლი, რომ სამშობლოსთვის დადოს თავი, ვასწავლი, რომ პირადი ბედნიერებისთვის იბრძოლოსო. ქართველი კაცი ასე არ იზრდებოდა.** პოლიტიკურ განცხადებაში ჩამომართვით, თუ გნებავთ, მაგრამ მათი ცნობიერებაა ასეთი. მე არ მინდა, ამ ადამიანმა ასეთი სულისკვეთებით მართოს ჩემი ქვეყანა. მთელი რესპუბლიკური პარტია ასეთი სულისკვეთებისაა. დავით უსუფაშვილმა ამ კანონთან დაკავშირებით ყოვლად დაუშვებელი რამ თქვა, ქვეყანა ორ ნაწილად — პრორუსულებად, ბნელებად და ევროპელებად, განათლებულებად გაჰყო. **სუფთა ზნეობრივი თვალსაზრისითაა ეს კანონი ჩვენთვის მიუღებელი, როგორ შეიძლება აქ რუსეთი გაერიო?**

სწორედ საბჭოთა მეთოდია: თუ ჩვენთან არ ხარ, ესეი იგი მტერი ხარ. გამოდის, რომ პარლამენტის თავმჯდომარე, თავისი განცხადებით, განსხვავებული აზრის ადამიანებს შორის დაპირისპირებას თესავს. ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, ილაპარაკონ ამ ადამიანებმა, ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთო. **პატრიარქის სიტყვის ასე ბანზე აგდება შეიძლება?!**

რუის-ურბნისის ძეგლის წერაში მითითებულია, რომ **„ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ამ სიტყვათა მსმენელ სულს, რომელიც ამ ძეგლის წაკითხვის შემდეგ არათუ არ მიატოვებს სოდომური ცოდვის სიბილწეს და საქმით არ მოიმოქმედებს ამას, არამედ თუნდაც ხუმრობით და სიტყვით იტყვის რაღაც საამისოს, ამის გამომხატველ და მიმსგავსებულ სიტყვას და საქმეს წარმოაჩენს, უთუოდ თავს დაატყდება ამ საწუთროში საშინელება და ცოცხლად ჯოჯოხეთში ჩამგდები რისხვა გოგირდში არეული სოდომური ცეცხლის მსგავსად... ვინც გახრწნის ღმრთის ტაძარს, მას ღმერთი გახრწნის. ამასთანავე, ჩვენგან, საღმრთო მონობის ღირსქმნილი უღირსი მონებისგან, ვაი ჩვენდა, ისინი დაიმკვიდრებენ არა კურთხევას, არამედ საუკუნო შერცხვენასა და მხილებას."**

სწორედ ამ ზნეობრივ საფუძვლებზე დამყარებულმა საქართველომ მიაღწია იმ ძლიერებას, რომელიც მას ჰქონდა იმ საუკუნეებში.

**— მამაო, რას აპირებთ?**

— ეკლესია ყოველთვის უქადაგებს მრევლს და, **ვინაიდან ახლა უთხრეს ამ კანონით ხალხს, რომ ეს უკუღმართობა ნორმაა, ჩვენ გაათმაგებულად ვეტყვით, რომ ეს არ არის ნორმა.** შეიძლება ქუჩაშიც გამოვიდეთ და ჩვენი პოზიცია მშვიდობიანად გამოვხატოთ, თუმცა ამასაც სერიოზული დაფიქრება სჭირდება.

**ჩვენ გვინდა, ჩვენი შვილები ამ ადამიანების მხრიდან მომდინარე აგრესიული პროზელიტიზმისგან დავიცვათ. ჩვენ ხომ სახლში არავის ვუვარდებით და ვუკრძალავთ მამათმავლობას?!** ეს მისი ცოდვაა. თუ სურს და მოვა ეკლესიაში, დავეხმარებით; არადა, მათ საქმეში არ ვერევით, მაგრამ მინდა, ჩემი შვილი ამ ცოდვისგან დავიცვა.

## მამათმავლობა, გაუკუღმართებული კავშირი, არის უმძიმესი ცოდვა. რუის-ურბნისის კრების მამები ამბობენ, რომ არც ერთი ცოდვის — მკვლელობის, ძალადობის, შურის გამო, ღმერთი ასე არ აღელვებულა

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**„ჩვენი საგარეო პოლიტიკა პირდაპირ არის მიბმული ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე. ასე იქნება კიდევ დიდხანს, ვიდრე ამერიკის გავლენის ქვეშ ვიქნებით და ვიდრე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ვექტორს გამოვნახავთ.“**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ანზორ მაისურაძე:
# ალასანიამ განაცხადა ის, რაც ამერიკელებმა დაავალეს



**ამ დღეებში, როცა ჩვენს მასმედიაში ხმის ჩახლეჩამდე კამათობენ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაპირისპირებასა და სხვა ამგვარ „სენსაციურ“ პრობლემებზე, რაღაც შეუმჩნევლად და, ვითომც არაფერიაო, ჩაიარა ჩვენი თავდაცვის მინისტრის — ირაკლი ალასანიას ვაშინგტონში ყოფნისას ამერიკელებისთვის შეთავაზებულმა წინადადებამ საქართველოში თავდაცვის საშუალებების განლაგების შესახებ.**
**რუსეთისგან თავდასაცავად, ალბათ.**
**თორემ არც თურქმენეთი აპირებს ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრებას, არც სომხეთი და არც აზერბაიჯანი ერთად აღებული, ხოლო თურქეთს ისედაც დაპყრობილი ვყავართ.**
**ალასანიას მოულოდნელი ინიციატივის კომენტირება „საქართველო და მსოფლიომ“ უშიშროების გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძეს სთხოვა:**



**«თავდაცვის მინისტრმა ინიციატივა კი გამოიჩინა, მაგრამ შეთანხმებული იყო ეს ქვეყნის მეთაურთან? მთავრობასთან? იქნებ, მისი თავგამოდება სუბიექტური ჰიპერაქტიურობის შედეგია? თუ შეთანხმებული იყო, ცუდია. თუ არ იყო შეთანხმებული — უარესი»**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ 2008 წლის ომიც ისეთივე წაქეზებით მოხდა, როგორითაც დღეს ალასანიამ მოითხოვა რაკეტსაწინააღმდეგო საშუალებების საქართველოში განლაგება.

**2008 წლის ომი სააკაშვილის ინიციატივა არ იყო. იგი ამერიკის შეერთებული შტატების ქორებმა წააქეზეს. წააქეზეს მურია და შეაჭამეს მგელსო, — ზუსტად ასე მოხდა.**

**— ასე მარტივად იყო საქმე?**

— სამწუხაროდ — კი. **სააკაშვილი დაარწმუნეს, რომ კონფლიქტური რეგიონების დასაბრუნებლად ყველა პირობა იყო შექმნილი, რომ ქართული არმია კარგად გაწვრთნილია, რომ რუსეთი ვერ გაბედავდა ამ ომში ჩაბმას, რადგან, ჯერ ერთი, დაჟანგული ტანკებით ვერ გაგვიწევდა წინააღმდეგობას და, საერთოდ, არ იყო დაინტერესებული მიტაცებული ტერიტორიების შენარჩუნებით. სააკაშვილი, როგორც ყოველთვის, უყოყმანოდ დაემორჩილა პატრონების „რჩევას“.**

ამასთანავე, ამერიკელები დაჰპირდნენ ყოველმხრივ დახმარებას საჭიროების შემთხვევაში და ა. შ. რით და როგორ დაეხმარა თავის ფავორიტს პრეზიდენტი ბუში, ცნობილია. **და მოურჩენელ ჭრილობად დაგვრჩა ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვა.**

ამ ომში ჩვენი დამარცხების მიზეზების ჩამოთვლას არ დავიწყებ, არ გაგახსენებთ, რა მსხვერპლი და როგორი ზარალი მოჰყვა სააკაშვილ-აშშ-ის თავდაჯერებულ ავანტიურას. თქვენი გაზეთის მკითხველებმა ეს შესანიშნავად იციან, სხვათა შორის, თქვენთან გამოქვეყნებული ანალიტიკური სტატიების წყალობითაც.

**— გმადლობთ!**

— მოდი, ისიც ვთქვათ, რომ **ალასანიას შეთავაზებით რაკეტებს საქართველოში არავინ არ და ვერ დააყენებს. წარმოუდგენელია, რომ მათ, ვისაც იგი ასეთი თხოვნით მიმართავს, არ გაითვალისწინონ მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ვითარება და, რაც მთავარია, ის რეაქცია, რომელიც შეიძლება ამ ნაბიჯს რუსეთის მხრიდან მოჰყვეს.**

ძალთა ბალანსს, რომელიც ასე თუ ისე არის დამყარებული აშშ-სა და რუსეთს შორის, ალასანიას ინიციატივას არ დაარღვევინებენ.

უბედურება კი ის არის, რომ ღმერთმა არ ქნას, მაგრამ, **თუ ასე მოხდა, ყველაზე მეტად სწორედ საქართველო დაისჯება.** შეიძლება ერთ მშვენიერ დილას, გარეთ რომ გამოხვალთ, დაინახოთ, რომ თბილისისა და ქვეყნის ყველა გზაჯვარედინზე რუსეთის არმიის ტანკი ან ჯავშანტრანსპორტიორი დგას.

კიდევ რა უნდა დაგვატყდეს თავს, საქართველოს ხელისუფლებამ ყოფილი ხელისუფლების შეცდომებზე რომ ისწავლოს?

**— პასუხი მე არ მაქვს. მაქვს შეკითხვა: თუ აშშ-ის დაინტერესებულმა ძალებმა (მაკკეინი და მისთანანი), უკარნახეს ალასანიას ზემოაღნიშნული წინადადების წამოყენება, მან კი ეს დავალება შეასრულა, ეს, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ზემოთქმულის გამომრიცხავი — თუ აშშ-ში რეალურად არაფრის გაკეთებას არ აპირებენ, რადგან საღად აფასებენ ძალთა ბალანსს, რატომ გვაყოფინებენ თავს ისეთ ყულფში, რომელმაც შეიძლება მოგვაშთოს?**

— ჯერ ერთი, ყირიმის მოვლენების იგნორირება წინდაუხედაობა იქნებოდა. მეორე — უკრაინაში მიმდინარე ამბების ფონზე, ნუ გამოვრიცხავთ, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ რუსეთის საწინააღმდეგოდ ერთობლივად აგორებულ კამპანიაში, რაც

**არა მგონია, რომ აშშ-ის ადმინისტრაციის რეაქცია ალასანიას წინადადებაზე შორს წავიდეს, და ამერიკამ, რომელმაც უკრაინის გამო ისედაც ბევრი თავსატეხი გაიჩინა, ზედმეტად აიტკივოს თავი და გაირთულოს მდგომარეობა**

რუსეთის იზოლაციის ღონისძიებებში გამოიხატა, საქართველო ჩართული აღმოჩნდეს, როგორც აგორებული პიარის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

**— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთისგან მოსალოდნელმა აგრესიამ შეაშინა და ამერიკას დახმარება სთხოვა თავდაცვის მინისტრის მიერ წამოყენებული წინადადებით?**

— დიახ, რატომაც არა. ამას რუსეთის აგრესიულობის დასადასტურებლად და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში აშშ-სა და ევროკავშირის ჩარევის გასამართლებლად გამოიყენებენ.

არა მგონია, რომ აშშ-ის ადმინისტრაციის რეაქცია ალასანიას წინადადებაზე შორს წავიდეს, და ამერიკამ, რომელმაც უკრაინის გამო ისედაც ბევრი თავსატეხი გაიჩინა, ზედმეტად აიტკივოს თავი და გაირთულოს მდგომარეობა. საეჭვოა, რომ კავკასიაში, რომელიც მგრძნობიარე რეგიონია გარედან ჩარევის მიმართ, ამერიკამ გამოიყენოს ასეთი რადიკალური და უხეში მეთოდი. ეს მას დივიდენდებს არ მოუტანს.

**— რომ გამოიყენოს?**

— ვიდრე გამოიყენებს, როგორც გითხარით, ყველა ჩვენს გზაჯვარედინზე რუსეთის ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი დადგება. განა ყირიმში ასე არ მოხდა?

**— ყირიმის რუსეთში დაბრუნებით, მიმომხილველთა აზრით, გამოსწორდა ის ისტორიული უსამართლობა და მავნებლობა, რომლის ავტორი იყო ნიკიტა ხრუშჩოვი. დიქტატორის როლში შეჭრილმა ამ გაბერილმა ტიკინამ, რომელიც გატაცებული იყო ტერიტორიების გადანაწილების აზარტული თამაშით, ყირიმის ნახევარკუნძული ლანგრით მიართვა უკრაინას, ხოლო უკრაინის ბელგოროდის ოლქი რუსეთს მიუერთა.**

— გეთანხმებით, მაგრამ მე ვლაპარაკობ შესაძლებელ ვარიანტზე, რომელსაც თვალს ვერ მოუხუჭავ. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს, რადგან დაინტერესებული არ არის. მაგრამ თუ მის წინააღმდეგ რაკეტებს დააყენებ შენს ტერიტორიაზე, მაშინ გამორიცხული არ არის ის, რაზეც უკვე გელაპარაკეთ.

**— არ მესმის, ვერ ვიგებ, რომ ირაკლი ალასანიამ, რომელმაც აფხაზეთის ომის საშინელება გამოიარა, იმ ომის, რომელშიც მამა გმირულად დაეღუპა, არ გაითვალისწინა ის საშიშროება, რომელიც შეიძლება დაემუქროს საქართველოს და აშშ-ის ადმინისტრაციას მიმართა წინადადებით, რომელიც მაინცდამაინც ამ საშიშროების შემცველია?**

— **ალასანიას ვინ რას ეკითხება?! არა მგონია, რომ მას ასეთი აზრი მოსვლოდა თავში. უთხრეს, ასე თქვიო და იმანაც გაიმეორა.**

**— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დღევანდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა მაინცდამაინც არ დასცილებია „ნაცების“ საგარეო პოლიტიკურ კურსს და სხვისი კარნახით მოქმედებს?**

— **ჩვენი საგარეო პოლიტიკა პირდაპირ არის მიბმული ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე.** ასე იქნება კიდევ დიდხანს, ვიდრე ამერიკის გავლენის ქვეშ ვიქნებით და ვიდრე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ვექტორს გამოვნახავთ. ხაზს ვუსვამ — დამოუკიდებელ კურსს!

**— რუსეთიდან მოსული საფრთხე დღეს პოპულარული თემა რომ გახდა, ამაზე რას იტყვით?**

— საფრთხე, საშიშროება, მტერი... იცით კი, ვინ შეიძლება მიჩნეულ იყოს მტრად? მაგალითად, აშშ-ისთვის მტერი შეიძლება იყოს ის ქვეყანა, რომელსაც ისეთივე შეიარაღებული ძალები ჰყავს, როგორიც მას. რუსეთისთვის მტერი არის ის ქვეყანა, რომელსაც მისი ჯარის ფარდი არმია ჰყავს, ისეთივე რესურსები გააჩნია და ისეთივე ტერიტორია, როგორც მას. განა შეიძლება, რომ ჩვენ განვიხილებოდეთ რუსეთის მტრად, როცა საქართველოს შესაძლებლობები ასჯერ და უფრო მეტჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის?!

ხოლო **ის, რის განხორციელებასაც ბატონი ალასანია ითხოვს, რუსეთის გამაღიზიანებელი დემარში შეიძლება აღმოჩნდეს და მტრის ის კლასიკური განმარტება, რომელზეც მოგახსენეთ, — ფუჭი სიტყვები.**

დასავლეთი რას იზამს ასეთ შემთხვევაში? აღშფოთდება და შეშფოთდება.

**— ე. ი. გაგვწირავს?**

— თავისი ინტერესებისთვის გაგვწირავენ, რადგან ფეხებზე ვკიდივართ და ისე გვექცევიან, როგორც წვრილი ჩხვლეტებისთვის გამოსაყენებელ სატელიტებს, რაც, საბოლოო ჯამში, ტრაგედიად შემოგვიბრუნდება. მაგალითი წინ გვაქვს — 2008 წლის აგვისტოს ომი.

თავდაცვის მინისტრმა ინიციატივა კი გამოიჩინა, მაგრამ შეთანხმებული იყო ეს ქვეყნის მეთაურთან? მთავრობასთან? იქნებ, მისი თავგამოდება სუბიექტური ჰიპერაქტიურობის შედეგია?

თუ შეთანხმებული იყო, ცუდია. თუ არ იყო შეთანხმებული, — უარესი.

პასუხს ამ კითხვებზე, ალბათ, მოკლე ხანში შევიტყობთ.

**ესაუბრა**
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. დღის წესრიგში მდგარი ამ პრობლემის კომენტირებისას ოდიოზურმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ არა მხოლოდ ერთი მინისტრი, არამედ ყველა მინისტრი კონცენტრირებული უნდა იყოს ამ საკითხზე, ე. ი. ასევე უნდა მოიქცნენ სხვებიც და იგივე უნდა მოითხოვონო.**

**„ნაცების“ იდეოლოგის ეს მოწოდება უტყუარი ნიშანია ალასანიას ინიციატივის ნეგატიურობის, რადგან, რაც აქამდე უქადაგია უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს, მხოლოდ უბედურების მომტანი იყო საქართველოსთვის.**

**ერთ-ერთმა ანალიტიკოსმა და საერთაშორისო ურთიერთობების დიდი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსმა, რომელმაც ანონიმად დარჩენა ამჯობინა, ჩვენს თხოვნას, შეეფასებინა ირაკლი ალასანიას ინიციატივა, უპასუხა: — ეს აბსოლუტური იდიოტიზმია.**

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ზვიად ძიძიგური ჩვენთან იყო სტიქაროსანი, ბიძინა გუჯაბიძე ჩვენი მრევლი იყო, მაგრამ, რაც პარლამენტში შევიდნენ, საერთოდ, თვალით არ მინახავს ეკლესიაში. შეიძლება სხვაგან დადიან, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ მხოლოდ ის არის მათთვის ქართველობა, რომ ჩოხებით იარონ პარლამენტში! ჩოხით მოსული ადამიანი რომ ასეთ კანონპროექტს მხარს დაუჭერს, ეს რას ნიშნავს?!“**

## მამა გიორგი (რაზმაძე):

# დამთავრებული არაფერია, მთავარი ბრძოლა წინ გველის!



**მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის დირექტივით ნაკარნახევმა ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა მოსახლეობის უდიდეს ნაწილში და განსაკუთრებით — ეკლესიაში ვნებათაღელვა გამოიწვია, უსუფაშვილის პარლამენტმა საზოგადოების აზრი ფეხებზე დაიკიდა და გასულ კვირას ეს კანონი მესამე მოსმენით, 104 ხმით 1-ის წინააღმდეგ, დაამტკიცა. „დემოკრატიის მღაღადებელმა“ უმრავლესობამ თავის პოლიტიკურ მეორე ნახევართან, „ნაცმოძრაობასთან“ ერთად, „ლიბერალიზმის“ ნამდვილი ტრიუმფი დაგვანახვა, აწი რაღა გვიჭირს, რომ იტყვიან, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს; წესით, ამის შემდეგ ევროპამაც გულში უნდა ჩაგვიკრას და ნატოც შუბლით უნდა შეასკდეს რუსეთს ჩვენი უსაფრთხოების დასაცავად, მაგრამ ვის რად ვუღივართ, ამას უკრაინის მაგალითზეც ნათლად ვხედავთ (2008 წლის აგვისტოს ომს აღარ მივუბრუნდები), მოკლედ, ევროინტეგრაციის პირველი „ნექტარი“ ნაგემი გვაქვს და რუბიკონიც გადალახულია. ახლა ისღა დაგვრჩენია, დავაკვირდეთ, ამის სანაცვლოდ რა მნიშვნელოვან „დივიდენდებს“ მიიღებს საქართველო დასავლეთიდან. კონკრეტულად რა საფრთხეებს შეიცავს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და რას უნდა ველოდოთ ამ კანონის მიღებით მომავალში? ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე) ესაუბრება.**

**— მამაო გიორგი, ვიდრე საკითხს ძირეულად შევეხებოდეთ, კიდევ ერთხელ განვუმარტოთ საზოგადოებას, კონკრეტულად რა არის ამ კანონში საშიში და მიუღებელი.**

— მოკლედ რომ ვთქვათ, **ეს არის უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე და რას ვგულისხმობ კონკრეტულად: ის უმცირესი ჯგუფი, რომელიც ე.წ. ლგბტ-საზოგადოებად მოიხსენიება, რაღაც გაურკვეველი ფორმით იზრდება, ძლიერდება და ხდება დომინანტი საზოგადოების სხვა დანარჩენ ნაწილზე.** მაგალითად, ვთქვათ, დგას რამდენიმე ადამიანი და გაიარა ამ საზოგადოების წარმომადგენელმა, თუ მას არ მოეწონა მათი გამოხედვა ან, საზოგადოდ, დამოკიდებულება, შეუძლია უჩივლოს და პირველ ჯერზე გადაახდევინოს ჯარიმა, ხოლო თუ განმეორდება ანალოგიური რამ, დააპატიმრებინოს. მსგავსი შემთხვევა ბევრია საბერძნეთში, ამიტომ საკვირველია, რომ ევროპა ასეთ კანონებს ითხოვს ისეთი ტრადიციული ქვეყნისგან, როგორიც საქართველოა და იმის ბუნებრივი კითხვა: გვინდა ასეთი ევროპა?! აქამდე ამ ხალხს არავინ დევნიდა საქართველოში და არც არავინ ავიწროებდა. პირიქით — ეკლესია, სუფთა ადამიანური მზრუნველობით, ყოველთვის აქცევდა მათ ყურადღებას. ჩვენთანაც მოდის უამრავი ასეთი ადამიანი და ყველანაირად ვცდილობთ, დავეხმაროთ. ერთი შემთხვევა დამისახელოს ვინმემ, რომ ადამიანი მოსულიყოს მოძღვართან, საქვეყნოდ გაეცხადებინოს ეს მომაკვდინებელი ცოდვა და ხელი გვეკრას...

რაც შეეხება დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კანონის წამოწევას, ამ პერიოდში ეს სრულიად გაუგებარია და **ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ მან საპატრიარქოსთან ერთად გაიარა ეს კანონი მუხლობრივად.** პატრიარქის წერილი სულ სხვა რამეს მოწმობს, მისი უწმინდესობა სთხოვდა პარლამენტს, გადადებულიყო განხილვა, ვიდრე საზოგადოების ფართო ფენები არ ჩაერთვებოდნენ ამ პროცესში და ვიდრე კანონპროექტი არ იქნებოდა საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად დახვეწილი. **გასაკვირია პრემიერმინისტრის პოზიციაც. მან განაცხადა, ცოდვის ნუ გეშინიათო. აბა, რისი უნდა გვეშინოდეს?**

**— პრემიერმა ზუსტად ასე თქვა: „რაღაც ცოდვაზე იყო საუბარი. ცოდვაზე არ უნდა ვისაუბროთ, ჩვენ უნდა ვისაუბროთ ქვეყნის განვითარებაზე და მით უმეტეს მართლმადიდებელი ქრისტიანი არასოდეს გაურბოდა მას, არასოდეს ეშინოდა ამა თუ იმ ცოდვის, ეს არის ჩვენი ძლიერება“.**

— ჩვენ, ვინც სწორად ვაზროვნებთ, ცოდვის გვეშინია და მრევლს მოვუწოდებთ, რომ ეს ცოდვა მომაკვდინებელია. ახლა ვის დავუჯეროთ: ეკლესიის სწავლებას თუ პრემიერისას?! ყოვლად უსაფუძვლო, მიუღებელი და უპასუხისმგებლო ასეთი განცხადებები...

**— პრემიერმინისტრმა თავის გამოსვლაში ისიც განაცხადა, რომ ეკლესიას არ აქვს სწორი ინფორმაცია მიღებულ კანონზე და ამიტომაა ამხელა ვნებათაღელვა. ეს განცხადება რამდენად საფუძვლიანია?**

— ჩვენ გავიარეთ სერიოზული კონსულტაცია იურისტებთან და ამის საფუძველზე ვამბობდით თავიდანვე, როცა განხილვები იწყებოდა, რომ ეს კანონპროექტი არის საშინელი ცოდვა. მე შეკითხვაც დავსვი პარლამენტში მეორე მოსმენის დროს: **ხელისუფლებაში მოსვლამდე რომ გეთქვათ, ამ კანონს მიიღებდით, რომელი ქართველი მოგცემდათ ხმას, მეთქი? პასუხი ვერ გამცეს. მერე იქ არასამთავრობოებმა დაიწყეს ყიყინი და ჟრიამული.**

**— ეს არასამთავრობოები ერთგვარ მოკავშირეებად ექცნენ ხელისუფლებას ამ კანონის მიღებაში. თქვენი აზრით, მათ რა ინტერესი აქვთ?**

— ყველამ ვიცით, ისინი ვინც არიან და რეალურად რას წარმოადგენენ. ბოდიში და, ნეხვში ამოვლებული საკვებით საზრდოობენ. **ეს არასამთავრობოები ანტისახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებენ — ებრძვიან ეკლესიას, ებრძვიან ქვეყანას; ამხელა თანხებს ხარჯავენ და მერე, რა მუსიკასაც უკვეთს დამკვეთი, იმაზე ცეკვავენ. ვურჩევ მათ, იმოგზაურონ ისრაელში და ნახონ სოდომი და გომორი, დღესაც ცეცხლი უკიდია იმ მიწას. რატომ? — იქ ზუსტად სოდომ-გომორული ცოდვები იყო გავრცელებული და ამის გამო უფალმა იქაურობა მიწასთან გაასწორა.** ეს ბიბლიაში წერია. ამიტომ გააცნობიერონ, რას აკეთებენ და გონს მოვიდნენ. თუ გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანაზე ვიზრუნოთ და მომავალ თაობას დავუტოვოთ ხელში გამართული სახელმწიფო, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ღმერთმა საქართველო რომ არ მიატოვოს.

**— იქნებ გაცნობიერებულიც აქვთ ეს ყველაფერი და მიზანმიმართულად მოქმედებენ?**

— ბუნებრივია, აქ სხვა აზრი არც არსებობს. ყველამ ყველაფერი იცის და შეგნებულად გვებრძვიან. პირდაპირ ვიტყვი: **ეს არასამთავრობო ორგანიზაციები არსებობენ ზუსტად იმისთვის, რომ დაუპირისპირდნენ საქართველოს სახელმწიფოს და ეკლესიას.**

**— თქვით, რომ საკვირველია, რატომ ითხოვს ევროკავშირი ჩვენისთანა ტრადიციული ქვეყნისგან ისეთი კანონის მიღებას, როგორიც ანტიდისკრიმინაციული კანონია. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება საბოლოოდ ეს ყველაფერი?**

— ეს არის სწორედ საინტერესო. ამას წინათ ბატონი შტეფან ფულე ჩამოვიდა და პირდაპირ განაცხადა პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ, რომ ევროკავშირი დაიცავს ქართული საზოგადოების უმრავლესობის აზრს, რელიგიურ გრძნობებს და მათ ტრადიციებს. აი, სწორედ ამ განცხადების შემდეგაა საკვირველი, რომ ამ ადამიანებს ითხოვენ ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი კანონის მიღებას. სხვათა შორის, პარლამენტის თავმჯდომარე იმაზეც აპელირებდა თავის გამოსვლაში, რომ მოლდოვა თითქოს სასულიერო პირებმა დაწყევლეს, ანათემას გადასცეს და მერე, თურმე, ერთი თვითმფრინავი მგზავრობდნენ, როცა ევროპაში წასასვლელი ვიზები მიიღეს. **ეს ადამიანი, როგორც ჩანს, იმდენად უცოდინარია სულიერ საკითხებში, რომ ანათემის არსი არ ესმის და მგონია, მოლდოვამ რაზე მოაწერა ხელი, ამაზე პასუხისმგებლობა იმ ქვეყნის ხელისუფლებას და მის ეკლესიას ეკისრება.** ახლა რაც შეეხება მიზანს, ამ ადამიანებს მართლმადიდებლური სარწმუნოება ყელში ეჩხირებათ და უნდათ, როგორმე დააშორონ ხალხი უფალს. ბიბლიიდან ჩვენ ვიცით უამრავი მაგალითი, როცა ღმერთი იცავდა განსაკუთრებულთ — ებრაელთა ერს, სწორი სარწმუნოებიდან გამომდინარე, და როცა მოხდა ისე, რომ მეძავი დედაკაცები შეურიეს მოაბელთა ტომიდან, ცოდვაში ჩავარდნენ ისინი და ღმერთმა მიატოვა ებრაელები. მერე იცით, რომ პირისაგან მიწისა აღიგავა ისრაელიც, იერუსალიმიც და ყველაფერი. აი, ზუსტად ასეთი განზრახვა აქვთ საქართველოს მიმართ იმ ამორალური კანონის ავტორებსაც, **მათ სურთ, რომ, ისრაელის მსგავსად, მიწასთან გასწორდეს საქართველო და ქართველების ნაცვლად აქ სხვა უცხოტომელებმა იცხოვრონ. ეს ჩანს და პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებიდანაც, სამწუხაროდ. ის ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ, თუ ამ კანონს მივიღებთ, თურმე ევროპაში მივიღებთ და, თუ არ მივიღებთ, რუსეთში ვრჩებით.** მივიღეთ, ბატონო, და ახლა ვნახოთ, საით წავალთ. ეს არის ისეთი ურცხვი და არასწორი განცხადება, რომ არც კი ვიცი, რა ახსნა უნდა მოუძებნოს ამას ადამიანმა.

**— რუსეთი ახსენეთ და მისგან ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ შექმნა ერთგვარი საფრთხობელა, რომლითაც მოსახლეობის დაშანტაჟება ხდებოდა. ეს დღესაც გრძელდება, როგორ ფიქრობთ?**

— **მაპატიეთ ამ გამოთქმაზე და ახალგაზრდებს აბოლებენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ამას თავის დროზე აკეთებდნენ „ნაციონალები“. ახლა იგივეს შვრებიან რესპუბლიკელები.** პირდაპირ ვამბობ: **ეს არის ამორალური და ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა, რომელიც გადაგვარებისა და განადგურების გარდა, კარგს არაფერს უქადის ჩვენს ქვეყანას. სამწუხაროა, მაგრამ აშკარაა, რომ „ნაციონალების“ მემკვიდრეები — რესპუბლიკელები მომძლავრდნენ დღეს ხელისუფლებაში.**

**— რით არიან რესპუბლიკელები „ნაციონალების“ მემკვიდრეები?**

— აქამდე რაც კი კანონპროექტები გაიტანეს რესპუბლიკელებმა პარლამენტში, რომელიც ქვეყნის რეალურ ავადმყოფობას ეხებოდა, ნაციონალური ფრთა ყველას ეწინააღმდეგებოდა. ამ შემთხვევაში კი შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ და თქვენ **უნდა განახოთ, როგორ უჭერდნენ თვალებს ერთმანეთს ქალბატონი კორძაია და „ნაციონალები“.** სხვათა შორის, დისკრედიტაციაზე როცა ლაპარაკობენ ეს ადამიანები, სწორედ კორძაიამ გაუკეთა დისკრედიტაცია პატრიარქს თავისი განცხადებით: ბარემ მიეცით მის უწმინდესო- ▶

«ეს არასამთავრობოები ანტისახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებენ — ებრძვიან ეკლესიას, ებრძვიან ქვეყანას; ამხელა თანხებს ხარჯავენ და მერე, რა მუსიკასაც უკვეთს დამკვეთი, იმაზე ცეკვავენ. ვურჩევ მათ, იმოგზაურონ ისრაელში და ნახონ სოდომი და გომორი, დღესაც ცეცხლი უკიდია იმ მიწას. რატომ? — იქ ზუსტად სოდომ-გომორული ცოდვები იყო გავრცელებული და ამის გამო უფალმა იქაურობა მიწასთან გაასწორა»

«პარლამენტის თავმჯდომარე ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ მან საპატრიარქოსთან ერთად გაიარა ეს კანონი მუხლობრივად»

## «ნაციონალების» მემკვიდრეები — რესპუბლიკელები მომძლავრდნენ დღეს ხელისუფლებაში

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონში წერია, რომ მან სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესები უნდა ასახოს. რომელიმე სეპარატისტულმა დაჯგუფებამ რომ მოითხოვოს საკუთარი ინტერესის გამოხატვა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს დააზარალებს, უფლებას მისცემენ, თავისი აზრები და სურვილები სრულიად საქართველოს გააცნოს?“**

◀ბას მანდატი და პარლამენტის წევრად მივიღოთო. აი, როცა ასეთი რაღაცები ხდება ქვეყანაში, **ვფიქრობ, მთელმა ერმა უნდა მოსთხოვოს მას პასუხი; განსაკუთრებით ნაძალადევის რაიონის მოსახლეობამ, რომელმაც აირჩია იგი თავის დეპუტატად.**

**— რამდენიმე კვირის წინ ივანიშვილი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შეხვდა და ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სწორედ მან მოსთხოვა მმართველ გუნდს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— ჩვენ ასეთი ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილმა ადრე ასეთი განცხადება გააკეთა: დემოკრატიით მთელ მსოფლიოს გავაოცებთო. გვაოცებს ნამდვილად, ვინაიდან ეს ოცნება აღარ არის, ეს უკვე გაოცებაა.

**— პრემიერმინისტრის კიდევ ერთ განცხადებაზე გკითხავთ, მან თქვა: „ჩვენი მთავრობა და პირადად მე ვარ პასუხისმგებელი იმაზე, რომ არასოდეს მივიღებთ ისეთ კანონს, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს“... რას უპასუხებთ ირაკლი ღარიბაშვილს?**

— გაგახსენებთ არგენტინის მაგალითს, როდესაც ამ ქვეყანამ მიიღო ასეთი კანონპროექტი, კათოლიკურ ეკლესიაში შეიკრიბა ათასობით ადამიანი. მივიდნენ იქ ლესბოსელები, მამათმავლები, სხვა მსგავსი ჯგუფების წარმომადგენლები და ეს ხალხი შეურაცხყვეს. ახლა მე **ვეკითხები ბატონ პრემიერმინისტრს, უსაფრთხოების გარანტიას რომ გვაძლევს: როგორ დაიცავს იგი იმ მორწმუნეების ფიზიკურ ან სულიერ ცხოვრებას, რომლებიც ეკლესიაში იქნებიან შეკრებილნი?!** რა მექანიზმები არსებობს ამისთვის?

**— ის, ალბათ, გიპასუხებთ, რომ მიღებული კანონი მრევლსაც ისევე დაიცავს, როგორც უმცირესობებს.**

— ზუსტად ამაზეა ლაპარაკი, რომ აქ უკუქცევის პრინციპი არ არის ჩადებული. მხოლოდ საუბარია მცირე ჯგუფის ინტერესზე, ხოლო დიდ ჯგუფზე, რომელიც ხალხის უმრავლესობას წარმოადგენს, საერთოდ არაფერია ნათქვამი.

**— ყველა ქვეყანაში, სადაც წლების წინათ მსგავსი კანონები დაამტკიცეს, დროთა განმავლობაში მან მიიღო ერთგვარი ზვავის ხასიათი. როგორ ფიქრობთ, საქართველოში არსებობს იმის საფრთხე, რომ, თუ ამას შევეგუებით, მომავალში უფრო ამორალური კანონებიც განიხილოს პარლამენტმა?**

— რა თქმა უნდა, ბუნებრივად მიდის ყველაფერი იქით, ამიტომ, ჩვენ თუ არ დავდექით და არ დავიცავით საზოგადოების, ეკლესიის ინტერესი და ტრადიციები, რა გამოვა, რანაირი სასულიერო პირები ვიქნებით? **ბევრი არასამთავრობო ლაპარაკობს, რომ თურმე მღვდელი მარტო ეკლესიაში უნდა იყოს და იქ უნდა ქადაგებდეს, ანუ გვკეტავენ, ჩვენს უფლებებს აქვე ზღუდავენ. ახლა წარმოიდგინეთ, ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ რა იქნება — პირდაპირ ჩაგვისაფრდებიან და, თუ ვიტყვით, რომ სოდომია მომაკვდინებელი ცოდვაა, გვიჩივლებენ და შეიძლება ციხეშიც აღმოვჩნდეთ ამის გამო.**

**— საპარლამენტო უმრავლესობაში არიან ადამიანები, რომლებიც ადრე ეროვნული ღირებულებების, ტრადიციებისა და რელიგიის დამცველებად გვევლინებოდნენ. თქვენი აზრით, რატომ არ აქტიურობენ ისინი, რატომ არ გამოიწვია მათში უკმაყოფილება იმ კანონმა, რომელიც პარლამენტმა წინა კვირას დაამტკიცა?**

— არ ვიცი, რას ფიქრობენ ის ადამიანები, მათ მაგივრად ვერ გიპასუხებთ, მაგრამ ბევრი მათგანი პირად საუბრებში არ მალავს, რომ აძალებენ მსგავსი კანონების მხარდაჭერას... **ზვიად ძიძიგური ჩვენთან იყო სტიქაროსანი, ბიძინა გუჯაბიძე ჩვენი მრევლი იყო, მაგრამ, რაც პარლამენტში შევიდნენ, საერთოდ, თვალით არ მინახავს ეკლესიაში. შეიძლება სხვაგან დადიან, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ მხოლოდ ის არის მათთვის ქართველობა, რომ ჩოხებით იარონ პარლამენტში! ჩოხით მოსული ადამიანი რომ ასეთ კანონპროექტს მხარს დაუჭერს, ეს რას ნიშნავს?!** არის ის უფლის ან საკუთარი თავის წინაშე მართალი?! ამას ღმერთი განსჯის, ყველას მიეზღვება თავისი; ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ და უფალს შველა შევთხოვოთ... **შარშან, 17 მაისს, ხომ ათასობით ადამიანი გამოვიდა, თუ საჭირო გახდა, ხვალ-ზეგ ათი იმდენი გამოვა. აქ დამთავრებული არაფერია, ასე რომ, მთავარი ბრძოლა გადარჩენისთვის საქართველოს და ქართველ ხალხს წინ ელის!**

**— ანტიდისკრიმინაციული კანონი 30 დღეში შევა ძალაში. თქვენ ნაწილობრივ უკვე ისაუბრეთ იმ გართულებებზე, რომლებსაც უნდა ველოდოთ, მაგრამ ბოლომდე ჯერ კიდევ არ ვიცით, კონკრეტულად რა წინააღმდეგობებს გამოიწვევს ეს ცვლილება, ბევრი სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეებზეც საუბრობს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი?**

— რა ვთქვა, არ ვიცი. კიდევ ვიმეორებ: მიღებულია ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული კანონი. მოკლედ, ახალ რეალობაში ვცხოვრობთ და, ალბათ, ევროკავშირში ვართ უკვე, „მოსალოცად“ გვაქვს საქმე. რას მიიღებენ ამით, ვნახავთ. **ზიზღის დონეზე მიდის უკვე რესპუბლიკური პარტიის ლანძღვა. აწი კიდევ უფრო უარესს გაუკეთებენ ეს ადამიანები თავიანთ თავს და ქვეყანას, თუ ჩვენ გონზე არ მოვედით.** ამიტომ ისევ და ისევ სიფრთხილე გვმართებს. ესენი ამაზე არ გაჩერდებიან, რა უნდათ და საით ისწრაფვიან ეს ადამიანები, ნათლად ვხედავთ ყველა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

---

*ხათუნა საგინაშვილი:*

# ჩვენი სახელმწიფოს იდეოლოგია აგებულია ცრუ ფასეულობებისა და ღირებულებების მქონე ინდივიდზე



**წლებია, ქართველი ხალხი ობიექტურ, სამართლიან ტელევიზიაზე ოცნებობს, ტელევიზიაზე, რომლის „ცისფერი ეკრანიდანაც“ მხოლოდ სიმართლეს შეიტყობს, მოისმენს კულტურულ-საგანმანათლებლო და მაღალზნეობრივ ინფორმაციას, მაგრამ ამას ვერა და ვერ ეღირსა. საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ხალხის ფულით იკვებება და მისი ბიუჯეტი, არც მეტი, არც ნაკლები, 38 მილიონია, დღემდე გამოუსადეგარია საზოგადოებისთვის. ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ე. წ. ბორდი ვერ დააკომპლექტეს, უფრო მეტიც — ერთის მაგივრად ორი ბორდი ჰყავს ტელევიზიას და ორივე „ნაცების“ იდეოლოგიაზეა მორგებული. არიან თუ არა კომპეტენტურები ბორდის შესარჩევი კომისიის წევრები, რა კრიტერიუმით შეირჩნენ ეს ადამიანები და როგორი იდეოლოგიით აპირებს მაუწყებლობის გაგრძელებას საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი? — ამ საკითხებზე კონკურსში მონაწილეობის ერთ-ერთი მსურველი ჟურნალ „ქვაკუთხედის“ რედაქტორი ხათუნა საგინაშვილი გვესაუბრება.**

## «ზვიად ქორიძემ პირად საუბარში ისეთი რაღაცები მითხრა, რომ კომპეტენციის პრობლემა უდავოდ აქვს, მაგრამ მიზანმიმართულ ქმედებასაც არ გამოვრიცხავ»

**— ქალბატონო ხათუნა, ხელთ მაქვს თქვენი კონცეფცია საზოგადოებრივი მაუწყებელის შესახებ, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია „ცისფერი ეკრანიდან“ მოწოდებულ პროპაგანდაზე და ამ პროპაგანდისადმი სიფრთხილით მიდგომაზე. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს კონცეფცია მავანთათვის მისაღები არ აღმოჩნდა.**

— სიმართლე გითხრათ, არსებული ხელისუფლების პირობებში სამართლიანობის დიდი იმედი არ მქონდა, **რესპუბლიკელებისგან რაიმე განსაკუთრებულს არც ველოდებოდი, არ მიფიქრია, რომ ეროვნული მრწამსის მიხედვით შეარჩევდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრებს, მაგრამ მაინც გადავწყვიტე კონკურსში მონაწილეობა; მსურდა, მემხილებინა ის პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ახორციელებს.** გასაგებია, რომ კომერციული, კერძო არხები ცდილობენ, საზოგადოების დაბალ გემოვნებას მოერგონ, რადგან სხვა ვითარებაში მოგებაზე ვერ იმუშავებენ, მაგრამ **საზოგადოებრივ მაუწყებელთან საზოგადოებას პრეტენზია ნამდვილად უნდა გვქონდეს, რადგან ის ჩვენი ფულით ფინანსდება და უნდა გააკეთოს ის, რაც ხალხს სურს — არ მოერგოს გაუკულმართებულ გემოვნებას, მიმართული უნდა იყოს საზოგადოების აზრის გაჯანსაღებისა და დახვეწისკენ.**

საბუთები შევიტანე კომისიაში, მაგრამ გასაუბრებაზე არ დამიშვეს, დავურეკე კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძეს და ვუთხარი, დასაბუთებულად აეხსნა ამის მიზეზი. საბუთები წესრიგში მქონდა. ბორდი მოწოდებულია იმისთვის, რომ განსაზღვროს პრიორიტეტები და განკარგოს ფინანსები. გარდა იმისა, რომ მე პრაქტიკოსი ჟურნალისტი ვარ, მაქვს ფინანსისტის დიპლომიც. მოკლედ, მიზეზი სხვა რომ ვერაფერი ნახეს, კონცეფციაზე შემომედავნენ. თუმცა კომისიამ კონკურსის პირველი და მეორე ეტაპი ისეთ კონკურსანტებს გადაალახვინა, ტელევიზიასთან ახლოსაც რომ არ არიან, შესაბამისი განათლებაც კი არ აქვთ... მათგან ზოგი ექიმია. ყველას პატივს ვცემ, ისინი თავის დარგში წარმატებულები არიან, მაგრამ პრაქტიკოს ჟურნალისტს, რომელიც ხაზს უსვამს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ორგანიზმი უნდა იყოს, უარს ეუბნებიან.

**— თქვენს კონცეფციაში ერთ-ერთი მუხლი ასეთი შინაარსისაა: „საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი, მხოლოდ სიმართლეზე დაფუძნებული საინფორმაციო სამსახური, რადგან პოლიტიკური ძალები მოდიან და მიდიან, ღირებულებები კი უცვლელია“; გარდა ამისა, თქვენ თითქმის ყველა პუნქტში ზნეობასა და სახელმწიფოებრივ ხედვებზე გაქვთ ყურადღება გამახვილებული. ამან ვინმე შეაშინა?**

— დღემდე ვერ მცემენ პასუხს, რატომ არ მიმიღეს. **ეკა მეშველიანის თოქშოუში უნდა მიმეღო მონაწილეობა, მიწვევაც მქონდა, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრეს, მითხრეს, თემა შეიცვალაო.** ყველაფრის სათავე კი არის ის, რომ **სახელმწიფოში ეროვნულ იდეოლოგიაზე გათვლილი კონცეფცია მისაღები არ არის.** სხვა კონკურსანტების კონცეფციებს გავეცანი და ვიტყვი, რომ სტრატეგიული ხედვა არ მინახავს, ყველგან ტაქტიკური ხედვა იყო მხოლოდ.

ტელევიზია არის იარაღი, რომელსაც ადამიანის ცნობიერებაზე დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, დღეს კი არავინ იცის, რა მიზანს ემსახურება.

**დღეს ჩვენი სახელმწიფოს იდეოლოგია აგებულია ცრუ ფასეულობებისა და ღირებულებების მქონე ინდივიდზე. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც ახლა დაამტკიცეს, ასეთ ინდივიდებზეა გათვლილი.**

**არ შეიძლება, ტელევიზია ემსახურებოდეს გაურკვეველ დაჯგუფებებს და მათ იდეოლოგიას ატარებდეს. კონცეფცია, რომელიც მე წარვადგინე, მიმართული იყო იქით, რომ ყველა, ვისაც სურვილი აქვს ტელევიზიით გამოვიდეს, მხოლოდ სახელმწიფოებრივად უნდა აზროვნებდეს.**

მინდა, მხილებული იქნას ამ საკითხისადმი მიდგომა არაკომპეტენტური ადამიანებისა, რომლებიც დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის შერჩევაში მონაწილეობენ.

**რესპუბლიკური პარტიის ოპონენტი ვარ. სწორედ მათი ლუსტრირებისთვის შევიტანე საბუთები აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობისთვის, რადგან ამ პროცესებში მათი მხილების საფუძველი მომცემოდა. მიუხედავად იმისა, რომ უარის მიზეზის მოტივი ვერ დამისახელეს, ნათქვამი, რომ მათთვის ჩემი კონცეფცია მიუღებელია, ყველაფერზე მეტყველებს. ეს არის პოლიტიკა ჩვენი ხელისუფლებისა, რომლისთვისაც მიუღებელია სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების კონცეფცია. ანტიდისკრიმინაციული კანონის დამტკიცებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რა სულისკვეთების ადამიანების ხელშია ჩვენი ქვეყანა.**

— ხალხს უფლება აქვს, იცოდეს, როგორი იქნება საზოგადოებრივი მაუწყებელი.

— **საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონში წერია, რომ მან სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესები უნდა ასახოს. მაინტერესებს, რომელიმე სეპარატისტულმა დაჯგუფებამ რომ მოითხოვოს საკუთარი ინტერესის გამოხატვა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს დააზარალებს, ასეთ დაჯგუფებას უფლებას მისცემენ, საკუთარი აზრები და სურვილები სრულიად საქართველოს გააცნონ?** ჩემი კონცეფცია სწორედ ამაზე იყო აგებული, რომ სეპარატისტებსაც კი ისეთი პროდუქცია უნდა მივაწოდოთ, რომ სეპარატიზმის უარყოფითი გავლენა ვაჩვენოთ. კომისიასა და პარლამენტის დიდ ნაწილს კომპეტენცია არ ჰყოფნით ამის დასანახად.

**— ეს მიზანმიმართულად კეთდება?**

**— ზვიად ქორიძემ პირად საუბარში ისეთი რაღაცები მითხრა, რომ კომპეტენციის პრობლემა უდავოდ აქვს, მაგრამ მიზანმიმართულ ქმედებასაც არ გამოვრიცხავ.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

დემოგრაფია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არ შეიძლება ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ამდენი უცხოელის ჩამოყვანა. დალოცვილო, შენი ხალხი თურქეთში გარბის და იქ რომ რაღაც ორი კაპიკი იშოვოს, ნემსის ყუნწში ძვრება, თუ იმის საშუალება გვაქვს, რომ უცხოელები შევინახოთ, რაღა მაგათ ვიღებთ, ჩვენს მოქალაქეებს მივხედოთ.**

# ანზორ თოთაძე: თუ ასე გაგრძელდა, 10-15 წელიწადში, ქართველი სანთლით საძებარი გაგვიხდება



**გასულ კვირას სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა. კერძოდ, 2014 წლის 1 იანვრის მონაცემით, მოსახლეობა 4,49 მილიონს შეადგენს, შარშან ამავე პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 4,483 მილიონი იყო. „საქართველო და მსოფლიო" დაინტერესდა, რამდენად რეალურია აღნიშნული ციფრები და ასახავს თუ არა იგი ზუსტად ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებას. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ანზორ თოთაძეს შევხვდით და აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.**

**— ბატონო ანზორ, რა აზრის ხართ იმ მონაცემებზე, რომლებიც რამდენიმე დღის წინ სტატისტიკის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა? საუბარია იმაზე, რომ მოსახლეობა გაიზარდა.**

— მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში რეალურად არ გაზრდილა, მაგრამ, **სანამ ამ საკითხზე სიღრმისეულად ვისაუბრებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დემოგრაფიული ვითარება ისევ ძალიან მძიმეა. მეტიც, იმდენად მძიმეა, რომ, თუ ასე გაგრძელდა, დემოგრაფიულ კატასტროფას ვერ ავცდებით.** ახლა რაც შეეხება იმ მონაცემს, რომელიც სტატისტიკის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა: აქ მატება არის სულ რაღაც 7-8 ათასი. ეს არაფერი არაა. ჩვენ ამაზე დაყრდნობით ვერ ვიტყვით, რომ ის დემოგრაფიული საფრთხეები, რომლებზეც მუდმივად გვაფრთხილებს იგივე გაეროც, თუნდაც ნაწილობრივ აღმოფხვრილია. პირიქით, ყველა მაჩვენებელი და წინაპირობა დღეს მიანიშნებს იმაზე, რომ მომავალში შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს მოსახლეობა...

**— გასაგებია, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის გაზრდა 7-8 ათასით ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ მაინც საინტერესოა, ამ უმნიშვნელო მატებაში ეთნიკურად ქართველების ხვედრითი წილი რამდენად დიდია.**

— ამის გამოანგარიშება ძალიან რთულია, იმიტომ, რომ დღესდღეობით ჩვენთან არ წარმოებს ეთნიკური ნიშნით დემოგრაფიული მდგომარეობის კვლევა, ანუ ჩვენ არ ვიცით, რამდენი ქართველი ბავშვი დაიბადა, რამდენი გარდაიცვალა, რამდენი ქართველი ქალი გათხოვდა უცხოელზე და ა. შ. ეს არის სავალალო რეალობა, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობთ ამას ბოლომდე. გავა გარკვეული დრო და დავინახავთ, რომ ეს პროცესები გაცილებით სახიფათო ვითარებისკენ მიდის...

**— კერძოდ?**

— კერძოდ, ეს უკვე ასახულია ციფრებში. მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა კატასტროფულად იკლებს, რაიონები იცლება ხალხისგან. მე შემიძლია ჩამოგითვალოთ კონკრეტული რაიონებიც, მაგალითად, 2013 წელს ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღირიცხა 35 რაიონში, ანუ 59 პროცენტში. თან ეს კლება მოხდა ძირითადად ქართველებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, კერძოდ: ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ბაღდადის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ყვარლის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, აგორაულის, ლენტეხის, ონის, ცაგერის, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, ჩხოროწყუს, სენაკის, წალენჯიხის, ბორჯომის, დმანისის, თეთრიწყაროსა და კასპის მუნიციპალიტეტებში. აღნიშნულ ერთეულებში მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამ უკვე კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და, თუ ასე გაგრძელდა, დიდი დრო არ დასჭირდება იმას, რომ ჩამოთვლილ რაიონებში ქართველები საერთოდ არ დარჩნენ.

**— თუ ასეთი კატასტროფული მდგომარეობაა რაიონების უმეტესობაში, საერთო ჯამში რის ხარჯზე დაფიქსირდა ის 8-ათასიანი ბუნებრივი მატება?**

— ეს **მატება, ძირითადად, ხდება ოთხ ქალაქში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში. რაც შეეხება სოფლებს, იქ საერთოდ ბავშვი აღარ იბადება. აი, მაგალითად, კახეთი ავიღოთ, თუ წინა ათწლეულებში ამ რეგიონში იბადებოდა 60 ათასი ბავშვი, ბოლო ათწლეულში, ანუ 2000-2009 წლებში, მხოლოდ 20 ათასი დაიბადა.** ისიც იმ რაიონებში, რომლებშიც უკვე ეთნიკურად შერეული მოსახლეობაა. თქვენ წარმოიდგინეთ, რა სურათი გვექნება, **თუ ასე გაგრძელდა, 10-15 წელიწადში, ქართველი სანთლით საძებარი გაგვიხდება.** ბევრს ეცინება ხოლმე ამაზე, რა შოკისმომგვრელ პროგნოზებს აკეთებთო, ეს არის რეალობა და თავს ხომ არ მოვიტყუებთ.

**— დემოგრაფები და დამოუკიდებელი ექსპერტები ხშირად არ ენდობიან ხოლმე სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებს, ვინაიდან წინა ხელისუფლების დროს იგი, ფაქტობრივად, პოლიტიკურ ინსტრუმენტად იყო ქცეული. დღესდღეობით რამდენად ზუსტია მათი ციფრები და ხომ არ ჩნდება კვლავინდებურად ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მონაცემებს მმართველი გუნდი საარჩევნო მიზნებისთვის, იმავე სიების „გასაბერად" იყენებს?**

— ეს ეჭვები სააკაშვილის დროს სამართლიანად არსებობდა და ამაზე ბევრიც დაიწერა. რაც შეეხება ციფრების სანდოობას, დასაწყისშიც ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: ის ზრდა, რომელიც დაფიქსირდა, იმდენად უმნიშვნელოა, ფაქტობრივად, არაფერს ნიშნავს. თან რაზეა ლაპარაკი, როცა ის ყველაფერი ხდება მარტო ოთხი ქალაქის ხარჯზე და სოფლები გიცარიელდება. სულელი უნდა იყო ადამიანი, რომ დაიჯერო, ის 8-ათასიანი ზრდა გადაგვარჩენს. თავს ნუ დავიბრმავებთ, მოდი რეალურ პრობლემებზე ვისაუბროთ. უბედურება ის არის, რომ სამმილიონნახევრიანი ერი მომაკვდავ ერთა სიაშია პრაქტიკულად.

**«ხშირად გაიგონებთ, როგორ თხოვდება ქართველი გოგო ზანგზე, აფრო-ამერიკელზე... ეს პროპაგანდა სახიფათოა»**



**დემოგრაფიული ვითარება ისევ ძალიან მძიმეა. მეტიც, იმდენად მძიმეა, რომ, თუ ასე გაგრძელდა, დემოგრაფიულ კატასტროფას ვერ ავცდებით**

**— თქვენ, ალბათ, გაეროს მონაცემებს გულისხმობთ, რომელმაც 28- პროცენტიანი კლება დაგვიპროგნოზა 2050 წლისთვის. იმ მონაცემის შემდეგ ხომ ხელისუფლებამ გარკვეული ღონისძიებები გაატარა დემოგრაფიის კუთხით?**

— კი, ბევრი რამ შეიცვალა და არ შეიძლება ამის არდანახვა, მაგრამ ფაქტია, დემოგრაფიული სურათი კვლავ კატასტროფულია. განსაკუთრებით მაღალია მამაკაცთა სიკვდილიანობა, თან ძირითადად შრომისუნარიან ასაკში, ანუ 20-დან 65 წლამდე. კონკრეტულ ციფრებსაც გეტყვით. მაგალითად ავიღოთ 1960 წელი, იმ წელს სულ გარდაიცვალა 8342 ადამიანი. აქედან თითქმის 58 პროცენტი იყო მამაკაცი და 42 პროცენტი — ქალი. 1970 წელს გარდაიცვალა 10423 კაცი, აქედან 62 პროცენტი მამაკაცი, ხოლო ქალი — 38. ახლა ბოლო შედეგები ავიღოთ — 2012 წელს სულ გარდაიცვალა 12 338 ადამიანი, აქედან მამაკაცი იყო 8798, ანუ 71 პროცენტი, ქალი კი — 3540, ანუ 29 პროცენტი. ხედავთ, როგორ არის? ყოველი 100 გარდაცვლილიდან 71 იყო მამაკაცი და 29 ქალი. გარდა ამისა, არსებობს კიდევ სხვა უამრავი ფაქტორი, რომლებიც მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს დემოგრაფიულ სურათზე და ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე.

**— მთავარი, ალბათ, მაინც სიკვდილიანობა-შობადობაა.**

— არამარტო. ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნაადრევი ქორწინებებიც. ამ მხრივ საშინელი მდგომარეობაა, მონაცემები რომ ნახოთ, თვალებს არ დაუჯერებთ. ხშირია შემთხვევები, როცა 13, 14, 15 წლის მოზარდები თხოვდებიან და ცოლს თხოულობენ. მერე ამას მოსდევს კიდევ სხვა პრობლემები, ეს ცალკე თემაა...

ალბათ, გაინტერესებთ, რას იწვევს ეს ყველაფერი დემოგრაფიული თვალსაზრისით: პირველი — შობადობის შემცირებას, იმიტომ, რომ ადრეულ ასაკში ქალს შეიძლება დაერღვეს რეპროდუქციული ფუნქცია; მეორე — იზრდება როგორც დედათა, ისე შვილთა სიკვდილიანობა და მესამე — მატულობს განქორწინებათა რაოდენობა. აი, ეს პრობლემები, ერთად აღებული, გროვდება და, ბუნებრივია, ცუდად აისახება საერთო დემოგრაფიულ ვითარებაზე, ამიტომ აქ მთავარია, რა ღონისძიებებს გაატარებს სახელმწიფო და რა სტრატეგიით დაუპირისპირდება აღნიშნულ პრობლემებს, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა და ამაზე ცალკე შეგვიძლია ვისაუბროთ.

**— მცირე ხნის წინ „მოქალაქეობის შესახებ კანონში" გარკვეული ცვლილებები შევიდა, რომლებმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგს მიაჩნია, რომ პროცედურა გამარტივდა, ზოგს კი საპირისპირო მოსაზრება აქვს. თქვენი აზრით, როგორ აისახება ეს ყველაფერი დემოგრაფიაზე?**

— ერთ რამეს ვიტყვი: საქართველო, რა თქმა უნდა, ვერ იქნება კარჩაკეტილი სახელმწიფო. ეს, პირველ რიგში, ჩვენ დაგვარტყამს, მაგრამ **საქართველო, რომელსაც ასევე აქვს უამრავი პრობლემა, დაწყებული ტერიტორიული მთლიანობის დარღვევიდან, დამთავრებული დემოგრაფიით, მით უფრო არ უნდა იყოს ფართოდ გახსნილი ქვეყანა აბსოლუტურად ყველა უცხოელისთვის.** სააკაშვილის ხელისუფლებამ რა გააკეთა? — 100-ზე მეტ სახელმწიფოსთან შემოიღო უვიზო მიმოსვლა; და რა მოგვცა ამან? რაიმე მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდო ქვეყანაში, სამუშაო ადგილები გაჩნდა თუ რა? — **ქალაქი გაივსო ათასი ჯურის უცხოტომელებით. მინდა, რომ ყველამ სწორად გამიგოს, ნაცისტები და შოვინისტები არ ვართ, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: არ შეიძლება ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ამდენი უცხოელის ჩამოყვანა. დალოცვილო, შენი ხალხი თურქეთში გარბის და იქ რომ რაღაც ორი კაპიკი იშოვოს, ნემსის ყუნწში ძვრება, თუ იმის საშუალება გვაქვს, რომ უცხოელები შევინახოთ, რაღა მაგათ ვიღებთ, ჩვენს მოქალაქეებს მივხედოთ.** ცხადია, უარყოფითად აისახება ეს ახალი კანონიც დემოგრაფიაზე, თუ ის რეალურად გაამარტივებს მოქალაქეობის მიღების პროცედურას. ეჭვი ნურავის შეეპარება, რომ ყველა ის ჩინელი, არაბი თუ ვინც არიან, ყველანაირად შეეცდებიან, გამოიყენონ ეს კანონი.

**— არ მინდა, საუბრის თემას გადავუხვიოთ, მაგრამ, თუ კი საქართველო სავიზო-საემიგრაციო პოლიტიკას გაამკაცრებს, ამან შეიძლება ჩვენს ევროინტეგრაციას ხელი შეუშალოს. კანონის ლიბერალიცაზია ხომ ევროკავშირის დირექტივაა?**

— ვერავინ ვერანაირ დირექტივას ვერ დაგიყენებს, თუ შენ ხარ შენი ქვეყნის პატრიოტი, მაგრამ **ამათ რა პატრიოტიზმი უნდა მოსთხოვო, როცა 9 წელი ფაქტობრივად ერის გენოციდს ახორციელებდნენ.** ჯერ მარტო ამათი საინფორმაციო საშუალებები რას აკეთებდნენ, პირდაპირ ტვინის გამორეცხვით იყვნენ დაკავებულნი. სხვათა შორის, აქვე მინდა ამას ხაზი გავუსვა და გთხოვთ ეს სიტყვა-სიტყვით დაწეროთ: არავის ისეთი დანაშაული არ მიუძღვის თავისი ერის წინაშე, რო- ▶

**„სამარცხვინო იქნება ის ადამიანი, რომელიც მოახლოებულ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ მხარს დაუჭერს. არ შეიძლება ხელისუფლებაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიდიან. სამშობლოს გარდა, მარადიული არაფერია!“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გორც „რუსთავი 2“-ს, რომელმაც სულიერად გააღატაკა ქართველი ხალხი.

— **კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს?**

— ვერ ხედავთ, რა პროპაგანდის ნიაღვარი მოედინება ამ ტელევიზიიდან? როგორ დასცინიან და აქილიკებენ ქართულ ეროვნულ ფასეულობებს, მენტალიტეტს და ღირებულებებს?! მერე გამოდის მათი ხელმძღვანელობა და ყველაზე რეიტინგული ტელევიზია ვართო. რაშია მათი რეიტინგი? **იმაში, რომ აჩვენებენ, როგორ თხოვდება ქართველი გოგო ზანგზე, აფრო-ამერიკელზე და სხვაზე?! კი, ბატონო, გათხოვდეს და გაჰყვეს, ვისაც უნდა, მაგრამ როდესაც ხდება ამის პროპაგანდა და აფიშირება, — შეხედეთ, რა კარგიაო, ეს უკვე სახიფათოა.** აი, ამ სახიფათო პროპაგანდას ეწევა „რუსთავი 2“ და ამიტომ ვამბობ, ეს არის პირდაპირ ანტიეროვნულ იდეოლოგიაზე დაგეშილი ტელევიზია, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დაჩლუნგდეს საზოგადოება, ხალხს დაებინდოს ცნობიერება და აზრზე ვერ მოვიდეს, რა ხდება, რა პროცესები მიმდინარეობს ჩვენ გარშემო.

— **როგორ ფიქრობთ, მოქმედებს ეს პროპაგანდა ხალხზე?**

— რა თქმა უნდა. ეს თბილისია პოლიტიკურად აქტიური, თორემ რეგიონში, სოფელში რომ ადამიანი ცხოვრობს, მას გაცილებით ცოტა ინფორმაცია აქვს. ზუსტად ამ სეგმენტზეა ეს ბინძური პროპაგანდა გათვლილი. ამას ბოლო თუ არ მოეღო, ესენი გარყვნიან ყველაფერს, **ამიტომ ნინია კაკაბაძისნაირებს არ უნდა ავყვეთ.**

— **ფაქტია, რომ მათ ვერ უპირისპირდება სხვა პროპაგანდა, ვინაიდან საინფორმაციო ველი მონოპოლიზებული აქვთ.**

— ამ საკითხს რომ ჩავუღრმავდეთ, საბოლოოდ ისევ საზოგადოების ბრალეულობამდე მივალთ. ჩვენ — ხალხი ვართ ყველაფერში დამნაშავე, ვინაიდან ჩვენ მივეცით მათ ეს სადავეები. ახლა რა გასაკვირია, რომ თავიანთ გეგმებს ასრულებენ?! ვინმეს სხვა მოლოდინი ჰქონდა?! **ვერ ხედავთ, სადამდე დავიდა მათი პროპაგანდა? თურმე ყველაფერზე მთავარი ყოფილა ორი რამ — ჭამა და სექსი.** სხვათა შორის, უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი ეპიკურე ამბობდა, სექსი არისო გაბრუება. აი, ეს უნდოდათ „ნაციონალებს“ — გათიშული და გაბრუებული საზოგადოება, მაგრამ ასე არ არის საქმე, ჩვენ ადამიანები ვართ პირველ რიგში და სულიერება მოგვეთხოვება. დანარჩენი მერე — ჭამაც კარგია და ხორციელი სიამოვნებაც, რომელიც, კიდევ ვიმეორებ, სულიერად არ გარყვნის და გააღატაკებს ადამიანს.

— **თქვენი აზრით, ახალი ხელისუფლება აგრძელებს თუ არა წინამორბედის პროპაგანდისტულ ტრადიციას?**

— ახალი ხელისუფლება ახალი ცოცხივითაა, თავიდან ყოველთვის პოზიტივით იწყებს. მერე უკვე ყველაფერი საზოგადოებაზეა დამოკიდებული: მოუჭერ? — ვერ გაბედავს განზე გადახვევას; მიუშვებ და „ნაციონალები“ შეიძლება მონაგონი აღმოჩნდნენ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

---

# ვაჟა ოთარაშვილი: «დიდმა რეჟისორმა» ბიძინა ივანიშვილმა ხალხს პირში ჩალა გამოავლო!



**ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ პოლემიკა ვერაფრით ჩაცხრა. სიბრაზეს ვერ მალავენ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები. „მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტთან მოგებულია. უფალი ბრძანებს: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (ინ. 16,33). მაშ, იბრძოლეთ, ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენ გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი!!!“ — გვმოძღვრავს უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პოეტი ვაჟა ოთარაშვილი გვესაუბრება:**

## «ოცნება» გაზის კამერებში გვგუდავს!»

## «ის გზა, რომელსაც ივანიშვილის სახელობის მარიონეტული თეატრი ადგას, საქართველოს დაღუპავს!»

— „ნაცების“ ცხრაწლიანი ფაშისტური პოლიტიკის შემდეგ საქართველოში სულიერების მხრივ არაფერი შეცვლილა, **როგორც ძველი, ისე დღევანდელი ხელისუფლებაც ანტიქართულ პოლიტიკას ატარებს.** ეს დღეს არ დაწყებულა და მხოლოდ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე არ არის საუბარი, **გავიხსენოთ საყდრისის გახმაურებული თემა, ხელისუფლებამ მაშინაც არ მოუსმინა არც ხალხს, რომლის საკუთრებაც არის ეს ქონება, და არც მეცნიერებს, სხვათაშორის, ევროპელ მეცნიერებსაც. ყველაფერი გვჯერა ევროპისა, ყველაფერში ვბაძავთ, მაგრამ რატომღაც საყდრისთან დაკავშირებით გავხადეთ საეჭვო ევროპელ მეცნიერთა აზრი.** საყდრისის ამბებიც „ნაცების“ დროს დაიწყო. 2004 წლამდე ყველა მარგი წიაღისეული და კულტურული ძეგლი ხალხს ეკუთვნოდა, რომელიც, საბედნიეროდ, ჯერ უმრავლესობაშია, მაგრამ „ნაცხროვამ“ და გმირად შერაცხილმა ყოფილმა პრემიერმა, აწ გარდაცვლილმა ზურაბ ჟვანიამ და კახა ბენდუქიძემ ქართველ ხალხს ანტიკონსტიტუციური ქმედებით ეს ქონება წაართვეს. ეს ცოდვა გარდაცვლილი ჟვანიასა და ბედნიერი ბენდუქიძის კისერზეა. ხშირად ვსაუბრობთ სამართლიანობის აღდგენაზე, მაგრამ, რაც არ ყოფილა, რა უნდა აღვადგინოთ? სამართლიანობას უნდა მივაღწიოთ!

— **წარსულზე საუბარი არაფერს მოგვცემს, ამიტომ იმაზე ვისაუბროთ, რაც წელიწადნახევარში დაგვემართა.**

— პარალელების გავლებას ვცდილობ. **„ნაცხროვა“ არ ითვალისწინებდა საზოგადოებრივ აზრს და იგივე გრძელდება ახლაც. დემოკრატია მაშინ ინგრევა, როდესაც ხელისუფლება მარწუხებს იყენებს, — ეს ჩემი სიტყვები არ არის, მაგრამ ზუსტად ჩვენი მდგომარეობის შესაფერისია. მარწუხებში იგულისხმება ის, რომ ჩვენს აზრს არავინ ითვალისწინებს, არ გვეკითხებიან: გვინდა თუ არა საბაგიროებით დაქსელილი თბილისი? რად გვიღირს საყდრისი? ან გვინდა თუ არა პედერასტების ჩვენს საზოგადოებაში მიღება? მოსახლეობა გაღატაკებულია და ისინი კი ბუსუსებიან პრეზერვატივზე საუბრობენ.** პარლამენტარები სოლიდურ გასამრჯელოს იღებენ ქართველი ხალხის ბიუჯეტიდან, მაგრამ ჩვენ არ გვემსახურებიან.

— **ვის სჭირდება ასეთი კანონები?**

— ძაღლის თავი სხვაგან არის დამარხული. მიმდინარეობს ქართველი ერის შეგნებული განადგურება. **„ქართველთყლაპიებს“ მხოლოდ ჩვენი ტერიტორია სჭირდებათ, ოღონდ ხალხის გარეშე. ჩვენი დემოგრაფიული მდგომარეობა ყოველ წელს უარესდება, ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი კი კიდევ ერთი ხელშემწყობი იქნება ჩვენი განადგურების.**

— **„ოცნება“ ხალხმა სწორედ ეროვნულობის გამო აირჩია. არ გამოდგნენ ეროვნულები? ბიძინა ივანიშვილი არ არის ეროვნული კაცი?**

— ამ მთავრობას ბიძინა ივანიშვილის სახელობის მარიონეტების თეატრი ჰქვია. **ვერ გეტყვით, ივანიშვილი როგორი ქართველია, ყველა ადამიანს საქმე გამოაჩენს, მაგრამ ამ შემთხვევაში კარგი ვერაფერი დავინახეთ.** სხვაზე ვერ გეტყვით, მაგრამ მე ამ პიროვნებაში ძალიან შევცდი. მანამდე თითქოს არასოდეს ვცდებოდი და ვიცოდი, რას წარმოადგენდა ჟვანია-სააკაშვილის ბანდა, მაგრამ დღეს **ვაღიარებ, რომ ივანიშვილში შევცდი. ეს ადამიანი ეროვნულ სახელმწიფოებრივად ვერ აზროვნებს.**

— **ისიც ვიღაცის დაკვეთას ასრულებს, როგორც მისი წინამორბედები?**

— **ვფიქრობ, რომ ივანიშვილიც დიდი თამაშის მონაწილეა. დღეს საქართველოში ეროვნულ ძალებს ხელს უშლიან სახელმწიფო უშიშროების სამსახურები. ვის ემსახურებიან ისინი და პატაკს ვის აბარებენ, ღმერთმა უწყის. ფაქტია, რომ ქართული სახელმწიფოს წინსვლა არ ხდება. ივერიის ეროვნული უსაფრთხოება დაუცველია, სუსი კი მხოლოდ სახელისუფლო კლანთა უსაფრთხოებაზე ზრუნავს და არა სახელმწიფოზე. წელიწად-ნახევარში ჩვენმა ქვეყანამ უკან დაიხია, მოქალაქეები უფრო გაღარიბდნენ, არაფერი ეტყობა კულტურას, ხელოვნებას, ეკონომიკას. საქართველო ხელში გვაკვდება.**

— **„ნაცები“ ხშირად საუბრობენ, ხელისუფლებაში „ოცნება“ ეკლესიამ მოიყვანა და ამიტომაც სასულიერო პირებს სახელმწიფოს საქმეებში ჩარევის უფლებას აძლევენო, მაგრამ დღეს ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლება სასულიერო პირებსა და პატრიარქს არ უსმენს.**

— ასე გიპასუხებთ: **„როგორიც ერიო, ისეთიც ბერიო“. ეკლესიაშიც, ალბათ, ბევრი აგენტია. პატრიარქი სწორ პოზიციაზეა, მაგრამ კანონი, რომელიც დაამტკიცეს, მეტყველებს არა ეკლესიის სისუსტეზე, არამედ იმაზე, რომ ქართველი ხალხი 2012 წლის 1 ოქტომბერს მწარედ მოტყუვდა და „დიდმა რეჟისორმა“ ბიძინა ივანიშვილმა ხალხს „პირში ჩალა გამოავლო“.** ვითომ „წასულია“, მაგრამ ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა მას ეკისრება. ახლა გამოდის და საუბრობს: „მარგველაშვილში შევცდი“, „სოფლის მეურნეობის მინისტრმა დააშავა“, „ეს მინისტრი სუსტია და ამაშიც შევცდი“ და ა. შ. ასე შეიძლება? მას არ აქვს პოლიტიკური ხედვა, ბიზნესმენი, ალბათ, კარგია, მაგრამ **ივანიშვილი არ ფიქრობს ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე, სახელმწიფოს სიძლიერეზე. მას ავიწყდება, რომ ის ჭორვილაში არ აურჩევიათ და რომ ქართველმა ხალხმა მოიყვანა ხელისუფლებაში.**

დავით უსუფაშვილი გვარწმუნებს, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი გვჭირდება, ეს კანონი ცივილიზებულ ევროპასაც კი არ სჭირდება და ჩვენ რად გვინდა? თუ უსუფაშვილს სჭირდება, მაშინ პირადი მაგალითით გვიჩვენოს, ოღონდ საჯაროდ და სახალხოდ, — გაათხოვოს თავისი ბიჭი, გოგო კი გოგოზე დააქორწინოს, იგივე გააკეთოს იმ 112-მა პარლამენტარმა, რომელთაც ამ კანონს მხარი დაუჭირეს და პირობას ვდებ, რომ მათი შვილების ქორწილში თამადას მე მოვძებნი. ეს მოღალატე პარლამენტია და მე მრცხვენია.

თუნდაც გაძალებდეს ევროპა, შენს ხალხს ეს როგორ უნდა გაუკეთო?! როსტომ ხანის დროს ირანის აგენტურა 1634 წლიდან გამალებით მუშაობდა, რომ მამათმავლობა ბუნებრივი მოვლენა ყოფილიყო თბილისის აბანოებში, უამრავ ფულს ხარჯავდნენ იმისთვის, თუნდაც ტყუილად ეთქვა ვინმეს, რომ ეს ხდება, მაგრამ ვერ შეძლეს. ქართველი ერი ვერ გატეხეს და აღიარეს — როგორი პატიოსანი და ძლიერი ხალხია ქართველები, ვერაფრით შევაცდინეთო.

**საქართველოს ისტორიას პარლამენტარები, ალბათ, არ კითხულობენ, არ აინტერესებთ, „ვისი გორისანი“ არიან, რადგან მათ გვარები უკვე აღარ აქვთ.**

**არ მინდა ევროპა, რომელიც სოდომ-გომორის ცოდვაში ჩამაგდებს. ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა საქართველოში, თუ ის პედარასტების და ლესბოსელების ქვეყანა გახდება.** ცივილიზებული სამყაროსკენ მივილტვითო, გვეუბნებიან, უფრო ახლოს როდის იყო საქართველო უფალთან და ცივილიზაციასთან — ოცი წლის წინათ თუ დღეს? **სახელმწიფო წინ წავიდაო, რომელ ახალ გზაზე გავიდნენ ესენი? ქვეყნის მოსახლეობის ნახევაზე მეტი შიმშილით კვდება, ნახევარი გამათხოვრებული, გამექავებული, დამონებული და განარკომანებულია. ეს არის ამათი ცივილიზაცია?**

**სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლებაც სწორედ იმ იდეოლოგიის გამტარებელია, რომელსაც „ნაცბანდა“ ატარებდა, უბრალოდ, ისინი აგრესიულები და დაუფარავად ქართველთმოძულეები იყვნენ, ესენი კი კანონებით გვახრჩობენ. ქართველი ერის მოკვდინების სხვადასხვა ხერხი არსებობს, „ოცნება“ გაზის კამერებში გვგუდავს.**

— **ბატონო ვაჟა, შესაძლებელია, ეს თქვენი თემა არ არის, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ: ირაკლი ალასანიამ ნატოს თხოვნით მიმართა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარები საქართველოში განათავსონ. რას ფიქრობთ, როგორც ერთი, რიგითი მოქალაქე, ეს მოთხოვნა სწორია?**

— სისულელეა, დავიღუპებით. ორი ვარიანტია: **ან ევროპას თვალს უხვევენ და ცდილობენ, რამენაირად რუსეთი საქართველოში ოფიციალურად შემოიყვანონ, ან უბრალოდ, არ ესმით, ამას რა შეიძლება მოჰყვეს.**

**რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ აქ ნატოს ტექნიკა განთავსდეს, ეს მით უმეტეს უნდა იცოდეს ალასანიამ.**

უკვე შევეჩვიეთ, რომ **საქართველოს მტრები ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას და ტელეჟურნალისტებს ძალიან ადვილად ყიდულობენ, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ფულის სანაცვლოდ ნებისმიერ რამეზე წავლენ და, რაც მთავარია, წავლენ ხალხის ნების წინააღმდეგ.** დღევანდელი „საოცნებო“ ხელისფლებაც ისეთივე გაყიდულია, როგორც „ნაცხროვა“.

— **ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლა რას მოუტანს ხელისუფლებას?**

— მაგის პროგნოზს ვერ გავაკეთებ, მაგრამ **ის გზა, რომელსაც ივანიშვილის სახელობის მარიონეტული თეატრი ადგას, საქართველოს დაღუპავს.** კანონი, რომელიც ახლა დამტკიცდა, ხელს უწყობს ქართველი ერის, როგორც მართლმადიდებელი ერის, განადგურებას. ხალხი ამას არ გადაყლაპავს. ვინც უფლის წინააღმდეგ, ეკლესიის წინააღმდეგ აღიმაღლა ხმალი და აღმართა მახვილი, ის მახვილითვე განიგმირა და საბედნიეროდ ქართველთა და სამწუხაროდ „საოცნებო“ ხელისუფლებისა, „დამოკლეს მახვილი“ მათ კისერთან ახლოს კიდია. სამარცხვინო იქნება ის ადამიანი, რომელიც მოახლოებულ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ მხარს დაუჭერს. არ შეიძლება ხელისუფლებაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიდიან. სამშობლოს გარდა, მარადიული არაფერია!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „თუ ეკლესია გადაწყვეტს, რომ ამ საშინელებას ბოლომდე გაუწიოს წინააღმდეგობა, დღევანდელი პარლამენტისგან აღარაფერი დარჩება!“

### გია კორკოტაშვილი:

# არ გვინდა ისეთი ცივილიზაცია, რომლის გზაც უკანალზე გადის!



**მსახიობი და ტელე-რადიოწამყვანი გია კორკოტაშვილი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აფასებს და შექმნილი ვითარების გამო უკმაყოფილებას ვერ მალავს.**

— სამწუხაროდ, ქვეყანაში საქმე ისე ვერ არის, როგორც ველოდით. მას შემდეგ, რაც ქვეყნის სათავეში მოვიდა ენერგიული და ახალგაზრდა ირაკლი ღარიბაშვილი, იმედი გამიჩნდა, რომ საქართველოში მოხდებოდა სამართლიანობის აღდგენა. ხალხი ბიძინა ივანიშვილისგან ფოჩიან კანფეტებს არ ელოდა. მესმის, რომ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას დრო სჭირდება, მაგრამ ივანიშვილის დაპირებებში იყო ისეთიც, რის განხორციელებასაც დიდი დრო და თავის მტვრევა არ სჭირდებოდა, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა... საქართველო ლაბორატორიად გადააქციეს. მთავარია, ბიძინას მოეწონოს ადამიანი და მყისვე ნიშნავს პრეზიდენტად, პროკურორად და სხვა თანამდებობაზე. შემდეგ იმედს რომ ვერ გაუმართლებენ, პასუხისმგებლობა, ივანიშვილს კი არა, ჩვენ — ხალხს გვეკისრება.

**— ირაკლი ღარიბაშვილს სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით მეტი რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს, მის მიმართაც ბევრს გაუჩნდა უნდობლობა...**

— ეს ანტიდისკრიმინაციული კი არა, ელ-გე-ბე-ტე საზოგადოების კანონია, რომელიც დაამტკიცა „ძვირფასმა“ პარლამენტმა. ზოგი ამბობს, ეს კანონი კარგად არ არის განმარტებული ხალხისთვის და არ არის საშიშიო. მეორენი ამბობენ — ეს კანონი საშიშია, მაგრამ პარლამენტი ფუთავს ისე, რომ ევროპაში შევიდეთო. არის კიდევ ერთი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ეს კანონი საკმაოდ საშიშია ჩვენი ღირებულებებისთვის, მაგრამ პარლამენტს ეს არ აინტერესებს, რადგან მიაჩნია, ეს ყველაფერი ცივილიზაციამ მოიტანაო. **თუ დღეს საზოგადოების ნაწილი ვერ ერკვევა ამ კანონში და ბრმად სჯერა პარლამენტის, ის კი შეცდომას უშვებს, ხვალ ხომ აუცილებლად გაათვითცნობიერებს ამ ყველაფერს, რადგან დაინახავს ლგბტ საზოგადოების წევრების თავხედურ მოქმედებებს, რაც საქართველოს არც აქამდე აკლდა?!** ამის შემდეგ ვერც ერთი მთავრობა შორს ვერ გაფრინდება. **ან უნდა გადაგვარდეს ქართველი ერი, ეს ავადმყოფები რომ გაფეტიშდნენ, ან კიდევ მამაპაპისეულ ტრადიციებს არ დაივიწყებს და ამ ავადმყოფებს არ გააჭაჭანებს.** მართლმადიდებელი ეკლესია წინააღმდეგია ამ კანონის შემოღების. ქართველი ერი კი პარლამენტზე მაღლა ყოველთვის დააყენებს ეკლესიას. **თუ ეკლესია გადაწყვეტს, რომ ამ საშინელებას ბოლომდე გაუწიოს წინააღმდეგობა, დღევანდელი პარლამენტისგან აღარაფერი დარჩება.** ქართველი კაცი საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა საკუთარი მრწამსის დასაცავად, იბრძოდა, რომ სოდომ-გომორის ცოდვაში არ ჩამდგარიყო, მაგრამ დღეს თანამედროვე მანქურთების მიერ ისეთი გაუბრალოებულია ეკლესიაც და სარწმუნოებაც, რომ გაგიჟდება ნორმალური ადამიანი. და **თუ ეს კანონი მართლა არ არის ჩვენი სარწმუნოებისა და ეროვნულობისთვის საშიში, პარლამენტარი რომ გქვია და ტრიბუნიდან ჰონორით მელაპარაკები, კეთილი ინებე, თითოეულ ადამიანს აუხსენი, რა ხდება რეალურად, მაგრამ დღევანდელ მთავრობას ხალხთან ურთიერთობა საერთოდ არ აქვს.** ამიტომ მოვითხოვ, **კეთილი ინებოს ამჟამინდელი პარლამენტის დირექტორმა, რომელიც სხვა ადგილიდან მართავს დეპუტატებს, უბრძანოს თავის პარლამენტარ-ქვეშევრდომებს, მასასთან, საზოგადოებასთან იქონიონ მჭიდრო ურთიერთობა და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს აუხსნან, რასთან გვაქვს საქმე...**

**— პარლამენტის „დირექტორი“ დავით უსუფაშვილია...**

— ვგულისხმობ პარლამენტარების უკან მდგარ ადამიანს, რომელიც რეალურად მართავს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს და მთავრობას.

**— საზოგადოების დიდ ნაწილს ძალიან გაუკვირდა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის მიღებას მხარი დაუჭირეს ზაზა პაპუაშვილმა და სოსო ჯაჭვლიანმა.**

— ზაზა და სოსო ჩემი მეგობრები არიან. მათ ამ დღეებში აუცილებლად ვნახავ, რათა გავარკვიო, რატომ მოიქცნენ ასე. მაინტერესებს მათი არგუმენტები. ისინი არ არიან ის ადამიანები, რომლებსაც ერთი ხელის მოქნევით ვიღაც რაღაცაზე დაითანხმებს... სასაცილოა, როდესაც უსუფაშვილი გამოდის და ამბობს, ჩვენ ან ისევ უნდა დავრჩეთ რუსეთში, ან უნდა წავიდეთ ევროპაშიო. უსუფაშვილის გასაგონად ვამბობ: **რუსეთში კი არა, სადაც გინდათ, იქ დავრჩები, თუ ჩემს ქვეყანაში ინცესტი არ დაკანონდება, თუ მამათმავლებისგან ნორმალურ მოსახლეობაზე ზეწოლა არ იქნება. არადა, ამ ყველაფერს ისეთი პირი უჩანს, რომ უმცირესობაში ჩვენ, ნორმალური ორიენტაციის ადამიანები, გადავდივართ.** გვაშინებენ: თუ გინდათ, რუსეთში არ დავრჩეთ, ამისთვის ამერიკას, ანუ ინცესტის მქადაგებლებს, პედერასტებსა და პედოფილებს უნდა მივეტმასნოთო, მაგრამ ამას ნორმალური ადამიანი არ „ჭამს“! თუნდაც ამ შემთხვევაში რუსეთი რა შუაშია? **ერთადერთი, რაც დღეს დარჩა ქართველ კაცს, არის ღირსება და, თუ ამ ღირსების გათელვასაც შეეცდებიან, ყველაფერს ვფიცავ, ძალიან ცუდად დაასრულებენ!** ხვალ სკოლაში რომ მივა პედერასტი, პედაგოგად მამუშავეთო, და წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევს მხოლოდ იმიტომ, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის შეეშინდებათ, ამას საქართველო აღარ ერქმევა. გეებს თუ უნდათ, გახსნან გეისკოლა და, ვისაც სურვილი აქვს, მივიდეს და იქ ისწავლოს. ეს ყველაფერი ლუსტრირებული იქნება. **აბა, ის სჯობს, რომ ერთმა გათხვრილმა ღორმა ათასი გათხვაროს? რატომ უნდა დაიწყოს ავადმყოფმა, გარყვნილი აზრებით შეპყრობილმა პედაგოგად მუშაობა იმ საზოგადოებაში, რომელშიც გვსურს, რომ ჯანსაღი თაობა გაიზარდოს?** გეი ჩემს თვალში ვერასდროს იქნება ჯანსაღი ადამიანი. თუ ხელის შეწყობა სჭირდებათ, შევუწყოთ, თუ ავადმყოფები არიან, როგორც ავადმყოფებს, ისე შევხედოთ, მაგრამ **ჰომოსექსუალების სიბინძურის აფიშირებას, მათთვის პრივილეგიების მინიჭებასა და აღლუმების გამართვას ხელს არ შევუწყობ.** ხალხნო, იყვნენ ეს ავადმყოფები ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ნორმალურ ადამიანებს ნუ გაუტოლებენ, იყვნენ თავისთვის და იცხოვრონ წყნარად, მაგრამ, როგორც კი დავინახავთ, რომ თავიანთი ცხოვრების პროპაგანდას ეწევიან, იმ წამსვე ჩავერიოთ ხისტად. ასეთი ადამიანების ცხოვრების რეკლამირების გამო სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.

**— ხელისუფლება ამ კანონპროექტის მიღების გამო ბევრ ხმას დაკარგავს, მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ ხდება.**

— ვეჭვობ, ამ ხელისუფლებას სწორედ იმიტომ სურს ოპოზიციაში „ნაციონალების“ ყოფნა, რომ თავისუფლად იმოქმედოს ნებისმიერი კანონპროექტის მიღებისას. **იმის შიშით, რომ „ნაციონალები“ არ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, ხალხი კვლავ ბრმად აძლევს ხმას „ოცნებას“.** ამიტომ საჭიროა, გამოიკვეთოს სალი, ჯანმრთელი, ეროვნული ღირსებების მქონე ძალა. ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ არ მიიღო ეს ლგბტ კანონი და ეს საქართველომ გააკეთა. **რა უბედურება გვჭირს, ხალხნო? ამის წინააღმდეგ მე, გია კორკოტაშვილი, ხმას აუცილებლად აღვიმაღლებ, ეკლესიას ველოდები, როგორ წარმართავს ამ პროცესს და მერე მე ვიცი.**

**— რას გააკეთებთ?**

— რას გავაკეთებ? ყველაფერს, რასაც ეკლესია იტყვის. **ასეთი რამ სააკაშვილსაც კი არ გაუბედავს! ჩვენ არ გვინდა ისეთი ცივილიზაცია, რომლის გზაც უკანალზე გადის!**

**— რას ფიქრობთ ირაკლი ალასანიას განცხადებაზე, რომ თანახმაა, ნატომ რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარები საქართველოში განალაგოს. რას მოუტანს ეს საქართველოს?**

— ეს მართლა რომ მოხდეს, რუსეთი გაგვლეჭავს. **ალასანია ნატოსა და ამერიკას რომ ეპატიჟება, ჩამობრძანდით და სარაკეტო დანადგარები ჩვენთან დააყენეთო, ამის გამო რუსეთი ტანკებით რომ შემოგრუხუნდეს, ალასანია დახვდება? ირაკლი ალასანიას კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ამერიკული „ხედვა“ აქვს. ასე იმიტომ „ხედავს“, რომ პირადი კეთილდღეობა აქვს უზრუნველყოფილი.** როგორც კი ამერიკელების მიმართ დიდ სიყვარულს გამოვამჟღავნებთ, გეუბნებით, რუსეთი გაგვლეჭავს. ეს ურთიერთობები დაბალანსებული უნდა გვქონდეს. ნუთუ ვერ ხვდებიან ამას? ამერიკა კი ჩვენ გამო რუსეთს ომს არ დაუწყებს. ამის თვალნათელი მაგალითია უკრაინა.

## «ალასანია ნატოსა და ამერიკას რომ ეპატიჟება, ჩამობრძანდით და სარაკეტო დანადგარები ჩვენთან დააყენეთო, ამის გამო რუსეთი ტანკებით რომ შემოგრუხუნდეს, ალასანია დახვდება?»

**— გამოსავალს ხედავთ?**

— ყველაზე დიდი უბედურება, რომელიც ქართველ ერს სჭირს, არის ბურანში ყოფნა. ერთი რამ მინდა გაითვალისწინოს ქართველმა ხალხმა: თითოეულ ჩვენგანს ერთი გოჯი მიწა და ერთი გოჯი პასუხისმგებლობა გვეკუთვნის და უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ წილ პასუხისმგებლობას სხვას ვერ გადავაბარებთ. ვიდრე ამას არ გავაცნობიერებთ, სულ ამ დღეში ვიქნებით.

**— რატომ წავიდა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან?**

— არ ვიცი. ეს იდუმალებით მოცული ადამიანია და მისი ვერც ეს ნაბიჯი გავიგე. ძალიან მინდოდა მასთან შეხვედრა და დალაპარაკება, მაგრამ ამაოდ... მინდა, ერთი საათით მაინც შემხვდეს, რომ ვუთხრა, რას ვფიქრობ დღევანდელობაზე ერთი ჩვეულებრივი თბილისელი და იმასაც ვეტყოდი, რომ ასე ნახევარი საქართველო ფიქრობს.

**— მაინც რას ეტყოდით?**

— ვკითხავდი, ბოლოს და ბოლოს, რა უნდა საქართველოსგან. იმასაც ვეტყოდი, რომ **ნუ უგდებს ყურს ჭორებს და გველაპარაკოს იმ ადამიანებს, რომელთა კისერზეც გადაიარა ათმა „ნაციონალურმა“ წელიწადმა.**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

ფაქტი



## ქუთაისში სააკაშვილის, შევარდნაძის, ივანიშვილისა და ლენინის ფოტოები დაწვეს

**ქუთაისში პარლამენტის წინ შეკრებილმა აქციის მონაწილეებმა მიხეილ სააკაშვილის, ედუარდ შევარდნაძის, ბიძინა ივანიშვილისა და ლენინის ფოტოები დაწვეს.** აქციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამ ადამიანებს ქვეყანაში შემოჰქონდათ დესტაბილიზაცია და ცდილობდნენ, ქვეყნისთვის დამღუპველი კანონების მიღებას. **„ყველას, ვინც ანტიდისკრიმინაციულ კანონს მიიღებს, ჯოჯოხეთის ცეცხლი სანატრელი გაუხდება. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, მიიღონ კანონი, რომელიც ქართველობას ეწინააღმდეგება“,** — განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.



**„რუსეთი არ სთხოვს საქართველოს, რომ აღადგინოს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც საქართველომ თავისი ნებით გაწყვიტა, მაგრამ ისიც ითქვა, რომ, თუ საქართველოს ეს უნდა, მაშინ უნდა ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მოაწეროს ხელი მათთან გარკვეულ შეთანხმებებს, მისცეს უსაფრთხოების გარანტია და ამის შემდეგ შეიძლება ურთიერთობის აღდგენაზე ლაპარაკი“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «არც ევროგაერთიანება და არც ნატო საქართველოს დაცვას არ აპირებს»

**საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას სკანდალურ განცხადებასა და ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას აფასებს:**

## პეტრე მამრაძე: კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ რას ფიქრობს უსუფაშვილი — რუსეთში დავრჩით, ევროპაში აღმოვჩნდით თუ შუა გზაზე გავიჩხირეთ?!





— რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების საქართველოში დაყენების შესახებ აპატურაი-ალასანიას ე. წ. შეთანხმებაზე საუბარს აზრი არ აქვს. დავესესხები სამხედრო ექსპერტ გიორგი თავდგირიძეს, რომელმაც თქვა, რომ ალასანიას ეს განცხადება იყო არაკომპეტენტური და, ამასათანავე, სახიფათოც. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ამ განცხადებამ შეიძლება გააღიზიანოს რუსეთის მთავრობა და შესაძლოა, ამიტომ გაატაროს პრევენციული ზომები.

**— რატომ თქვა ეს ირაკლი ალასანიამ?**

— მიჭირს პასუხის გაცემა. სჯობს, ალასანიამ თავის არაადეკვატურ განცხადებაზე თვითონ აგოს პასუხი. თუ ფიქრობდა, რომ ამ განცხადებით თავის რეიტინგს გაზრდიდა, შეცდა. არა მგონია, ამ განცხადების შემდეგ ალასანიას ნდობით შეხედოს საქართველოს მოსახლეობის მცირე ნაწილმაც კი. დასავლეთს მსგავსი განცხადებები კი ყოველთვის აღიზიანებს. **მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ დასავლეთი მრავალი წლის განმავლობაში აფრთხილებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ არ გააღიზიანოს რუსეთი, რადგან ამის გამო დასავლეთი რთულ ვითარებაში ვარდება.** მას არ სურს რუსეთთან კონფლიქტი საქართველოს გამო და არც არასდროს გაიფუჭებს ურთიერთობას რუსეთთან. გავიხსენოთ ნატოს გენერალური მდივნის — რასმუსენის არაერთხელ ნათქვამი, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების დიდი მონაპოვარია რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მცდელობა. ასევე, გავიხსენებ პრეზიდენტ მარგველაშვილის განცხადებასაც, როცა თქვა, რუსეთის იზოლაცია სასურველი არ არის, ნაკლებად პროგნოზირებადსა და სახიფათოს გახდის მის მოქმედებასო. აი, ამ აზრს იზიარებენ დასავლელი სახელმწიფო მოღვაწეები.

**— თითქმის ორი წელია, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, თუმცა რუსეთთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი არაფერი შეცვლილა.**

— შენგენისა და პრაღის ფორმატის გარდა, სადაც კარასინი და აბაშიძე ხვდებიან ერთმანეთს, მეტი არაფერი ხდება. რაც შეეხება პრეზიდენტების შეხვედრას, ეს თავიდანვე არასერიოზული თემა იყო. ყველას გვახსოვს პუტინის განცხადება, როდესაც ერთ-ერთ ჟურნალისტს უპასუხა შეკითხვაზე, შეხვდებოდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტს. პუტინმა უპასუხა, რატომაც არა, თუ მას ამის სურვილი ექნებაო. ცხადია, რუსეთის პრეზიდენტს სხვანაირი პასუხი ვერ ექნებოდა, ხომ არ იტყოდა — არავითარ შემთხვევაში არ შევხვდებიო, ეს ხომ პოლიტიკურად და დიპლომატიურად დაუშვებელია. მეტიც, პუტინმა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ დადებითი ძვრები ჩანს საქართველოსთან ურთიერთობის მოგვარების თვალსაზრისით, აღნიშნეს თანამშრომლობა უსაფრთხოების დარგში, რომელიც შეეხებოდა სოჭის ოლიმპიადის მზადებას. აგრეთვე, რუსი დიპლომატის მკვლელის ექსტრადირება საქართველოდან რუსეთში და ზოგი დადებითი ტენდენცია; მიესალმნენ სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას. პუტინმა ისიც კი თქვა, შესაძლებელია, საქართველოსთან უვიზო რეჟიმზე ფიქრიცო. აი, ამ ყველაფრის ფონზე, ჟურნალისტის იმ შეკითხვას სხვანაირად ვერც უპასუხებდა, თუმცა ეს არ იყო პუტინის ინიციატივა. რეალური ვითარება კი ასეთია: 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა განახორციელა სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა და რუსეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მედვედევმა მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს მოთხოვნით, მიეღოთ ზომები სააკაშვილის სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურის წინააღმდეგ. სააკაშვილს კი არ მიუმართავს გაეროს უშიშროების საბჭოსთვის, ამის ნაცვლად მან ომში „გამარჯვებისადმი“ მიძღვნილი აღლუმის ჩასატარებლად ცხინვალში წაიღო ტრიბუნები, სცენა, 2000-ზე მეტი დროშა, წითელი ფიანდაზები და ა. შ. ეს სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც რუსეთი მოითხოვდა, გაეროს უშიშროების საბჭოსგან ამ საკითხის განხილვას. აი, ამის შემდეგ დაიწყო რუსეთმა ოპერაცია, რომელსაც დაარქვა „სააკაშვილის იძულება მშვიდობისათვის“. ამის შემდეგ მსოფლიომ აღიარა, რომ სააკაშვილმა ლანგრით მიართვა პუტინს ამ ოპერაციის ჩატარების საშუალება და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა. საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთბა რუსეთთან და დღეს რუსეთის მთავრობის პოზიცია ძალიან მკვეთრია. ისინი არაფერს სთხოვენ საქართველოს, არავითარ ინიციატივას არ იჩენენ და მხოლოდ უპასუხებენ საქართველოს მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს. **რუსეთი არ სთხოვს საქართველოს, აღადგინოს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც საქართველომ თავისი ნებით გაწყვიტა, მაგრამ ისიც ითქვა, რომ, თუ საქართველოს ეს უნდა, მაშინ მან უნდა ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მოაწეროს ხელი მათთან გარკვეულ შეთანხმებებს, მისცეს უსაფრთხოების გარანტია და ამის შემდეგ შეიძლება ურთიერთობის აღდგენაზე ლაპარაკი.** ასე რომ, ფიქრი იმაზე, რომ, ვინაიდან საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება, რუსეთის მთავრობა პოლიტიკურ დათმობებზე წავა, მით უფრო, ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, არასერიოზულია, თუმცა არც უპერსპექტივო. პუტინმა თქვა, თუ ოდესმე აფხაზები და ქართველები, ოსები და ქართველები მოილაპარაკებენ, რომ ურჩევნიათ ერთიან სახელმწიფოში ცხოვრება, ეს მათი საქმეაო. თუმცა ამის მიღწევას შეიძლება თაობები დასჭირდეს... **ცოტა ხნის წინათ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა თქვა საკმაოდ არაადეკვატური ფრაზა: თუ საქართველო წელსვე არ მიიღებს მაპს, ქვეყანაში მოხდება პოლიტიკური დესტაბილიზაციაო, რაც არის აბსურდი, რადგან საქართველოში არ მეგულება ადამიანი, რომელიც ამას რაიმე მნიშვნელობას ანიჭებდეს, მით უმეტეს, მაპი უსაფრთხოების არანაირ გარანტიას არ იძლევა — მაპის მქონე ქვეყანას ნატო არც დაიცავს და არც დაეხმარება გაჭირვების ჟამს. უსუფაშვილმა ისიც თქვა, ნატოს გარეშე საქართველო აილაგმებაო. არადა, ეს ყველაფერი არის ტყუილების კორიანტელი.** ვინ ვინ და, **პარლამენტის თავმჯდომარემ ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში ბევრჯერ მოისმინა ნატოს წარმომადგენლებისგან ის, რაც ობამამაც თქვა, რომ ნატო არ აპირებს საქართველოს მიღებას თავის რიგებში.** როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ, და არა მხოლოდ მან, იცის, რომ ნატო არც ჩვენს მიღებას აპირებს და არც დაცვას, ტყუილის ლაპარაკი სამარცხვინოა.

**— რა გველის ახლო მომავალში?**

**— კარგი არაფერი, ვინაიდან არც ევროგაერთიანება და არც ნატო საქართველოს დაცვას არ აპირებს, ხოლო საქართველოს ხელისუფლების ლიდერები ტყუილად აღიზიანებენ როგორც დასავლეთს, ისე რუსეთს.** კურიოზულია ის, რომ **ეს ყველაფერი არის „ნაცებისა“ და „ქოცების“ პინგ-პონგი, რომელსაც მოსახლეობის თავზე თამაშობენ.** მათ ხალხი დაივიწყეს და ერთმანეთს ეპაექრებიან ეროვნული ინტერესების დაზარალების ხარჯზე. ღარიბაშვილის ნათქვამში, ევროგაერთიანებასთან ასოცირების ხელშეკრულება არის ისტორიული მოვლენა, ეს პარაფირება შეუქცევადს ხდის საქართველოს ევროინტეგრაციასო, ყოველი სიტყვა არის ტყუილი. **მსგავს ხელშეკრულებაზე ხელი სირიასაც აქვს მოწერილი, 50 წლის წინათ — თურქეთსა და 30-მდე სხვა ქვეყანას, რომლებიც ვერაფრით დაუახლოვდნენ ევროგაერთიანებას.**

**«ადამიანი, რომელმაც არ იცოდა, რა რეაქცია მოჰყვებოდა საზოგადოებაში ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის განხილვას, შეიძლება იყოს ქვეყნის პრემიერმინისტრი?!»**

ის, რომ კოალიცია არის ეკლექტური, ის, რომ მასში შემავალი ადამიანების უმრავლესობას ერთმანეთისადმი აგრესიული დამოკიდებულება აქვთ, ისედაც ვიცოდით. **გვახსოვს, „ნაცების“ მიერ უკანონო ჩანაწერებში „ქოცები“ როგორ აგინებდნენ ერთმანეთს დედას.** ეს ვითარება დღესაც არ გამოსწორებულა, შესაბამისად, სამომავლოდ შესაძლებელია, მათ შორის მოხდეს არაერთი განხეთქილება, მაგრამ დღეს ვითარება ასეთია: რეალური ძალაუფლების 100-ვე პროცენტი, ანუ რეალური გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი აღსრულების ნება კონცენტრირებულია ერთ ადამიანში. დიახ, ყველაფერი ღარიბაშვილის ხელშია. ღარიბაშვილი კი ცდილობს, გააკონტროლოს მთელი ქვეყანა შსსსა და პროკურატურის მეშვეობით. პარლამენტის ხელმძღვანელობაც და პრეზიდენტიც უსიტყვოდ ემორჩილებიან ღარიბაშვილის გადაწყვეტილებებს. ჯერჯერობით ეს ასეა, რადგან **„ქოცები“ უყურებენ ღარიბაშვილს, როგორც ივანიშვილის დანატოვარს, და მათთვის დღეს ღარიბაშვილი არის ივანიშვილი.**

**— ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაზე რას ფიქრობთ?**

— ფაქტია, რომ **დასავლეთში ჰომოსექსუალების უფლებათა დაცვა, ე. წ. ჰომოფობიასთან ბრძოლა გადაგვარდა და გადაიზარდა ჰომოფილიაში, ანუ ჰომოსექსუალებისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნასა და მათი ცხოვრების წესის პროპაგანდაში. ის დაძაბულობა, რომელიც შეიქმნა კანონის მიღებისა და განხილვის დროს, გამოწვეულია ქოცების არაპროფესიონალური მოქმედებით.** მათ დროულად ვერ გააცნეს კანონპროექტი საზოგადოებას, ასევე, ეკლესიას სათანადო ახსნა-განმარტება არ მისცეს და კანონში შესწორებები შეიტანეს სულ ბოლო სხდომაზეც — მხოლოდ მას შემდეგ, რაც ატყდა აჟიოტაჟი და შეიქმნა დაძაბულობა. ახლა თვითონ აღიარებენ, რომ ძალიან დიდი სხვაობაა მიღებულ ტექსტსა და თავდაპირველ ტექსტს შორის, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა პრემიერს. ამ ფონზე **უსუფაშვილის განცხადებას, რომ ან ამ კანონს არ მივიღებთ და დავრჩებით რუსეთში, ან მივიღებთ და წავალთ ევროპაში, აბსურდულსა და კომიკურს თუ უწოდებს ადამიანი. ნეტა, კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ რა აზრზეა უსუფაშვილი — რუსეთში დავრჩით, ევროპაში აღვმოჩნდით თუ შუა გზაზე გავიჩხირეთ?!** ეს მარაზმია იმიტომ, რომ კანონს საერთო არაფერი აქვს სადმე დარჩენასთან ან სადმე შესვლასთან. **როდესაც ვუნდერკინდი პრემიერი, ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოში, ამბობს, რომ მისთვის გაუგებარი და აუხსნელია აჟიოტაჟი ამ კანონთან დაკავშირებით, ჩნდება კითხვა — კი მაგრამ, ადამიანი, რომელმაც არ იცოდა, რა რეაქცია მოჰყვებოდა საზოგადოებაში ასეთი კანონპროექტის განხილვას, შეიძლება იყოს პრემიერმინისტრი?!**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში „შავჩოხიანი ვაჟკაცები“ არიან ზვიად ძიძიგურის თამადობით და გარეგნულად ღრმად მორწმუნეთა სიმცირესაც არ განიცდის საკანონმდებლო ორგანო, მათ ხმა არ ამოუღიათ (ნეტავ, რატომ? რა ღირს ბიძინა ივანიშვილის კეთილგანწყობა და რამდენად ჩაალომბარდეს ტრადიციების ერთგულება?).**

**არც ერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ასეთ კანონს, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ 6 მაისს სამების საკათედრო ტაძარში განაცხადა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღებასთან დაკავშირებით. „როგორ შეიძლება უკანონობა დააკანონო?! უკანონობის დაკანონება დიდი ცოდვაა და სწორედ ამის შესახებ ვთქვი მე და, მე რომ არ მეთქვა, ის იქნებოდა გასაკვირი და საოცარი. მე ვალდებული ვარ, უნდა მეთქვა. არც ერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ამას, ასეთ კანონს და მინდა ვთქვა, რომ გავა დრო, როცა ჩვენ თვითონ გაგვიკვირდება, თუ როგორ იყო მიღებული ეს კანონი. მე შევთხოვე უფალს, შეგვინდოს შეცოდებანი ჩვენი, ნებსითი და უნებლიეთნი. ღმერთი მოწყალეა და ღმერთი გვაპატიებს ჩვენს ცოდვებს,“ — ბრძანა პატრიარქმა.**

**კათოლიკოს-პატრიარქმა კანონპროექტთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ გამოთქვა უკმაყოფილება და ხელისუფლებაც გააფრთხილა, არ დაპირისპირებოდა საზოგადოებას და არ გამიჯვნოდა ეკლესიას, თუმცა საქართველოში ხელისუფლებები ვაშინგტონიდან მონაბერ ოკეანის ქარს უშვერენ გაცხელებულ შუბლებს (არამხოლოდ!) და თითქმის არ უსმენენ ერის მწყემსმთავარს.**

**ყურადღებით ვადევნებდი თვალს მთელი კვირის განმავლობაში კანონპროექტთან დაკავშირებით გამართულ დებატებს და, მართალი გითხრათ, დიდად არც გამაკვირვა ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიციამ — მფარველებთან მათი ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება მათსავე შესაძლებლობებს, გულახდილად გამოთქვან საკუთარი აზრი.**

# ევროპაში უკუსვლით შევდივართ?



**საქართველოში ხელისუფლებები ვაშინგტონიდან მონაბერ ოკეანის ქარს უშვერენ გაცხელებულ შუბლებს (არამხოლოდ!) და თითქმის არ უსმენენ ერის მწყემსმთავარს**

**პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავი დაიზღვია და ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის განხილვამდე თითქმის ერთი თვით ადრე გამოვიდა ინიციატივით, რომ კონსტიტუციაში ჩაწერილიყო: „ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა“.** ბუნებრივია, პრემიერმა იცის, რომ ოჯახში შეიძლება მხოლოდ ბებია და შვილიშვილი ცხოვრობდეს და დაქვრივებულ ქალსა და მის შვილებსაც ვერავინ წაართმევს ოჯახის სტატუსს. ყველა მიხვდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ქორწინებას გულისხმობდა და ასეთი წამოცდენა მის იურიდიულ ნიუანსებში გაურკვევლობას მიაწერეს, მათ შორის, პოლიტიკოსებმაც... პრემიერმა იქვე მოაყოლა, რომ „ეს კანონი არ ქმნის არავისთვის რაიმე ტიპის ახალ უფლებას; ის საზოგადოების ერთ ჯგუფს რაიმე ტიპის პრივილეგიას არ ანიჭებს. კანონი უზრუნველყოფს მხოლოდ იმას, რომ ყველამ თანაბრად ვისარგებლოთ იმ უფლებებით, რომლებიც უკვე გვაქვს უზრუნველყოფილი საქართველოს კანონმდებლობით“, თუმცა **იუსტიციის სამინისტროს მიერ მთავრობის სხდომაზე განსახილველად შეტანილი კანონპროექტი მნიშვნელოვნად შეიცვალა და მინისტრ თეა წულუკიანისა და რესპუბლიკელების ლობირებული სამომავლოდ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების საფრთხეები ამჯერად სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის მითითებით გააუვნებლეს.**

## პირველი დარტყმა

**რა საჭიროა სპეციალური კანონი, თუკი ამ ახალი კანონით განსაზღვრული უფლებები „უკვე გვაქვს უზრუნველყოფილი საქართველოს კანონმდებლობით“?** — ეს შეკითხვა მოგვიანებით გაჩნდა, პრემიერის ზემოხსენებული განცხადებით კი საზოგადოების დიდი ნაწილი მოიხიბლა. თუმცა ეს იყო ერთგვარი ხრიკი, პიარსვლა — ხალხმა ღარიბაშვილი ტრადიციების ერთგულ დამცველად აღიქვა და ეს პოზიცია პრემიერისთვისაც მომგებიანი იყო, და არამხოლოდ წმინდა პიარული თვალსაზრისით. **პოლიტიკურ აჯაფსანდალში, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ჩაუძახა კოალიციურ ქვაბში და შეაზავა, ყველაზე უგემური ინგრედიენტი რესპუბლიკური პარტიაა და, ბუნებრივია, თუკი „ქართული ოცნების“ ლიდერი ღარიბაშვილი იმთავითვე იტყოდა, რომ „ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა“, საზოგადოება რისხვას მხოლოდ რესპუბლიკელებს დაატეხდა კანონპროექტის კანონად ქცევის დროს.**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა უმტკივნეულოდ რომ არ ჩაივლიდა, თავიდანვე ცხადი იყო, თუმცა ხელისუფლება, ალბათ, არ მოელოდა ასეთ მძაფრ წინააღმდეგობას. მართალია, ბოლოს მაინც გაიტანეს, მაგრამ იძულებული გახდნენ, ბრძოლის ველზე „მძიმე არტილერია“ გამოეყვანათ და გარკვეულ დათმობებზეც წასულიყვნენ.

**მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში „შავჩოხიანი ვაჟკაცები“ არიან ზვიად ძიძიგურის თამადობით და გარეგნულად ღრმად მორწმუნეთა სიმცირესაც არ განიცდის საკანონმდებლო ორგანო, მათ ხმა არ ამოუღიათ** (ნეტავ, რატომ? რა ღირს ბიძინა ივანიშვილის კეთილგანწყობა და რამდენად ჩაალომბარდეს ტრადიციების ერთგულება?). **მხოლოდ გედევან ფოფხაძემ განაცხადა, რომ „დეპუტატობას მართლმადიდებლობა ურჩევნია“. და რაკი დაზაფრული** (25 აპრილს საპარლამენტო უმრავლესობასთან ივანიშვილის შეხვედრის დროს ყველამ მიიღო ინსტრუქცია) **პოლიტიკოსები გაისუსნენ, ხელისუფლებამ პირველი დარტყმა სწორედ მებრძოლი ეკლესიიდან — საპატრიარქოდან მიიღო.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა პირველი განხილვის შემდეგ პარლამენტს მიმართა, გადაედო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მოცემული სახით მიღება. პატრიარქის განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ეკლესია მიუღებლად მიიჩნევს ძალადობასა და დისკრიმინაციას, რადგან ქრისტიანული რელიგია სიყვარულის რელიგიაა და მისი სწავლება სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემას ეფუძნება.

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ, საზოგადოების აზრით, ეს კანონპროექტი იწვევს ყველა რელიგიის აღიარებული ძირითადი თეორიის ეჭვქვეშ დაყენებას. ეს კი, თავის მხრივ, საზოგადოების ფართო ფენების დისკრიმინაციის საშიშროებას ქმნის.

## საფრთხეები

**„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიზანია „დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის კანონმდებლობით დაცული უფლებებით სარგებლობის თანასწორი უზრუნველყოფა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ოჯახური მდგომარეობის, ორსულობის ან დედობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების ან შეხედულების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან სხვა ნიშნის მიუხედავად“.**

არ შეიძლება, ვინმე მიესალმებოდეს დისკრიმინაციას რასის, ენის, სქესის და ა. შ. მიხედვით და ამისთვის მორწმუნე ადამიანს კანონი საერთოდ არ სჭირდება — ძალადობას არც სახარება ქადაგებს, არც ყურანი და არც თორა. მაშ, რამ გამოიწვია სასულიერო პირების აღშფოთება? ეს არის ამ კანონში ჩადებული სამომავლო საფრთხეები. კერძოდ, **„გენდერული იდენტობა — ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე სქესს** და **სექსუალური ორიენტაცია — ინდივიდის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ და ა. შ.“**

სასულიერო პირები სწორედ ამ ორი განმარტების ამოღებას მოითხოვდნენ. ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე წავიდა, თუმცა სამების საკათედრო ტაძრის დეკანოზ, მამა დავით ლასურაშვილის შეფასებით, ანტიდისკრიმინაციულ კანონში დამტკიცებამდე შეტანილი ცვლილება „მიცვალებულისთვის მაკიაჟის“ გაკეთებას ჰგავს, რადგან, **„მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტში შევიდა გარკვეული დამატება, ის მაინც მიუღებელია მართლმადიდებლური ეკლესიისთვის, რადგან ის მაინც შეიცავს საფრთხეს, საფრთხე კი უამრავია, როგორც ზნეობრივი კუთხით, ისე იურიდიული თვალსაზრისით. მაგალითად, ზნეობრივი კუთხით ხდება იმ ჯგუფების ლეგალიზაცია, რომლებიც ისედაც არსებობდნენ და ისედაც არავინ ჩაგრავდა. ასე რომ, იმ მუხლით, რომელიც დაამატეს, ოდნავ უკეთესად შეიძლება გამოჩნდეს ეს კანონი, ვიდრე თავდაპირველად იყო, თუმცა, უხეშ შედარებად თუ არ ჩამითვლით, ეს შეიძლება დაემსგავსოს მიცვალებულისთვის მაკიაჟის გაკეთებას“.**

ღვთისმსახურნიც და ხალხიც მოითხოვდნენ, მეტი სიცხადე შეეტანათ კანონში და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს (კანონპროექტში სექსუალური ორიენტაციის განმარტებაში განსაკუთრებით გამაღიზიანებელია რომანტიკული, ემოციური მიზიდულობა) ლეგალიზაცია არ მომხდარიყო. მით უფრო, ამ „რომანტიკულად და ემოციურად მიზიდული“ ორიენტაციის გამჟღავნების შემდეგ საბავშვო ბაღების, სკოლებისა და სასჯელაღსრულების ადმინისტრაციები და სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელები არ დაესაჯათ, თუკი მშობლები, ბავშვები, ჯარისკაცები თუ პატიმრები აღმზრდელად, მასწავლებლად, მეთაურად თუ ზედამხედველად ამ „ოცნების“ რომანტიკოსების“ დანიშვნას გააპროტესტებდნენ.

**პრინციპში, „რომანტიკულად მიზიდულები“ ახლაც არიან სკოლებშიც, ჯარშიც და ციხეებშიც, მაგრამ ისინი ვერ ბედავენ საკუთარი „მიზიდულობის“ დემონსტრირებას და, რამდენიც უნდა ეცადოს დღევანდელმა თუ მომავალმა ხელისუფლებამ, თვალსაწიერ მომავალში ვერც გაბედავენ.** ამ თემაზე ვრცლად რომ არ ვისაუბროთ, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ კაბიანი, საყურიანი და პომადიანი კაცი შევიდა მე-10 კლასელებთან (პირობითად) ქიმიის გაკვეთილის ჩასატარებლად. ცხადია, მისი ცდა სრული კრახით დამთავრდება და საკუთარ იდენტობას თუ არა, მენდელეევის პერიოდულ სისტემას მაინც დაავიწყებენ. ასეთი ადამიანი ასევე ვერ მოაწყობს მწკრივში ჯარისკაცებს. უბრალოდ, ფიზიკურად ვერ შეძლებენ „სწორდი! სმენა!“-ს გააზრებას, ისე დაიხოცებიან სიცილით. ციხეებში კი ასეთები ისედაც დადიან, ოღონდ არა ზედამხედველებად. ეს — რაც შეეხება „გენდერულ იდენტობას“. ხოლო „სექსუალური ორიენტაციის“ შესახებ ზემოთ უკვე ვთქვი: ასეთი ადამიანები ისედაც იყვნენ და არიან, მაგრამ მათთვის (ლატენტური არატრადიციულებისთვის) ეს გარკვეული ტრაგედიაც არის და არც მოისურვებენ დემონსტრირებას. **როდესაც მათგან სავარაუდო საფრთხეებზე ვსაუბრობთ, უპირველესად, ალბათ, იმის გათვალისწინება გვმართებს, რომ დღეს ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ „გენდერული იდენტობისა“ და „სექსუალური ორიენტაციის“ წახალისება საკანონმდებლო დონეზე მომავალში აუცილებლად შექმნის პრობლემას, რადგან გადახრა ნელ-ნელა ნორმად ჩამოყალიბდება, თორემ მათ ახლაც არავინ დასდევს ქუჩაში ქვების სროლით, მათ დანახვაზე ემოციის გამოხატვას, ანუ „ემოციურ განზიდულობას“ კი ვერავინ ვერავის დაუშლის, რამდენიც უნდა ირბინონ სახალხო დამცველთან თუ სასამართლოში.**

სასულიერო პირები კიდევ ერთ საფრთხეზე ამახვილებდნენ ყურადღებას — ეს გახლავთ ღვთისმსახურთა ქადაგებისა და მამათმავლობის ცოდვის მხილების შეზღუდვა კანონმდებლობით. ცნობილია, რომ მღვდელს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუკი აღსარების დროს შეიტყობს დანაშაულის ჩადენის შესახებ და სამართალდამცავ ორგანოებს არ აცნობებს. ამ შემთხვევაშიც გაირკვა, რომ სასულიერო პირებს ყველგან ექნებათ ცოდვილთა მხილების შესაძლებლობა — მათ ▶

**დავხედოთ რუკას, თუ სად აქვს რუსეთს სამხედრო ბაზები განთავსებული. აფხაზეთი, ცხინვალი და გიუმრი (სომხეთი). ჰოდა, სულ რომ დამოუკიდებლობა ვაჩუქოთ აფხაზეთ-ცხინვალს, მაინც არ ჩადგამს ამ „სამკუთხედის შუაში“ ბაზას ნატო. არ ჩადგამს! ვინც ამის საწინააღმდეგოს ტირაჟირებს, ან პოლიტიკა არ ესმის, ან, ბანალურად, პურს ჭამს ამის ტირაჟირებით.**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ამისთვის ვერავინ უჩივლებს და არავინ დასჯის. **კიდევ ერთი საფრთხე, რომელზეც ხშირად საუბრობენ, ეს არის სამომავლო დაპირისპირებები ამ „ემოციურ რომანტიკულებსა“ და „რომელიმე სქესს თვითმიკუთვნებულ“ და ნორმალურ ადამიანებს შორის ქუჩაში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში და შემდეგ უკვე სასამართლოში.** რასაკვირველია, ეს მოსალოდნელია, მაგრამ არა იმ ინტენსიურობით, როგორც გვგონია, რადგან ისინი არც ისე ბევრნი არიან. **საფრთხეებზე საუბარი დავასრულოთ იმით, რომ „ისეთებისთვის“ გარკვეული პრივილეგიების მინიჭების შემთხვევაში** (თუმცა პრემიერმინისტრმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ეს კანონი არ გულისხმობს პროპაგანდას, რაღაც განსაკუთრებული პრივილეგიებისა და უფლებების მინიჭებას განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებისთვის), **ნორმალურებიც დაიბრალებენ „ისეთობას“, თუკი მათ სამსახურის დაკარგვის საფრთხე დაემუქრებათ.** შესაძლოა, ასეც მოხდეს, მაგრამ მაშინ ყველასთვის ცნობილი გახდება ამ ადამიანის „ისეთობის“ შესახებ, მას კი ან შვილი ეყოლება, ან ძმისშვილ-დისშვილი და მეზობელი... ამიტომ, საეჭვოა, ასე მკვეთრად დაუპირისპირდეს სოციუმს.

## „მძიმე“ არტილერია

დიდი დავისა და განსჯის შემდეგ, რომელშიც მძიმე არტილერია — პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერმინისტრი — რამდენიმეჯერ ჩაერთო (თავისი პოზიცია გამოხატა პრეზიდენტმაც), „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტი პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა მნიშვნელოვანი ცვლილებით. კერძოდ, **ანტიდისკრიმინაციული კანონის მეხუთე მუხლი ამბობს, რომ კანონის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი გულისხმობდეს რელიგიური გაერთიანებისთვის, რელიგიის თავისუფლებიდან გამომდინარე, უფლებების, მათ შორის, რელიგიური მსახურების უფლების შეზღუდვას, იმ პირობით, რომ ამ უფლებებით სარგებლობა არ არღვევს საჯარო წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვათა უფლებებს. კანონის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებას.**

პარლამენტის თავმჯდომარის კანონის გამამართლებელი ემოციური არგუმენტები ისე უსუსურად გამოიყურებოდა, რომ მათზე სერიოზულად ყურადღების გამახვილებაც არ ღირს. რაც შეეხება პრემიერმინისტრს, მან ისეთი საგულისხმო არაადეკვატურობა გამოავლინა, რომ მისი კომენტარის ერთი ფრაგმენტის აქ გამოქვეყნებაც აუცილებელი მგონია: **„ამ კანონის მიღებით ჩვენ ვადასტურებთ, რომ ძლიერი ერი და სახელმწიფო ვართ. რაღაც ცოდვაზე იყო საუბარი. ცოდვაზე არ უნდა ვისაუბროთ. ჩვენ უნდა ვისაუბროთ ქვეყნის განვითარებაზე და მით უმეტეს მართლმადიდებელი ქრისტიანი არასოდეს გაურბოდა, არასოდეს ეშინოდა ამა თუ იმ ცოდვის, ეს არის ჩვენი ძლიერება“!** ესეც უკომენტაროდ დავტოვოთ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ, როგორც ჩანს, პრემიერი ან ათეისტია (დეპუტატ ნინო გოგუაძის მსგავსად), ანდა იმდენად ზეციური, რომ ცოდვის არსის გაგება და აღქმა არ შეუძლია.

საინტერესოა, რომ, თუკი მეორე მოსმენით 112-მა დეპუტატმა დაუჭირა კანონპროექტს მხარი, მესამე მოსმენით უკვე 104 მხარდამჭერი ჰყავდა („ნაციონალური“ უმცირესობის უმრავლესობა და „ოცნების“ უმრავლესობის უმცირესობა სხდომას არ დაესწრო და სამომავლოდ ამით გაიმართლებენ თავს — ხმა არ მიუციათ) საჩოთირო კანონს, რომლის მიღების გარდაუვალობას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის აუცილებლობით ხსნიდნენ. ცნობილია, რომ ქვეყნებს, რომლებიც ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმებას მოაწერენ ხელს, ათი წლის განმავლობაში ევროკავშირის 350-მდე კანონის დანერგვა მოუწევთ. ასე იქნება საქართველოს შემთხვევაშიც, და **მომავალშიც არაერთ კანონზე იქნება სერიოზული მსჯელობა და იმედია, მაშინ მაინც გვიპასუხებენ, როგორ გახდნენ ევროკავშირის წევრები საბერძნეთი და კვიპროსი ისე, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი არ მიუღიათ.**

ეს შეკითხვაც, ისევე, როგორც ბევრი სხვა, ჯერჯერობით უპასუხოდ დარჩა. ამიტომაც გაჩნდა საზოგადოებაში მოსაზრება, რომ ევროპაში უკუსვლით ვაპირებთ შესვლას და რა მოჰყვება ამ მცდელობას, ძნელი წამოსადგენი არ არის — ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერას წინ ალარაფერი უდგას, აი, ხელმოწერის შემდეგ კი უკეთეს შემთხვევაში ჭიტლაყს ამოგვცხებენ, უარესში კი იმას გვიზამენ, რასაც იმსახურებენ ისეთები, ვინც უკანალს ათამაშებს.

**ბონდო მქინარაშვილი**

**P.S. მთელი ამ განხილვების დროს ვერსად მოვისმინე და წავიკითხე ეთნიკური უმცირესობებისა და ტრადიციული რელიგიური უმცირესობების — მუსლიმების, კათოლიკების, იუდაისტებისა და გრიგორიანელების განცხადებები. არადა, ვფიქრობდი, რომ მათთვის მიუღებელი იქნებოდა არატრადიციულ სექსუალურ უმცირესობებთან ერთ კონტექსტში მოხსენიება. ნუთუ, ისინი ჩვენზე ტოლერანტები არიან? არა მგონია. აქ უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ საქართველო ქართველების დასაცავია – მართლმადიდებლების, უპირველესად. და ამ კანონპროექტზე მსჯელობისას კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რამ გამოატარა საუკუნეთა ქარცეცხლში ჩვენი სამშობლო — რწმენამ და მებრძოლმა ეკლესიამ, რომელიც, როგორც აქამდე, ახლაც ქართველთა ზნეობას დაუდგა დარაჯად!**

# პოლიტიკა ლობიოობა არ არის, ანუ გვინდა თუ არა ქართული საგარეო პოლიტიკა?!

**პოლიტიკური ინფანტილიზმი დამყნობილი ქართველის გეოცენტრისტულ წარმოდგენაზე — აი, აზროვნების წესი, რომლითაც ვცხოვრობთ. ესაა არამარტო ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ისტებლიშმენტის, არამედ ზოგადად, მთლიანად, საზოგადოების კოლექტიური აზროვნების სტილი. ერთ დროს რომის იმპერია იყო უძლეველი, მაგრამ იმ პერიოდშიც ბევრი რამისთვის უწევდა ანგარიშის გაწევა და ჩინეთის ან ირანის დასაპყრობად არ მიდიოდა. უძლეველი არმია ჰყავდა ჩინგის ხანსაც, მაგრამ ისიც შეაჩერეს ვენასთან.**




ამერიკა, რასაკვირველია, არის ყველაზე დიდი მსოფლიო გეოპოლიტიკური მიზიდულობის ცენტრი, მაგრამ არის საკითხები, რომელთაც ისიც ვერ ალაგებს ისე, როგორც მხოლოდ თვითონ აწყობს და გარკვეულ კომპრომისებზეც უხდება წასვლა.

**პოპულარული გამოთქმაა: რუსეთმა უგულვებელყო საერთაშორისო სამართალიო... კი, ბატონებო, მაგრამ ეს რუსეთს რომ პირველს არ გაუკეთებია?!**

**ყირიმამდე იყო კოსოვო.**

**იყო დრო, როდესაც ამერიკა 90-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანების დასაწყისში საერთაშორისო არენაზე, პრაქტიკულად, რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა. გასდიოდა ყველაფერი, ზუსტად რუსული ფორმულით „სილა ესტ, უმა ნე ნადო“ და ჩვენში ეს სასიხარულო ექსტაზს იწვევდა. ზოგიერთი წინდახედული ექსპერტი მაშინაც სვამდა კითხვას: ჩვენ რატომ გვიხარია ეს?**

**ეს ხომ ზუსტად ჩვენნაირი პატარა ქვეყნებისთვის იყო კატასტროფის ტოლფასი. ჩვენნაირი ქვეყნებისთვის ერთადერთი თავდაცვა ხომ მხოლოდ თამაშის მიღებული წესების ხელშეუხებლობა არის და არა ის, რომ „ვინც ძლიერია, ის მართალიცაა“.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნელ-ნელა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო თამაშის წესები დაირღვა. დაირღვა ის წესი, როდესაც პატარა და დიდი ქვეყანა, ასე ვთქვათ, დაახლოებით ერთნაირად იყვნენ დაცული იურიდიულად. აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ძლიერი არ ჩაგრავდა სუსტს. ეს ყოველთვის იყო და ამის ბოლომდე აღმოფხვრა შეუძლებელია. აქ ლაპარაკია უფრო საშიშ ტენდენციაზე. პოსტსაბჭოთა პერიოდში მომრავლდა შემთხვევები, როდესაც, ძლიერმა რომ დაჩაგრა სუსტი, ეს იურიდიულად გააფორმეს, როგორც ლეგიტიმური, კანონის ჩარჩოში მოქცეული შემთხვევა. გლეხურად რომ ვთქვათ, „გააპრავეს“ და ბეჭედიც დაარტყეს: არ დაუჩაგრავსო!

ეგრეაო, რადგან ჩვენ ეგრე ვამბობთო. მოკლედ, „გაპრავდა“!!!

და აი, ამ დროს გამოუშვეს ჯინი ბოთლიდან. ჯინი, სახელად კოსოვო.

ხოლო როდესაც ჯინის გამოშვება ხდება, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისი, რომ ჯინი მხოლოდ შენს სურვილებს შეასრულებს.

ახლა ყოველივე ამას შევხედოთ არა რიგითი სტატისტიკური ქართველის პოზიციიდან, რომლის აზროვნების სტანდარტული კლიშე, სამწუხაროდ, ვერ სცილდება გამონათქვამს: სოჩას როდის გვიბრუნებენ?! და რომელიც რატომღაც დარწმუნებულია, რომ დილას, როდესაც ობამა და მერკელი იღვიძებენ, პირველ რიგში კომპიუტერს რთავენ და თბილისის ამინდს ეცნობიან. შევეცადოთ, მოვლენებს შევხედოთ არასუბიექტური თვალით.

**დასავლეთის ინტერესის სფეროში, რასაკვირველია, შედის სუსტი რუსეთი, მაგრამ არანაირად არ შედის რუსეთის დაშლა. ამერიკისთვის, ეკონომიკური მოწინააღმდეგე პერსპექტივაში რუსეთი კი არაა, არამედ ჩინეთი, ხოლო რუსეთის დეზინტეგრაციის შემთხვევაში, თავი რომ დავანებოთ იმას, თუ რა მოხდება კავკასიაში, რა მოხდება ატომური და ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური იარაღის, თუნდაც რაკეტსაწინააღმდეგო ჩვეულებრივი იარაღის გავრცელების შემთხვევაში და ა. შ. მთავარი საკითხის სახით წამოიწევა ის, თუ ვის დარჩება ციმბირი თავისი კოლოსალური ხელუხლებელი ნედლეულით. ეს საკითხი ამერიკისთვის ნათელია.**

ეს არ აძლევს ხელს ამერიკას!

არ შედის მის გრძელვადიან ინტერესში.

თან რუსეთის დეზინტეგრაციის შემთხვევაში, გაურკვეველი ვადით ჩამოიშლება ევროპის სათბობით მომარაგების მექანიზმები.

ჰოდა, ახლა დავსვათ კითხვა: რატომ უნდა დაანგრიოს დასავლეთმა რუსეთის სახელმწიფო? ამის თუნდაც ერთი მიზეზი რა არის, მსოფლიო გეოპოლიტიკური გამოწვევებიდან გამომდინარე? თან მაშინ, როდესაც პუტინთან მოლაპარაკება შეიძლება დასავლეთის გეოპოლიტიკურ პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

როგორც ზემოთ ვწერდი, შეთანხმების პირობებს პირველი არღვევდა არა რუსეთი, არამედ დასავლეთი. ფაქტია ეს! თანაცხოვრების წესები დაირღვა. გაეროს უშიშროების საბჭოს როლი იგნორირებული იქნა. ამან დაანგრია ბევრი რამ.

ჩვენ რა გვაძლევს ხელს, ეს ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება.

„სოჩას როდის გვიბრუნებენ“ პოლიტიკური იდიოტიზმია და ასეთი მიდგომით ვერ ვიცხოვრებთ.

**ამერიკამ 100%-ით იცის, რომ რუსეთი არ შევა ბალტიისპირეთში, არ შევა პოლონეთში. დავანებოთ თავი იმას, რომ ისინი ნატოს წევრები არიან. სხვანაირად დავსვათ კითხვა: რატომ უნდა შევიდეს? სარგებელი რა ექნება? თუ შევა, მერე რა უნდა გააკეთოს? საოკუპაციო რეჟიმი დაამყაროს?**

**ამას პოლიტიკური დილეტანტი თუ იტყვის.**

**რუსეთს ამის არც ფული აქვს და არც შესაბამისი იდეოლოგია.**

**ყირიმში თუნდაც 70% ყირიმელი თათრები რომ ცხოვრობდნენ, არც ახლა შევიდოდა ყირიმში. ელემენტარულია ეს და ყველამ იცის, ჩვენ გარდა. რუსეთი შევა მხოლოდ იქ, სადაც საოკუპაციო რეჟიმის დამყარება არ მოუწევს. ეს არის აქსიომა.**

ამიტომ დღევანდელ ამბებსაც სხვა თვალით უყურებს დასავლეთი და სხვა თვალით ვუყურებთ ჩვენც. რუსეთმა მოიჭრა ის ტერიტორია, რომლის მოჭრაც ადგილობრივ მოსახლეობას უნდოდა. საბჭოთა კავშირის პერიოდი სხვა იყო. იქ დომინანტი იყო იდეოლოგია, ინტერნაციონალური, კომუნისტური იდეოლოგია. ახლა სხვა მსოფლიოა, სხვა მიდგომები.

**ბუნებრივი პროცესია რუსეთის რეაქციებიც იმაზე, რომ, როდესაც ცხვირწინ ჩაგირჭობენ რაკეტას, რეაქცია გექნება. ამას რუსეთის დასაცავად არ ვამბობ. როდესაც საბჭოთა კავშირმა თურქეთში ამერიკის ბირთვული რაკეტების საპირწონედ კუბაში რაკეტები შეიტანა, ამერიკის მხრიდან ამას ლამის მესამე მსოფლიო ომის დაწყება მოჰყვა. მაშ, რატომ არ უნდა ჰქონდეს რუსეთს იმაზე რეაქცია, როდესაც პოლონეთში რაკეტები შეაქვთ, ხოლო ხმამაღლა ამბობენ... ირანისგან ვიცავთ თავსო? თქვენ თუ გელიმებათ ამ არგუმენტზე, რატომ გგონიათ, რომ რუსეთი ამას მიიღებს?**

ზემოთქმული მხოლოდ ერთი რამისთვის დაიწერა: სწორი ანალიზი გავაკეთოთ მომავალ გამოწვევებზე და ილუზიებში არ ვიყოთ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით.

დღეს ნაკლებად გაიგონებთ ძველ ნაც-ენჯეოშნიკურ არგუმენტს: ნატოში ისედაც მიგვიღებენ, როგორებიც ვართო.... უბრალოდ, აფხაზეთ-ცხინვალს დროებით დააკონსერვებენო. ამ კლიშეს საზოგადოებაში პოლიტიკური იდიოტიზმის ელფერი უკვე მოედო, განიცადა ევოლუცია და ახლა სხვა პოსტულატზე გადაერთვნენ: ჩამოვიხსნათ გირები (აფხაზეთ-სამაჩაბლო) და გადავარჩინოთ არაოკუპირებული საქართველოს დარჩენილი 80%, ხოლო მერე, რომ ავყვავდებით, იმ დანარჩენ 20%-საც მივხედავთო. ტყუილია, ბატონებო, ეს, მტკნარი ტყუილი, სამწუხაროდ.

**დავხედოთ რუკას, თუ სად აქვს რუსეთს სამხედრო ბაზები განთავსებული. აფხაზეთი, ცხინვალი და გიუმრი (სომხეთი). ჰოდა, სულ რომ დამოუკიდებლობა ვაჩუქოთ აფხაზეთ-ცხინვალს, მაინც არ ჩადგამს ამ „სამკუთხედის შუაში“ ბაზას ნატო. არ ჩადგამს! ვინც ამის საწინააღმდეგოს ტირაჟირებს, ან პოლიტიკა არ ესმის, ან, ბანალურად, პურს ჭამს ამის ტირაჟირებით.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაახლოებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ როგორ წარიმართება საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთისა და დასავლეთის პოლიტიკა, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა საუბრის თემაა. აქ ვცდილობდი განმეხილა ის, თუ რა მოხდა და რა ხდება ჩვენ გარშემო, ილუზიების გარეშე.

სიტუაცია მძიმეა, მაგრამ, როგორც იტყვიან, გამოსავალი ყოველთვის არსებობს, ოღონდ სხვადასხვა მოცემულობით ანგაჟირებული ხალხი არ უნდა ხელმძღვანელობდეს ქვეყნის პოლიტიკურ მიმართულებებს, ქართველებმა უნდა ვაკეთოთ ქართული პოლიტიკა.

**მამუკა ჩხეიძე**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ყველაფერი მიმართული იყო იქით, რომ გაეცამტვერებინათ და შეელახათ ამ დიადი გამარჯვების ხსოვნა და წარსულისადმი ზიზღი და სიძულვილი დაეთესათ. აღმოეფხვრათ ისეთი ცნებები, როგორიცაა პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული, პატივისცემა წინაპრების ხსოვნისადმი, ხოლო, მათ ნაცვლად, დაენერგათ ლიბერალიზმი, გლობალიზაცია, ეს გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყნის ლამის ოფიციალური იდეოლოგია“.

# კურსკში ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წელი აღნიშნეს

**29 აპრილს რუსეთის ქალაქ კურსკში ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ისტორიულ-კულტურული ფორუმი გაიმართა. მასშტაბურ ღონისძიებას ესწრებოდნენ ომში მონაწილე პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამუსული ვეტერანები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ისტორიკოსები, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს 70 წლის წინ ბელორუსიისა და უკრაინის გამარჯვება და ომში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს. ფორუმში მონაწილეობდა ქართული დელეგაციაც, მას რუსეთში მოღვაწე ქართველი პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია ხელმძღვანელობდა. ქართველი ვეტერანები ომში დაღუპული მეომრებისთვის პატივის მისაგებად კურსკში საგანგებოდ ჩავიდნენ.**



## „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება“

მეოთხე საერთაშორისო ისტორიულ-კულტურულ ფორუმს, სახელწოდებით „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება. ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავი“, ამჯერად კურსკმა უმასპინძლა. ფორუმის ორგანიზატორები გახლდნენ პოლიტოლოგიური ცენტრი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ და არასამთავრობო ორგანიზაცია განვითარების ფონდი „ევრაზიული კვლევების ცენტრი“, ხოლო ღონისძიების სპონსორები — სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკური უნივერსიტეტი, ა. გორჩაკოვის სახელობის საჯარო დიპლომატიის მხარდაჭერის ფონდი და კომპანია „ტეპლოკომი“. აღსანიშნავია, რომ მანამდე მსგავსი ღონისძიება ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში ჩატარდა, რომელიც კურსკში დასკვნითი შეხვედრით დასრულდა.

**მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ყველა ქვეყნის დელეგატებმა ომში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და კიდევ ერთხელ გაიხსენეს ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ გამოჩენილი მათი გმირობა**. ღონისძიების მონაწილეებმა ალექსანდრე პუშკინის სახელობის კურსკის დრამატული თეატრის სცენაზე ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების მნიშვნელობაზე ისაუბრეს და გულისტკივილი გამოთქვეს, რომ დღეს ზოგიერთი შეგნებულად, ისტორიის არასწორი ინტერპრეტაციის გამო, იმ ადამიანების ღვაწლს, რომლებმაც სიცოცხლე არ დაიშურეს, ეჭვქვეშ აყენებს.

პლენარული სხდომა საერთაშორისო კავშირის — „ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამეგობრობის“ საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელს, ადმირალ **ალექსეი სოროკინს** მიჰყავდა. სხდომა შესავალი სიტყვით არასამთავრობო ორგანიზაცია განვითარების ფონდის „ევრაზიული კვლევების ცენტრის“ პრეზიდენტმა **ვალერი ტურსუნოვმა** გახსნა. რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უცხო ქვეყნებთან რეგიონული და კულტურული კავშირების სამმართველოს ხელმძღვანელმა **ვლადიმერ ჩერნოვმა** დამსწრე საზოგადოებას რუსეთის პრეზიდენტის გზავნილიც გააცნო.

მონაწილეები უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხნენ და აღნიშნეს, რომ უკრაინელი ხალხი 70 წლის წინ ფაშიზმის წინააღმდეგ იმიტომ არ იბრძოდა, ეს ყველაფერი 21-ე საუკუნეში ისევ განმეორებულიყოო.

**პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე ჭაჭია:**

— 70 წლის წინათ მთელი კაციობრიობა იმედითა და აღფრთოვანებით ადევნებდა თვალს წითელი არმიის სამხედრო ოპერაციებსა და თავისი მასშტაბებით განუზომელ გმირობას, რომელმაც დასაბამი დაუდო ფაშისტური ნაციზმისგან ევროპისა და მთელი მსოფლიოს გამარჯვებას. საგულისხმოა, რომ, თუ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ევროპასა და ამერიკაში საბჭოთა კავშირს, როგორც მსოფლიო ბოროტებას, ისე წარმოაჩენდნენ, სულ რაღაც რამდენიმე წლის შემდეგ ფაშისტური გერმანიის მოქმედება საკმარისი აღმოჩნდა საბჭოეთისა და მისი არმიის, როგორც ერთადერთი ძალის რეაბილიტაციისთვის, რომელმაც შეძლო, მსოფლიოს ხალხებისთვის თავისუფლებისა და ცხოვრების უფლება დაებრუნებინა.

თუ რის ფასად შეძლეს ჩვენმა ხალხებმა ამ მისიის შესრულება, კურსკელებმა კარგად იციან. ზუსტად კურსკის ბრძოლა გახდა ის საფუძველი, რომლიდანაც დაიწყო ჩვენი სამშობლოსა და ასევე ევროპის გათავისუფლება.

70 წელი გავიდა, ეს უკვე დიდი დროა, დღეს უკვე ომის შემდგომი მესამე, მეოთხე თაობები ფორმირდებიან და სწორედ ამ თაობის წარმომადგენლებს მოუწევთ, აირჩიონ ჩვენი შემდგომი განვითარების გზა — როგორი იქნება ეს გზა, პატრიოტიზმის, შრომის, სამართლიანობის, როგორც ეს იყო სამამულო ომის წლებში, თუ ეს გზა იქნება უპატიოსნობის, გამყიდველობის, მონობის, მათი ასარჩევია. 25 წელიწადია, ჩვენი წინაპრების ამ მიღწევებს ამცირებდნენ, ტალახს ესროდნენ; ტელევიზია, რადიო, პრესა, მხატვრული ლიტერატურა, კინოფილმები თუ სპექტაკლები, **ყველაფერი მიმართული იყო იქით, რომ გაეცამტვერებინათ და შეელახათ ამ დიადი გამარჯვების ხსოვნა და წარსულისადმი ზიზღი და სიძულვილი დაეთესათ. აღმოეფხვრათ ისეთი ცნებები, როგორიცაა პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული, პატივისცემა წინაპრების ხსოვნისა, ხოლო მათ ნაცვლად დაენერგათ ლიბერალიზმი, გლობალიზაცია, ეს გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყნის ლამის ოფიციალური იდეოლოგია.**

**საქართველოში არსებობს ოკუპაციის მუზეუმი, მაგრამ არა ფაშისტური ოკუპაციის, არამედ საბჭოთა ოკუპაციის, ხოლო გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი აღლუმი აკრძალულია. ქართველები სტალინის ძეგლებისა და დიდი სამამულო ომის მემორიალის დემონტაჟს ახორციელებენ, როცა ამ ომში 600 ათასი ქართველი იბრძოდა და მათგან 300 ათასი დაიღუპა. წიგნებსა თუ ოფიციალური პროპაგანდის საშუალებებში რუსეთი მტერია, ხოლო ევროპა და ამერიკა — ისტორიული მეგობრები.**

რადგან პატარა ქვეყნებს არ აქვთ საკმარისი რესურსი, წინ აღუდგნენ მძლავრ ინფორმაციულ ზეწოლას, თუ რუსეთი არ დაიცავს ამ ისტორიას, მომავალ თაობებს არც კი ეცოდინებათ ამ დიდი გამარჯვების შესახებ. ერთი რამ უნდა გავაცნობიეროთ: **თუ ჩვენს ისტორიას ინსინუაციებისა და სიცრუისგან არ გავწმენდთ, ჩვენს ქვეყნებს მომავალი არ ექნებათ. ევროპული ფაშიზმი, რომელიც 70 წლის წინ იყო, ბოლომდე ჯერაც არ განადგურებულა. დღეს საზოგადოებაში ის სხვა სახით და სხვა ლოზუნგებით აღმოცენდა, რათა გაანადგუროს და დაიმორჩილოს ევრაზიული ქვეყნები, რომელთა დამორჩილებაც 70 წლის წინათ არ გამოუვიდა. ვინც შეეცდება თავისი ნაციონალური იერსახის, ტრადიციების შენარჩუნებას, წნეხის ქვეშ მოაქცევენ და ეს ყველაფერი თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების სახელით გაკეთდება.** თავისუფლება ეს მათი ყველაზე საყვარელი სიტყვაა. ისინი მზად არიან, თავისუფლებისთვის მთელი ერები გაანადგურონ. თუმცა მიიჩნევენ რა საკუთარ თავს თავისუფლებისმოყვარედ, ევროპელებს ავიწყდებათ, რომ ჰიტლერს სულ რაღაც რამდენიმე თვე დასჭირდა, ამ თავისუფლებისმოყვარე ევროპის დასაჩოქებლად. **თავისუფალია ხალხი, რომელიც მზად არის, იცხოვროს თავისი ქვეყნის თავისუფლებისთვის და არ იქცეს ვინმეს მონად! დღეს ვინ ვის ასწავლის თავისუფლებას, როდესაც საბჭოთა ხალხებმა, უამრავი სიცოცხლის ფასად, არაადამიანური ძალისხმევის შედეგად, თავისი თავისუფლებაც დაიცვეს და ევროპელებსაც აჩუქეს თავისუფლება?!**

> **«თუ ჩვენს ისტორიას ინსინუაციებისა და სიცრუისგან არ გავწმენდთ, ჩვენს ქვეყნებს მომავალი არ ექნებათ. ევროპული ფაშიზმი, რომელიც 70 წლის წინ იყო, ბოლომდე ჯერაც არ განადგურებულა. დღეს საზოგადოებაში ის სხვა სახით და სხვა ლოზუნგებით აღმოცენდა, რათა გაანადგუროს და დაიმორჩილოს ევრაზიული ქვეყნები, რომელთა დამორჩილებაც 70 წლის წინ არ გამოუვიდა. ვინც შეეცდება თავისი ნაციონალური იერსახის, ტრადიციების შენარჩუნებას, ყველას წნეხის ქვეშ მოაქცევენ და ეს ყველაფერი თავისუფლების და ადამიანის უფლებების სახელით გაკეთდება»**

**ტარიელ გაგნიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი:**

— 1941 წელს, როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, არსებობდა ასეთი სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ჩვენც ვიყავით. საყოველთაოდაა ცნობილი ფაშისტური გერმანიის გეგმა, სახელწოდებით „ოსტ“, რომლის მიხედვითაც, ის უნდა დაპატრონებოდა საბჭოთა კავშირის ბუნებრივ რესურსებს, ხალხთა დიდი ნაწილი კი და მათ შორის — ქართველებიც, უნდა გაენადგურებინა, ხოლო ვინც გადარჩებოდა, მონებად უნდა ემუშავებინა „ათასწლოვანი რეიხის“ დიდების შესაქმნელად. სწორედ ამ გეგმის განსახორციელებლად წამოიწყო ჰიტლერმა ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კიდევ ერთხელ შევახსენო საზოგადოებას იმ ომის არსი, რომელში გამარჯვებაშიც ქართველებმაც შევიტანეთ ღირსეული წვლილი. ▶

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისეთი არაადამიანური დამოკიდებულება ომის ვეტერანებისადმი, როგორიც საქართველოშია, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ აქვთ. ზოგჯერ ისიც კი უთქვამთ, კიდევ ცოცხალი ხარო.

**ჩვენ, ქართველებმა, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, ქართველი უმაღლესი მხედართმთავრის, იოსებ სტალინის მეთაურობით გავიმარჯვეთ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ და სისხლისმღვრელ ომში. თანაც, გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე ქართველმა აღმართა.** ქართველებს გვჩვევია სიამაყით თავის მოწონება მრავალი მოგებული ომით და გავბედავ და ვიტყვი, რომ **ეს გამარჯვება ჩვენს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცელია, რომელსაც ყველა თაობა პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს.** კურსკში გამართული ღონისძიება მიძღვნილია ამ ომში უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავისადმი და ამ ღონისძიებაში საქართველოს დელეგაციაც ვმონაწილეობთ. მსგავსი ღონისძიებები წინა წლებშიც ტარდებოდა და, ადრეც და ახლაც, საქართველოს წარმომადგენლების მიმართ განსაკუთრებით ყურადღებიანი და გულწრფელი პატივისცემა იგრძნობა.

ჩვენს მონაწილეობას კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს — **საქართველოსა და რუსეთს შორის დღეს არსებული რთული ურთიერთობის ფონზე, საჭიროა, რუსეთში დაინახონ, რომ საქართველო და ქართველები არ არიან მხოლოდ სახელისუფლო პერსონები, გინდ ყოფილი ხელისუფლებისა და გინდ დღევანდელის.** თავად ბრძანდებოდით მოწმე, ალექსანდრე ჭაჭიას 10-წუთიანი გამოსვლა ზუსტად ათჯერ გააწყვეტინეს ტაშით, არ ვაჭარბებ, ზუსტად ათჯერ. მისნაირ პოლიტიკოსაა და მოაზროვნეს დღევანდელ საქართველოში ვერ დამისახელებთ.

**ალექსანდრე მიხაილოვი, კურსკის ოლქის გუბერნატორი:**

— მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი ღონისძიებების ჩატარება უაღრესად აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რათა ახალგაზრდებს ახსოვდეთ ის ადამიანები, რომლებმაც სამშობლოს გადასარჩენად სიცოცხლე არ დაიშურეს. ახსოვდეთ საკუთარი ისტორია, რათა მომავალში ყველაფერი გააკეთონ მშვიდობის შესანარჩუნებლად. კურსკის რეგიონს უამრავი გმირობა ახსოვს და დღეს ამ მიწაზე ის ადამიანები შეიკრიბნენ, რომელთა მამები, ბაბუები, იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ. ზოგიერთი აქ მყოფი, თავადაც იბრძოდა სამშობლოს გადასარჩენად.

**ისტორია დღესაც მეორდება — კვლავ ცდილობენ, თავს მოგვახვიონ მცდარი შეხედულებები. კაცობრიობა არჩევანის წინაშე დგას — ან მიიღოს თავსმოხვეული ე. წ. დასავლური ფასეულობები და უარი თქვას უფლებაზე, თავად განაგოს საკუთარი ბედი, უარი თქვას წინაპრების ხსოვნაზე ან დაიცვას თავისი ღირსება.** 70 წლის წინათ ეს ხალხები საბჭოთა კავშირის გარშემო გაერთიანდნენ აბსოლუტურ მსოფლიო ბოროტების წინააღმდეგ და დღესაც, ვისაც სურს თავისუფლების შენარჩუნება, რუსეთის გარშემო უნდა გაერთიანდეს მსოფლიო ბოროტებასთან საბრძოლველად. ჩვენ უკვე გვაქვს ასეთი გაერთიანების მყარი საფუძველი — ეს არის დიდ სამამულო ომში ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება.

**ალექსეი ვლასოვი, პოლიტოლოგიური ცენტრის, „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ აღმასრულებელი დირექტორი:**

— როდესაც საუბრობენ დიდ სამამულო ომში გამარჯვებაზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სახეზეა რამდენიმე ტენდენცია, პირველი: ისტორიის ცოდნისა და ჟურნალისტიკის პროფესიონალიზმის სიმწირე, რომელსაც მივყავართ ამ დიადი გამარჯვების ისტორიის ფალსიფიკაციამდე. ამიტომ აუცილებელია პროფესიონალი ისტორიკოსების, ჟურნალისტების დისკუსიები. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ასეთი ფორუმებისა და ღონისძიებების გამართვა. სწორედ ასეთ სიტუაციაში, როდესაც მიმდინარეობს ამ დიადი გამარჯვების დამახინჯების მცდელობა, ჩვენ ჩვენი საერთო გამარჯვების დასაცავად უნდა ვიყოთ ორინეტირებულები.

**ირაკლი უბილავა, „გლობალიზაციის ცენტრის“ წარმომადგენელი:**

— ბოლო წლებში საქართველოში მეორე მსოფლიო ომის შედეგების გაუფასურების ტენდენცია დამკვიდრდა, მაგრამ უნდა დავფიქრდეთ, იმ დროს საბჭოთა კავშირი, რომელიც თავდაცვით ომს აწარმოებდა, რომ დამარცხებულიყო, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ის ერები, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ იდეოლოგიას, რომელსაც იმხანად ნაციონალ-სოციალისტური გერმანია ავითარებდა, ადვილი მისახვედრია, რომ ამ ადამიანებს, სულ მცირე, მონობა და, ყველაზე დიდი, სრული განადგურება ელოდათ. აქედან გამომდინარე, ამ დღესასწაულს, 9 მაისს, არამხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრები ადამიანებისთვის, არამედ კაცობრიობისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ნაციონალ-სოციალიზმი მარტო საბჭოთა კავშირს კი არა, მთელ მსოფლიოს ემუქრებოდა.

მიმაჩნია, რომ კურსკში ძალიან კარგი ღონისძიება ჩატარდა. მინდა აღვნიშნო, რაც თვალშისაცემი იყო ერთი რამ — ისეთ სითბოს, რომელიც დღეს აქ ქართველმა ვეტერანებმა იგრძნეს, ასეთს საქართველოში, სამწუხაროდ, ვერ გრძნობენ.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდნენ, ასევე, რუსეთის ფედერაციის საბჭოს ხელმძღვანელის პირველი მოადგილე **ალექსანდრე ტორშინი**, სახელმწიფოთაშორისი ჰუმანიტარული თანამშრომლობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი **ანატოლი ისკანოვი**, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე კუტუზოვი, სისტემური ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის პრეზიდენტი (უკრაინა), როსტისლავ იშჩენკო,** საზოგადოებრივი მოძრაობა „რუსეთის საძიებო მოძრაობის“ პასუხისმგებელი მდივანი **ელენა ცუნაევა**, ყაზახეთის ნაციონალური უნივერსიტეტის იუნესკოს ცენტრის დირექტორი, პროფესორი **ლაილა ახმეტოვა.**

პარალელურად კურსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდებისთვის სესია გაიმართა. „დიადი გამარჯვება ისტორიულ მეცნიერებაში“, „თაობების გულებში... როგორ შევინახოთ და გადავცეთ ჩვენი საერთო ისტორიული მეხსიერება თაობებს“, „ჩვენ გვახსოვს, ჩვენ ვამაყობთ! დიადი გამარჯვება ახალგაზრდების თვალით“, — სწორედ ამ სამ ნაწილად წარმოდგენილ სესიაში, მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა. სესიაზე სიტყვით გამოვიდა ქართული დელეგაციის წარმომადგენელი, „თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ ხელმძღვანელი **ნიკოლოზ მეტრეველი**. ამის შემდეგ სესია კვლავ კურსკის დრამატულ თეატრში გაგრძელდა, სადაც, სხვა გამომსვლელებთან ერთად, მოხსენებით წარდგა ქართული დელეგაციის წარმომადგენელი, „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ დამფუძნებელი **გიორგი მდივანი.**

პოლიტოლოგიური ცენტრის „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე **იულია იაკუშევამ** რუსეთის პრეზიდენტისგან სპეციალური ჯილდო მიიღო.



**«საქართველოსა და რუსეთს შორის დღეს არსებული რთული ურთიერთობის ფონზე, საჭიროა, რუსეთში დაინახონ, რომ საქართველო და ქართველები არ არიან მხოლოდ სახელისუფლო პერსონები, გინდ ყოფილი ხელისუფლებისა და გინდ დღევანდელის»**

## ქართველი ვეტერანები

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სამამულო ომის ქართველი ვეტერანებიც, ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების ბრძოლების მონაწილეები. მათ შორის, ყველაზე უფროსი 91 წლის **ტარას იჩქიტიძეა.** ბატონი ტარასი ომში სნაიპერი იყო. ამბობს, რომ ოფიციალურად 59 მოწინააღმდეგე ჰყავს განადგურებული. იბრძოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სტალინგრადში, ბელორუსიაში, უკრაინაში, რუმინეთში, პოლონეთში, გერმანიაში.

„ხარაგაულში, ღარიბ, მრავალშვილიან ოჯახში დავიბადე. ჩემი ტყუპი ძმები მაშინვე წაიყვანეს ფრონტზე, ერთი — ფსკოვში, მეორე კი კავკასიის ფრონტზე მოხვდა. არც ოჯახში, არც სკოლაში არავისთვის მითქვამს, ისე გავიპარე კომისარიატში, არადა, მანამადე ხაშურს არ ვიყავი გაცილებული. რამდენიმეჯერ უარით გამომისტუმრეს, მაგრამ ომში მაინც წავედი. ეშელონებში ჩაგვსხეს და წაგვიყვანეს. 38 დღე გვატარეს და მიგვიყვანეს კუნძულ სახალინზე, სადაც სამხედრო ფიცი მივიღეთ, იქიდან სტალინგრადში წაგვიყვანეს. 1942 წლის ნოემბერია, მახსოვს, 30 გრადუსი ყინვა იყო, მდინარე იწვოდა ისეთი ბრძოლები მიმდინარეობდა. მდინარის მეორე მხარეს კატერით უნდა გადავსულიყავით. შუა წყალში გაფუჭდა. ამოყირავების საფრთხე იყო. წარმოიდგინეთ, ვოლგა გაყინულია, ყინულის ლოდები ეხეთქება კატერს, რომ გადაბრუნდეს, გაიყინები. ძლივს მივაღწიეთ ნაპირამდე. ბევრი გაიყინა... ვფიქრობდი, ნეტა დედაჩემმა გაიგოს, რომ აქ ვკვდები-მეთქი. სამი ტყვია დღემდე მაქვს ფეხში ჩარჩენილი. 14 იანვარი თენდებოდა, პირველად რომ დავიჭერი. მახსოვს, პატარა სუსტმა, 12-13 წლის გოგომ, ტანიამ ციგით წამიყვანა ჰოსპიტალში. 8 კილომეტრი მარტომ მატარა. მტერს რომ დავენახეთ, ჩაგვცხრილავდა. გარშემო ყუმბარები ცვიოდა, მაგრამ ხელს არ მიშვებდა. წაიქცეოდა, მაინც ადგებოდა და გზას აგრძელებდა. ასე გადავრჩი და 1945 წელს გამარჯვებას გერმანიაში შევხვდი“.

**ომის ვეტერანი შოთა ბუაძე ახლა 89 წლისაა, ომი რომ დაიწყო, მე-9 კლასში იყო, ომში წასვლის სურვილით, ისიც სახლიდან გაიპარა:**

— რამდენიმე მოსწავლემ კომისარიატს მივმართეთ, რათა სამშობლოს დასაცავად ომში წავეყვანეთ, მაგრამ უარით გამოგვისტუმრეს. ახლა რომ ლანძღავენ კომკავშირს, მაშინდელი განათლების სისტემა ისე იყო მომართული, პატრიოტულ აღზრდას დიდი ყურადღება ექცეოდა.

**— არ გაგიჭირდათ 16 წლის ბიჭს ფრონტზე, ომის ქარცეცხლში?**

— სამშობლოს დაცვა გმირობად მიგვაჩნდა. საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, პოეზია ხომ სულ გმირობაზეა აგებული. შეგნებული გვქონდა, სად და რისთვის მივდიოდით. ჯერ ადლერში წაგვიყვანეს, სამხედრო ნაწილში ათი დღე დავყავით, მოგვცეს ფორმები და გაგვანაწილეს. მე მოვხვდი საზენიტო არტილერიაში, კავკასიის ფრონტზე. ახლა ლაზარევსკაია ჰქვია იმ ადგილს. ვერავინ იფიქრებს, რომ ადრე იქ სამხედრო აეროდრომი იყო, ჩვენ სწორედ ამ აეროდრომს ვიცავდით. გამანაწილეს მზვერავად, მტრის თვითმფრინავი ხმით უნდა გამომეცნო — რომელი მარკისაა, ვისია, რა სიჩქარით მოფრინავს. პირველივე დღეს დაგვესხა თავს მტრის ავიაცია. ასევე ვიცავდი კრასნოდარის მთავარ სარკინიგზო სადგურს, რომელიც მთელი კავკასიის ფრონტს სამკურნალო საშუალებებითა და საკვებით ამარაგებდა, ამიტომ განუწყვეტლივ ბომბავდნენ.

ვიბრძოდი უკრაინაში, პოლონეთში, ბოლოს გამარჯვებას გერმანიის ტერიტორიაზე შევხვდი. მახსოვს, გერმანიის ქალაქი ბუნცლაუ 6 თვე ალყაში იყო, ჩვენ გავათავისუფლეთ და, როდესაც შევედით, რაც ვნახე, ჩემი მეხსიერებიდან არ წაიშლება — ცოცხლად გადარჩენილი ადამიანები ჩონჩხებს ჰგავდნენ.

**— დღეს თუ გრძნობთ სახელმწიფოსგან თანადგომასა და ყურადღებას?**

— **ომის მონაწილეებს მთავრობა უსინდისოდ მოგვექცა. მთავრობის ძალიან უკმაყოფილო ვარ. ვილაც ცრუ ისტორიკოსმა და ფსევდომეცნიერმა თქვა, ეს ჩვენი ომი კი არა, რუსეთის იყოო და ის ასეულათასობით კაცი, რომლებიც საქართველოდან ამ ომში ვიბრძოდით, შეურაცხგვყვეს.** არც ერთი ხელისუფლება ყურადღებას არ გვაქცევდა. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში ომის მონაწილეებს ქუჩაში ორდენებს აგლეჯდნენ. შევარდნაძის დროს, მართალია, მიიღეს კანონი ომის მონაწილეებისთვის შეღავათების დაწესების შესახებ, მაგრამ მალე ყველაფერი ისევ გაგვიუქმეს. **სააკაშვილმა 39 სახის შეღავათიდან თითქმის ყველა გაგვიუქმა, მხოლოდ უფასოდ მგზავრობის დაგვიტოვა. იმედი გვქონდა, როცა „ქართული ოცნება“ მოვიდოდა ხელისუფლებაში, გვეშველებოდა, მაგრამ ომის მონაწილის პენსიაც წაგვართვეს.** ასე უსინდისოდ მოგვექცნენ ომის მონაწილეებს. არადა, რელიკვიასავით შემოვრჩით. თბილისში სულ 700-მდე ომის მონაწილეა. საქართველოში კი 2 ათასამდე თუ იქნება.

დანაშაულია, რომ დღეს ომის ვეტერანებს შიათ და წყურიათ, არანაირ დახმარებას არ ვიღებთ. მე ვეტერანთა კავშირის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომისიის თავმჯდომარე ვარ და ყველა გაჭირვებულ ვეტერანთან მაქვს ურთიერთობა. გათბობის საშუალება რომ არ აქვთ ზამთარში, ჩაცმულებს სძინავთ. **ისეთი არაადამიანური დამოკიდებულება ომის ვეტერანებისადმი, როგორიც საქართველოშია, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ აქვთ. ზოგჯერ ისიც კი უთქვამთ, კიდევ ცოცხალი ხარო.**

ამიტომ მივესალმები ასეთ ღონისძიებებს, ეს ნიშნავს, რომ ვილაცას ვახსოვართ და პატივს გვცემს. ჩვენთვის მორალური მხარდაჭერაც ბევრს ნიშნავს.

**სერგო მირზოიანი, ომის ვეტერანი:**

— 16 წლის ვიყავი, როდესაც ომში გავიპარე, სკოლაც არ დამიმთავრებია. გავიპარე მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც გამეკეთებინა სამშობლოსთვის. 6-თვიანი წვრთნების შემდეგ წამიყვანეს ფრონტზე და მას შემდეგ სულ ბელორუსიის მესამე ფრონტზე ვიბრძოდი. თავსა და ფეხში ვარ დაჭრილი. მინდა ვთქვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის ასეთი ღონისძიებები და ძალიან კმაყოფილი მივდივარ. არ შეიძლება ჩვენს ქვეყნებს შორის ასეთი დაძაბული ურთიერთობა.

**კურსკის გუბერნატორ ალექსანდრე მიხაილოვთან საზეიმო შეხვედრის შემდეგ ისტორიულ-კულტურული ფორუმი სტუმრების პატივსაცემად გამართული ვახშმითა და კონცერტით დასრულდა.**

მოამზადა **შორენა ციქარაშვილმა**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლური საინფორმაციო საშუალებები ბოროტებას სიკეთედ ასაღებენ და აშშ-ის მტრების დემონიზაციით სიამოვნებას იღებენ. ისინი მალავენ აშშ-ის პასუხისმგებლობას ძალადობასა და ქაოსზე, ამერიკის მიერ წარმოებულ პოლიტიკას კი სიკეთისკენ მიმართულ ძალისხმევად წარმოაჩენენ.**

# სახელმწიფო გადატრიალებების ამერიკული მანქანა




*მცირე შემოკლებით გთავაზობთ ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტის, ნიკოლას დევისის წერილს, რომელიც მან www.alternet.org-ზე გამოაქვეყნა.*

**2004 წელს, მას შემდეგ, რაც აშშ-ის ძალისხმევით დაამხეს ჰაიტის პრეზიდენტი ჟან ბერტრან არისტიდის რეჟიმი, არისტიდის ადვოკატმა აირა კურზბანმა მაიამიში სიტყვით გამოსვლისას დასვა კითხვა: „რატომ არასდროს ხდება სახელმწიფო გადატრიალება ვაშინგტონში?“ და იქვე უპასუხა: „იმიტომ, რომ ვაშინგტონში აშშ-ის საელჩო არ არსებობს“. ადვოკატის ამ სიტყვებს აპლოდისმენტებით შეხვდნენ მსმენელები, რომელთა უმრავლესობასაც ჰაიტიდან წამოსული ამერიკელები შეადგენდნენ. ისინი მიხვდნენ, რაზე ლაპარაკობდა კურზბანი.**



**აშშ-მა, 1953 წლიდან მოყოლებული, სულ ცოტა, 80-ჯერ მოახერხა წარმატებული თუ წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა უცხო ქვეყნებში**

უკრაინის უშიშროების ყოფილმა შეფმა **ალექსანდრე იაკიმენკომ** ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ შეთქმულების ორგანიზატორები, რომლებმაც უკრაინის კანონიერად არჩეული ხელისუფლება დაამხეს, **„თითქმის ცხოვრობდნენ აშშ-ის საელჩოში. ისინი იქ ყოველდღე იმყოფებოდნენ“**. მასალებიდან, რომლებიც საჯაროდ გავრცელდა, ვიცით, რომ ამ ადამიანებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ აშშ-ის ელჩთან უკრაინაში **ჯეფრი ჰაიეტთან** და აშშ-ის ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან, რომელთა შორისაც იყო სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და აზიის საკითხებში **ვიქტორია ნულანდი**.

თუ უკრაინაში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებას ისტორიულ კონტექსტში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ **აშშ-მა 1953 წლიდან მოყოლებული, სულ ცოტა, 80-ჯერ მოახერხა წარმატებული თუ წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა უცხო ქვეყნებში. ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, როდესაც პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა ირანის მაგალითზე აღმოაჩინა, რომ ცსს-ს შეუძლია დაამხოს არჩეული ხელისუფლება, რომელიც უარს ამბობს, თავისი ხალხის მომავალი დასავლეთის ინტერესებს შესწიროს.**

აშშ-ის მიერ მოწყობილი ბევრი გადატრიალების შემდეგ დაიწყო სასტიკი რეპრესიები, ადამიანების მოტაცება, გასამართლება გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, წამება, კორუფცია, საშინელი სიღარიბე, უთანასწორობა. აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი უკრაინის პლუტოკრატიული და ულტრაკონსერვატიული ძალებიც, არ იქნება, ალბათ, გამონაკლისი.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი **ნოამ ჩომსკი** ამ თემაზე დაწერილ წიგნებს შორის საუკეთესოდ მიიჩნევს **უილიამ ბლუმის** ნაშრომს **„იმედის მკვლელობა: ამერიკელი სამხედროებისა და ცსს-ს ინტერვენცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“** (likking Hope: US Military and Cia Interventions since World WarII).

ისტორიულ კონტექსტს იმისა, რასაც კითხულობთ და ხედავთ ტელეეკრანზე უკრაინის შესახებ, „იმედის მკვლელობა“ მოგცემთ. ეს სათაური ისე, როგორც არასდროს, მიესადაგება დღევანდელობას, როდესაც ვხედავთ, რომ უკრაინის ყველა რეგიონის მოსახლეობის იმედი მსხვერპლად ეწირება იმ მიზნებს, რომელთა გამოც თავის დროზე დაზარალდნენ ხალხები შემდეგი ქვეყნებისა: **ირანი (1953); გვატემალა (1954); ტაილანდი (1957); ლაოსი (1958-1960); კონგო (1960); თურქეთი (1960, 1971, 1980); ეკვადორი (1961 და 1963); სამხრეთ ვიეტნამი (1963); ბრაზილია (1064); დომინიკის რესპუბლიკა (1963); არგენტინა (1963); ჰონდურასი (1063 და 2009); ერაყი (1963 და 2003); ბოლივია (1964, 1971 და 1980); ინდონეზია (1965); განა (1966); საბერძნეთი (1967); პანამა (1968 და 1989); კამბოჯა (1970); ჩილე (1973); ბანგლადეში (1975); პაკისტანი (1977); გრენადა (1983); მავრიტანია (1984); გვინეა (1984); ბურკინა-ფასო (1987); პარაგვაი (1989); ჰაიტი (1991 და 2004); რუსეთი (1993); უგანდა (1996) და ლიბია (2011).**

ამ ჩამონათვალში შეტანილი არ არის წარუმატებელი, აგრეთვე, აფრიკასა და სხვა ადგილებში მოწყობილი გადატრიალებები, რომლებშიც აშშ-ის მონაწილეობა დამტკიცებული არ არის, თუმცა ეჭვი არსებობს.

საგანგაშო რეალობა არის ის, რომ **დემოკრატიის გასანადგურებლად მიმართული ამერიკის ძალისხმევა, თანაც იმ დროს, როდესაც აშშ ცდილობს, ისე წარმოაჩინოს, თითქოს იცავს მას, მსოფლიოში ვითარებას უფრო სახიფათოს, უფრო უსამართლოს ხდის, და კლავს იმედს.**

მწერალმა **ჰაროლდ პინტერმა** 2005 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონიაზე თქვა: **„ამერიკა, უბრალოდ, პათოლოგიურად მანიპულირებს ძალაუფლებით მთელ მსოფლიოში, ამასთანავე, ინიღბება საყოველთაო კეთილდღეობის მომტან ძალად. ეს ჰიპნოზის ბრწყინვალე, ჭკვიანური და ძალიან წარმატებული აქტია... ეს არის სასტიკი, გულგრილი, მედიდური და შეუბრალებელი მოქმედებები, თუმცა ეს ძალიან ჭკვიანური მოქმედებებია**“.

ამერიკელთა მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალებების მექანიზმი 1953 წლიდან დღემდე თითქმის არ შეცვლილა. განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია, აგრეთვე, ძალადობაში აშშ-ის მონაწილეობის ხარისხში.

**აშშ უპირატესობას ანიჭებს „დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებს“ და უარს ამბობს შეჭრასა და ოკუპაციაზე. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და სხვა სპეცსამსახურები იმ საიდუმლო ოპერაციების განსახორციელებლად, რომლებიც მიმართულია ხელისუფლებების დასამხობად და იმ მოძრაობების ჩასახშობად, რომლებიც მსოფლიოზე აშშ-ის ბატონობას ეწინააღმდეგება, მარიონეტებს იყენებენ. გადატრიალება ასეთი ოპერაციების საკვანძო მომენტია. ხოლო, როდესაც „დაბალი ინტენსივობის“ მეთოდები შედეგს არ იძლევა, ქვეყანაში აშშ-ის პირდაპირი სამხედრო ჩარევა და ოკუპაცია გარდაუვალია.**

აშშ პანამას თავს დაესხა 1989 წელს — სახელმწიფო გადატრიალების 5 წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, **გენერალი ნორიეგას** დამხობის შემდეგ. **მანუელ ნორიეგა და სადამ ჰუსეინი დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ცსს-ს აგენტები და მათ მშვენივრად იცოდნენ ამერიკელთა საიდუმლო ოპერაციებისა და მეთოდების შესახებ, ამან მათ საშუალება მისცა, დაპირისპირებოდნენ გადატრიალების მცდელობებს, ვიდრე ამერიკელებმა სამხედრო ძალა არ გამოიყენეს.**

ამერიკელები უცხო ქვეყნებში სახელმწიფო გადატრიალებისთვის იყენებენ მეთოდებს, რომლებიც თითქმის არ შეცვლილა 1953 წლიდან დღემდე, როცა უკრაინაში დაამხეს კანონიერად არჩეული მთავრობა.

ეს მეთოდიკა ითვალისწინებს სამ ეტაპს:

## 1. ოპოზიციური ძალების შექმნა და გაძლიერება

რეჟიმის შეცვლის ამერიკული გეგმის პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის არჩევნების გზით და ანტიკონსტიტუციური ქმედებებით გადატრიალების მოწყობას შორის. ეს მეთოდები და ხერხები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიმუშავეს ევროპისა და აზიის ოკუპირებულ ქვეყნებში მემარჯვენე ძალების ხელისუფლების სათავეში მოსაყვანად. **ამ მეთოდებს შორის არის პოლიტიკური პარტიების, სტუდენტური ორგანიზაციების პროფკავშირების, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების შექმნა და დაფინანსება, კარგად ორგანიზებული და დაფინანსებული პროპაგანდისტული კამპანიის წარმოება**. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იტალიაში სასურველი ძალების გასამარჯვებლად აშშ-მა კათოლიკურ ეკლესიასთან ერთად პოპულარული მომღერალი **ფრენკ სინატრაც** გამოიყენა. გარდა ამისა, იტალიური წარმოშობის ამერიკელებისთვის დაბეჭდეს 10 მლნ წერილი იტალიაში მცხოვრები ნათესავებისთვის გასაგზავნად. ამასთანავე, ამ ომისგან დანგრეულ ქვეყანას დახმარების შეწყვეტითაც დაემუქრნენ. შედეგად იტალია აღმოჩნდა კორუფცირებული კოალიციის ხელში, რომელიც აშშ-ის მხარდაჭერით სარგებლობდა. **აშშ-მა ანალოგიური მეთოდი გამოიყენა ჩილეს წინააღმდეგ 1960-იან წლებში სალვადორ ალიენდეს არჩევისთვის ხელის შეშლის მიზნით**. 1958 წელს ალიენდეს ხმების 3 პროცენტი დააკლდა პრეზიდენტის პოსტზე ასარჩევად, ამიტომ აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯონ კენედიმ** ჩილეში სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცსს-ს 100-კაციანი ჯგუფი გაგზავნა 1964 წლის არჩევნებში ძირგამომთხრელი საქმიანობის შესასრულებლად. და ალიენდე 17%-ით დამარცხდა, მაგრამ, ამერიკული პროპაგანდის მიუხედავად, 1970 წელს ის მაინც აირჩიეს. სწორედ აქ გადაწყდა მისი ბედი — აშშ-ის მხარდაჭერით გათამამებულმა აუგუსტო პინოჩეტმა სამხედრო გადატრიალება მოაწყო.

აშშ უკრაინაში მუშაობს 1991 წლიდან, როდესაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ისინი იქ პროდასავლურ პარტიებს ეხმარებოდნენ, რამაც უკრაინა 2004 წელს „ნარინჯისფერ რევოლუციამდე“ მიიყვანა. თუმცა **დასავლეთისგან მხარდაჭერილი იუშჩენკოსა და ტიმოშენკოს მთავრობა არანაკლებ კორუმპირებული აღმოჩნდა, ვიდრე მისი წინამორბედი, და 2010 წელს პრეზიდენტად ვიქტორ იანუკოვიჩი აირჩიეს.** შემდეგ აშშ-მა ყველა თავისი ტრადიციული მეთოდი და ხერხი გამოიყენა და ამან 2014 წელს უკრაინა სახელმწიფო გადატრიალებამდე მიიყვანა.

დემოკრატიის მხარდამჭერმა ამერიკელმა ნაციონალურმა ფონდმა (National Endowment For Democraty), რომლის ბიუჯეტიც ყოველწლიურად 100 მლნ დოლარს შეადგენს, ცსს-ს ფუნქციები ნაწილობრივ შეითავსა ოპოზიციური პარტიების, მოძრაობებისა და კანდიდატების მომზადების საქმეში. ფონდის პრეზიდენტმა **კარლ გერშმანმა** 2013 წელს „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში უკრაინას „მთავარი პრიზი“ უწოდა.

## 2. ქუჩის დემონსტრაციები ძალადობის გამოყენებით

2013 წლის ნოემბერში **ევროკავშირმა პრეზიდენტ იანუკოვიჩს წარუდგინა 1500-გვერდიანი „შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“, რომელშიც მინიშნებაც კი არ იყო ევროკავშირში უკრაინის გაწევრებაზე. ეს შეთანხმება უკრაინის საზღვრებს ხსნიდა დასავლეთის ექსპორტისა და ინვესტიციებისთვის, მაგრამ არ ითვალისწინებდა ევროკავშირის საზღვრების გახსნას უკრაინული პროდუქციისთვის.** უკრაინას, რომელიც ყველისა და ქათმის უდიდესი მწარმოებელია, შეთანხმების მიხედვით, ყველისა და ქათმის მხოლოდ 5 პროცენტის გატანა შეეძლო. ამასთანავე, დასავლურ ფირმებს საშუალება ეძლეოდათ, უკრაინა გამოეყენებინათ რუსეთის ბაზრის ასათვისებლად. გასაგები მიზეზების გამო, იანუკოვიჩმა უარი თქვა ევროკავშირთან ხელშეკრულების გაფორმებაზე. ეს სიგნალი აღმოჩნდა პროდასავლურად განწყობილი ძალებისთვის და ისინი ქუჩაში გამოვიდნენ... 2014 წლის იანვარში ქუჩის საპროტესტო აქციები ძალადობაში გადაიზარდა, როდესაც ბრბოს სათავეში ჩაუდგნენ ნეონაცისტური პარტია „სვობოდას“ და „მემარჯვენე სექტორის“ წარმომადგენლები. „მემარჯვენე სექტორი“, რომელსაც აშშ-ში მცხოვრები უკრაინელები აფინანსებენ, სავარაუდოდ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ არის შექმნილი. კიევის ცენტრში აშშ-ის დახმარებით ორგანიზებულ საპროტესტო აქციებს 110 ადამიანის დაღუპვა და 1000-ზე მეტის დასახიჩრება მოჰყვა. უკრაინის უშიშროების ყოფილი ხელმძღვანელი თვლის, რომ სნაიპერები, რომლებიც ხალხს ფილარმონიის შენობიდან ესროდნენ, ამერიკელების მიერ იყვნენ დაქირავებულნი.

## 3. სახელმწიფო გადატრიალება

**ოპოზიციური ძალების შექმნა და მათი მომზადება აქტიური მოქმედებისთვის, აგრეთვე, ქუჩებში ძალადობა — ეს არის მიზანმიმართული სტრატეგია საგანგებო ვითარების შესაქმნელად, რომელიც საფუძველი უნდა გახდეს კონსტიტუციურად არჩეული მთავრობის ჩამოსაშორებლად და შემდეგ — ძალაუფლების ხელში** ▶

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2004 წელს, მას შემდეგ, რაც აშშ-ის ძალისხმევით დაამხეს ჰაიტის პრეზიდენტი ჟან ბერტრან არისტიდის რეჟიმი, არისტიდის ადვოკატმა აირა კურზბანმა მაიამიში სიტყვით გამოსვლისას დასვა კითხვა: „რატომ არასდროს ხდება სახელმწიფო გადატრიალება ვაშინგტონში?“ და იქვე უპასუხა: „იმიტომ, რომ ვაშინგტონში აშშ-ის საელჩო არ არსებობს“. ადვოკატის ამ სიტყვებს აპლოდისმენტებით შეხვდნენ მსმენელები, რომელთა უმრავლესობასაც ჰაიტიდან წამოსული ამერიკელები შეადგენდნენ. ისინი მიხვდნენ, რაზე ლაპარაკობდა კურზბანი.**

◀ **ჩასაგდებად.** როდესაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან მივლინებულმა კურატორებმა გადატრიალების ლიდერები მოამზადეს, ამერიკის ხელისუფლებამ გეგმა აამოქმედა და ქუჩებში დაიწყო ძალადობა. თითქმის მთლიანად უარყოფილი იქნა კანონი და წესრიგი, მუშაობა შეწყვიტა სახელმწიფო დაწესებულებებმა, და დარჩენილი იყო გადამწყვეტი დარტყმა ხელისუფლების დასამხობად და მის ადგილას სახელმწიფო გადატრიალების ლიდერების დასმა.

ვიტალი კლიჩკოს განცხადების მიუხედავად, პარლამენტი დაიწყებს იანუკოვიჩის იმპიჩმენტის პროცედურას, იმავე დღეს, რადგან იმპიჩმენტისთვის საჭირო 338 ხმის მოგროვება ვერ შეძლეს, საპარლამენტო უმცირესობამ, დეკლარაცია მიიღო პრეზიდენტ იანუკოვიჩის გადაყენების შესახებ და მის ადგილას არაკონსტიტუციური გზით ალექსანდრე ტურჩინოვი დანიშნა. 27 თებერვალს კი პრემიერმინისტრად არსენი იაცენიუკი დანიშნეს — ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ნულანდი და ჰაიეტი გეგმავდნენ.

**მთავარი, რითაც უკრაინაში მომხდარი გადატრიალება განსხვავდება აშშ-ის მიერ მოწყობილი წინა გადატრიალებისგან, არის ის, რომ უკრაინაში არმიის როლი მინიმალური იყო. 1953 წლიდან ამერიკელთა ძალისხმევით მოწყობილ გადატრიალებებში გამოყენებული იყვნენ ადგილობრივი ოფიცრები. ჯილდოდ კი ისინი იღებდნენ პრეზიდენტის პოსტს, დიქტატორის უფლებამოსილებებს ან მაღალ პოსტებს მთავრობაში, რომელსაც მხარს აშშ უჭერდა**. უკრაინის არმიის ნეიტრალურმა პოზიციამ მიზანშეუწონელი გახადა მისი გამოყენება ანტირუსული გადატრიალებისთვის, ამიტომ ნულანდმა და ჰაიეტმა უკრაინაში სიახლე დანერგეს — **ძალადობის გასაფართოებლად და ძალაუფლებისთვის ბრძოლაში დამრტყმელ ძალად ნეონაცისტური პარტია „სვობოდა“ და „მემარჯვენე სექტორი“ გამოიყენეს.**

ძალადობა, ქაოსი, სიდუხჭირე და არასტაბილურობა კი ყოველთვის იმ ხალხის მხრებს აწვება, რომელიც აშშ-მა მიზანში ამოიღო. გადატრიალების ამერიკელი ლიდერები, ნულანდისა და ჰაიეტის მსგავსნი, ხშირად მიირთმევენ ღვეზელის პირველ თუ არა მეორე ან მესამე ნაჭერს მაინც, და წინ მიიწევენ სახელმწიფო დეპარტამენტსა და ცენტრალური სამმართველოს იერარქიულ კიბეზე. ამერიკული გადატრიალებების კიდევ ერთი მახასიათებელი არის ის როლი, რომელსაც დასავლური მედიასაშუალებები თამაშობენ ოფიციალური ლეგენდებისა და ისტორიების რეკლამირებაში, აგრეთვე, ნამდვილი ჟურნალისტიკის ჩახშობაში. **დასავლური საინფორმაციო საშუალებები ბოროტებას სიკეთედ ასაღებენ და აშშ-ის მტრების დემონიზაციით სიამოვნებას იღებენ. ისინი მალავენ აშშ-ის პასუხისმგებლობას ძალადობასა და ქაოსზე, ამერიკის მიერ წარმოებულ პოლიტიკას კი სიკეთისკენ მიმართულ ძალისხმევად წარმოაჩენენ.**

**ნიკოლას დევისი**

# მოკლეს კიდევ ერთი ჟურნალისტი, რომელიც აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მოწყობაში ადანაშაულებდა




**ამა წლის 13 აპრილს მოკლეს ცნობილი ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი, ვებგვერდ From The Widerness-ის დამფუძნებელი მაიკლ რუპერტი, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) მონაწილეობას იკვლევდა და ამის თაობაზე წერილებიც ჰქონდა გამოქვეყნებული. ჟურნალისტი ცსს-ს 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკში მდებარე საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის შენობების განზრახ დანგრევასა და ამ სისხლიანი ტრაგედიის ტერორისტულ აქტად გაფორმებაში ადანაშაულებდა.**

გარდა ამისა, 1996 წელს რუპერტის მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების საფუძველზე, რომელშიც წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ნარკოტიკებით ვაჭრობდა საიდუმლო ოპერაციების დასაფინანსებლად, ცსს-ს იმჟამინდელი დირექტორი ჯონ დეიჩი თანამდებობიდან გადადგა.

ალსანიშნავია, რომ 2013 წლის მარტში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი კაპიტანი, ავტორი წიგნისა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) ადმინისტრაციისა და არაბი შეიხების შეთქმულების შესახებ, ფილიპ მარშალი თავის 14 წლის გოგონასა და 17 წლის ვაჟთან ერთად მოკლული იპოვეს. ფილიპ მარშალს ჰქონდა მტკიცებულებები, რომ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია თანამშრომლობდა საუდის არაბეთის დაზვერვასთან, რომელმაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის განმხორციელებლები მოამზადა.

მარშალის კოლეგა, ჟურნალისტი უეინ მედსენი, რომელიც გამოძიებაში მონაწილეობდა, ამტკიცებს, რომ ფილიპ მარშალის მკვლელობაში ცსს-ს ხელი ურევია.


ფილიპ მარშალი შვილებთან ერთად

# ბერლუსკონის მოხუცთა თავშესაფარში მუშაობა მიუსაჯეს




**იტალიის ყოფილმა პრემიერმინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ მოხუცთა თავშესაფარში უნდა იმუშაოს. ეს სასჯელი იტალიის ერთ-ერთ მდიდარ და გავლენიან ადამიანს სპეციალური ტრიბუნალის მსაჯულთა კომისიამ გამოუტანა. თუმცა 77 წლის ბერლუსკონი ოპტიმისტურად არის განწყობილი და მოკლე ხანში პოლიტიკაში დაბრუნებას გეგმავს.**

მედიამაგნატს, რომლის „იმპერიაშიც“ შედის მაღაზიათა ქსელი, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო და საპენსიო ფონდები, აგრეთვე, პოპულარული საფეხბურთო კლუბი „მილანი“ პირველად არ უკრძალავენ იტალიურ პოლიტიკურ ოლიმპზე ყოფნას — ბერლუსკონის წინააღმდეგ 50-ჯერ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მას ადანაშაულებდნენ თაღლითობაში, კორუფციაში, მექრთამეობაში, სექსუალურ ძალადობაში... მაგრამ ციხეში ვერავინ ჩასვა.

ბერლუსკონის პირველი კონფლიქტი მართლმსაჯულებასთან 1994 წელს შეექმნა, როდესაც იტალიელი პოლიტიკოსის ჰოლდინგი „ფინინვესტი“ ფინანსური პოლიციის ოფიცრების მოსყიდვაში დაადანაშაულეს. იმხანად სილვიოს 33 თვით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ის სააპელაციო სასამართლომ გაამართლა...

2011 წლის თებერვალში მილანის სასამართლოში დაიწყო ყველაზე რეზონანსული პროცესი, რომელიც ისტორიაში „რუბიგეიტის“ სახელწოდებით შევიდა. გამოძიებამ იტალიის ექსპრემიერი არასრულწლოვან მაროკოელ მეძავ და მუცლის ცეკვის შემსრულებელ ქარიმა ალ მარუგთან ("რუბი გულებზე მონადირე") სექსუალურ ურთიერთობაში დაადანაშაულა. არკორაში ბერლუსკონის ვილაზე მოწყობილ სტრიპტიზსაღამოში 20-მდე გოგონა მონაწილეობდა, მათ შორის არასრულწლოვანებიც. გოგონებმა განაცხადეს, რომ ბერლუსკონი მათ ყოველთვიურად აძლევდა თანხას. მსაჯულებმა ჩათვალეს, რომ ექსპრემიერი გოგონებს ფულს ინტიმური მომსახურებისთვის უხდიდა და 2013 წელს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. „რუბიგეიტის“ პარალელურად მიმდინარეობდა ბერლუსკონის კუთვნილი კომპანია „მედიასეტის“ საქმის გამოძიებაც. კომპანია ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულეს და ყოფილ პრემიერს კიდევ 4 წელი დაუმატეს. იტალიური მემარცხენე გაზეთები წერდნენ: „ბერლუსკონის ეპოქა დასრულდა!“ თუმცა იტალიური კანონების მიხედვით, 70 წელს გადაცილებული პირის ციხეში ჩასმა მხოლოდ მკვლელობის გამო შეიძლება და ყველაზე მეტი, რაც ბერლუსკონის ელის, საშინაო პატიმრობა ან საზოგადოებრივი მუშაობაა, რომელიც გადაადგილების უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა.

სილვიო ბერლუსკონის ადვოკატებმა თავიანთი კლიენტის გადაწყვეტილება მსაჯულებს გააცნეს: „ფიზიკური და გონებრივი ინვალიდების დახმარებით, მინდა, სულიერად გავმხნევდე!“. მილანის სასამართლომ გაითვალისწინა ბერლუსკონის თხოვნა და მას სასჯელად ინვალიდ მოხუცთა თავშესაფარში 10-თვიანი იძულებითი მუშაობა მიუსაჯა“.

**იტალიის ყოფილი პრემიერი მილანთან ახლოს, ლომბარდიის მოხუცთა თავშესაფარში იმუშავებს.**

ბერლუსკონის მთავარი გამარჯვება კი არის ის, რომ პოლიტიკური მოღვაწეობა არ აუკრძალეს. ის თავის მომხრეებს დაჰპირდა, რომ დაბრუნდება და გაიმარჯვებს. ექსპრემიერის პოლიტიკური მრჩევლის ჯოვანი ტოტის განცხადების თანახმად, 25 მაისს დანიშნულ ევროპარლამენტის არჩევნებში პარტია „წინ, იტალიის“ სიას სათავეში სწორედ ბერლუსკონი უნდა ჩაუდგეს.



# ესპანეთში ბავშვებს მშობლების პატივისცემა დაავალდებულეს, პედოფილებს კი პედაგოგობას აუკრძალავენ

**ესპანელები ანცი და მოუსვენარი ბავშვების აღსაზრდელად სპეციალურ კანონს იღებენ, რომელიც 18 წლამდე მოზარდებზე გავრცელდება.**

ახალი კანონის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, მოზარდისთვის სავალდებულო იქნება მშობლების პატივისცემა (?!) და მათთვის საოჯახო საქმეებში დახმარება, აგრეთვე, სკოლაში ქცევის წესების დაცვა. გარდა ამისა, ესპანეთის პარლამენტი განიხილავს კანონს, რომელიც პედოფილებს ბავშვებთან მუშაობას აუკრძალავს. ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც სკოლაში ბავშვებთან მუშაობას განიზრახავს, პოლიციის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტები უნდა წარადგინოს.



# ცნობილი ბრიტანელი ტელეწამყვანი ჰეროინმა იმსხვერპლა

**ბრიტანელი მოდელი და ტელეწამყვანი პიჩეს გელდოფი ჰეროინის გადაჭარბებული დოზის მიღების გამო დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ 2000 წელს პიჩეს გელდოფის დედა პოლა იეიტსიც ნარკოტიკმა იმსხვერპლა.**

პოპულარული ირლანდიელი მომღერლის, ბობ გელდოფის 25 წლის ქალიშვილი 7 აპრილს კენტის საგრაფოში მდებარე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. რამდენიმე დღის წინათ კი გამოქვეყნდა ექსპერტთა დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ პიჩეს გელდოფის სიკვდილი ჰეროინის დიდი დოზით მიღებამ გამოიწვია.

პიჩესმა კარიერა ჟურნალ „ელეში“ მასალების ბეჭდვით დაიწყო, შემდეგ მისი სტატიები The Telegraph-მა და The Guardian-მაც გამოაქვეყნეს, ამასთანავე, პიჩესს მიჰყავდა გადაცემა ტელეარხ ITV2-ზეც. ის აქტიურად მონაწილეობდა ბრიტანეთის ე.წ. მაღალი საზოგადოების ცხოვრებაშიც. პიჩესის მამა ბობ გელდოფი 1970-1980 წლებში ირლანდიური პანკროკ ჯგუფ The Boomtown Pars-ის ლიდერი იყო, მოგვიანებით კი კარიერა სოლისტის როლში განაგრძო, ის ორჯერ იყო ნომინირებული ნობელის პრემიაზე მშვიდობის დარგში.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰომოსექსუალობის მფარველობით საქართველოს პარლამენტი დანაშაულის ხელშემწყობი და თანამონაწილე ხდება, ამიტომ იგი კინწისკვრით გაყრას იმსახურებს.**

**ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომლის მიღებასაც საქართველოს პარლამენტი აპირებს, ვფიქრობ, ისეთი დაპირისპირების მიზეზი გახდება, ერთი მხრივ, ხელისუფლებასა და, მეორე მხრივ, ერსა და ბერს შორის, როგორიც ჩვენს უახლეს ისტორიაში არ ყოფილა. არ ყოფილა იგი „ნაცმოძრაობის“ ავადსახსენებელ 9-წლიან პერიოდშიც კი, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ყურად არ იღო საქართველოს პატრიარქის თხოვნა და სხვადასხვა, ე. წ. არატრადიციული რელიგიები მართლმადიდებლობასთან გაათანაბრა!**

# კანონი, რომელსაც ხელისუფლება გადაჰყვება

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაც უზნეო ბავშვივით ჯიუტობს, ისიც არაფრად აგდებს პატრიარქის თხოვნას კანონის განხილვის გადავადების(!) თაობაზე, და თავისი გადაწყვეტილების სისწორეში მოსახლეობის დარწმუნებას ყოვლად მიუღებელი, უაზრო „არგუმენტით“ ცდილობს — „ევროპა თუ გვინდა, ეს კანონი სასწრაფოდ მისაღებია, არმიღებით რუსეთში ჩავრჩებით“! ხელისუფლებას კარგად მოეხსენება, რომ **საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სრულებითაც არ გვინდა ისეთი ევროპა, რომელიც ჰომოსექსუალობას დაგვაძალებს.** მოეხსენება ისიც, რომ რუსეთში ჰომოსექსუალობის პროპაგანდა კარგა ხანია აიკრძალა; თუ, ამ კონკრეტულ საკითხშიც არ გვარგებს რუსეთის მიბაძვა?! და მაინც ევროპა გვინდა?! საერთოდ, რას ნიშნავს „ევროპა თუ გვინდა“, ამ კანონით ევროპას გვაძლევენ?! თუ პირიქით — იძულებულს გვხდიან, იქეთ მივეცეთ ევროპას!

ევროპაში უვიზო მიმოსვლისთვის ან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისთვის ერის დამღუპველი კანონის მიღება ნორმალურ კაცს როგორ უნდა მოუვიდეს თავში! კანონის შინაარსსაც თავი რომ დავანებოთ, იმასაც ვერ გვიხსნიან, რატომაა ეს დასაწვავი კანონი ასე სასწრაფოდ მისაღები, ამისთანა რა ცეცხლი უკიდიათ (თუ წაუკიდეს!), ანუ რა „პაჟარი“ აქვთ „ქოც-ნაცებს“ ისეთი, რომ მისი განხილვის გადადების თხოვნაც არ შეუსრულეს პატრიარქს. იციან, რომ მათ სიჯიუტეს აუცილებლად მოჰყვება დიდი დაპირისპირება ქვეყანაში, და მაინც მიდიან ამაზე! პარლამენტის ყოვლად აუხსნელი აჩქარება ეჭვებს აჩენს – დიდი ხანია, ჩვენ პოლიტიკური ექსპერიმენტების პოლიგონი ვართ და მოსალოდნელი არეულობაც ექსპერიმენტატორების ჩაფიქრებულს ხომ არ წააგავს?

ერთი შეხედვით, თითქოს რა უნდა იყოს ამ კანონში ცუდი?! იგი ხომ მხოლოდ დისკრიმინაციის, ანუ რელიგიურ, ეთნიკურ, რასობრივ და გენდერულ ნიადაგზე შევიწროება-დევნის აკრძალვას ნიშნავს. ასეთი ცხოვრების წესი, ჩვენი ბრძენი მეფეების წყალობით, ხომ ისედაც საუკუნეებია მოქმედებს საქართველოში — ტრადიციული, ტოლერანტული თანაცხოვრების ნორმები ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი ყველას და ამ თვალსაზრისით ფორასაც მივცემთ სხვა ერებს. მაშ, რამ აღაშფოთა ასე ძლიერ ერი და ბერი? — რამ და, პედერასტების ნორმალურ ადამიანებთან გათანასწორების მცდელობამ (უვიცთათვის განვმარტავ, რომ ჰომოსექსუალების პედერასტებად მოხსენიება სრულებითაც არ ნიშნავს სიძულვილის ენას; „პედერასტი“ გახლავთ მეცნიერებაში და ლიტერატურაში დამკვიდრებული უძველესი ტერმინი, რომელიც, განსხვავებით „ჰომოსექსუალისგან“, ზუსტად გადმოსცემს ამ მოვლენის არსს. **„პედერასტი“ ზუსტად იმდენად არის დამამცირებელი, რამდენადაც სამარცხვინოა თავად პედერასტობა მოცემულ სახელმწიფოში!** „უფლებადამცველებს“ სალაპარაკო რომ არ დავუტოვო, ამიტომ ჰომოსექსუალების ანალოგიურად ჰეტეროსექსუალებსაც ზოგჯერ არაპედერასტებად მოვიხსენიებ, ნორმალური უმრავლესობა არ გამინაწყენდება).

ჩვენი აღშფოთება არ უნდა დაემსგავსოს ჩვენი „მეგობრების“ შეშფოთებებს, მოსახლეობის პროტესტმა ფეხზე უნდა დააყენოს ყოველი არაპედერასტი ადამიანი. აქ ზნეობაზე ხელის აღებაში და სოდომ-გომორის ცოდვაში ფეხის ჩადგმაში არ არის მხოლოდ საქმე. ეს თავისთავად ასეა, მაგრამ, თუ თვალს გადავავლებთ „დემოკრატიულ“ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ უკანასკნელ 30-40 წელიწადში ჯერადობით იმატა პედერასტების რაოდენობამ მსოფლიოში. ამერიკის დიდ ქალაქებში ისინი მოსახლეობის 5-დან 15 %-ს(!) შეადგენენ. სექსუალური ჯანმრთელობისა და ქცევის შემსწავლელი ეროვნული ცენტრის 2010 წლის კვლევებით, ამერიკაში ქალების 7% ლესბოსელია, კაცების 8 % კი – გეი **(ჰომოსექსუალი, ანუ პედერასტი), საერთო ჯამში, — 22–25 მილიონი ადამიანი! კატასტროფის წინაშე დგას მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით, ჩვენისთანა პატარა ერები და ნაცვლად იმისა, რომ დემოკრატიით თავმომწონე სახელმწიფოებმა განგაშის ზარებს შემოჰკრან, პირიქით, ყველანაირი ხერხებით აიძულებენ დანარჩენ მსოფლიოს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას, ჰომოსექსუალების გათანაბრებას ჰეტეროსექსუალებთან!**

რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი თანასწორი, თანასწორუფლებიანი უნდა იყოს, მაგრამ რას ნიშნავს „ყველა ადამიანი“? სულით ავადმყოფიც?! „გიჟი თავისუფალიაო“, — ვამბობთ, თორემ მათ იმავე უფლებებს კი არ ვანიჭებთ, რომელთაც ნორმალურ ადამიანს, პირიქით, აუცილებლად გარკვეულშეზღუდვებს ვუწესებთ. კაცობრიობის დასაბამიდან პედერასტობა ნორმიდან გადახრად, ფსიქიკურ დაავადებად ითვლებოდა და მეოცე საუკუნის ბოლოს გამოგვიცხადეს, რომ ყველანი (ყველა დროის მედიცინის კორიფეები, ფილოსოფოსები და სხვები) ცდებოდნენ, ჰომოსექსუალები სავსებით ნორმალური და საზოგადოებისთვის მისაღები, სასურველებიც კი არიანო. ახლა კი გვაძალებენ(!), მოდით, მათი ნორმალურობა კანონით გავაფორმოთო.



**«პედერასტი» ზუსტად იმდენად არის დამამცი-რებელი, რამდენადაც სამარცხვინოა თავად პედერასტობა მოცემულ სახელმწი-ფოში!**

პედერასტების ნორმალურობის დასაბუთებისას მათი უფლებადამცველები ერთადერთ დოკუმენტს იშველიებენ – ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ 1973 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას დაავადებათა ნუსხიდან ჰომოსექსუალობის ამოღების თაობაზე. ბუნებრივია, ნებისმიერს დაებადება კითხვა, თუ რის საფუძველზე მოხდა ეს რევოლუციური ცვლილება, რა მეცნიერული აღმოჩენა გაკეთდა ამერიკაში 70-იან წლებში ისეთი, რომ საუკუნეების მანძილზე ფსიქიკურ დაავადებად ცნობილი, კრიმინალთან გათანაბრებული პედერასტობა უცებ ნორმად, უწყინარ სექსუალურ ორიენტაციად(!) მოინათლა და, შესაბამისად, სახელიც შეეცვალა — პედერასტობას ჰომოსექსუალობა ეწოდა. ერთობ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ „აღმოჩენამ“ მხოლოდ 19(!) წლის შემდეგ ჩააღწია ევროპაში. ადვილი მისახვედრია, რომ არავითარ აღმოჩენას ადგილი არ ჰქონია. ამის თაობაზე ასოციაციის ყოფილი წევრი ჯეფრი სატინოვერი თავის ნაშრომში „ჰომოსექსუალობა და სიმართლის პოლიტიკა“ (1996) წერს, რომ **ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ ჩატარებული ხმის მიცემა ჰომოსექსუალობის „გასანორმალურებლად“ ნაკარნახევი იყო პოლიტიკით და არა – მეცნიერებით! არავითარი კლინიკური და მეცნიერული არგუმენტები ჰომოსექსუალობის შეფასებაში ცვლილების შესატანად არ არსებობდა, და რომ ასოციაციაზე განხორციელებულ იქნა ზეწოლა რადიკალური აქტივისტი-ჰომოსექსუალების მხრიდან!** (ფსიქიატრთა ასოციაციაში შექმნილმა ჰომოსექსუალების ფრაქციამ 1970 წელს დაგეგმა ასოციაციის ყოველწლიური სხდომების ჩაშლა, ცნობილ ფსიქიატრს და ფსიქოანალიტიკოს ირვინგ ბიბერს ობსტრუქცია მოუწყვეს სხდომაზე და იგი რასისტს შეადარეს; ჰომოსექსუალური მოძრაობის აქტივისტებმა „გეების განთავისუფლების ფრონტს“ მოწოდებით მიმართეს, მოეწყოთ დემონსტრაცია 1971 წლის მაისში; დამუშავდა არეულობების ორგანიზების სტრატეგია; ეს ჰომოსექსუალი პროტესტანტები მართლაც შევარდნენ 3 მაისს სხდომაზე და ძალით იგდეს ხელთ მიკროფონი. არეულობების გაგრძელების მუქარის ქვეშ და, რაც ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი იყო, ხელისუფლების მხრიდან დაკავებული აშკარა პროპედერასტული პოზიციის გამო, ჰომოსექსუალიზმი ამოღებულ იქნა დაავადებათა ნუსხიდან. სწორედ ამ დროიდან იწყება ტერმინ „პედერასტის“ იძულებითი განდევნა და უნგრელი პედერასტის მიერ მე–19 საუკუნის ბოლოს მოგონილი ტერმინის — „ჰომოსექსუალის“ ნაძალადევი დამკვიდრება. არადა, ხმარებიდან ამოსაღებია არა ტერმინი „პედერასტია“, არამედ, ტერმინი „სექსუალური ორიენტაცია“, რადგანაც ნორმაში მხოლოდ ერთი ორიენტაცია არსებობს — ქალისა და მამაკაცის ურთიერთლტოლვა, ყველა სხვა ე. წ. ორიენტაცია არის ბიოლოგიური ნორმიდან გადახრა. ასეთ გადახრას კი სამედიცინო ენაზე სიმახინჯე ეწოდება!).

მე არ ვაპირებ ჰომოსექსუალობაზე, როგორც ფსიქიკურ დაავადებაზე (გნებავთ, როგორც დევიაციაზე) ან მის ზნეობრივ მხარეზე, როგორც სოდომ-გომორის ცოდვაზე საუბარს. ამაზე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, მაგრამ ეს არგუმენტები არათუ თავად ჰომოსექსუალებზე არ ჭრის, მათ არ იზიარებს ჰეტეროსექსუალებად წოდებული დეპუტატებიც (ფაქტია, ანტიდისკრიმინაციული კანონი 109 ხმით, ერთხმად (!) იქნა მიღებული პირველი მოსმენით). ამიტომ დროებით გვერდზე გადავდოთ ჰომოსექსუალობა, როგორც ავადმყოფობა და როგორც ცოდვა. გაუშვი, ჰომოსექსუალებმა იფიქრონ, რომ არც არაფერი სჭირთ (ისედაც ცნობილია, რომ ადამიანები, ფსიქიკური აშლილობით, იშვიათად თვლიან თავს ავადმყოფებად!) და ზნეობრივადაც საზოგადოებისთვის მისაღებნი არიან, და ამ, მართლაც, 21-ე საუკუნის ჭირის (ზოგისთვის, ლხინის) მხოლოდ სამართლებრივ მხარეს შევეხოთ.

ზედმეტია იმის ახსნა, რომ თანასწორობა თანასწორუფლებიანობას ნიშნავს და სხვას არაფერს. მაშასადამე, ჰომოსექსუალებს კანონით მინიჭებული ექნებათ ზუსტად იგივე უფლებები, რაც ყველა დანარჩენს (სხვა შემთხვევაში, კანონში ჩამოწერილი იქნებოდა ის შეზღუდვები, რომლებიც გამონაკლისის სახით მხოლოდ მათზე გავრცელდებოდა და მაშინ უკვე დისკრიმინაციასთან გვექნებოდა საქმე). ექნებათ თუ არა ასეთ ადამიანებს შეკრების, მიტინგის ან აღლუმის ჩატარების უფლება? რა თქმა უნდა, ექნებათ! იქნება თუ არა ეს ჰომოსექსუალობის პროპაგანდა? უდავოდ! დასჯადი იქნება თუ არა ჰომოსექსუალობის ცოდვად, გარყვნილებად და ზნეობრივ გადაგვარებად გამოცხადება? აუცილებლად იქნება! შეეძლებათ თუ არა ლესბოსელებსა და პედერასტებს თავისნაირებზე დაქორწინება, ბავშვების შვილად აყვანა? როდესაც თანასწორუფლებიანები გახდებიან, ცხადია, ამასაც მოითხოვენ და მიაღწევენ კიდეც, კანონის ძალით! ვიცე-სპიკერ ქ-ნ მანანა კობახიძის დაპირება, რომ ასეთ შემთხვევაში ის დეპუტატის მანდატს დატოვებს, ვერაფერი ნუგეშია, ვის რაში ანაღვლებს კობახიძის დეპუტატად ყოფნა-არყოფნა, ეს ხომ სასაცილოა!

ჰომოსექსუალებს და მათ დამცველებს უნდა განემარტოთ უფლებები და თავიანთი ადგილიც მიეჩინოს, მაგრამ არა ანტიდისკრიმინაციული კანონით, არამედ სისხლის სამართლის კანონით! თუ რას ვგულისხმობ, ამის გაგება სულ ადვილად ხერხდება ერთ მარტივ კითხვაზე პასუხის გაცემით, რომელსაც სავალდებულო რეჟიმში პასუხი უნდა გასცეს ჰომოსექსუალობის აბსოლუტურად ყველა დამცველმა და, უწინარესად, პარლამენტის წევრებმა პერსონალურად!

ეს კითხვაა: **თუკი ნებისმიერი(!) ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი (ანუ რასის, რწმენის, სქესის თუ რაღაც „ორიენტაციების“ მიუხედავად) თავისი ქმედებებით ან იდეების ტირაჟირება-პროპაგანდით საფრთხეს უქმნის ადამიანის მოდგმას და ხელს უწყობს მის გადაშენებას – დეპოპულაციას, ასეთ ადამიანებს ხელი უნდა შეეწყოს კანონის ძალით თუ, პირიქით, ყველა საშუალებით უნდა ვეცადოთ მათი, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი საქმიანობის ბლოკირებას, საჭიროების შემთხვევაში კი – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას?**

მიუხედავად იმისა, რომ გლობალისტების მამამთავრების უპირველესი მიზანი მსოფლიოს მოსახლეობის დეპოპულაციაა (ომების, წამალ-ვაქცინების თუ ჰომოსექსუალობის გზით), არა მგონია, საქართველოს დეპუტატებიდან რომელიმემ გაბედოს და ღიად მხარი დაუჭიროს ისედაც გადაშენების გზაზე დამდგარი ქართველი ერის ფიზიკურ მოსპობას. ვერც ისეთ სისულელეს იტყვიან, რომ ჰომოსექსუალობა, დეპოპულაციას კი არა, ერის გამრავლებას უწყობს ხელსო.

მოკლედ და გასაგებად, ანტიდისკრიმინაციული კანონით, რომელიც, ფაქტობრივად, პროპედერასტული და ანტიმართლმადიდებლური კანონია, პარლამენტი ხელს უწყობს ერის გადაგვარება-გადაშენებას! **ჰომოსექსუალობის მფარველობით საქართველოს პარლამენტი დანაშაულის ხელშემწყობი და თანამონაწილე ხდება, ამიტომ იგი კინწისკვრით გაყრას იმსახურებს,** მაგრამ თუ, როგორც გვჩვევია, ლმობიერებას გამოვიჩენთ, მაშინ სასწრაფოდ უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ამ გზით მოვიცილოთ თავიდან სხვისი ავტორიტეტის წყალობით გადეპუტატებული ეს, მართლაც ვაიქართველები!

**იაკობ ლეჟავა**

**P.S. მამათმავლობის (პედერასტია-ჰომოსექსუალობის) ყველაზე ზუსტ და ამომწურავ განმარტებას, თანაც ორადორი სიტყვით გამოხატულს, ბიბლია იძლევა — „მამათმავლობა მომაკვდინებელი ცოდვაა“. იგი სწორია გადატანითი მნიშვნელობითაც და პირდაპირი გაგებითაც. მამათმავლობა ცოდვაა, როგორც ერის ზნეობრივად გადამგვარებელი (მომაკვდინებელი) და იგი ცოდვაა, როგორც ერის ფიზიკურად გადამშენებელი (მომაკვდინებელი)!**

**P.P.S. დეპუტატებმა შედეგი გააუმჯობესეს — ანტიდისკრიმინაციული კანონი მეორე მოსმენით ისევ ერთხმად, ამჯერად, 112 ხმით მიიღეს! დარწმუნებული ვარ, მესამე მოსმენაც ასეთივე „წარმატებული“ იქნება. ქართველი ბიჭების აფრიკაში საომრად გამგზავნი დეპუტატებისგან (106 ხმით ერთის წინააღმდეგ!) რამე უნდა გაგვიკვირდეს?! ეჭვი არ მეპარება, მალე, ირაკლი ალასანიას ინიციატივასაც – ნატოს საჰაერო თავდაცვითი სისტემის საქართველოში განლაგების თაობაზე, ასევე ერთხმად მოიწონებს პარლამენტი. ალასანიას აზრით, ამითნატო, თურმე, „რუსეთს მიახვედრებს, რომ იგი არ ხუმრობს!“ თავად თავდაცვის მინისტრი კი, თავისი დიპლომატიურ-აგენტურული ჭკუით იმასაც ვერ ხვდება, რომ, სანამ ნატო რამეს განალაგებს ჩვენთან, მანამდე ისე „მიგვახვედრებს“ რუსეთი, რომ არასოდეს დაგვავიწყდება!**

**ამ ტერორისტულ დაჯგუფებებს აერთიანებთ ის, რომ თავიანთ მიზნად „ჯიჰადის“ გავრცელებას ასახელებენ. მათი არსებობა დიდწილად მდიდარი ქუვეითელების შემოწირულობების დამსახურებაა, ასევე ახლო წარსულში მათ აფინანსებდნენ საუდელები, ემირატების და ზოგიერთი იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც რაღაც მიზეზების გამო მზად არიან, „ჯიჰადისათვის“ ფული იხადონ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბიზნესი «ჯიჰადი»

**აშშ-ში გამოაქვეყნეს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში ტერორიზმის შესახებ. ამჯერად ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეებისთვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს არა „ალ ქაიდა“, არამედ სხვა ტერორისტული ორგანიზაციები და მათზე გავლენის მქონე დაჯგუფებები, რომლებიც ახლოაღმოსავლური და აფრიკული ქვეყნების ტერიტორიებზე მოქმედებენ.**



ამერიკელი ექსპერტების დასკვნების თანახმად, „ალ ქაიდა“, რომელმაც 13 წლის წინ-ათ აშშ-ს ყველაზე სისხლიანი თავდასხმა აგემა, ანტიტერორისტული კამპანიის შედეგად მნიშვნელოვნად შესუსტდა, მისი პირველი პირებიდან ბევრი განადგურდა. „ალ ქაიდაში“ ბენ ლადენის შემდეგ ერთ დროს ყველაზე გავლენიანი ადამიანის — აიმან აზ-ზავაჰირის გავლენა ტერორისტული ქსელის ფილიალებში მნიშვნელოვანწილად შესუსტდა. ანგარიშში საუბარია იმაზე, რომ სირიის რადიკალურმა დაჯგუფებებმა და დაჯგუფებამ, რომელიც ადრე ცნობილი იყო, როგორც „ალ ქაიდა“, მისი შუამდგომლობა უარყვეს. ფორმალურად „ალ ქაიდას“ შემადგენლობაში შემავალი დაჯგუფებები იგნორირებას უკეთებენ მის მოთხოვნებს, თავი აარიდონ მშვიდობიან მუსლიმანურ მოსახლეობაზე თავდასხმებს.

უკვე მბჟუტავი „ალ ქაიდას“ შემცვლელად გამოჩნდა მრავალი ავტონომიური ორგანიზაცია, რომლებიც ჩრდილოაფრიკულ ქვეყნებში მოქმედებენ, ნაკლებად არიან დამოკიდებულნი „ალ ქაიდას“ ფინანსურ მხარდაჭერაზე და საკუთარ ოპერაციებს მძევლად აყვანილი პირების გათავისუფლებისთვის მიღებული გამოსასყიდით აფინანსებენ.

ამერიკელმა ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ სირია სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფების ბრძოლის ველად იქცა და ეს დაჯგუფებები კონფლიქტის ორივე მხარეს მოქმედებენ. ექსპერტები აღნიშნავენ იმ მოხალისეთა მუდმივ დინებას, რომელთათვისაც სირიაში მიმდინარე ომი სამხედრო მომზადების გავლის საშუალებაა. მრავალი ქვეყნის, მათ შორის დასავლური ქვეყნების, ხელისუფლებებიც შიშობენ, რომ ეს ადამიანები სირიაში მიღებულ გამოცდილებას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოიყენებენ.

ანგარიშში აღნიშნულია ირანის მიერ დაფინანსებული ტერორისტული დაჯგუფებების აქტივობის მკვეთრი ზრდა. ამ კატეგორიის დაჯგუფებებს შორის იგულისხმება „ჰეზბოლაც“, რამდენიმე არაბულ ქვეყანაში მოთარეშე შიიტური დაჯგუფებებიც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტერორისტული საფრთხე სახეცვლილებას განიცდის და დღეისათვის მთავარი მიზანი ხდება ის, რომ ტერორისტულ დაჯგუფებებს სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე თავშესაფარი აღარ გააჩნდეთ.

**ტერორისტული საფრთხე სახეცვლილებას განიცდის და დღეისათვის მთავარი მიზანი ხდება ის, რომ ტერორისტულ დაჯგუფებებს სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე თავშესაფარი აღარ გააჩნდეთ**

ტერორიზმის დარგში გავლენიანი ამერიკელი ექსპერტი, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ვაშინგტონის ცენტრის თანამშრომელი ედვარდ ლიუტვაკი ტერორიზმთან ბრძოლის ამჟამინდელი ეტაპის თავისებურებებს შემდეგნაირად აღწერს:

„ყველაფრის შემდეგ „ალ ქაიდამ“, როგორც ორგანიზებულმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ, არსებობა მრავალი წლის წინ შეწყვიტა. იმ ჯგუფების უმეტესობა, რომლებიც მუსლიმანურ ქვეყნებში გაჩნდნენ და რომლებმაც „ალ ქაიდასთან“ კავშირის თაობაზე განაცხადეს, სინამდვილეში თვითმარქვიები არიან. ისინი ზოგჯერ აღიარებენ ერთმანეთს, ზოგჯერ — არა. **ამ ტერორისტულ დაჯგუფებებს აერთიანებთ ის, რომ თავიანთ მიზნად „ჯიჰადის“ გავრცელებას ასახელებენ. მათი არსებობა დიდწილად მდიდარი ქუვეითელების შემოწირულობების დამსახურებაა, ასევე ახლო წარსულში მათ აფინანსებდნენ საუდელები, ემირატების და ზოგიერთი იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც რაღაც მიზეზების გამო მზად არიან, „ჯიჰადისათვის“ ფული იხადონ.**



ავიღოთ შედარებით ბოლოდროინდელი მაგალითი: ჯგუფი „ბოკო ჰარამი“ ნიგერიაში თავის მიზნად აცხადებდა დასავლურ ცივილიზაციასთან და სხვა რწმენის წარმომადგენლებთან ბრძოლას. ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, დააფინანსონ ამგვარი „ჯიჰადი“. ეს ერთგვარ ბიზნესად იქცა.

ტერორისტული დაჯგუფებებისთვის დასავლეთის ქვეყნებზე დარტყმების განხორციელება სულ უფრო რთული ამოცანაა და ეს, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხოების ზომების გაძლიერების ხარჯზე ხდება. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 11 სექტემბრის ტერაქტს საფუძვლიანად ამზადებდნენ ადამიანები, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ცხოვრობდნენ გერმანიაში. ერთ-ერთი ორგანიზატორი ინჟინერი იყო, შეთქმულების კიდევ ერთმა საკვანძო მონაწილემ განათლება აშშ-ში მიიღო. მათ შეძლეს დასავლური ცივილიზაციის მიღწევების გამოყენება ტერაქტის ორგანიზებისთვის და ეს ტერაქტი ჩანაფიქრისა და მომზადების დონით გამონაკლისად ჩანს იმ ყველაფერში, რაც ცნობილია ტერორისტული დაჯგუფებების შესახებ. სხვა ტერორისტული აქტების შემთხვევაში, ამ ადამიანებს, უბრალოდ, არ ჰყოფნით შესაძლებლობები და ცოდნა, დასავლეთში მასშტაბური ოპერაცია განახორციელონ. ჩვენ ვსაუბრობთ პრიმიტიული იდეოლოგიისა და ბრძოლის პრიმიტიული მეთოდების მქონე დაჯგუფებებზე“.

**რადიო „თავისუფლება“**

# თეთრმა სახლმა ანგელა მერკელს თავისი ადგილი მიუჩინა



**აშშ-ის ხელისუფლებამ ვაშინგტონში ვიზიტის წინ უარი უთხრა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს, წვდომა ჰქონოდა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოში არსებულ მის დოსიეზე.**

ოქტომბერში ობამამ პირადად დაარწმუნა ანგელა მერკელი, რომ აშშ-მა შეწყვიტა მონიტორინგი კანცლერის სატელეფონო ზარებზე და დაჰპირდა, რომ ამას მომავალშიც აღარ გააკეთებდა. მიუხედავად ამისა, თეთრმა სახლმა ქედმაღლურად აარიდა თავი კითხვებს, რომლებიც სნოუდენის უკანასკნელი გამოაშკარავებების შემდეგ გაჩნდა.

**„იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ განვაგრძობთ დიალოგს ამ სადაზვერვო და დიპლომატიური არხებით, ასევე ორი ქვეყნის ლიდერების განხილვისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის უკრაინისა და სავაჭრო საკითხების, გათვალისწინებით, არ ველოდი, რომ ქალბატონ მერკელზე ნაციონალური უსაფრხოების სააგენტოს თვალთვალთან დაკავშირებული საკითხები კანცლერსა და აშშ-ის პრეზიდენტს შორის დისკუსიის მნიშვნელოან ნაწილს დაიკავებდა“,** — განაცხადა ობამას ადმინისტრაციის მაღალი რანგის ჩინოვნიკმა.

ვიზიტის ფარგლებში მერკელი ვაშინგტონში 1 მაისს ჩავიდა, სიტყვით გამოვიდა ამერიკის სავაჭრო პალატაში და შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელ კრისტინ ლეგარდს.

ვიზიტის მთვარი მიზანი იყო მერკელის შეხვედრა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან, რომელიც 2 მაისს შედგა და ორი ლიდერის ერთობლივი პრესკონფერენციით დასრულდა.

შეხვედრის მთავარი თემა, ცხადია, უკრაინაში არსებული სიტუაცია იყო, მაგრამ ჟურნალისტებმა გვერდი ვერ აუარეს აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ანგელა მერკელის სატელეფონო საუბრების მოსმენის თემას და აშშ-ის პრეზიდენტმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისთვის მტკივნეული იყო იმის დანახვა, თუ როგორ ქმნიდა დაძაბულობას მერკელთან ურთიერთობაში სნოუდენის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები. მისივე განცხადებით, აშშ არ აპირებს, გერმანიასთან გააფორმოს შეთანხმება ქვეყანაში ამერიკული სპეცსამსახურების ჯაშუშობის აკრძალვის შესახებ, ამის ნაცვლად კიბერუსაფრთხოების თემაზე მოლაპარაკებებია მოსალოდნელი.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მერკელის მოსმენების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე აშშ-მა უარი განაცხადა, ცნობილი გახდა საპარლამენტო მოთხოვნის საპასუხოდ. გერმანიის შს სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მერკელის მთავრობამ ოფიციალური მოთხოვნა წარადგინა, მაგრამ აშშ-ის ხელისუფლებამ მათ ინფორმაცია არ გადასცა.

ცოტა ხნის წინ გერმანული პრესა წერდა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ანგელა მერკელისა და სხვა ქვეყნების ლიდერების სატელეფონო საუბრების ჩანაწერების 300-ზე მეტი ფაილი აქვს. **მერკელის მობილური ტელეფონის მიყურადება, სულ მცირე, ათი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა.**

გერმანელების იმედგაცრუება მატულობს. რამდენიმე დღის წინ კი შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომას დე მეზიერმა განაცხადა, რომ ამ საქმეზე აშშ-ის რეაქცია კვლავაც „არაადეკვატურია“.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, როგორც ჩანს, თეთრი სახლის აზრით, ანგელა მერკელმა მსოფლიო პოლიტიკასა და აშშ-თან ურთიერთობაში თავისი ადგილი უნდა იცოდეს. კანცლერმა, როგორც ჩანს, იცის კიდეც ეს ადგილი და ამიტომაცაა, რომ მოსმენებისა და თვალთვალის შესახებ საკითხს თავად არ აყენებს. უფრო მეტიც, თეთრ სახლთან მჭიდრო ურთიერთობას ისე განაგრძობს, ვითომც არაფერი მომხდარა...

**pravda.ru**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ახლა გაზს გათიშავენ, ზამთარში სერიოზული პრობლემები ექნებათ იმ ქვეყნებს, რომლებიც სრულად ან თითქმის სრულად ტრანზიტზე არიან დამოკიდებულნი. ეს ქვეყნებია ბულგარეთი, ბოსნია, მაკედონია, სერბეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. გარდა ამისა, „სამხრეთ ნაკადზე“ უარის თქმა დაარტყამს ევროპის სხვა ქვეყნებსაც, რომლებიც კონსორციუმში შედიან.**

# «სამხრეთ ნაკადი» — ევროპის მთლიანობის ტესტი




**ცოტა ხნის წინათ ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც ევროსაბჭოსაგან მოითხოვა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მეორე ეტაპის გაძლიერება. კერძოდ, პარლამენტარებმა ევროსაბჭოს მოუწოდეს, „მიიღოს ზომები რუსული კომპანიებისა და მათი შვილობილი საწარმოების წინააღმდეგ განსაკუთრებით ენერგეტიკულ სექტორში, ასევე ევროკავშირში რუსულ ინვესტიციებთან და აქტივებთან დაკავშირებით და გადახედონ რუსეთთან ყველა შეთანხმებას მათი შესაძლო შეჩერების მიზნით“. ამასთან, არ უნდა აშენდეს გაზსადენი „სამხრეთ ნაკადი“ და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მიწოდების სხვა წყაროები.**




პირველი აზრი, რომელიც ამ მოწოდებების შემდეგ გაჩნდა, ის იყო, რომ ბრიუსელში ძალზე ნაადრევად გაზაფხულდა და დეპუტატები კი დარწმუნებულნი არიან, რომ იქ აღარასდროს აცივდება. როგორც ჩანს, ანალოგიურად ფიქრობენ სოფიაშიც, რადგან პრაქტიკულად დაუყოვნებლივ გაჩნდა ცნობა, რომ ბულგარეთმა ჯერ კიდევ შარშან, შემოდგომაზე აშენებული მილსადენის სიმბოლური სათავე მოშალა. საოცარია, როდის მოასწრეს ეს ყველაფერი. ოდნავ ნათელი მოჰფინა სიტუაციას იმ რაიონის ხელმძღვანელის — ვენცისლავ ევგენიევის სიტყვებმა, რომ **„მილები ნამდვილად მოიხსნა ბეტონის საბჯენებიდან და დროებითი შენახვის მიზნით გადაიზიდა ქალაქ ლომის მდინარის პორტის საწყობებში“.**

მოკლედ, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ რამდენიმე მილი უბრალოდ ცოდვას გაარიდეს საზეიმო შედუღების შემდეგ, ევროპარლამენტის გადაწყვეტილებამდე დიდი ხნით ადრე. ამას ადასტურებს გეოპოლიტიკური ცენტრის — ევრაზია-სოფიას თავმჯდომარე პროფესორი პეტკო განჩევიც: „მოიხსნა ზოგიერთი მილი, რომ პირველი ნაწილისთვის გზა გათავისუფლებულიყო, მაგრამ ეს წმინდად ტექნოლოგიური სამშენებლო პროცესებია“. ევროპარლამენტის გადაწყვეტილებასთან კავშირი ყველამ ნაჩქარევად უარყო. უფრო მეტიც, ბულგარეთის ენერგეტიკის მინისტრმა დრაგომირ სტოინევმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ძველებურად დაინტერესებულია პროექტის რეალიზებით. **„თუ კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ შეაჩეროს მილსადენის პროექტი „სამხრეთი ნაკადი“, ბულგარეთი მოითხოვს, რომ ჩვენთვის დაკარგული მთელი მოგება კომპენსირებულ იქნეს“,** — აღნიშნა მინისტრმა. პრეტენზიების მოცულობა ადვილი წარმოსადგენია. მხოლოდ 2014 წელს „სამხრეთ ნაკადის“ მშენებლობას ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტისთვის 2%-იანი ზრდა უნდა მოეტანა, ეს კი 2 მილიარდ ევროზე მეტია.

საჭიროა, გავიხსენოთ, რომ „სამხრეთ ნაკადის“ რეალიზებას ადრეც არაერთი წინააღმდეგობა შეხვდა, ამის გამო ევროპარლამენტის გამოსვლას განწყობაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. გასული წლის მიწურულს ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისარი გიუნტერ ეტინგერი ითხოვდა, რომ „სამხრეთ ნაკადის“ მშენებლობის თაობაზე შეთანხმება შესაბამისობაში მოეყვანათ ევროკავშირის მესამე ენერგოპაკეტთან, რომელიც აწესებს, რომ ერთ მიმწოდებელს მილსადენის სიმძლავრეების არაუმეტეს 50%-ის გამოყენება შეუძლია, დანარჩენი კი აუქციონზე უნდა გაიყიდოს. ერთი თვის შემდეგ სამუშაო ჯგუფი შეიქმნა და ამ დრომდე ყველაფერი თავისი გზით მიდიოდა.

კომპანია „ალპარის“ ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ალექსანდრე რაზუვაევი დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში ევროპარლამენტი საფრთხობელის როლს ასრულებს და არც თუ კარგად ესმის, როგორ არის მოწყობილი მთელი მსოფლიო ეკონომიკა და კერძოდ, ევროპის ეკონომიკა. რეალურად გადაწყვეტილებებს სულ სხვა ადამიანები მიიღებენ. რუსეთისთვის ზიანის მიყენება საკუთარი თავის დაუზიანებლად ევროპას არ შეუძლია. **„გაზპრომს“ ევროპის გაზის ბაზარზე 30%-ზე მეტი ეკუთვნის და მას ალტერნატივა არ ჰყავს.** არის ყატარის გაზი, მაგრამ ვიდრე სირიაში ამჟამინდელი ხელისუფლებაა, ეს არააქტუალური თემაა. აშშ-დან გაზის მიღება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ თუ იქნება შესაძლებელი, ისიც გაცილებით ძვირად და ინფრასტრუქტურაში მასშტაბური დანახარჯების შემდეგ.

**„სამხრეთ ნაკადი“ არის უკრაინული ტრანზიტის პრობლემის გადაჭრა. თუნდაც ისე მოხდეს, როგორც ბევრი ვარაუდობს და უკრაინამ თავისი გაზ-სატრანსპორტო სისტემა აშშ-ისა და ევროკავშირის კომპანიების კონსორციუმს გადასცეს, უკრაინის გავლით ნედლეულის ტრანსპორტირების კრიმინალურ-პოლიტიკური რისკები ახლო მომავალში ძალაში იქნება.**

ნაციონალური ენერგეტიკული უსაფრთხოების ფონდის ხელმძღვანელი კონსტანტინე სიმონოვი თვლის, რომ უკრაინის ახლანდელი ხელისუფლების მხარდაჭერით ევროპა თავად გაება ხაფანგში. ისინი იძულებულნი არიან, დაამშვიდონ უკრაინა და დაჰპირდნენ მას უკრაინის გავლით ტრანზიტის შენარჩუნებას, მაგრამ ახლა უკრაინამ ევროპა გაწირა. ცხადია, რომ ზამთარში, პირველ რიგში, სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა გაიყინება.

**ბუნებრივია, თუ ახლა გაზს გათიშავენ, ზამთარში სერიოზული პრობლემები ექნებათ იმ ქვეყნებს, რომლებიც სრულად ან თითქმის სრულად ტრანზიტზე არიან დამოკიდებულნი. ეს ქვეყნებია ბულგარეთი, ბოსნია, მაკედონია, სერბეთი, სლოვაკეთი და სლოვენია.**

**გარდა ამისა, „სამხრეთ ნაკადზე“ უარის თქმა დაარტყამს ევროპის სხვა ქვეყნებსაც, რომლებიც კონსორციუმში შედიან.** ბულგარეთისა და სლოვენიის გარდა მათ შორისაა ავსტრია, უნგრეთი, საბერძნეთი და ხორვატია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, თუ ევროკავშირის ხელისუფლება ჯიუტობას გააგრძელებს, დანარჩენმა ქვეყნებმა, შესაძლოა, პატარ-პატარა ბუნტები წამოიწყონ.

KM.RU

# რამდენს ხარჯავს მსოფლიო ომზე

**მსოფლიო პრობლემების კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის (SIPRI) მიერ 2013 წლის მანძილზე მსოფლიო სამხედრო დანახარჯების შესახებ ახლახან გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, მსოფლიო სამხედრო-პოლიტიკურ არენაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. როგორც SIPRI-ის ექსპერტები ირწმუნებიან, სამხედრო მიმართულებით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ჯგუფში საუდის არაბეთი და თურქეთი შეიჭრნენ.**



თურქეთმა შარშან XVI ადგილიდან XIV-ზე მოინაცვლა ყველაზე დიდი სამხედრო დანახარჯების მქონე ქვეყნების რეიტინგში და კანადას გაუსწრო. საუდის არაბეთმა კი 2013 წელს სამხედრო ხარჯები 14%-ით გაზარდა და მე-7 ადგილიდან მე-4-ზე აიწია.

სტოკჰოლმის ინსტიტუტი SIPRI არის წამყვანი საერთაშორისო არასამთავრობო ანალიტიკური სააგენტო, რომელიც სამხედრო საჭიროებებისთვის მსოფლიო ხარჯებს იკვლევს, ასევე სწავლობს შეიარაღების ბაზრების სპეციფიკას და მასთან დაკავშირებულ გეოპოლიტიკურ ტენდენციებს. მან მოქმედება დაიწყო 1966 წლიდან, აშშ-სა და საბჭოთა კავშირის მეთაურობით ჩამოყალიბებული ორი ბლოკისა და იდეოლოგიური სისტემის სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების ქარცეცხლში. მაშინ ბევრი რამ უფრო გასაგები იყო, ვიდრე ახლა: არსებობდა ორი ბანაკი და ამ ბანაკებთან ფორმალურად მიუერთებელი სახელმწიფოები.

ამჟამად სხვაგვარი სიტუაციაა. არენაზე გამოვიდნენ ახალი ამბიციური სახელმწიფოები, ნაცვლად ბლოკური დაპირისპირებისა და მისი შეკავებისა თუ საპირწონეების სისტემებისა გაჩნდნენ მრავალმხრივი პარტიები. როგორც SIPRI-ის ანგარიშმა აჩვენა, მსოფლიოს ელის არასტაბილურობის ახალი ტალღა, ასევე წინ არის შეიარაღების რეგიონული შეჯიბრებები და შესაძლოა, თვით შეიარაღებული კონფლიქტებიც კი.

ფორმალური თვალსაზრისით, თუ ზოგადად მსოფლიო სამხედრო ხარჯებზე ვისაუბრებთ, სიტუაცია თითქოს არ გამოიყურება საგანგაშოდ. 2013 წლის მანძილზე საერთო ჯამში ეს ხარჯები 1,9%-ით შემცირდა 2012 წლის მაჩვენებლებთან შედარებით. ამ შემცირებაში ყველაზე დიდი წვლილი აშშ-მა და ევროპის ქვეყნებმა შეიტანეს, თუმცა მათ ეს მშვიდობისადმი სიყვარულით არ გაუკეთებიათ. ამერიკული სამხედრო ხარჯების 7,8%-ით შემცირებას SIPRI-ის ექსპერტები ერაყში ომის დამთავრებით და ავღანეთიდან ჯარების გაყვანის დაწყებით ხსნიან. ამასთან, აშშ განაგრძობს მსოფლიოში ლიდერობას სამხედრო ხარჯების სფეროში, რადგან ეს შემცირება საბოლოო ჯამში უმნიშვნელოა. 2012 წელს აშშ მსოფლიოს 15 წამყვანი ქვეყნის საერთო სამხედრო ხარჯებში 40%-ს იკავებდა, 2013 წელს კი — 27%-ს.

ევროპასთან დაკავშირებით ყველაფერი გაცილებით უფრო მარტივადაა. იქ კრიზისია და ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნები იძულებულნი არიან, სამხედრო ხარჯებზე ეკონომია გასწიონ, მაგრამ „ვაკუუმის“ შევსებას სხვები ჩქარობენ და ევროპელებს გლობალური სამხედრო რესურსების სტრუქტურაში არაევროპული ქვეყნები უკვე ავიწროებენ. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თურქეთი, რომელიც უკანასკნელ წლებში მიზანმიმართულად ზრდის აქტიურობას ბალკანეთში, შავზღვისპირეთში, კავკასიაში, შუა აზიაში და არც ყირიმს ტოვებს უყურადღებოდ.

„პანთურქული ენთუზიაზმის“ პერიოდში, 1990-იანი წლების დასაწყისში, თურქეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა აბრეშუმის გზის განახლებისკენ მოუწოდა საზოგადოებას, ახლანდელი პრემიერ-მინისტრის — რეჯეპ ტაეპ ერდოღანის პერიოდში კი თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრივილეგირებულ რეგიონულ ცენტრებად იქცა კავკასია, ახლო აღმოსავლეთი და ბალკანეთი. ანკარის ამჟამინდელი პოლიტიკა ამ რეგიონებთან დაკავშირებით შეიძლება დახასიათდეს, როგორც მისწრაფება, ერთი მხრივ, განაგრძოს აშშ-ის მოკავშირის როლის თამაში, მეორე მხრივ კი — გაზარდოს პოლიტიკური კაპიტალი ამერიკული პოლიტიკის კრიტიკისა და ვაშინგტონის ოპონენტებთან დაახლოების ხარჯზე.

2011 წლის იანვარში თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ელჩების მორიგი ყოველწლიური კონფერენციის გახსნაზე გამოსვლისას თურქეთის საგარეოპოლიტიკური უწყების მეთაურმა ახმად დავუთოღლუმ განაცხადა, რომ 2023 წელს — რესპუბლიკის ჩამოყალიბების ასი წლის იუბილეზე — თურქეთი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო იქნება მსოფლიოში და პროდუქტიულ რეგიონულ და გლობალურ როლს შეასრულებს. ამასთან დაკავშირებით ცნობილმა თურქმა დიპლომატმა, საერთაშორისო თანამშრომლობის თურქული სააგენტოს თავმჯდომარემ უმუტ არიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთს ეკუთვნის „ფუნდამენტური და ცენტრალური ადგილი მთლიანად ევრაზიაში, ევროპაში, ბალკანეთში, შავზღვისპირეთში და კავკასიაში, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ახლო აღმოსავლეთსა და კერძოდ, შუა აზიაში“.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, SIPRI-ის პროგრამის ხელმძღვანელი სემ პერლოფრიმანი სულაც არ ამუქებს ფერებს, როდესაც შეიარაღების რეგიონულ შეჯიბრებებზე საუბრობს.

უკანასკნელ პერიოდში სამხედრო ხარჯები გაზარდა რუსეთმაც. SIPRI-ის სპეციალისტებს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და წინა წელთან შედარებით 2013-ში 4,8%-იანი ზრდა დააფიქსირეს, მაგრამ, მათივე განმარტებით, ეს ზრდა შეიარაღების მოდერნიზაციის პროგრამას უკავშირდება, უამისოდ კი ვერც ერთი ქვეყანა ვერ აღუდგება წინ თანამედროვე საგარეო საფრთხეებს.

ევროკავშირს წარმოუდგენლად ბევრი მტკივნეული წერტილი აქვს და ზოგიერთი მათგანი დიდი საფრთხის შემცველია. შოტლანდიისა და კატალონიის გარდა, დამოუკიდებლობას ითხოვენ ფლანდრიაში, სარდინიასა და ვენეტოს რეგიონში. გრენლანდიაშიც სუვერენიტეტი სურთ.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გასტანს თუ ვერა ევროკავშირი 2025 წლამდე?

**ევროკავშირმა ზრდის შესაძლებლობები ამოწურა. დაშლის პროცესი უკვე დაწყებულია: დამოუკიდებლობის გამოცხადების განზრახვის შესახებ უკვე ღიად საუბრობენ შოტლანდიასა და კატალონიაში, რომლებიც, სავარაუდოდ, მოიპოვებენ თუ არა სუვერენიტეტს, კავშირის საზღვრებს მიღმა აღმოჩნდებიან. ამ პირობებში დასავლეთს ნამდვილად არ სცალია უკრაინაზე ზრუნვისთვის.**



ევროკავშირი ზედმეტად არაერთგვაროვანი და მრავალეროვნულია იმისთვის, რომ ერთიანობა შეინარჩუნოს. სხვადასხვა ეთნოსისა და კონფესიური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის რყევები თავს არავის ავიწყებს: ხან ჩრდილოირლანდიური ინსურგენტები ცხრილავენ ინგლისურ სამხედრო ნაწილს, ხან ეტას ბასკები აფეთქებენ ესპანეთში პოლიციის მორიგ განყოფილებას. მკაცრ 2000-იან წლებში ვნებათაღელვის ოდნავ ჩახშობა მოხერხდა, მაგრამ წინააღმდეგობებმა კვლავ გაამწვავა დასავლური ეკონომიკური სისტემის ღრმა კრიზისი.

ევროკავშირს წარმოუდგენლად ბევრი მტკივნეული წერტილი აქვს და ზოგიერთი მათგანი დიდი საფრთხის შემცველია. შოტლანდიისა და კატალონიის გარდა, დამოუკიდებლობას ითხოვენ ფლანდრიაში, სარდინიასა და ვენეტოს რეგიონში. გრენლანდიაშიც სუვერენიტეტი სურთ. ეს კუნძული ჯერ კიდევ 1985 წელს აცხადებდა უარს ევროპულ სტრუქტურებთან მიერთებაზე და 2008 წლის რეფერენდუმზე დანიისგან თვითმმართველობის საკითხებში მნიშვნელოვანი დათმობები მოიპოვა.

თავისი ნაციონალური ავტონომიის შექმნა სურთ ტრანსილვანიელ უნგრებს რუმინეთში, ბასკებს — ესპანეთში, ბრეტონელებს — საფრანგეთში, ვალიელებს — დიდ ბრიტანეთში, სილეზიელებს — პოლონეთში...

არსებობს რისკი იმისა, რომ უნგრები, რომლებიც სლოვაკეთის სამხრეთში მჭიდროდ არიან დასახლებულნი, საზღვრების გადახედვას მოითხოვენ იმის გამო, რომ უნგრეთის ტერიტორიაზე მოხვდნენ, საფრანგეთში ელზასცები კი მოინდომებენ გერმანიასთან მიერთებას. თუმცა სადავო არაა, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა თავად შეინარჩუნებს ტერიტორიულ მთლიანობას: ბავარიამ, საქსონიამ, ვიურტემბერგმა და მთელმა რიგმა სხვა ფედერალურმა მიწებმა, შესაძლოა, მორიგი გერმანული კავშირისგან განცალკევება მოინდომონ.

ანალოგიური სიტუაციაა ესპანეთსა და იტალიაშიც. ეს ქვეყნები მრავალი ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული ოლქისგან შედგებიან. ყველა რეგიონს აქვს თავისი ენა, კულტურა და ისტორია. მრავალი ოლქი ერთ დროს ცალკე სახელმწიფო იყო, როგორც პიემონტი, ლომბარდია ან ნეაპოლიტანია. იტალიურ ალპებში ცხოვრობენ გერმანელები, რომლებიც ავსტრიისკენ მიილტვიან.

კიდევ უფრო უარესადაა საქმე ნეოფიტ ქვეყნებში, მაგალითად, ხორვატიაში, რომელიც ახლახან გახდა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი და რომელშიც ომის შემდეგ უამრავი სერბი დარჩა. ხორვატიულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. უმცირესი ნაპერწკალიც კი ახალ კონფრონტაციას განაპირობებს. ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში საბჭოთა დროიდან შემორჩნენ მსხვილი რუსულენოვანი თემები, რომლებსაც ბალტიისპირეთის ქვეყნების ხელისუფლებები ომის გარეშეც ჩაგრავენ.

სეპარატისტული განწყობა მძლავრობს ოკეანის გაღმაც. კვებეკის დამოუკიდებლობის მომხრენი ცდილობენ, ეს პროვინცია კანადისგან გამოყონ და აქციონ ფრანკოენოვან რესპუბლიკად, ერთგვარ ოკეანისგადაღმა საფრანგეთად. კვებეკი კანადის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და მჭიდროდ დასახლებული რეგიონია და მისი დაკარგვა ოტავასთვის მტკივნეული დარტყმა იქნება.

ყველა ზემოჩამოთვლილ შემთხვევაში, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ გამოყოფას ითხოვენ ის მდიდარი რეგიონები, რომლებიც მთელ მეტროპოლიას „აჭმევენ". მაგალითად, ესპანეთის ბიუჯეტში კატალონიის შენატანი აჭარბებს სუბსიდიებს, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკაში მიდის. იგივე შეიძლება ითქვას ვენეტოსა და ლომბარდიაზე, სადაც კონცენტრირებულია იტალიის სამრეწველო დაწესებულებების დიდი ნაწილი. რაში სჭირდებათ ჩრდილოეთ იტალიელებს იმ სამხრეთ იტალიელების შენახვა, რომლებიც ძირითადად დაბალანაზღაურებად სოფლის მეურნეობაში არიან დაკავებულნი? გარდა ამისა, სამხრეთით ძლიერია მაფია, ნეაპოლი მისი არაოფიციალური დედაქალაქია. ტურინსა და ვენეციაზე კი ამას ვერავინ იტყვის.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გაამწვავა ურთიერთობა მარჩენალ რეგიონებსა და მეტროპოლიებს შორის. კატალონიელებსა და ჩრდილოეთ იტალიელებს არ ესმით, რატომ უნდა იკვებებოდნენ მათ ხარჯზე მადრიდსა და რომში. საინტერესოა, რომ ანალოგიურად აზროვნებენ უკრაინაშიც, მაგრამ დასავლეთი გაგებით ეკიდება კატალონიის დამოუკიდებლობას, უკრაინის რუსულენოვან სამხრეთ-აღმოსავლეთით სუვერენული სახელმწიფოს შექმნის შესახებ კი გაგონებაც არ სურთ. ევროპას თუ რამ დაღუპავს, ეს ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა იქნება.

**სოციოლოგიური გამოკითხვები ადასტურებს, რომ დასავლეთ ევროპაში მმართველი პარტიებისადმი ამომრჩევლის ნდობა იკლებს. გასაკვირი არცაა, რადგან იმ ლოზუნგების უმეტესობა, რომელთაც დასავლეთევროპელი ლიდერები ახმოვანებენ, პოპულისტური და პრაქტიკაში განუხორციელებელია**

ევროკავშირი თავის დროზე სოციალისტებისა და ქრისტიან დემოკრატების მხარდაჭერით შეიქმნა, მაგრამ ახლა ეს პარტიები მემარჯვენეებს უთმობენ ადგილს. მემარჯვენეები შემდგომი ევროინტეგრაციის მტრები და ევროპული სახელმწიფოებისთვის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მომხრეები არიან.

სოციოლოგიური გამოკითხვები ადასტურებს, რომ დასავლეთ ევროპაში მმართველი პარტიებისადმი ამომრჩევლის ნდობა იკლებს. გასაკვირი არცაა, რადგან იმ ლოზუნგების უმეტესობა, რომელთაც დასავლეთევროპელი ლიდერები ახმოვანებენ, პოპულისტური და პრაქტიკაში განუხორციელებელია. მემარჯვენეები კი წარმოადგენენ მშვენიერ ალტერნატივას ბრიუსელელი ბებრების — ყელში ამოსული ევრობიუროკრატებისთვის.

მყარდება ეგრეთ წოდებული ევროსკეპტიკოსების პოზიციებიც. ევროსკეპტიციზმი განსაკუთრებით ძლიერია ბრიტანეთში, რომელიც უკვე მრავალი ათწლეულის მანძილზე ეწინააღმდეგება ბრიუსელის საინტეგრაციო პოლიტიკას და აკრიტიკებს ერთიანი ვალუტის შემოღების გზით ევროკავშირის ფედერალიზაციის იდეას, ზენაციონალური აღმასრულებელი ორგანოების შექმნას და ევროპის ყველა ქვეყნისთვის ერთიანი კონსტიტუციის მიღებას. გრენლანდია, როგორც ზემოთ ითქვა, ასევე კატეგორიულად უარყოფითადაა განწყობილი ბრიუსელის პოლიტიკისადმი და დანარჩენი ევროპისგან დისტანცირებას ცდილობს. კუნძულის მკვიდრთა აზრით, ევროპა ნელ-ნელა იძირება.

უახლოეს მომავალში ანტიევროპული ტენდენციები მხოლოდ გაძლიერდება. როგორც ჩანს, ბრიუსელს არ შესწევს უნარი, შეინარჩუნოს საკუთარი იმპერია და სულ მალე გაერთიანებული ევროპის აღსასრულის მომსწრენი გავხდებით.

საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ რამდენად გაჭიანურდება ევროკავშირის დაშლის პროცესი: ევროკავშირის ინსტიტუტები ერთბაშად არ დეგრადირდებიან, ეს თანდათან მოხდება. ამიტომ ევროპის კრიზისი, რომელიც 2008 წელს დაიწყო, კიდევ მრავალ წელს გაგრძელდება, მანამდე, ვიდრე იმედგაცრუება ისეთ მასშტაბებს არ მიაღწევს, რომ კავშირის შესახებ ყველამ დაივიწყოს.

topwar.ru



## ყველაზე მეტი პატიმარი იტალიაშია

**29 აპრილს ევროპის საბჭომ გამოაქვეყნა მოხსენება ევროზონის ქვეყნების პენიტენციარული სისტემის პრობლემების შესახებ. ევროპის 47 ქვეყნის ციხეებში ამჟამად 1,7 მლნ ადამიანი ზის. პატიმართა ყველაზე დიდი რაოდენობა არის იტალიასა და სერბეთში. ევროპაში პატიმართა საერთო რაოდენობის 21 პროცენტს უცხოელები შეადგენენ.**

ერთი პატიმრის შენახვა ბულგარეთს 3 ევრო უჯდება, შვედეთს — 620 ევრო. ტუსაღების ყველაზე მეტი თვითმკვლელობა ლუქსემბურგში აღირიცხება, აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს ეს მოხსენება 2012 წლის მონაცემებს ეფუძნება.



## ოკლაჰომაში მოძალადე-მკვლელს 20 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში სჯიდნენ

**ოკლაჰომაში სიკვდილით დასჯის პროცედურა 20 წუთზე მეტ ხანს გაგრძელდა. როგორც „ბი-ბი-სი" იუწყება კლეიტონ ლოკეტს, რომელსაც ორგანიზმში სასიკვდილო პრეპარატი შეუყვანეს, 20 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში არ აღენიშნებოდა სიცოცხლის ნიშნები, შემდეგ კი ნელ-ნელა დაუბრუნდა ცნობიერება, რის გამოც ციხის დირექტორმა დასჯის შეჩერების განკარგულება გასცა.**

მოგვიანებით მამაკაცს სამი სასიკვდილო ინიექცია გაუკეთეს, რის შემდეგაც გული გაუჩერდა და გარდაიცვალა. ლეიტონ ლოკეტს სიკვდილის განაჩენი 19 წლის ქალის გაუპატიურებისა და მკვლელობისთვის გამოუტანეს.

## ამერიკელი სტუდენტი ქალწულობას აუქციონზე ყიდის

**სამედიცინო სასწავლებლის 27 წლის სტუდენტი ქალწულობას აუქციონზე ყიდის. გოგონამ „ლოტი" აუქციონზე გამოგონილი სახელით (ელიზაბეტ რეინი) გაიტანა, თუმცა რამდენიმე დღის წინათ თავისი ფოტოც გამოაქვეყნა. „ლოტის" ფასი ჯერჯერობით 550 ათასი დოლარია.**

27 წლის ამერიკელმა ქალმა თავისი პირველი სექსუალური კონტაქტის გაყიდვის შესახებ განცხადება 2014 წლის 31 მარტს გამოაქვეყნა. 7 მაისს კი დაინტერესებული მამაკაცებისგან განცხადების მიღების ვადა იწურება.

ამერიკელი ქალი, რომელმაც უკვე მიიღო ბაკალავრის ხარისხი და ახლა სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების დასაცავად ემზადება, ქალწულობის აუქციონზე გაყიდვის მიზეზად ფინანსურ გაჭირვებას, აგრეთვე, ეროტიკული თავგადასავლების სიყვარულს ასახელებს და ამბობს, რომ ისეთი დაკავებულია, აქამდე ქალწულობასთან განშორება ვერ მოახერხა.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის ინტერნეტაუქციონზე ქალწულობის გაყიდვის პირველი შემთხვევა. 2010 წელს 17 უნგრელი გოგონა შეეცადა ქალწულობის გაყიდვას, თუმცა უშედეგოდ, 18 წლის რუმინელმა სტუდენტმა კი ეს წარმატებით მოახერხა.



ქვათა ღაღადი

**მატინიანც-იზმაილიანცის კამპანიის მსხვერპლი... ამჯერად აღმოჩნდნენ ქართველები, იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენდნენ ოპოზიციურ პარტიას ყოფილ ქალაქის საბჭოში. აქედან გამომდინარე, არჩევნების დროს ბრძოლა გამოიხატა სომხების დაპირისპირებად ქართველების წინააღმდეგ.**




სამველ კარაპეტიანი

ისტორიული ნარკვევი

# ტიფლისის მერები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15 (250)

**აუცილებელი განმარტება მკითხველებისთვის: ეს პუბლიკაცია არამც და არამც არ არის შოვინისტური გრძნობებით ნაკარნახევი. ეს არის ერთჯერადი გამოსაფხიზლებელი ინიექცია ჩვენი საზოგადოებისთვის, რომელიც დროდადრო, ჯერ კიდევ პატკანოვისა და ვერმიშევის დროიდან, მოწმე ხდება სომეხი მკვლევარების ნაციონალისტური გამოხდომების, რაც შიზოფრენიის პერიოდულ შემოტევას ჰგავს.**

## არა სომხების საწინააღმდეგოდ

**„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსნისა და ჭკუათამყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება — დიდად სათაკილო საქციელია“ (ილია ჭავჭავაძე, „ქვათა ღაღადი“).**

**არა და არ არის ეს პუბლიკაცია მოძმე სომეხის ერის წინააღმდეგ მიმართული. დროდადრო გამოვლენილი ტვინგაცხელების საწინააღმდეგო ინიექციაა, ამ შემთხვევაში, თბილისის სომხური ქალაქობის ბოდვითი იდეის დაუცხრომელი სურვილის აკვიატებული მცდელობაა ზოგიერთი სომეხი მკვლევარის მხრიდან.**

**უკვე მერამდენე!**

**ამიტომაც იყო (ამიტომაც!), რომ იოსებ სტალინი 1913 წელს თავის ნაშრომში „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“ წერდა: „...საქართველოში არ არის მეტ-ნაკლებად სერიოზული ანტირუსული ნაციონალიზმი... საქართველოში არის ანტისომხური ნაციონალიზმი...“**

**თბილისის სომხურ ქალაქად მოხსენიების დამადასტურებელ ფაქტად სამველ კარაპეტიანი გვთავაზობს პირველი რანგის მოქალაქეთა სიას, რომელშიც მხოლოდ სომხური გვარებია ჩამოთვლილი. მისი მტკიცებით, სწორედ მათგან ირჩევდნენ თბილისის მერებსა და მელიქებს. 79 გვარიდან, რომლებიც ამ სიაშია შეტანილი, 14 გვარის წარმომადგენლები სხვადასხვა დროს მართავდნენ საქართველოს დედაქალაქს.**

**აი, ეს სამწუხარო სიაც:**

„1. აბესალომოვები: სტეპან ასრატოვი და არუთინ გასპაროვი; 2. აბესალომოვები: სტეპან შაკაროვი და სოგომონ შაკაროვი; 3. ამირანოვი; 4. ახნაზაროვი; 5. ბაისოგოლოვი; 6. ბასტამოვი; 7. ბეზირგანოვი; 8. ბუზუგლოვი; 9. გარსოევი; 10. გზირბეჟოევი; 11. გულაგოვი; 12. გულიფაშოვი; 13. გულულოვი; 14. გურგინბეგოვი; 15. დილაკბეკოვი; 16. ევანგულოვი; 17. ეჯუბოევი; 18. ზახარბეგოვი; 19. ზახრაბოვი; 20. იზანშადინოვი; 21, იზდანოვი; 22. იზიმოვი; 23. იპრუმოვი; 24. კალინაანი; 25. კამაზოვი; 26. კამბაროვი; 27. კაპანაკოვი; 28. კეპინოვი; 29. კეტხუდოვი; 30. ქიშმიშევი; 31. კუზანოვები: დავით გეურქოვი, კარაპეტ გეურქოვი, მიხაილ გეურქოვი, ოსეპ სანველოვი, სოლომონ სანველოვი, ნასყიდ ხეჩატუროვი, ალექსეი სტეპანოვი, გაბრიელ ოგანეზოვი, გრიქულ ოსკიევი, გეურქ ასატუროვი, იჟან ასატუროვი და აკოპ მატუზოვი; 32. კუზანოვი სტეპან ზალიევი; 33. კუკუჯანოვი; 34. მალაკოვი; 35. მანანოვი; 36. მანგოევი; 37. მანდენოვი; 38. მატინოვი; 39. მელიქ ზურაბოვი; 40. მელიქ სააკოვი; 41. მელიქ შარმაზანოვი; 42. მესანტლოვი; 43. მირზოევი; 44. მირიმანოვი; 45. მუნტოევი; 46. მუშრიბოვი; 47. ნაზარბეგოვი; 48. ოკოევი; 49. პარკუზატოვი; 50. პიროვი; 51. პიტოევი; 52. ფორაქოვი; 53. ფრიდონოვი; 54. პუგიევი; 55. როტინოვი; 56. სარაჯევი; 57. ტავლდაროვი; 58. ტაკოევი; 59. თამამშევი; 60. ტატოევი; 61. ტერასატუროვი; 62. ტერკაზაროვი; 63. ტერპოლოსოვი; 64. ტერშმოანი ტერ ისაევი; 65. უზბაშევები: ისაი შაკაროვი, გეურქ შაკაროვი, გაპრიელ შაკაროვი; 66. უზბაშევები: სოგომონ ისაევი და მიკირტუმ ისაევი; 67. უსტიანოვი; 68. ხანკალამოვი; 69. ხარაზოვი; 70. ხატისოვი; 71. ხახუტოვი; 72. ხუდადოვი; 73. ცუგადუზოვი; 74. ცურინოვი; 75. ჩაოლან ბაბანასოვი; 76. ჩიტახოვი; 77. შაბუდაგოვი; 78. შერგილოვი; 79. შიოევი“.

**დააკვირდით ამ გვარებს — მათგან ზოგიერთი (და არა მხოლოდ მეორმოცე ნომერი) ბევრ საფიქრალს გაგიჩენთ.**

**ახლა კი განვაგრძოთ სამველ კარაპეტიანის ანტიქართული ნაშრომის კითხვა.**

## ტიფლისის მართვა 1840-1864 წ.წ.

ბიუროკრატიზაციის ახალი ფორმა, რომლის ინიციატორიც იყო კავკასიის ცალკე კორპუსის მეთაური და კავკასიის სამოქალაქო მმართველობის მმართველი ვ. ა. გოლოვინი (1834-1842 წ.წ.), მიმართული იყო იმისკენ, რათა ქალაქის მმართველობის სისტემის რეფორმის გზით უფრო მეტად მისცემოდა სტიმული ქალაქის განვითარებას. მის დროს შემუშავდა თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი მართვის დებულებაც, რომელიც მოწონებული და დამტკიცებული იქნა უმაღლეს დონეზე 1840 წლის 10 აპრილს და ამოქმედდა იმავე წლის 21 აგვისტოს. ამ დებულებით ქალაქს მიეცა უფლება, ჰქონოდა ქალაქის გამგეობა ქალაქის თავისა და 6 წევრის შემადგენლობით. ქალაქის თავს



**1840 წლიდან ტიფლისის ქალაქის თავის თანამდებობას, მემკვიდრეობითობის წესით, იკავებდნენ სომხური გვარების ტიფლისის მკვიდრი წარჩინებული მოქალაქეების წარმომადგენლები**

ირჩევდა ქალაქის ობივატელების საზოგადოება სრულად, წევრებს კი — სამი წოდება: სახლების მფლობელები, ვაჭრები და ხელოსნები, 2-2 წევრს თითოეული წოდება.

ქალაქის გამგეობის დადგენილებების განხორციელებას უზრუნველყოფდა 6 მამასახლისი-უსტაბაში, რომლებსაც ირჩევდნენ წოდებები — თითოეულისგან ორი კაცის რაოდენობით და 2 თანაშემწით. აღნიშნული წესით, ტიფლისის პირველ ქალაქის თავად აირჩიეს ოვანეს იზმირიანცი.

1841 წელს დამტკიცდა საგუბერნიო ქალაქ ტიფლისის მმართველობის სისტემა.

**1840 წლიდან მოყოლებული ტიფლისის ქალაქის თავის თანამდებობას, მემკვიდრეობითობის წესით, იკავებდნენ სომხური გვარების ტიფლისის მკვიდრი წარჩინებული მოქალაქეების წარმომადგენლები. ეს ტრადიცია პირველად დაირღვა მხოლოდ 1864 წელს, როცა ქალაქის თავად აირჩიეს ახალმოსული და არა მკვიდრი მოქალაქე გალუსტ შერმაზიანცი.**

...1840 წლის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში ქალაქის გამგეობის შემადგენლობა ასეთი იყო:

1845 წელს ქალაქის თავად არჩეული იყო სტეპან გაბრიელიან ხატისიანცი; ქალაქის მმართველობის მოქალაქე წევრები იყვნენ: ალექსანდრ ოვსეპიან თამამშიანცი, ზაალ ზაქარიანცი, ოვსეპ ოვანესიან ტერ-ოვანესიანცი (დეპუტატი გუბერნიიდან); ახალმოსული წევრები — ისაკ ოვანესიანი მაისურიანცი, ოვანეს დავითიან სულთანიანცი; ქალაქის მდივანი — ვასილ ივანეს ძე რაკოვიჩი.

1849 წელს: ქალაქის თავი — თოვმა დავითიან ფრიდონიანცი; მოქალაქე წევრები — ზაქარია პეტროსიანც თამამშიანცი, ოვანეს სტეპანიან ალადატიანცი, პეტროს ოვანესიან ამბარცუმიანცი, ავეტიკ ოვანესიან ცატრიანცი, ავთანდილ ალექსის ძე ახვერდიანცი, აღა რევაზის ძერევაზოვი. ახალმოსული წევრები არავინ ყოფილა; ქალაქის მდივანი — პეტრე ვასილის ძე სოკოლოვსკი.

1850 წელს: ქალაქის თავი — ზაქარია სტეპანიან ამირაგიანცი; მოქალაქე წევრები — ზაქარია მინასიან გულასპიანცი; ისააკ მკრტიჩიანც ჯაგატიანცი, აკოპ მიქაელიან გამოიანცი, თოვმა სარქისიან ისკანდერიანცი, კაზარ აბრაამიან ვარდანიანცი. ახალმოსული წევრები არ აურჩევიათ; ქალაქის მდივანი — პეტრე ვასილის ძე სოკოლოვსკი.

დროთა განმავლობაში ქალაქის მმართველობა ახალი ადმინისტრაციული ორგანოებით შეივსო...

ნიშანდობლივია, რომ 1875 წლამდე ქალაქის თავები ერთმანეთს ჩანაცვლებული მხოლოდ სომხები კი არ იყვნენ, არამედ ქალაქის გამგეობის წევრების უმრავლესობაც (*ისინიც, ცხადია, სომხები. — რედ*).

„უკვე 1858 წელს ტიფლისი შეუდარებლად უფრო კეთილმოწყობილი იყო, ვიდრე 2-3 ათწლეულის წინათ (*სომხების წყალობით. — რედ.*)... ქალაქის მცხოვრებთა შორის მდიდრები მეტია, ვიდრე ღარიბები, მაგრამ ქალაქის ძველ ნაწილში აშკარად ჩანს აღმოსავლეთის მსხვილი ქალაქებისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებანი, ანუ ვიწრო, დაბრეცილი და ჭუჭყიანი ქუჩები, წვრილ-წვრილი მაღაზიები, უწესრიგოდ აშენებული სახლები“...

ქალაქის განვითარების პარალელურად, 1860 წლიდან მოყოლებული, ქალაქის გამგეობის შემადგენლობა შეივსო ისეთი თანამდებობით, როგორიცაა ქალაქის გამგეობის მდივანი, ქალაქის გამგეობასთან არსებული ობოლთა მეურვეობის სასამართლოს მდივანი, ქალაქის რაიონების მოლარე და კომისრები.

*(ამ გაბერილი საშტატო შემადგენლობის მრავალსაფეხურიან ბიუროკრატულ წარმონაქმნში 1860 წლიდან 1867 წლამდე მხოლოდ ორი ქართველი მუშაობდა: მიხეილ დიმიტრის ძე ქიქოძე (ქალაქის გამგეობის მდივანი 1863-1867 წლებში) და ფილიპე იოველის ძე ჩიკვაძე (მე-4 რაიონის კომისარი, 1860-1863 წლებში და 1867 წელს). ქიქოძე 1863 წელს ქალაქის გამგეობასთან არსებული ობლების მეურვე სასამართლოს მდივანიც იყო. — რედ.).*

## პირველი ოპოზიცია

**1880-იან და 1890-იანი წლების დასაწყისში ქალაქის საბჭოში ჩამოყალიბდა ოპოზიცია, რომელშიც... შედიოდნენ ქართველი სრულუფლებიანი ხმოსნები. ისინი ისწრაფოდნენ, დაეკავებინათ მნიშვნელოვანი ადგილი ქალაქის საბჭოში, მაგრამ მათი მცდელობა წარმატებით არ დაგვირგვინებულა მერების — ა. ბატინიანცისა და პ. იზმაილიანცის მმართველობის პერიოდში. ოპოზიციას შეადგენდნენ ქართველები, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი ქართველი მოღვაწენი — ნიკოლაძე, ზუბალოვი, ჩელოკაევი, ი. მაჩაბელი და სხვ.**

მატინიანც-იზმაილიანცის კამპანიის მსხვერპლი... ამჯერად აღმოჩნდნენ ქართველები, იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენდნენ ოპოზიციურ პარტიას ყოფილ ქალაქის საბჭოში. აქედან გამომდინარე, არჩევნების დროს ბრძოლა გამოიხატა სომხების დაპირისპირებად ქართველების წინააღმდეგ. მაგრამ ასე მხოლოდ ჩანდა. მატინიანც-იზმაილიანცი მეგობრებთან ერთად ადგენდნენ ამომრჩეველთა სიას იმ პირებისას, რომელთა რაოდენობრივ უპირატესობაში თავად იყვნენ დარწმუნებულნი. **მათ მიმდევართა უმრავლესობა მდიდარი, სახლების მფლობელი სომხები იყვნენ, რომლებსაც, 1892 წლის წესდების თანახმად, ქალაქის არჩევნების დროს მინიჭებული ჰქონდათ გადამწყვეტი ხმის უფლება.**

1883 წელს, როცა ქალაქის მერის თანამდებობა ა.ა. მატინიანცს ეკავა, მმართველობის წევრები იყვნენ ა.ა. თამაშიანცი (ვიცემერი), პ.ა. იზმაილიანცი (ვიცემერი 1883 წლის 17 ოქტომბრიდან), ნ.ა. პაპიანცი (ხელმეორედ აირჩიეს 1883 წლის 31 იანვარს), ე.ე. ხოსროევი (ხელმეორედ აირჩიეს 1883 წლის 31 იანვარს).

მისივე მერობის დროს — 1884 წელს ვიცემერი იყო პ.ა. იზმაილიანცი, წევრები — ნ.ა. პაპაიანცი, ე.ე. ხოსროევი.

1885 წელს ა. ა. მატინიანცის მერობის დროს მმართველობის წევრები იყვნენ პ. ა. იზმაილიანცი (ვიცემერი), ნ. ა. პაპაიანცი, ე. ე. ხოსროევი.

## ეროვნებათაშორისი ურთიერთობა ქალაქის საბჭოში (დუმაში) 1880-იანი წლების ბოლოს და 1890-იანი წლების დასაწყისში

**1886 წ. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ტიფლისელ სომხებს, რომლებიც ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 47 პროცენტს შეადგენდნენ, ქალაქის საბჭოში ხმების 72 პროცენტი ჰქონდათ. ნიშანდობლივია, რომ ქართველებს, რომლებიც მოსახლეობის 28 პროცენტს შეადგენდნენ, ქალაქის საბჭოში მხოლოდ ხმათა 4 პროცენტი ერგოთ, ხოლო სხვა ეროვნებებს (რუსებს, გერმანელებს, პოლონელებს, ბერძნებს და სხვ.) იმავე წელს ხმების 24 პროცენტი ჰქონდათ.**

სომხების რაოდენობრივ უპირატესობას კ. ტურიანი ასე განიხილავდა (*კ. ტურიანი, ერთი კვირა თბილისში, „ანდეს ამსორეა“, 1890, გვ. გვ. 202-203. სომხურ ენაზე*): „აქედან გამოდის ისიც, რომ ფული უმთავრესად სომხების ხელშია. ძირითადად მათ ▶

ქვათა ღაღადი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ სომეხი სრულუფლებიანი ხმოსნების რაოდენობა 1/3-ზე ცოტა მეტი უნდა ყოფილიყო. რუსულ-ქართული პარტია, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ედგა, სომეხი სრულუფლებიანი ხმოსნებისთვის ითვალისწინებდა 22 ადგილს, რუსებისთვის — 23-ს, ქართველებისთვის — 28 ადგილს.

◀ ხელშია ვაჭრობა და ყველა მომგებიანი ფულიანი საწარმო. თიფლისის ფულის მაგნატები არ ჰგვანან იმათ, ვისაც არ შეუძლიათ მჭიდროდ გაერთიანდნენ რომელიმე ფულიანი წარმოების გარშემო. ტიფლისის ბანკები დაარსებულია სომხების ანაბრებით. „ტიფლისის კომერციული ბანკი“, „ურთიერთ კრედიტირების საზოგადოება“, „ქალაქის საკრედიტო საზოგადოება“, „ქალაქის ხანძრისგან დაზღვევის საზოგადოება“ შექმნილია სომხების მიერ და ისინი არიან ძირითადად მათი აქციონერები.

ეს უკანასკნელი საზოგადოება ახლახანსაა ჩამოყალიბებული, იფიქრეს, რატომ უნდა ვუხადოთო უზარმაზარი თანხა რუსულ ან სხვა საზოგადოებებს, უმჯობესია ეს ფულიც ჩვენთვის დავიტოვოთო“.

1890 წელს არა მარტო მერი და მისი თანაშემწე, არამედ ქალაქის საბჭოს წევრების უმეტესობა სომხები იყვნენ: „იმისათვის, რომ აირჩიო, ან იყო არჩეული, უნდა გქონდეს გარკვეული თანხის უძრავი ქონება, ან, უფრო სწორად, გადაიხადო გარკვეული ბაჟი ქალაქის ხაზინაში. მიუხედავად იმისა, რომ ტიფლისის სომეხი მოსახლეობის მხოლოდ ნახევარია, არჩეულთა და, მაშასადამე, ასარჩევთა შორის, რომლებიც ქალაქს გარკვეულ ბაჟს უხდიან, სომხები მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ“...

ცნობილია, რომ 1890 წელს ქალაქის საბჭოში არჩეული 72 წევრიდან 38 სომეხი იყო, 22 — ქართველი, 11 — რუსი და ერთი გერმანელი.

1890-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ არჩევნების შემდეგ, რომელიც 1893 წლის 16 მაისს გაიმართა, უაღრესად გამწვავდა ურთიერთობა სომხურ და ქართულ-რუსულ დაჯგუფებებს შორის. ამის მიზეზი იყო ის, რომ სომხებმა, რომლებიც ქალაქის მოსახლეობის 1/3-ზე ცოტა მეტს შეადგენდნენ, ქალაქის საბჭოში კვლავ მიიღეს ხმების 2/3. სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა, ერთად აღებულმა, საბჭოში ხმების მხოლოდ 1/3 მიიღეს. ამან გამოიწვია, კერძოდ, ქართველებისა და რუსების კანდიდატებისა და მათი დამცველი პარტიების პროტესტის ტალღა. საკმარისია, აღინიშნოს, რომ, მაგალითად, 1893 წლის 16 მაისს არჩეულ 80 სრულუფლებიან ხმოსანს შორის მხოლოდ ერთი იყო ქართველი — თავადი ქოლუბანსკი, 16 იყო რუსი, 3 — გერმანელი, 63 — სომეხი.

არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ზოგიერთი ქართველი მოღვაწე მიიჩნევდა, რომ სომხები ქალაქის საბჭოში გაცილებით ნაკლები ხმებით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ სომეხი სრულუფლებიანი ხმოსნების რაოდენობა 1/3-ზე ცოტა მეტი უნდა ყოფილიყო. რუსულ-ქართული პარტია, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ედგა, სომეხი სრულუფლებიანი ხმოსნებისთვის ითვალისწინებდა 22 ადგილს, რუსებისთვის — 23-ს, ქართველებისთვის — 28 ადგილს.

რუსი სრულუფლებიანი ხმოსნების ქალაქის საბჭოში მცირე რაოდენობით წარმოდგენის შესახებ რუსული გაზეთის — „კავკაზის“ რედაქტორი ველიჩკო შენიშნავდა: „ზედმეტია ლაპარაკი რუსული ელემენტის მონაწილეობის თაობაზე ამ საქმეში, ეს თავისთავად ჯოჯოხეთური ფაქტია, ყველაფერი, რასაც ცივილიზაციის ბეჭედი აზის, შექმნილია რუსული ფულით, რუსული ინიციატივით ან რუსეთის მთავრობის ქველმოქმედებით, გადარჩენილია რუსული მახვილით და უცებ მრავალი წლის განმავლობაში თბილისის თვითმმართველობაში რუსული ელემენტი წარმოდგენილია ასეთი უცნაური, ასეთი აუხსნელი უმცირესობით! ეს აბუჩად აგდებაა...“

ზედმეტი არ იქნება იმის თქმა, თუ რომელი ლოგიკით ასაბუთებდა „კავკაზის“ რედაქტორი ქართველებისა და რუსების უფრო მეტი რაოდენობით არჩევის აუცილებლობას: „სომხებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ტიფლისი საქართველოს ყოფილი სამეფოს დედაქალაქია, რუსების არჩევა საჭიროა იმიტომ, რომ რუსეთის მფარველობით ქვეყანაში შემოვიდა განათლება...“



**«თბილისის განვითარების მრავალრიცხოვანი დოკუმენტები მოწმობს, რომ ქალაქის მმართველობას... ყოველთვის სომეხი მერი მართავდა და ყოველთვის, ეჭვგარეშეა, მიმართული იყო ერთი მიზნისკენ — ქალაქის განვითარებისა და კეთილმოწყობისკენ»**

ქართველი სრულუფლებიანი ხმოსნების მნიშვნელოვნად მცირე რაოდენობით არჩევა ქალაქის საბჭოში თავის დროზე ასე იყო კომენტირებული: ქართველები — ქართლელები და კახელები — ყველაზე ნაკლებად არიან ქალაქელები. ისინი, უწინარეს ყოვლისა, მიწის ხალხია, შემდეგ — იარაღის ხალხი. სოფლის მეურნეობა და სამხედრო სამსახური ათადან-ბაბადან იყო აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა საყვარელი საქმე. დრო ბევრ რამეს ცვლის: თანდათან ქართველი მოსახლეობის სხვადასხვა კლასებიდან ცნობილი ელემენტი ბურჟუაზიად გამოიყო. გაჩნდნენ ქართველი კომერსანტები, თავისუფალი პროფესიის პირები. მაგრამ ისინი ჯერ ცოტანი არიან. მათ უმეტესობას ტიფლისში არჩევნებში მონაწილეობის ცენზიც არ გააჩნია“.

1893 წლის 16 მაისის არჩევნების შედეგები გაუქმდა. ახალი არჩევნები 30 მაისს გაიმართა: „30 მაისს მხოლოდ 90-მა კაცმა გამოთქვა სურვილი არჩეული ყოფილიყო, ამასთან, მათი რაოდენობა 16 მაისს 175 იყო. მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მეორე არჩევნების დროს, 2 კაცის გარდა (გ. წერეთელი და ბატონი ქოლუბანსკი), ყველა ქართველმა კანდიდატმა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე უკან წაიღო თავ-თავიანთი ურნები იმის მომიზეზებით, რომ ისინი შეურაცხყოფილები არიან 16 მაისს მათგან მხოლოდ 6 კაცის არჩევით, და 30 მაისს იგივე მოხდებოდა. უარი თქვა ზოგიერთმა რუსმა კანდიდატმაც და ახალგაზრდა სომეხთა სიიდან იმათ, ვინც 16 მაისს არ მიიღო ხმების საკმარისი რაოდენობა.

საყოველთაო აღფრთოვანების მომლოდინე ქართველებმა საზოგადოებრივი საყვედური დაიმსახურეს, რადგან მათი საქციელი ბრძოლის ველიდან გაქცევის ტოლფასი იყო...“ *(„მურჩი“ („ურო“), 1893, გვ. 823 (სომხურ ენაზე).*

სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა საკითხი, რომელი ეროვნების უნდა ყოფილიყვნენ სრულუფლებიანი ხმოსანი სომხები და, განსაკუთრებით, ქალაქის თავი. ქალაქის საბჭო კი... განაგრძობდა მუშაობას მისთვის ჩვეულ რეჟიმში. 1892 წელს დამტკიცდა ქალაქის ახალი დებულება, რომლითაც გაძლიერდა საგუბერნიო ხელისუფლების კონტროლი ქალაქის თვითმმართველობაზე და შეიზღუდა მისი უფლებები.

1897 წლის 18 მაისს ქალაქის სრულუფლებიან ხმოსანთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 177 კანდიდატმა. აირჩიეს 57 (37 სომეხი, 8 ქართველი, 10 რუსი, 2 გერმანელი). იმავე წლის 1 ივნისს დამატებითი არჩევნების შედეგად დამატებით 29 სრულუფლებიანი ხმოსანი აირჩიეს (18 სომეხი, 9 რუსი, 2 ქართველი), სულ 86 კაცი. მათგან 55 იყო სომეხი, 19 — რუსი, 10 — ქართველი, 2 — გერმანელი.

პირველ მსოფლიო ომამდე თბილისის საქალაქო საბჭო ინარჩუნებდა ისეთ ეროვნულ თანაფარდობას, როგორიც ჩამოყალიბდა 1880-იანი წლების დასაწყისში.

თბილისის განვითარების მრავალრიცხოვანი დოკუმენტები მოწმობს, რომ ქალაქის მმართველობას... ყოველთვის სომეხი მერი მართავდა და ყოველთვის, ეჭვგარეშეა, მიმართული იყო ერთი მიზნისკენ — ქალაქის განვითარებისა და კეთილმოწყობისკენ (ამაზე მეტყველებს დიდი ფულადი ანაბრები, ანდერძები, რომლებიც ზოგიერთ მერსა და სრულუფლებიან ხმოსანს ქალაქის საბჭოში შეჰქონდა).

ამავე დროს, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ამ მოღვაწეთა უდიდესი უმრავლესობა, რომლებიც ქალაქის უსაზღვრო ერთგული იყო, გულგრილი რჩებოდა ეროვნული ამოცანების მიმართ. ამ ფაქტს ითვალისწინებდა „ოვიტის“ („ველი“) კორესპონდენტი, 1914 წ. ჩერქეზოვის მმართველობის პერიოდს რომ ეხებოდა და წერდა: „რა ზიანი მიაყენა სომხებს ჩერქეზოვის მმართველობამ? არავითარი. ბოლოს და ბოლოს, რა კავშირი აქვს ქალაქის მართვას ეროვნებასთან? ეროვნული და ქალაქის ინტერესები სრულიად განსხვავებულია. ყველაზე უფრო ჩამორჩენილი და პატარა სომხური სოფლის რომელიღაც სკოლას ან აბანოს არ გავცვლი თბილისის საქალაქო საბჭოს ყველა სომეხ წევრზე მათ სრულუფლებიან ხმოსნებთან ერთად“.

სომხურ სკოლასთან შორს მყოფი, მაშასადამე, თვითშეცნობის შესაძლებლობას მოკლებულები, სახელმწიფო (რუსულ) სკოლებსა და გიმნაზიებში განათლებამიღებულები, აქედან გამომდინარე, დენაციონალიზაციისა და გარიდების გავლენის ქვეშ მყოფი სომეხი მერები და სრულუფლებიანი ხმოსნები, უდიდესი სურვილიც რომ ჰქონოდათ, მშობლიური ხალხის მხარდამჭერები ვერ იქნებოდნენ.

ისინი, როგორც ზუსტად აღნიშნავდა იმდროინდელი სომხური პრესა, ჩამოყალიბდნენ არა ერის წარმომადგენლებად, არამედ — კაცობრიობის...

ტიფლისის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, კერძოდ, 1917 წელს, უკანასკნელი სომეხი მერის — ა. ხატისიანცის სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, მას შემდეგ, რაც 1918 წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა გამოცხადდა, თბილისის მერებისა და სრულუფლებიანი ხმოსნების ისტორია სრულიად ახალ ფაზაში შევიდა. მართალია, ჯერ კიდევ 1919 წელს, მერის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ეროვნებით სომეხ მ. ათაბეკიანს, და საბჭოთა წლებში, 1960-იან წლებამდე, მერის მოადგილეებად ხშირად სომხები იყვნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, უკვე 1921 წლიდან მოყოლებული, დღემდე თიფლისის-თბილისის მერები მხოლოდ ქართველები იყვნენ.

წმინდა მამამ ვაან ოვანისიანმა, რომელიც 1960 წელს ქალაქს ეწვია, თბილისის ფერიცვალებაზე ორმოცწლიანი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ასეთი რამ დაწერა: **„მშენებლობის სფეროში ახალი არაფერია. როგორც კავკასიაში მეფისნაცვლის ქალაქს, მას მდიდრული სასახლეები ჰქონდა, პროსპექტები და მწვანე სკვერები. ქართველებმა იციან, რომ თიფლისი სომხების აშენებულია. როცა 1801 წელს საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შევიდა თიფლისი დიდი სოფელი იყო, ლტოლვილი სომხების, მელიქების, მანთაშიანცის, არამიანცის და სხვა მდიდარი სომხების წყალობით საქართველოს აქვს ლამაზი თიფლისი, ქართველებმა კი იგი სიმპათიური კინტოებით დაამშვენეს“.**

*(სამველ კარაპეტიანი, თანამედროვე ქართული პრესის თბილისის მერების ისტორიისადმი არაკომპეტენტურ დამოკიდებულებაზე რომ წერს, აღნიშნავს, რომ პუბლიკაციები სავსეა მოგონილი ამბებით და შეცდომებით. — რედ.)*

„მაგალითად, — წერს კარაპეტიანი, — ჯ. ამირანაშვილი არამართლზომიერად უარს ამბობს ქართველ მერზე ვასილ ჩერქეზოვზე, და სინანულს გამოთქვამს, რომ თბილისის ქალაქის თავების ისტორიაში (1917 წლამდე) იყო ერთადერთი ქართველი — დიმიტრი ყიფიანი“.

**«სომხებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ტიფლისი საქართველოს ყოფილი სამეფოს დედაქალაქია, რუსების არჩევა საჭიროა იმიტომ, რომ რუსეთის მფარველობით ქვეყანაში შემოვიდა განათლება...»**



**გაგრძელება იქნება**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქართულ ცეკვას სხვა რატომ ვერავინ იცეკვებს? ეს კითხვა თავის დროზე დასვა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა და მოაზროვნემ – გრიგოლ რობაქიძემ და თავადვე უპასუხა: იმიტომ, რომ „რასსა არ ეყოფა...“

# ბალადა «სუხიშვილებზე», ანუ ქართულ ცეკვას სხვა რატომ «ვერავინ იცეკვებს, ქართველის გარდა»?



**რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს უკვე შეუძლებელია იმის გააზრება, ელემენტარულ ცხოვრებისეულ სიკეთესა და ადამიანურ უფლებებს დახარბებული ჩემი თაობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც გასულ საუკუნეში დაიბადნენ და აღიზარდნენ, რას ნიშნავდა ეს მაგიური სიტყვა — „სუხიშვილები“; სიტყვა, რომელმაც საბჭოეთის წყვდიადი გაარღვია და საქართველოს სახელი მსოფლიოში გაიტანა...**

როცა ვსაუბრობთ, რომ „სუხიშვილებმა“ მთელი ეპოქა შექმნეს ჩვენს სინამდვილეში, სწორედ ეს ისტორიული მისია იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, და არა თუნდაც ტრიუმფალური გასტროლები რომელიმე ანსამბლის, თეატრისა და ა. შ.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად **ფიზიკურად და სულიერად დაოსებულმა ჩვენმა ხალხმა ნამდვილ ღვთის წყალობად მიიღო ეს სხივი და შვებით ამოისუნთქა, თითქოს ერმაც გამოიღვიძა და იმედის თვალით შეხედა თავის სწორუპოვარ დესპანებს სხვა ხალხებთან ურთიერთობაში**.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი ღვთივმიმადლებული დესპანია „სუხიშვილების“ გამორჩეული წევრი, შეუდარებელი ნინო რამიშვილის მრავალი წლის პარტნიორი, ბატონი თენგიზ უთმელიძე, რომელიც ახლაც ისევე გვანებივრებს ნიჭიერებით, როგორც ათეულობით წლის წინათ, როდესაც გამოდიოდა სცენაზე და ქმნიდა ქართველი რაინდის უებრო სახეს. სწორედ მასზე და მის კოლეგებზე წერდა აღტაცებული **გრიგოლ რობაქიძე: „...ᲙᲕᲠᲘᲕᲘ, ᲜᲐᲙᲕᲗᲘᲔᲠᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲜᲐᲙᲕᲗᲨᲘ — ᲛᲖᲘᲡ ᲭᲐᲕᲚᲘ ᲮᲐᲚᲐᲡᲘ. ᲐᲡᲮᲔᲞᲘᲚᲘ ᲕᲘᲗ ᲐᲡᲙᲘᲚᲘ. ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲘ, ᲓᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲚᲘ, ᲐᲚᲔᲡᲘᲚᲘ. ᲨᲛᲐᲒᲘ, ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲨᲚᲔᲒᲘ, ᲫᲐᲚᲐᲐᲧᲠᲘᲚᲘ, ᲐᲪᲔᲪᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ... ᲠᲝᲙᲕᲐ: (ᲠᲘᲢᲛᲣᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲔᲚᲕᲐᲠᲘ. ᲪᲥᲐᲤᲘ ᲬᲐᲛᲐᲮᲣᲚ ᲤᲔᲠᲮᲗᲐ. ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲡᲐᲮᲕᲘ ᲘᲗᲥᲛᲘᲡ: ᲖᲔᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲢᲐᲜᲘ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲣᲫᲠᲐᲕᲘ... ᲛᲝᲨᲕᲘᲚᲓᲣᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲮᲚᲔᲢᲘ (ᲠᲐ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲐ! ᲓᲐᲘᲚᲝᲪᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘ!)...“**

ახლაც ძველებურად გვანებივრებს-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ ლეგენდარული ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის აღზრდილ-დაფრთიანებული თენგიზ უთმელიძე, უკვე საქართველოს სახალხო არტისტის რანგში, კვლავაც განაგრძობს თავის უაღრესად მრავალმხრივსა და საინტერესო მოღვაწეობას; ამჟამად, — როგორც ფოტოხელოვანი, ჟურნალისტი და ეროვნული ქორეოგრაფიის გულმხურვალე პროპაგანდისტი. ამის უტყუარი ნიმუშია მისი წიგნი: **„სუხიშვილები“ — რომანტიკული ფოტომატიანე“**, რომელიც თბილისის მერიამ გამოსცა. ულრმესი მადლობა ყველას, ვინც ეს უნიკალური, ასე ვიტყოდი, ჭეშმარიტი ისტორიული დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახადა მკითხველთა ფართო წრისთვის. ამ მართლაც რომანტიკულსა და ერთობ შთამბეჭდავ ფოტომატიანეზე უსასრულოდ შეიძლება ვისაუბროთ და ამას ვაკეთებთ კიდეც მის ავტორთან — ჩვენს სახელოვან თანამემამულე თენგიზ უთმელიძესთან ერთად...









ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობაც რომ არ მაკავშირებდეს ჩვენს ძვირფას თენგიზ უთმელიძესთან, რაკი საქმე „სუხიშვილების“ ანსამბლს ეხება და, რაც მთავარია, ქართულ წიგნს, **უფლებას ვერ მივცემ თავს, არ გამოვთქვა ჩემი გულისტკივილი იმის გამო, რომ ასეთ მნიშვნელოვან გამოცემას აკლია... რედაქტორის ხელი.**

რატომღაც ბევრს ავიწყდება, რომ წიგნის, როგორც პოლიგრაფიული ერთეულის, ავტორია რედაქტორი და არა იდეისა თუ ძირითადი ტექსტის შემოქმედი. ამ დიდებულ გამოცემას კი აწერია, როგორც იტყვიან, თავის ადგილზე, რედაქტორის სახელიცა და გვარიც (ნოდარ გურაბანიძე), მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს მხოლოდ ფორმალობაა და მეტი არაფერი. თუ თქვენი ნება იქნება, ჩვენო ძვირფასო ქალბატონო ნეკა (მივმართავ ქ. თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნ. სებისკვერაძეს), შემიძლია დაწვრილებითი ანალიზი (გვერდების მიხედვით) წარმოგიდგინოთ იმისა, რომ ბატონ ნოდარ გურაბანიძისთვის, რომელსაც ყველანი ვიცნობთ და პატივს ვცემთ, როგორც უაღრესად ნიჭიერსა და ერუდირებულ თეატრთმცოდნეს (ხუმრობა ხომ არ არის, იგი რუსთაველის პრემიის ლაურეატიც გახლავთ და სრულიად დამსახურებულად), სამწუხაროდ, რედაქტორობის ნიჭი უფალს არ მიუცია, რის შესახებაც არაერთხელ მითქვამს და პრესაშიც განმიცხადებია — იხ. თუნდაც „ცისკარში“ (№10, 2011) ჯერ კიდევ სამი წლის წინათ გამოქვეყნებული ჩემი სტატია — „გლახა ჭრიაშვილის არლანი, ანუ ვინ ამოაგდო გრ. რობაქიძის პირველივე პიესები („ლონდა“, „მალშტრემ“) რუსთაველის თეატრის რეპერტუარიდან?“ თუ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი მთელი სერიალი (ვთქვათ, 13 მარტისა და 19 მარტის ნომრები და ა. შ.), სადაც, რომ იტყვიან, დოკუმენტურად აღნუსხულია, რომ **ბატონი ნ. გურაბანიძე, ვიმეორებ, სამწუხაროდ, ისევე უდიერად ეპყრობა, როგორც თავის, ისე სხვის წიგნებს და, რაღა შორს წავიდეთ, ბატონი თ. უთმელიძის ეს შესანიშნავი „რომანტიკული ფოტომატიანეც“ მოხვდა ამ „შავ სიაში“, ცხადია, მხოლოდ რედაქტირების თვალსაზრისით.**

სანამ ქალბატონი ნეკა სებისკვერაძე გადაწყვეტს, ღირს თუ არა ამ საკითხზე საგანგებო შეხვედრა და მსჯელობა, ორიოდე სიტყვით უნდა მიგანიშნოთ, რა შენიშვნები მაქვს, ღმერთმა ხომ იცის, რომ მხოლოდ მეგობრული და მომავალში გასათვალისწინებელი, ამ გამოცემასთან.

წიგნის რედაქცია-რედაქტირება ნიშნავს ხელნაწერი ტექსტის გასწორებას, ლიტერატურულ დამუშავებას და დასაბეჭდად მომზადებას. რა ხდება ამ მხრივ ბატონი თენგიზ უთმელიძის წიგნთან დაკავშირებით? პასუხი კატეგორიულია — წიგნი არ არის რედაქტირებული, ანუ არ არის მომზადებული გამოსაქვეყნებლად. მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს გავაკეთებ და თავად განსაჯოს მკითხველმა, ამ წიგნს, აწყობის შემდეგ, ვინმემ გადახედა თუ არა.

ჯერ თავად რედაქტორის ორგვერდიან (3-4) წინასიტყვაობას გავეცნოთ: „მითუმეტეს“ კი არა — **„მით უმეტეს“**, ე. ი. ცალ-ცალკე იწერება და არა ერთად. ასევე ცალ-ცალკე იწერება — **„ერთსა და იმავე“** და არა ერთად („ერთსადაიმავე“); „მოცინარე“ კი არა – **„მოცინარი“**; და არც „კოსმოგენიური“ (**„კოსმოგონიური“**) — ვერ იქნა და ვერ გავაგებინე ჩემს ძვირფას კოლეგას, როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა ბრძანა, სულაც არის საჭირო, მუდამ „მერანი“ და „რაში“ ვიძახოთ, ზოგჯერ ვთქვათ – „ცხენი“...

ახლა ცალკეული გამოთქმები: „დაჯილდოვებული“ და „დაუჯილდოვებია“ კი არა - **„დაჯილდოებული“** და **„დაუჯილდოებია“**; „შემოქმედათ“ კი არა — **„შემოქმედად“**; არც „სისხლში და კუნთებში“ ითქმის (**„სისხლსა და კუნთებში“**), არც „არტისტიზმით და ცხოვრებისეული ეპიზოდებით“ (**„არტისტიზმითა...“**) და არც „შიმშილით და მუდმივი სიდუხჭირით“ (**„შიმშილითა...“**). „ანასამბლი“, ცხადია, ე. წ. კორექტურაა, მაგრამ ესეც ხომ ითხოვს ყურადღებას, ისევე



**«სუხიშვილები» — სიტყვა, რომელმაც საბჭოეთის წყვდიადი გაარღვია და საქართველოს სახელი მსოფლიოში გაიტანა... როცა ვსაუბრობთ, რომ «სუხიშვილებმა» მთელი ეპოქა შექმნეს ჩვენს სინამდვილეში, სწორედ ეს ისტორიული მისია იგულისხმება**

## «რუსთავი 2»-ის განცხადების საფუძველზე მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო

**მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, საქმე აღიძრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით, კერძო საუბრების, კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ფაქტზე.**

პროკურატურა ჩაატარებს ყველა საგამოძიებო მოქმედებას და ყველა ღონისძიებას ჭეშმარიტების დასადგენად.

„ამასთანავე, მივმართავთ „რუსთავის 2“-ის თანამშრომლებს, აქტიურად ითანამშრომლონ საგამოძიებო სამსახურთან, რათა უმოკლეს დროში მოხდეს გავრცელებული ვიდეოჩანაწერების წარმომავლობისა და ამ შესაძლო დანაშაულში ჩართული პირების გამოვლენა და დადგენა“, — განაცხადეს პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე.

შეგახსენებთ: 6 მაისს „რუსთავი 2“-ის კოლექტივმა განაცხადა, რომ ტელეკომპანიაში ტოპმენეჯმენტსა და ჟურნალისტებს ფარულად უსმენდნენ და გენერალური დირექტორის — ნიკა გვარამიასა და გადაცემა „პოზიციის“ წამყვანის — ნინო შუბლაძის სამუშაო კაბინეტებში გაკეთებული ფარული ჩანაწერები გაასაჯაროა.



**დიმიტრი ყიფიანის შთამომავლებიც ძალიან საინტერესო პიროვნებები იყვნენ. მაგალითად, გურამ პატარაია, რომელიც გახლავთ რეჟისორი ფილმებისა „კუჩხი ბედინერი“, „რეკორდი“, „სიყვარული, ხანძარი, პომპიერო“ და სხვ.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




**ალზრდილ-დაფრთიანებული თენგიზ უთმელიძე, უკვე საქართველოს სახალხო არტისტის რანგში, კვლავაც განაგრძობს თავის უაღრესად მრავალმხრივსა და საინტერესო მოღვაწეობას; ამჟამად, როგორც ფოტოხელოვანი, ჟურნალისტი და ეროვნული ქორეოგრაფიის გულმხურვალე პროპაგანდისტი**

როგორც წერტილიცა და მძიმეც ექვემდებარება გარკვეულ წესს.

ახლა ეს მითხარით, რედაქტორი რომ ასე წერს, სხვებს რას ჩაუსწორებს? ჰოდა, სავსეა წიგნიც ასეთი „მარგალიტებით“: „ლირიული“ (გვ. 58) – უნდა იყოს: **„ლირიკული“;** „დინამიური“ (75, 201, 214) — **„დინამიკური“;** „მაშტაბური“ (200) — **„მასშტაბური“;** „ლაკონური“ (223) — **„ლაკონიური“;** „კინოს ვარსკვლავები“ (208) — **„კინოვარსკვლავები“;** „მადლითცხებული“ (208) — **„მადლცხებული“;** „ქებათაქება“ (224) — იწერება ერთად: **„ქებათაქება“;** ასევე ერთად: იწერება **„კინოდოკუმენტალისტი“** თუ **„ციხესიმაგრე“** და არა დეფისით: „კინო-დოკუმენტალისტი“ (149) და „ციხე-სიმაგრე“ (214). დეფისით კი იწერება: **„თვალ-მარგალიტი“** და არა ცალ-ცალკე: „თვალ მარგალიტი“ (235); ცალ-ცალკე იწერება: **„წლიდან წლამდე“,** რომელიც აქ (190) დეფისითაა წარმოდგენილი („წლიდან-წლამდე“).

არ არის სწორი – „უნებლიედ“ (226, 236) — უნდა იყოს: **„უნებლიეთ“;** არც „ნომრებათ“ არის სწორი (200) — უნდა იყოს: **„ნომრებად“**; „მთელს“ კი არა (189, 232), არამედ **„მთელ“;** ასევე: „არავისზედ“ (227) კი არა — **„არავისზე“**; ხოლო „ამის გარეშე“ (191) ქართულად იქნება: **„უამისოდ“** და ა. შ. და ა. შ. ხან რომ „ლა-სკალა“ წერია (92), ხან კი „ლა სკალა“ (231); ხან „სან-პაულო“ (242), ხანაც, მომდევნო გვერდზევე, „სან პაულო“; რაც შეეხება დეფისისა და ტირის ერთმანეთში არევას, ამ მხრივ აქ ისეთი ქაოსია, რომ ყოვლად მოუთმენელია მკითხველის ასე აგდება. ისეთ წარმოუდგენელ შემთხვევასაც კი ვხვდებით, როცა აბზაცი იწყება დეფისით (240), ან მთლად უარესი, გადატანილი სიტყვის წინაც დეფისი წერია (214, თანაც ორჯერ).

მოუწესრიგებელია პრესის მონაცემებზე ქალაქისა და წლის მითითება: (პარიზი, 1965 წ) — გვ. 28 და იქვე, იმავე გვერდზე: (ბრიუსელი. 1963 წ.) ანუ პირველ შემთხვევაში ქალაქის შემდეგ მძიმეა, მეორეში – წერტილი; პირველ შემთხვევაში „წ“-ს შემდეგ არაა წერტილი, მეორეში — არის. ასე არეულ-დარეულია სხვაგანაც. ნუთუ არ შეიძლებოდა ყოველივე ამის მოწესრიგება?! ან როდის იყო, რომ ამ ჩვენს სახელოვან ანსამბლს ერქვა — „ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ (96) და ა. შ.

ყველაზე საგანგაშო კი მაინც ისაა, თუ რა უდიერადაა გადატანილი ინგლისურ ენაზე ქართული სახელები და გვარები. ნუთუ ასე ძნელია, ინგლისურად დავწეროთ, ვთქვათ, „რამიშვილი“, „ჯუმბერი“, „ჯემალი“, „ნიჟარაძე“, „ფოჩიანი“, „ჯეირანი“, „ხაჟომია“... რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. ან გვარი რომ დიდი ასოთი უნდა დაიწეროს ინგლისურად, ამას რა დიდი განსწავლულობა უნდა?! ყოველივე ამის ამოწერა, რომ იტყვიან, მართლაც ააჭრელებდა გაზეთს, ამიტომაც მოვერიდები და, თუ ქალბატონი ნეკა მიიღებს ჩემს წინადადებას, წელან რომ შევთავაზე, მაშინ ჩამოვუწერ დაწვრილებით, თუ არა და, ალბათ, თავად უკეთ იციან თავიანთი საქმისა, რომლის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად ვთავაზობ ჩემს უანგარო და მეგობრულ სამსახურს.

ეგებ, აქვე, იმის შეხსენებაც არ იყოს ურიგო, რომ ამ მშვენიერ გამოცემას ძალიან დააკლდა ტრადიციული საძიებლები, მით უმეტეს, რომ აქ აუცილებლად უნდა ყოფილიყო გეოგრაფიულ სახელთა საძიებელიც...

**დასასრულ, სათაურშივე დასმული საკითხი — ქართულ ცეკვას სხვა რატომ ვერავინ იცეკვებს? ეს კითხვა თავის დროზე დასვა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა და მოაზროვნემ – გრიგოლ რობაქიძემ და თავადვე უპასუხა: იმიტომ, რომ „რასსა არ ეყოფა...“**

**გოგი დოლიძე**





# დიმიტრი ყიფიანის 200 წლის იუბილე ხაშურში

**26 აპრილს დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, წმინდანად შერაცხილი დიმიტრი ყიფიანის 200 წლის იუბილე ულამაზესი ღონისძიებით აღონიშნა ქალაქ ხაშურში, სადაც დიმიტრი ყიფიანმა ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები გაატარა. ეს ღონისძიება ჩოხოსან რაინდთა ხელმძღვანელის, რეჟისორ გოგი დოლიძის ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა.**



**გოგი დოლიძე:**

— დიმიტრი ყიფიანის იუბილის ხაშურში აღნიშვნა ჩემი იდეა იყო. სურამ-ხაშურის ეპარქიის მეუფე სვიმეონმა აიტაცა ეს იდეა და მხარში ამომიდგა. სხვათა შორის, სწორედ ამ დღეს ხაშურის ახალი გამგებელი მამუკა ხაჩიძე გავაწევრე ჩოხოსან-რაინდთა დასში. აწი სწორედ მამუკას დავავალებ ამ საქმეს და მომავალ წელს დიმიტრი ყიფიანის იუბილეს თვითონ მიხედავს. მთავარია, რომ ამ დიდი პიროვნების იუბილის აღნიშვნას საფუძველი ამ ქალაქშიც ჩავუყარეთ. მთელი საქართველოდან მოვიწვიეთ სტუმრები — აჭარიდან, სამეგრელოდან, კახეთიდან, იმერეთიდან და ა. შ. და იუბილე მთელი საქართველოს დღესასწაულად ვაქციეთ. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრმა არ იცის დიმიტრი ყიფიანის გმირობისა და, საზოგადოდ, ამ დიდი პირვნების მოღვაწეობის შესახებ. ამიტომ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, არჩილ ჯორჯაძის, ექვთიმე თაყაიშვილის ამა თუ იმ ნაწარმოების თუ კვლევების მიხედვით დავწერე დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის შესახებ და ეს ყველაფერი ბავშვებმა ამ დღეს გამართულ ღონისძიებაზე წაიკითხეს.

**თამარ მიქაძე,**

**მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დიმიტრი ყიფიანის შთამომავალი:**

— მე გახლავარ დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავალი, მე-6 თაობის წარმომადგენელი; მოხარული ვარ, რადგან პირველი შთამომავალი ვარ, რომელსაც ხმამაღლა შეუძლია ამაზე საუბარი. აქამდე ჩემი წინაპრები ამის შესახებ ხმამაღლა ვერ საუბრობდნენ. მაგალითად, დედაჩემი ლალი პატარაია მთელი ცხოვრება გულისტკივილით იხსენებდა, რომ, როდესაც სკოლაში მასწავლებელი აკაკი წერეთლის „განთიადს“ გვიხსნიდა, რომელიც დიდმა მწერალმა სწორედ დიმიტრი ყიფიანს მიუძღვნა, შინ გაფრთხილებული ვიყავი, სკოლაში არ მეთქვა, დიმიტრი ყუფიანის შთამომავალი რომ ვიყავიო. დედას წინა თაობა კიდევ უფრო რთულ ვითარებაში ცხოვრობდა, რადგან დიმიტრი ყიფიანის შთამომავლობის გამო მიწებსაც ართმევდნენ და უამრავი ტრაგედიის მსხვერპლის ხდებოდნენ. სხვათა შორის, **დიმიტრი ყიფიანის შთამომავლებიც ძალიან საინტერესო პიროვნებები იყვნენ. მაგალითად, გურამ პატარაია, რომელიც გახლავთ რეჟისორი ფილმებისა „კუჩხი ბედინერი“, „რეკორდი“, „სიყვარული, ხანძარი, პომპიერო“ და სხვ., ასევე — დოკუმენტური ფილმებისა. სამწუხაროდ, დედა და ბიძა, გურამ პატარაია, ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ დიმიტრი ყიფიანის დაფასებას ვერ მოესწრნენ...**

ძალიან მიხარია, ყოველ წელს რომ ტარდება დიმიტრობა, რომ დაარსდა მისი სახელობის მედალიც, რომელიც შარშან სწორედ მე მომანიჭეს.

შინ დიმიტრის ყიფიანის ძალიან მდიდარი არქივი გვაქვს, ფოტოები, წერილები... აი, ამ ყველაფრის შეკრებას და გამოცემას უახლოეს მომავალში ვაპირებ.

**ცნობისათვის:**

**დიმიტრი ყიფიანი 1814 წლის 26 მაისს გორის მაზრის სოფელ მერეთში დაიბადა. 1832 წელს შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ვოლგოგრადში გადაასახლეს. ხუთი წლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. 1864 წლამდე მუშაობდა მთავარმართებლის კანცელარიაში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, ჯერ თბილისის გუბერნიის, ხოლო შემდეგ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი. 1876-79 წლებში იყო თბილისის ქალაქის თავი. 1886 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ ჩუდეცკის მკვლელობის გამო,საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ერი დაწყევლა, რის გამოც დიმიტრი ყიფიანმა მას საპროტესტო წერილი გაუგზავნა და საქართველოს დატოვება მოსთხოვა. ამის გამო იგი სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც 1887 წელს, ღამით, მძინარე მოკლეს. დიმიტრი ყიფიანი მთაწმინდაზეა დაკრძალული.**

**2007 წელს კი პატრიარქმა წმინდანად შერაცხა.**

მოამზადა
**ნინო მაისურაძე**




# IT-კომპანიები შეგატყობინებთ, თუკი აშშ-ის ხელისუფლება თქვენი პირადი მონაცემებით დაინტერესდება

**კომპანიები Apple, Microsoft, Facebook და Geoogle შეატყობინებენ თავიანთ მომხმარებლებს, რომ მათ პირად მონაცემებზე წვდომა აშშ-ის ხელისუფლებას სურს. ეს გადაწყვეტილება განაპირობა კომპანიების უარმა აშშ-ის ხელისუფლების მოთხოვნაზე საიდუმლო თანამშრომლობის შესახებ.**

დიდმა ამერიკულმა IT-კომპანიებმა განაცხადეს, რომ თავიანთ მომხმარებლებს ყოველთვის გააფრთხილებენ, თუკი მათი პირადი მონაცემების გადაცემას აშშ-ის ხელისუფლება მოითხოვს. კომპანიების წარმომადგენლების თქმით, მომხმარებლებს აქვთ უფლება, იცოდნენ, რომ ხელისუფლებას სურს, მათ პირად ინფორმაციას გაეცნოს. ამ გადაწყვეტილებას Yahoo რამდენიმე თვეში შეუერთდება. გამონაკლისი იქნება მხოლოდ შემთხვევა, როდესაც მომხმარებლების საქმის კურსში ჩაყენება სასამართლოს გადაწყვეტილებით არის აკრძალული.



# წარმოადგინეთ ტელეფონი!

**ამერიკელ პოლიციელებს უფლება მიეცათ, „გაჩხრიკონ“ უორდეროდ დაკავებულის ტელეფონი, ვინც უნდა იყოს ის — ტერორიზმში ეჭვმიტანილი, ნარკომოვაჭრე თუ საგზაო მოძრაობის წესის დამრღვევი.**

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ პოლიციელებისთვის კიდევ ერთი უფლების, კერძოდ, ნებისმიერი დაკავებულის მობილური ტელეფონის მონაცემების გაცნობის უფლების მინიჭების შესახებ დოკუმენტების განხილვა დაიწყო. ამერიკელი პოლიციელები ყოველწლიურად აპატიმრებენ 12 მლნ ადამიანს, მათ უმრავლესობას — უმნიშვნელო სამართალდარღვევისთვის. ზემოაღნიშნული დოკუმენტის დამტკიცების შემთხვევაში, ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც პოლიციელები საეჭვოდ ჩათვლიან, ვალდებულია, სამართალდამცველებს ტელეფონი წარუდგინოს მონაცემების გასაცნობად. პოლიციელებს კი უფლება აქვთ, ნახონ ყველაფერი, რაც კი ტელეფონშია — ფოტოები, ვიდეო და ეს-ემ-ესებიც კი.

მოკლედ

# ტელემაყურებელი ყველაზე მეტად «იმედს» ენდობა

**ენ-დი-აის კვლევების მიხედვით, საქართველოში პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ტელეკომპანია „იმედს“ (86 პროცენტი) უფრო მეტი ადამიანი უყურებს, ვიდრე „რუსთავი 2“-ს (84 პროცენტი), შედარებით ნაკლები (61 პროცენტი) — ინფორმაციის მისაღებად „მაესტროს“, კიდევ უფრო ნაკლები ადამიანი — საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველ არხს“ (55 პროცენტი).**

მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას ყველაზე მეტი გამოკითხული (36 პროცენტი) ტელეკომპანია „იმედს“ ენდობა. ნდობის მხრივ „იმედს“ „მაესტრო“ მოჰყვება, მას გამოკითხულთა 30 პროცენტი ენდობა. შედარებით ნაკლები ადამიანი (26 პროცენტი) ენდობა „რუსთავი 2“-ს, საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველ არხს“ კი — ყოველი მეხუთე გამოკითხული (21 პროცენტი).

ენ-დი-აი-მ კვლევის შედეგები 5 მაისს გამოაქვეყნა. კვლევა 2014 წლის 26 მარტიდან 18 აპრილის ჩათვლით 12 ქალაქში ჩატარდა და დაახლოებით 4 ათასი რესპონდენტი გამოიკითხა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მარსზე გაფრენა

**„ერთი ბილეთი მარსამდე, თუ შეიძლება“ — ამ წინადადების წარმოთქმას წუთი წუთზე ველოდებით მას შემდეგ, რაც 1969 წელს „Apolo 11“ მთვარეზე დაეშვა.** 1946 წელს კოსმოსის მკვლევარმა გერმანელმა მეცნიერმა, დოქტორ ვერნჰერ ვონ ბრაუნმა წარმოადგინა 70 ასტრონავტის მარსზე ექსპედიციის საკმაოდ ზუსტად გათვლილი პროექტი. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ის დღესაც ტექნიკურად ყველაზე გამართულ, დაზუსტებულ და განხორციელებად პროექტად ითვლება. აშშ და რუსეთი ინტენსიურად მუშაობენ ამ საკითხზე. შეიძლება ითქვას, არამარტო მეცნიერებისთვის, არამედ პოლიტიკოსებისთვისაც კი, წითელი პლანეტის მონახულება დედამიწელთა ყველაზე მნიშვნელოვანი, ამბიციური და გრანდიოზული მიზანია.

# რას გამოიგონებენ ახლო მომავალში?

**ადამიანის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ცნობისმოყვარეობა და ახლის ძიების დაუსრულებელი სურვილია. იგი არასდროს კმაყოფილდება მიღწეულით და მუდმივად ახალ-ახალ მიზნებს ისახავს. გასული საუკუნეების იდეების დიდი ნაწილი უკვე იქცა რეალობად და ისინი ახლებმა ჩაანაცვლა.**



## მფრინავი მანქანა

**მფრინავი მანქანის იდეა კაცობრიობას, დიდი ხანია, აწუხებს. ჯერ კიდევ 1917 წელს გლენ კურტისმა სცადა, აეგო პირველი ავტოპლანი, რომლის დიზაინი დღემდე გამოიყენება თანამედროვე პროექტებში.**

თუმცა იმისათვის, რომ ასეთი მანქანები მართლაც პრაქტიკული და კომფორტული იყოს, პირველ რიგში, მათ უნდა შეეძლოთ ადგილიდან ჰაერში აფრენა ზედმეტი ხმაურისა და ეფექტის გარეშე. ასევე მათი მანევრირება, საჭიროებისამებრ ჰაერში გაჩერება და ერთ ადგილას „ლივლივი“ სერიოზულ ანტიგრავიტაციულ მექანიზმებს საჭიროებს.

მიუხედავად იმისა, რომ 2002 წლისთვის NASA-მ ამის თეორიული შესაძლებლობების შესახებ ნაშრომები წარმოადგინა, მეცნიერულ წრეებში ეს იდეა დაცინვის საგანიც კი გახდა. იმედი ვიქონიოთ, რომ სადღაც გულის და ტვინის სიღრმეში მეცნიერებს მაინც არ ასვენებთ ეს საკითხი და ფარულად (როგორც ეს მათ სჩვევიათ) აწარმოებენ კვლევებს ამ მიმართულებით.



## რობოტი მოსამსახურე

**რობოტი შიდამოსამსახურის წინაპრად შეიძლება მტვერსასრუტიც მივიჩნიოთ, თუმცა მოთხოვნები თანდათან გაიზარდა და დღეს იდეალური რობოტ-დამხმარე ტუალეტის წმენდასთან ერთად დაბრაწულ ღვეზლებსაც უნდა აცხობდეს.**

რობოტიკოსები ერთგულად მიყვებიან საკუთარ პრინციპს — „თუ ადამიანს რაიმე სურს, ამას რობოტი გააკეთებს“ და იაპონიის ტექნოლოგიურ გამოფენებზე სულ უფრო დახვეწილი „ქმნილებები“ გამოჰყავთ.

მთავარი მიზანი იდეალური რობოტის განვითარებისას მისი სოციალურობა, ადამიანებთან კონტაქტისა და სიტუაციის მიხედვით ანალიზისა და ადეკვატური ქმედების უნარია, რომელიც მოითხოვს, რომ რობოტს დამოუკიდებელი აზროვნება შეეძლოს. ეს კი თავად რობოტის არსს ეწინააღმდეგება.



## თვითმართვადი მანქანა

**ყველაზე სახიფათო ავტომანქანაში თავად მძღოლია. იგი მანქანის მართვისას ახერხებს ჭამას, სმას, კითხვას, ტელეფონზე საუბარს, მაკიაჟის კეთებას და ფრჩხილების მოწესრიგებასაც კი. 1990 წლიდან აშშ-ის სატრანსპორტო დეპარტამენტის დაფინანსებით შემუშავდა სხვადასხვა პროექტი მანქანის მართვის პროცესში ადამიანის მონაწილეობის მაქსიმალურად შემცირების მიზნით.**

NAHSC-მა უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია რადარისა და მაგნიტურ-ვიზუალური სენსორების გამოყენებაში. უკვე მრავალი კომპანია დაინტერესდა ამ იდეით, მითუმეტეს, რომ 3 მილიონი დოლარი გამოიყო საუკეთესო პროექტის დასაჯილდოებლად.

ყველაზე ინტენსიურად ამ მიმართულებით AUDI და Google მუშაობენ, მაგრამ, Google-ს მკვლევართა განცხადებით, მსგავსი მანქანების პრაქტიკული გამოყენება, სულ მცირე, 2018 წლამდე ვერ მოხერხდება.

## რას ასკანერებს კარის სახელური?



**ალბათ, ძნელია, თითის ანაბეჭდების მისაღებად კარის სახელურში ჩაშენებულ სკანერს ტექნოლოგიური აღმოჩენა უწოდო, მაგრამ დიზაინერმა დონსაკ სეომ თავის ახალ კონცეპტში მათი კონსტრუქციის უფრო მოხერხებულად გადაწყობა მოინდომა. კონცეპტის სახელია Grabit და მისი ავტორი სკანერის ჩაშენებას უშუალოდ კარის სახელურში გვთავაზობს.**

კარის გასაღებად მასზე ოთხი თითის მოჭიდებაა საჭირო, როგორც ყოველთვის, შესაბამისად თავისუფალი შუა თითი პირდაპირ სკანერის ზევით ხვდება. ეს იდენტიფიკაციის აქტივაციისა და კარის, პრაქტიკულად, მყისიერად გაღების შესაძლებლობას იძლევა.

რაღა თქმა უნდა, ამისათვის იმ სისტემის სრულყოფაა აუცილებელი, რომელიც მონაცემთა დამუშავებას ახორციელებს, რადგანაც დღეისათვის სკანირება და ანაბეჭდის ამოცნობა გარკვეულ დროს მოითხოვს. სისტემა Grabit ჯერჯერობით მხოლოდ კონცეპტია, თუმცა მის საფუძვლად არჩეული ტექნოლოგია პრაქტიკაში უკვე გამოყენებულია, ამიტომ ადრე თუ გვიან რაღაც მსგავსი აუცილებლად გამოჩნდება რეალურ სამყაროშიც.



## წყალქვეშა ქალაქი

**ადამიანებს უხსოვარი დროიდან იზიდავდა ოკეანეების მისტიური სიღრმეები. არც თანამედროვე ადამიანს განელებია ინტერესი ლაჟვარდოვანი ზღვისქვეშეთის მიმართ, მაგრამ წარმოდგენები მკვეთრად შეიცვალა – ატლანტიდა და ქალთევზათა სამყარო წყალქვეშა მეტროპოლისებმა და კოლონიებმა ჩაანაცვლა.**

ჯერ კიდევ 1950-60 წლებში ჟაკ კუსტომ შექმნა პირველი მონახაზი და აშშ-ის საზღვაო კვლევითმა ლაბორატორიამ ამ იდეის განხორციელება დაიწყო. იმ პერიოდშივე დადგინდა, რომ ადამიანს, შესაბამისი პირობების შექმნით მართლაც შეუძლია საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით წყალქვეშ ცხოვრება.

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ წყალქვეშ პატარა სოფელიც კი არ გვაქვს. მართალია, უკვე შეიქმნა დუბაის წყალქვეშა ჰიდროპოლისის მსგავსი გრანდიოზული პროექტები, მაგრამ კიდევ მრავალი ათწლეული ეს „შენობა“ პროექტად დარჩება, რადგან იქ ცხოვრება, გარდა იმისა, რომ წარმოუდგენლად ძვირი ჯდება, არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ის, რისი განვითარებაც ახლო მომავალში წარმოსადგენია, მინისადგურებია, ლაბორატორიები და ლიფტები, რომლებსაც ოკეანოგრაფები გამოიყენებენ.

## ვინ მიხედავს ავადმყოფს?




**ალცგეიმერით ან სკლეროზით დაავადებულ ადამიანებზე ზრუნვა ძალიან რთული ამოცანაა, მათ მუდმივი ყურადღება სჭირდებათ. ამასთანავე, ყველა არაა მზად გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისთვის. ასეთი შემთხვევებისთვის შვედურმა კომპანია u-blox-მა შექმნა Watchie. ეს GPS-ტრეკერია, რომელიც საათის მსგავსად ხელზე უკეთდება ადამიანს და პაციენტების გადაადგილებაზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა.**

მოწყობილობას საფუძვლად ტექნოლოგია u-blox CellLocate უდევს. ეს ერთ ჩიპზე გაერთიანებული GPS-მოდული და ფიჭური გადამცემია, ისინი ადგილმდებარეობას მაღალი სიზუსტით განსაზღვრავენ. ამასთან, უკანასკნელი პასუხისმგებელ პირს გადასცემს ტრანსლაციას. შესაბამისად, საათის კონსტრუქციაში გათვალისწინებულია, აგრეთვე, სლოტი SIM-ბარათისთვისაც.

Watchie-ს დამატებითი ფუნქციების ნაკრებიც აქვს. ფუნქცია SafeZone მზრუნველს ვირტუალური საზღვრების დაგეგმვის შესაძლებლობას აძლევს და, როდესაც პაციენტი დადგენილ ფარგლებს გასცდება, მზრუნველი დაუყოვნებლივ იღებს შეტყობინებას. საათზე განგაშის ღილაკია, რომელზე დაჭერისას Watchie-ს მიმდინარე პოზიცია პასუხისმგებელ პირს გადაეცემა. აქ არის ჩაშენებული აქსელერომეტრი, რომელიც მომხმარებლის უეცარ მკვეთრ მოძრაობას აკონტროლებს; და თუ იგი, მაგალითად, დაეცემა, შეტყობინება მზრუნველს გაეგზავნება. დაბოლოს, ელექტრონული ნაწილი იმგვარადაა ოპტიმიზებული, რომ აკუმულატორი რამდენიმეკვირიან მუშაობას უზრუნველყოფს.



## ქალური ინტუიცია თანდაყოლილია

**ქალური ინტუიცია ჯერ კიდევ დიდ საიდუმლოს წარმოადგენს. სუსტი სქესის უნარი, გაარჩიოს, რას ფიქრობს და გრძნობს სხვა ადამიანი, კაცებს დღემდე აოცებთ.** როგორც მეცნიერები აცხადებენ, ეს ფენომენი ბიოლოგიურია და ქალი მას ჯერ კიდევ დედის მუცელში იღებს, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ჩანასახია. ყველაფერი დაკავშირებულია ტესტოსტერონის დაბალ ზემოქმედებასთან. საერთაშორისო ექსპერტებისგან შემდგარ გუნდში აცხადებენ, რომ ამის გამო ქალებს კაცებთან შედარებით უფრო ძლიერი ინტუიცია აქვთ. გრანადისა და ბარსელონას უნივერსიტეტების მეცნიერებმა ექსპერიმენტში 600 სტუდენტი ჩართეს, რათა გაერკვიათ, ვის უფრო უკეთესი ინტუიცია აქვს. შედეგი უდავოა — ამ მხრივ ქალებს ბადალი არ ჰყავთ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ჯადოსნური კაფე»



**მას შემდეგ, რაც ბელგრადში გაიხსნა ახალი ობიექტი, რომლის სახელწოდებაც Majik Cafe აბსოლუტურად გამართლებულია, ამ ქალაქში კულტურული აფეთქება მოხდა. როგორც ჩანს, დიზაინერმა კარიმ რაშიდმა არა მხოლოდ მთელი თავისი ცოდნა და ძალისხმევა, არამედ თავისი ოცნებებიც ჩადო იდეალური ღამის კაფეს გახსნაში. დიზაინერის თქმით, ყველაფერი გამომდინარეობს შინაარსიდან, გარემოდან და იქიდან, თუ რა სივრცეში მუშაობ.**

ღამის ცხოვრება ბელგრადში სხვადასხვა ღამის კლუბისა და ბარის სიმრავლის წყალობით მრავალფეროვანია. აქ დრო თავის სვლას ანელებს და დილამდე მხოლოდ მუსიკა, საცეკვაო რიტმი, ღიმილი, კოქტეილები და რელაქსი მეფობს.

Magic cafe სასიამოვნო მუსიკითა და უგემრიელესი სამზარეულოთი წყნარ გარემოში — ბელგრადის გულშია მოწყობილი.

დიზაინერმა კარიმ რაშიდმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ Magic cafe გახდება იდეალური ადგილი დასვენებისა და ენერგიის აღდგენისთვის დღისა თუ ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. ეს კაფე ყოველთვის მზად იქნება, უმასპინძლოს შემოქმედებით იდეებს, მოაწყოს გამოფენა ან სხვა გზით დაუჭიროს მხარი ხელოვნების ნებისმიერ სახეობას...







# რომელია ევროპის ყველაზე იაფი ზღვის კურორტი?



**ევროპის კურორტებზე ფასებმა 20%-ით დაიკლო. სასტუმროები ევროზონის კრიზისს ამ გზით ებრძვიან და ცდილობენ, რაც შეიძლება ბევრი ტურისტი ან ადგილობრივი დამსვენებელი მიიზიდონ.**

წელს სიიაფით ევროპულ კურორტებს შორის პირველი ადგილი ბულგარეთს ერგო, იქ ერთკვირიანი დასვენება 215 გირვანქა სტერლინგი ეღირება, ეს კი შარშანდელთან შედარებით 50 გირვანქა სტერლინგით იაფია.

ბულგარეთში ყველაზე პოპულარულ კურორტზე — Sunny Beach-ზე ტურისტების საარსებო კალათა 43 გირვანქა სტერლინგი ჯდება. თურქეთის მარმარისმა მეორე ადგილი დაიკავა, იქ იგივე კალათა 54.11 გირვანქა სტერლინგია; კოსტა დელ სოლში (ესპანეთი) — 54.88 გირვანქა სტერლინგი; კოსტა ბლანკაში (ესპანეთი) — 55.18 გირვანქა სტერლინგი; ალგარვიში (პორტუგალია) — 56.44 გირვანქა სტერლინგი.

# რა თქვა ჰიტლერის მოსამსახურემ?

**89 წლის ავსტრიელმა ელიზაბეტ კალჰამერმა, რომელიც ადოლფ ჰიტლერის მოსამსახურე იყო, 71-წლიანი დუმილი დაარღვია და მსოფლიოს ფიურერთან მუშაობის შესახებ უამბო.**



ელიზაბეტი ჰიტლერთან ბავარიაში, ბერგოფის რეზიდენციაში მუშაობდა. სამუშაოს დაწყებიდან პირველივე წუთებში იგი გააფრთხილეს, რომ ნებისმიერი, ვინც კი რეზიდენციის შესახებ სრულიად უწყინარ დეტალსაც კი გაამჟღავნებდა, მკაცრად დაისჯებოდა. ჰიტლერი მკაცრ დიეტაზე იყო და ნელთბილ წყალს სვამდა. მისი თქმით, ყველა მზარეულმა იცოდა, რომ ჰიტლერს ელენთასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა და მის პერსონალურ სადილსაც დიდი ყურადღებით ამზადებდნენ. თუმცა, როგორც ელიზაბეტი იხსენებს, მკაცრი დიეტის მიუხედავად, ფიურერი ტკბილეულზე უარს მაინც ვერ ამბობდა და ზოგჯერ შოკოლადის ბისკვიტსა თუ კრემიან ნამცხვრებს მიირთმევდა. „ფიურერის ნამცხვარი" — ვაშლის დესერტი, რომელიც თხილითა და ქიშმიშით იყო სავსე, ჰიტლერისთვის ცხვებოდა და მისთვის ღამით მიჰქონდათ.



ელიზაბეტი 22 გოგონასთან ერთად მუშაობდა, ყოველთვის ჰიტლერთან ახლოს იყო, მაგრამ არასდროს დალაპარაკებია მას. ელიზაბეტი სამრეცხაოსა და საკერავ ოთახში მუშაობდა, შემდეგ კი ფიურერისთვის ჩაი მიჰქონდა. როგორც კალჰამერი იხსენებს, ერთხელ ჭიქა გაუტყდა და სასჯელად რამდენიმე დასვენების დღე გაუუქმეს.

როგორც ელიზაბეტი იხსენებს, ჰიტლერი მხატვრული ფილმების მოყვარული იყო და რეზიდენციაში კერძო კინოთეატრიც ჰქონდა. რეზიდენციაში გამეფებული განწყობა 1944 წლის ივლისში შეიცვალა. ელიზაბეტი ბერგოფში ომის დასრულებამდე მუშაობდა, ვიდრე რეზიდენციაში ევაკუაცია არ გამოცხადდა.

# რბოლა საწოლებით

**ჩრდილოეთ ინგლისის ყველაზე დიდი საგრაფოს – იორკშირის ქალაქ ნერესბოროში საწოლებით ყოველწლიური რბოლა ჩატარდა. რბოლებმა დაახლოებით 35 ათასი ადამიანის ყურადღება მიიპყრო — იმ ადამიანების ყურადღება, რომელთაც სურდათ, თვალი ედევნებინათ ყველაზე სულელური და სასაცილო რბოლისთვის მსოფლიოში.**



თავიდან, როდესაც რბოლა მხოლოდ დაწყებით ეტაპზე იყო, ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, რომ მხოლოდ გაწვრთნილი ჯარისკაცები და საზღვაო ქვეითები შეძლებდნენ გამარჯვებისთვის ბრძოლას.

თუმცა სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა — ნებისმიერ გუნდს, რომელმაც გადაიხადა შესასვლელი თანხა, შეუძლია მიიღოს მონაწილეობა კონკურსში. წელს ნერესბოროში სხვადასხვა ქვეყნიდან 90 გუნდი ჩავიდა.

გუნდები, რომლებიც მონაწილეობენ რბოლაში, შედგება ექვსი მორბენალისა და ერთი „მგზავრისგან" საწოლზე. მორბენალებმა უნდა ატარონ საწოლი 3 კილომეტრის მანძილზე სოფელში, ხოლო მე-7 წევრმა მთელი ძალით უნდა შეიმაგროს თავი საწოლზე.









რბოლა იწყება საკმაოდ ადვილად, მაგრამ შემდეგ თანდათან რთულდება: კონკურსანტებს გზად ხვდებათ ბორცვები და მდინარე, რომელიც დინების საწინააღმდეგოდ უნდა გადაცურონ.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდების უმრავლესობა ცდილობს, ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთოს, ზოგიერთი მათგანი ასევე დიდ ყურადღებას აქცევს კოსტიუმებს, რადგანაც ჟიურიმ სპეციალური პრიზი დააწესა საუკეთესო კოსტიუმისა და საწოლის დიზაინისთვის...

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მექანიკური თოჯინა 6 250 000 დოლარად

შვეიცარელ ოსტატ კრისტიან ბაის 15 000 საათი დასჭირდა, რათა 2340 დეტალისაგან აეწყო მექანიკური თოჯინა. აბრეშუმის ტანსაცმელში ჩაცმულ ბიჭუნას შეუძლია ფლეიტაზე დაკვრა, რომლის ხმაზეც ბიჭის ხელსა და მხარზე მჯდომი ჩიტები იწყებენ მოძრაობას და ჭიკჭიკს. თოჯინასაც შესაფერისი სახელი დაარქვეს: „ჩიტების დამჭერი“. თოჯინის სიმაღლე 120 სანტიმეტრია, ხოლო წონა — 55კგ. თოჯინას მომართვა შესაძლებელია ტანსაცმელში დამალული გასაღების საშუალებით.

# ყველაზე ძვირფასი სათამაშოები

**მსოფლიოში არსებობს უამრავი სათამაშო, რომელთაც შეუძლია გააოცოს და გაახაროს არამარტო ბავშვები, არამედ მათი მშობლები და პროფესიონალი კოლექციონერებიც კი. განსაკუთრებულ სათამაშოებს კი ფასიც განსაკუთრებული აქვს.**



## ფაიფურის თოჯინა 163 000 დოლარად

XX საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად მეთოჯინედ ითვლებოდა ანდრეს მარკე. 1915 წელს პარიზში ჩატარდა მისი თოჯინების გამოფენა, რომელმაც აღტაცება გამოიწვია მთელ ევროპაში. კოლექცია შედგებოდა ასი თოჯინისგან, მათგან ჩვენ დრომდე მხოლოდ ათმა მოაღწია. აქედან ყველაზე ძვირად ითვლება ფაიფურის თოჯინა, რომელიც აუქციონზე 263 ათას დოლარად გაიყიდა.

## სათამაშო ჯარისკაცი 200 000 დოლარად

1960 წელს კომპანია Hasbro-მ გამოუშვა სათამაშო ჯარისკაცები, რომლებსაც შეეძლოთ კიდურების მოძრაობა. მათ „ჯარისკაცი ჯო“ ეწოდათ და დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ბიჭუნებს შორის. ეს სათამაშო ბევრი კომიქსისა და მულტფილმის გმირიც გახდა.





## თოჯინა «ბარბი»

2010 წელს წარმოდგენილი იქნა ამ თოჯინების კოლექცია სერიიდან „პატარა შავი კაბა“. მისი ვარსკვლავი გახდა ბარბი ექსკლუზიური ბრილიანტის ყელსაბამით. აუქციონზე გაყიდული თოჯინით შემოსული თანხა მთლიანად საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხა.



## სათამაშო ხომალდი 210 000 დოლარად

გერმანულმა სათამაშოების ფირმა Mლrklin-მა 1905 წელს შექმნა ხომალდი „H.M.S. Terrible“. ის წარმოადგენს იმ ორთქლის საბრძოლო ხომალდის ზუსტ ასლს, რომელიც შედიოდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო სამეფო ფლოტის შემადგენლობაში და გამოყენებული იყო ბურებთან ომის დროს.



## სათამაშო მატარებელი 500 000 დოლარად

აუქციონ Christies-ის ექსპერტებმა, როდესაც მათ ხელში 1906 წელს ფირმა Mლrklin-ის მიერ გამოშვებული ეს მატარებელი მოხვდა, გაიფიქრეს, რომ ეს ნივთი განკუთვნილია არა სათამაშოდ, არამედ მაღაზიის ვიტრინის დასამშვენებლად და მყიდველების მოსაზიდად. ორქლმავლის სახურავზე 10 წლის ბავშვი თავისუფლად მოთავსდებოდა, ხოლო მთლიანად შემადგენლობის სიგრძე 3,5 მეტრს აღწევდა. მატარებლის ფასმა მათ მოლოდინს გადააჭარბა.



## თოჯინის სახლი 500 000 დოლარად

სათამაშოებს შორის რომ არისტოკრატები ყოფილიყვნენ, ნამდვილად მოეწონებოდათ ეს სახლი, უფრო სწორად, 3 მეტრი სიმაღლის ზღაპრული სასახლე. მის შექმნაში მონაწილეობდნენ მხატვრები, იუველირები, ხეზე კვეთის ოსტატები. რამდენიმე დეტალი კი თავად უოლტ დისნეის შესრულებულია.



## სათამაშო მანქანა 240 000 დოლარად

2008 წელს ბრენდმა Hot Wheels-მა საკუთარი არსებობის ორმოცწლიანი იუბილის აღსანიშნავად გამოუშვა ძვირფასი თვლებით მორთული უნიკალური ავტომობილი. 2700 თეთრი, ცისფერი და ვარდისფერი ბრილიანტით იყო მორთული მანქანის კორპუსი, რომელიც მთლიანად თეთრი ოქროსგან იყო გაკეთებული. მაგრამ ეს მანქანა იმდენად პატარა იყო, რომ ბავშვის ხელისგულზე მოთავსდებოდა.



## დათუნია ლუის ვიტონისაგან 2 100 000 დოლარად

2000 წელს გერმანულმა კომპანია Steiff-მა გამოუშვა Bear Teddy, რომელსაც ბრენდ Louis Vuitton-ის ტანსაცმელი ეცვა. ელეგანტურ პალტოში გამოწყობილი დათვი წარმოდგენილი იქნა აუქციონზე და ის კორეელმა ბიზნესმენმა შეიძინა.




## ოქროს ცხენი-საქანელა 1 280 000 დოლარად

იაპონიის პრინცის — აკისინოს შვილის დაბადება ქვეყანაში ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულად იქცა. მომხიბვლელი ბიჭუნა მთელი იაპონიისთვის საყვარელი ბავშვი გახდა. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა რომ აღენიშნათ, საიუველირო სახლ Ginza Tanaka-ის ოსტატებმა შექმნეს საქანელა-ცხენი, რომლის გაკეთებაზეც 30 კგ ოქრო დაიხარჯა, მაგრამ სათამაშო არცთუ ისე მოხერხებული აღმოჩნდა: მის გადაადგილებაზე პატარა პრინცს უფროსების დახმარება სჭირდებოდა, რადგან საკმაოდ მძიმე იყო. საიმპერატორო ოჯახის წარმომადგენლები საჩუქარს დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან. ისინი შვილებს პატარაობიდანვე თავმდაბლობასა და მოკრძალებულ ცხოვრებას აჩვევდნენ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



Frary & Clark-ის (1924 წელი) ფირმის ტოსტერი, უნდა აღინიშნოს, რომ, დღევანდელი ანალოგებისგან განსხვავებით, ძალზე დახვეწილი დიზაინით გამოირჩეოდა.



# პირველყოფილი ტექნიკა



1956 წელს კომპანია IBM-მა წარმოადგინა პირველი კომპიუტერი, რომელიც იწონიდა ტონაზე მეტს და ჰქონდა 5 მეგაბაიტი მახსოვრობა, 50 წლის შემდეგ ყველაზე სუსტი iPhone 112 გრამს იწონის და აქვს 112 გიგაბაიტი მახსოვრობა — 3200-ჯერ მეტი, ვიდრე პირველ კომპიუტერს.



პირველი მასიური წარმოების კალკულატორი Marchant XLA (1913 წელი), ახლანდელისგან განსხვავებით, ჯიბეში ნამდვილად ვერ ჩაეტეოდა. კალკულატორს ყიდულობდნენ ძირითადად დიდი მაღაზიები და ბანკები. აღსანიშნავია, რომ მას 130-გვერდიანი ინსტრუქცია მოჰყვებოდა.



ერთ-ერთი პირველი ამერიკული წარმოების სარეცხის მანქანა Thor 1908 წელს შექმნეს. ხის დოლურა მონაცვლეობით 8-ჯერ ხან წაღმა ტრიალებდა, ხან უკუღმა. ელექტროძრავზე დოლურა სპეციალური სახელურის გადაწევის შემდეგ ერთდებოდა.



პირველი ელექტრობურღი, გერმანული წარმოების Fein (1895), თანამედროვე „Bosch“-ს ნამდვილად არ წააგავს.



მე-20 საუკუნის დასაწყისში აშშ-ში იყენებდნენ გორგოლაჭებს, რომელიც კონფიგურაციით და კონსტრუქციით წააგავდა თანამედროვე ანალოგებს. შემდგომ შვედეთსა და დანიაში პოპულარობა მოიპოვა სატერფულიანმა გორგოლაჭებმა Takypod, რომელიც ედვარდ პეტრინმა გამოიგონა.



პირველი მოქმედი პრინტერი, რომელიც მათემატიკოსმა ჩარლზ ბებიჯმა ჯერ კიდევ 1834 წელს გამოიგონა, უზარმაზარ კომპიუტერს ჰგავდა. მას ჰქონდა ავტომატური ბეჭდვის ფუნქცია, თუმცა პრაქტიკაში მხოლოდ 150 წლის შემდეგ გამოიყენეს — პრინტერი ნახაზების მიხედვით ააწყვეს.



ვორდენკლიფის ანძა (1907-0917) იყო პირველი უსადენო საკომუნიკაციო ანძა, რომელიც ნიკოლაი ტესლამ შექმნა. ის გამოიყენებოდა კომერციული ტრანსატლანტიკური სატელეფონი საუბრების და რადიოგადაცემებისთვის.



პირველი პორტატული რადიოსადგური (1921 წელი) დიდი რადიოერის დასაწყისად იქცა.





ტრენაჟორი (1893წელი), რომელიც შვედმა ექიმმა გუსტავ ცანდერმა გამოიგონა, შვედ არისტოკრატებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა.

პირველი ლეპტოპი (Gavilan—1983 წელი და Grid compass—1982 წელი) კომპიუტერული ეპოქის გარიჟრაჟზე ნამდვილი საოცრება იყო.



# სტუდენტებისთვის საჯარო სექტორში სტაჟირება საყოველთაო გახდება



მთავრობა მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლითაც სტუდენტებისთვის საჯარო სექტორში სტაჟირება საყოველთაო გახდება, —განაცხადა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ნინო კობახიძემ:

**„ცვლილებების შემდეგ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ, სტაჟირება და პრაქტიკა გაიარონ ყველა საჯარო უწყებაში, მათ შორის — რეგიონებში განთავსებულ საჯარო სამსახურებში. საჯარო სექტორში სტაჟირების და პრაქტიკის პროგრამა ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის სტუდენტებს, რადგან ეს დაეხმარება სამუშაო გამოცდილების შეძენაში და წაახალისებს სახელმწიფო სტრუქტურაში მათ დასაქმებას“,** — განაცხადა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ.

მისივე განმარტებით, სტაჟიორების და პრაქტიკანტების პირველი ტალღის მიღება ზაფხულში დაიწყება და მათ შესაძლებლობა ექნებათ, საჯარო დაწესებულებებში 1 სექტემბრიდან გამოცხადდნენ.

სტაჟირების კურსი 6-თვიანი იქნება, რომლის დასრულების შემდეგ საჯარო უწყება სერთიფიკატს გასცემს.

## სერგეი ლავროვი:

# ევროკავშირსა და აშშ-ს ჰკითხეთ, რა გეგმები აქვთ, თუ საქართველო არ გააკეთებს იმას, რასაც ელოდებიან



**ჩემი რჩევა იქნება, ევროკავშირსა და აშშ-ს ჰკითხოთ, რამე გეგმეა ხომ არ აქვთ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება იმას არ გააკეთებს, რასაც მისგან ელოდებიან, — ასე უპასუხა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ტელეკომპანია „იმედის“ შეკითხვას — მოსალოდნელია თუ არა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დაძაბვა, ევროკავშირთან საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ?**

„ჩვენ არ ვართ დაკავებული რეჟიმების შეცვლით, ფერადი რევოლუციების მოწყობით, მით უმეტეს, ყავისფერი ლაქებით, როგორც ეს უკრაინაში მოხდა“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელმაც დასძინა, რომ რუსეთი გულგრილი არ არის საქართველოში შექმნილი ვითარების მიმართ და სურს, რომ ქართველმა ხალხმა კარგად იცხოვროს.

„მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოში არსებული ვითარების კონტექსტში განვიხილავთ“, — განაცხადა სერგეი ლავროვმა



# პლანეტაზე ეკოლოგიურად სუფთა მხოლოდ ხუთი ქვეყანაა

**იელის უნივერსიტეტის ექსპერტებმა მსოფლიოში ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ქვეყნების რეიტინგი გამოაქვეყნეს.** როგორც გაირკვა, პლანეტაზე მხოლოდ ხუთი ქვეყანაა ეკოლოგიურად სუფთა.

ამ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა **ისლანდია**, მეორეზე — **შვეიცარია**, შემდეგ — **კოსტა-რიკა, შვედეთი** და **ნორვეგია.**



## ამერიკელი გენერალი:

# რუსული ბომბდამშენები კალიფორნიამდე მიფრინდნენ!

**აშშ-ის სამხედრო ქვედანაყოფის სარდალმა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, გენერალმა ჰერბერტ კარლაილმა განაცხადა, რომ წყნარი ოკეანის თავზე რუსეთის ფედერაციის შორეული სტრატეგიული ავიაცია გააქტიურდა და ეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან არის დაკავშირებული.**

გენერალი ამტკიცებს, რომ რუსული ბომბდამშენები კალიფორნიის შტატის სანაპირომდე და აშშ-ის კუნძულ გუამამდე მიფრინდნენ. აღსანიშნავია,რომ კალიფორნია და გუამი უკრაინიდან თითქმის 10 ათასი კმ-ით (დაახლოებით ეკვატორის მეოთხედი) არის დაშორებული.

**„უკრაინაში რუსეთის მოქმედება გავლენას ახდენს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე. ჩვენ რასაც ვხედავთ, ეს არის შორეული ავიაციის ფრენების გახშირება. ისინი შორეული ავიაციის მეშვეობით კალიფორნიის ნაპირებამდე მოფრინდნენ, შემოუარეს გუამს... ამერიკული F-15-ები ჰაერში აფრინდნენ რუსული „მედვედისთვის“ („მედვედ“ (Bear) — ეს არის ნატოს მიერ შემუშავებული კოდური სახელწოდება რუსული სტრატეგიული ბომბდამშენ “ტუ-95”-ისა, რომელსაც ბორტზე რამდენიმე რაკეტა აქვს) გზის გადასაჭრელად“,** — განაცხადა ჰერბერტ კარლაილმა და დასძინა, რომ „რუსული ავიაციის და საზღვაო ფლოტის აქტიურობამ ძალიან მოიმატა იაპონიის კუნძულებთან და კორეასთან“.

# რა შეიძლება მოჰყვეს კანონს «დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ»



**2 მაისს საქართველოს პარლამენტმა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელსაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები და საზოგადოების დიდი ნაწილი ეწინააღმდეგებოდა, მესამე მოსმენით დაამტკიცა. თუმცა რა შედეგი შეიძლება გამოიწვოს ამ კანონმა მომავალში, გასული წლის ბოლოს საფრანგეთის დედაქალაში განვითარებული მოვლენები მოწმობს.**

2013 წლის 9 ოქტომბერს პარიზში გაიმართა ელ-გე-ბე-ტე საზოგადოების მასობრივი საპროტესტო აქციები, რომლებშიც 50 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. მანიფესტანტები ქრისტიანობას ექსტრემიზმში ადანაშაულებდნენ და ქვეყანაში ქრისტიანული რელიგიის აკრძალვას მოითხოვდნენ. არეულობების მიზეზი შეიქნა კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი მღვდლის უარი, ჯვარი დაეწერა ჰომოსექსუალური წყვილისთვის.

მღვდელმა თავისი პოზიცია იმით ახსნა, რომ კათოლიკური კატეხიზმოს (ეკლესიაში ახალმოსულთა სასწავლად გამიზნული წიგნი. ქრისტეს მოძღვრების გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით) თანახმად, „შეუღლება არის ორმხრივი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მონათლული ქალი და კაცი ერთდებიან იმ მიზნით, რომ ჩამოაყალიბონ ახალი ოჯახი, აღზარდონ ბავშვები და მხარი დაუჭირონ ერთმანეთს.“ შეყვარებულ მამაკაცებს დაქორწინებაზე უარის თქმის არგუმენტად საეკლესიო დოკუმენტიდან ციტატის მოყვანა არ ეყოთ და ღვთისმსახურისგან დაჟინებით მოითხოვეს შესრულება საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის მიერ ამა წლის მაისში გაცემული მითითებისა, რომლითაც ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდა.

ჰომოსექსუალთა დაჟინებული მოთხოვნა არ მოეწონა კათოლიკე მღვდელს, მან გეი-წყვილი ძალის გამოყენებით გააგდო ეკლესიიდან და პირში მიახალა, რასაც ფიქრობდა ფრანსუა ოლანდისა და ჰომოსექსუალების მშობლებზე, აგრეთვე, ელ-გე-ბე-ტე საზოგადოებაზე.

ამ ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ სოციალურ ქსელში სწრაფად გავრცელდა ელ-გე-ბე-ტე აქტივისტების მოწოდება თავიანთი მხარდამჭერებისადმი, გამოსულიყვნენ აქციაზე მოთხოვნით, რომ „აიკრძალოს ჰომოფობიური რელიგია, რომელიც თავისი არსებობით არღვევს არა მხოლოდ სახელმწიფო კანონსა და ადამიანის უფლებებს, არამედ ყველა ევროპულ ფასეულობებს“.

ამ მოწოდების შედეგად მასობრივ საპროტესტო აქციაზე გამოვიდა 50 ათასზე მეტი ადამიანი, რომლებმაც გადაკეტეს მოძრაობა ელისეს მინდვრებზე — თანხმობის მოედნიდან, ტრიუმფალურ თაღამდე.

მანიფესტანტები ქრისტიანობის დაუყოვნებლივ აკრძალვას მოითხოვდნენ, ის ადამიანებისადმი სექსუალური ნიშნით აღძრავს ზიზღს, ეწევა დისკრიმინაციას და ამიტომ ექსტრემისტულიაო.


# სიმაღლეში მომატება — სწრაფად და ეფექტიანად

3-5სმ-ით მომატება კურსით 3-25 წლამდე. ძვლის მკვებავი ვიტამინების, მინერალების ნაკრებით, ვარჯიშებითა და მასაჟით, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება 5-15კგ-მდე თვეში ჯანმრთელობისთვის უვნებლად, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით; მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება.

მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით.

**218-46-08, 558-15-63-33**
**ექიმი ნინო**

# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**



საქართველო და მსოფლიო — ყოველკვირეული გაზეთი
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009